

ოპტიმიზმი:
ქართული ეროვნული იდეა,
გლობალიზმის იმპერატიული პარადიგმა

თბილისი 2011

წიგნში დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის განვითარებით ჩამოყალიბებულ, “ფსიქიკურ სტიქიათა თეორიაზე” და თვითრეგულირებად სისტემათა (მათ შორის, ამგვარ სოციალურ წარმონაქმნთა – ცივილიზაციათა) ქცევისა და სტრუქტურის განვითარების ზოგადი, ობიექტური კანონების დამდგენ ლოგიკურ აპარატზე, “ციკლურ ლოგიკაზე” დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ქართველი ერის განვითარების, მისი სრულფასოვანი თვითრეგულირებისა და, ამასთანავე, მსოფლიო საზოგადოების თანამედროვე კრიტიკული მდგომარეობის დაძლევის მთავარი რესურსი გლობალიზმის ალტერნატიული პარადიგმის, “მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის გლობალური ოპტიმიზაციის პროგრამის” ინიცირებაში მდგომარეობს.

ავტორის თეორიული შედეგების მეცნიერული ღირებულების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 2004 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში წარმოდგენილი პროგნოზი, 2009 წლის დასაწყისისთვის მსოფლიოში მდგომარეობის გლობალური მასშტაბით მკვეთრი ცვლილების შესახებ, ზედმიწევნით გამართლდა. “მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის გლობალური ოპტიმიზაციის პროგრამის” ამოქმედების შემთხვევაში მსოფლიო საზოგადოების მდგომარეობის მიმდინარე ცვლილება კრიზისის სახეს არ მიიღებდა. სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ.

გლობალური ცივილიზაციის თვითრეგულირების პროცესის ოპტიმალურ კალაპოტში სტაბილიზაციის პრობლემა და, ამდენად, მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის გლობალური ოპტიმიზაციის პროგრამის ინიცირების საკითხი უფრო და უფრო აქტუალური იქნება მომავალში. ქართული ფსიქოლოგიის სამეცნიერო სკოლის აღნიშნული მიღწევა ქართველ ერს გლობალური პროცესების კონსტრუქციული ინიციატორად თვითწარმოჩენის შესაძლებლობას უქმნის. იმედია, ჩვენი თაობა ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებს.

წიგნში წარმოდგენილ თემასთან დაკავშირებით ავტორს გამოცემული აქვს ორი მონოგრაფია: 1) – “ერი, როგორც ფილოსოფიური კატეგორია და ონტოლოგიურ-გნოსეოლოგიური პრინციპი” (1997 წ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, რედაქტორი – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვიტალი კაკაბაძის, რეცენზენტები: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მიხეილ ქურდიანი; ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ კუჭუხიძე); 2) – “ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია” (2004 წ. გამომცემლობა “ნეკერი”, რეცენზენტები: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ზურაბ ხასაია და სოციოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ვაჟა გოროზია).

წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება თეორიული შედეგების შეკუმშულ გადმოცემას და იმეორებს წინამორბედ გამოცემას, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. მეორე ნაწილი აღნიშნული თეორიის პოზიციიდან 2004 წლის შემდეგ განვითარებული მოვლენების და ცალკეული აქტუალური თემების გაშუქებას ეძღვნება და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ტექსტების სახითაა წარმოდგენილი. ამით შედეგები წარმოდგენილია მეტი ასპექტებით ვიდრე ამავე მოცულობის სხვაგვარად შედგენილი ტექსტის მეშვეობით იქნებოდა შესაძლებელი.

რედაქტორები: ვაჟა შუბითიძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ ხასაია – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

© ემზარ აკაკის-ძე ხვიჩია

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი პირველი

ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია;

§1. ფსიქიკურ სტიქიათა თეორია და ციკლური ლოგიკა;

§2. გლობალური ცივილიზაციის ოპტიმალური
პოლიტიკური სისტემა - ნოოსფერული ცივილიზაცია;

§3. ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური
განვითარების საფეხურები, ანუ ერის ფენომენური
განვითარების საფეხურები;

§4. ქართველი ერის ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის
ისტორიაში;

§5. ქართველი ერის ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში
მისი წარმომდგენი საზოგადოებრივი ერთობის შინაგანი
სტრუქტურის მიხედვით;

§6. ქართული ეროვნული საზოგადოება XIX-XXI საუკუნეებში;

§7. ოპტიმალიზმი _ გლობალიზმის იმპერატიული პარადიგმა;

§8. ფსიქიკურ სტიქიათა თეორია მისი ცნებების ცხრილით;

ნაწილი მეორე;

კომენტარები.

ნაწილი პირველი.

ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია

§ 1. ფსიქიკურ სტიქიათა თეორია და ციკლური ლოგიკა

ლოგიკური სისტემა, რომლის მეშვეობითაც არის მიღებული აქ წარმოდგენილი შედეგები (საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ ფაქტებს შორის ახალი ურთიერთმიმართებების წარმოჩენა) საბოლოო სახით ჩამოყალიბებულია აზრის ორი განსხვავებული მიმართულებით განვითარების შედეგად.

პირველი მიმართულების ამოსავალს წარმოადგენს დიმიტრი უზნაძისეული დეფინიცია განწყობის კატეგორიისა, როგორც სუბიექტის სიმთელის მომენტის, გარეშე სინამდვილესა და ფსიქიკურ შინაარსებს შორის შუამავალი რგოლის არსებობის მოდელისა.

განწყობის ამ დეფინიციის და განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის არსებობის აღმოჩენის საფუძველზე ჩამოყალიბებულ იქნა ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობათა თვისებრივი კლასიფიკაციის და იდენტიფიკაციის ორიგინალური (ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით) ლოგიკური აპარატი, რომელსაც „ფსიქიკურ სტიქიათა თეორიას“ ვუწოდებთ.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებად მომენტს ოთხი განსხვავებული მნიშვნელობის მიღება შეუძლია, რომელთაც „ფსიქიკურ სტიქიებს“ ვუწოდებთ. „ფსიქიკური სტიქიებისა“ და შესაბამისი ფსიქიკური კომპლექსების აღსანიშნავად შემოტანილ იქნა მათი შედარებითი დახასიათებისათვის მოხერხებული შემდეგი სახელები: ფორმის მანია, ძლევის მანია, ცხრომის მანია და მართვის მანია.

წარმოდგენილ დასახელებებში ტერმინ „მანია“-ს გამოყენება „ფსიქიკურ სტიქიათა“ (კომპლექსთა) დომინანტურობის ხაზგასმას ემსახურება:

განწყობის შინაარსში არ მოიძებნება (არ არსებობს) სხვა საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი გარდა „ფსიქიკური სტიქიებით“ გამოხატულის და ამდენად, ერთი ინდივიდის (მხოლოებითი სუბიექტი) მოქმედების აქტის საკმარისად ხანგრძლივობის პირობებში, ამ აქტის განმავლობაში, დროის ყოველი შუალედისთვის და ამ შუალედში ინდივიდის (სუბიექტის) განწყობის შინაარსში დაფიქსირებულ, ფსიქიკურ სტიქიათაგან განსხვავებულ ყოველი მომენტისათვის მოიძებნება ამავე აქტის განმავლობაში დროის სხვა ისეთი შუალედი, რომელშიც ინდივიდის (სუბიექტის) განწყობის შინაარსის აღებული მომენტი, მის საზოგადოდ არამოუცილებადობის საფუძველზე, ჩანაცვლებული აღმოჩნდება მისი ეფექტის საპირისპირო ეფექტის მქონე მომენტით; ხოლო ერთობლივად მოქმედი ჯგუფის (მრავლობითი სუბიექტი) მოქმედების აქტში, დროის ყოველ მომენტში, ამ ჯგუფის წევრთა რიცხვის საკმარისი სიდიდის პირობებში, ჯგუფის ყოველი წევრისთვის და მისი განწყობის შინაარსის „ფსიქიკურ სტიქიათაგან“ განსხვავებული ნებისმიერი მომენტისთვის მოიძებნება ამავე ჯგუფის სხვა წევრი, რომლის განწყობის შინაარსში აღებული მომენტი ჩანაცვლებული აღმოჩნდება საპირისპირო ეფექტის მქონე მომენტით. ამრიგად, ერთი ინდივიდის (მხოლოებითი სუბიექტი) საკმარისად ხანგრძლივი მოქმედების აქტის, ხოლო ინდივიდთა საკმარისად მრავალრიცხოვანი ჯგუფის (მრავლობითი სუბიექტი) ნებისმიერი

ხანგრძლივობის ერთობლივი მოქმედების აქტის შემაჯამებელი შედეგი მხოლოდ „ფსიქიკური სტიქიებით“ არის განსაზღვრული, „ფსიქიკურ სტიქიათა ინტეგრალური ეფექტის ფენომენად“ წარმოგვიდგება.

ცხადია, რაც უფრო მეტი იქნება ერთობლივად მოქმედი ჯგუფის (მრავლობითი სუბიექტი) მოქმედების აქტის ხანგრძლივობა, საზოგადოდ, მით უფრო ნაკლები იქნება „ფსიქიკურ სტიქიათა“ დომინანტურობის გამოსავლენად აუცილებელი რიცხვი ამ ჯგუფის წევრებისა და ზღვარში, აქტის ხანგრძლივობის საკმარისად გაზრდით, „ფსიქიკურ სტიქიათა“ დომინანტურობის ეფექტის შენარჩუნება, მიღწევადია ერთობლივად მოქმედ ჯგუფებში წევრთა რიცხვის ერთისკენ მისწრაფების პირობებშიც. მაგრამ საამისოდ აუცილებელი დროის შუალედი (აქტის ხანგრძლივობა), შეიძლება რამდენიმე თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა აღმოჩნდეს და ამდენად, ინდივიდთა დიაქრონულ მრავლობაზე აქტის სუბიექტის ერთიდაიგივეობის ანუ თვითიგივეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია აქტის მანძილზე ურთიერთმონაცვლე ინდივიდთა შორის მემკვიდრეობითი ურთიერთკავშირი: წინა თაობის ინდივიდის შემოქმედების შედეგთა, მოქმედების მოტივაციათა და მისი ხასიათის თვისებრივ პარამეტრთა გათავისება მომდევნო თაობის ინდივიდის მიერ, მის მოქმედებას (შემოქმედებას) წინა თაობის ინდივიდის იმ მოქმედების (შემოქმედების) აქტის გაგრძელებად აქცევს, რომელმაც წინა ეტაპზე წინა თაობის ინდივიდის მოქმედების (შემოქმედების) შედეგთა განხორციელება მოიტანა და რომელიც ამაზე არ შეჩერდა.

ამრიგად, ფსიქიკურ სტიქიათა დომინანტურობის ეფექტში მრავლობითი სუბიექტის წარმომდგენი, ინდივიდთა სინქრონული (ერთდროულად მოცემულ ინდივიდთა) მრავლობა და ინდივიდთა დიაქრონული (დროში თანმიმდევრობით მოცემულ ინდივიდთა) მრავლობა ურთიერთგარდასახვადობით უნდა ხასიათდებოდეს, რაც ისტორიულ პროცესში პიროვნული და საზოგადოებრივი ფაქტორების ფაქტიური ტოლფასობის, ისტორიულ პროცესზე ერთეული ინდივიდის კოლოსალური გავლენის შესაძლებლობის ამხსნელია: ის, რაც ისტორიის კონკრეტულ ეპოქაში დიდმასშტაბიანი, სინქრონული მრავლობის (მაგ.: ჰეგემონური საზოგადოებრივი ერთობა) სახით გვაქვს დაფიქსირებული, ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მისივე თვისებრივ განმეორებასთან მხოლოდ ერთეულ ინდივიდთა დიაქრონული მრავლობით (ერთეულ ინდივიდთა მემკვიდრეობითი კავშირის ჯაჭვით) შეიძლება აღმოჩნდეს დაკავშირებული.

„ფსიქიკურ სტიქიათა,“ დომინანტურობის ეფექტი ორივე პარამეტრის (დრო და ინდივიდთა რიცხვი) მიხედვით არის წარმოდგენილი ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობათა ფენომენში, ანუ მემკვიდრეობითი ურთიერთმიმართებით დაკავშირებულ თაობათა შეუჩერებელი ურთიერთმონაცვლეობის და ურთიერთქმედების მოვლენაში. ამდენად, ისტორიის პროცესი სივრცესა (ინდივიდთა სიმრავლე) და დროში მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურის მიხედვით, არსებითად, „განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ინტეგრალური ეფექტის ფენომენად“ წარმოგვიდგება.

შეიძლება შემოვიტანოთ ფსიქიკური ინდივიდუალობის ოთხი ეტალონური ფენომენი: სუბიექტი, რომლის განწყობის შინაარსი ერთ-ერთი ფსიქიკური სტიქიით ამოიწურება. ეს ეტალონური ფენომენები არიან ისტორიის სუბიექტები მისი მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურის მიხედვით.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ინტეგრალური ეფექტი შეიძლება განხორციელებულ იქნას ორგვარად, ან თავისი ოთხი შესაძლო მნიშვნელობიდან ერთ-ერთზე დაფიქსირებულობის პირობებში, ან ამ ოთხი შესაძლო მნიშვნელობის მონაცვლეობის დაშვებულობის პირობებში, ე.ი. ან წმინდად ერთ-ერთი „ფსიქიკური სტიქიის ეფექტის“, ან „ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების“ მონაცვლეობის პროცესის სახით. პირველი შემთხვევა – „განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირელი გვარის ინტეგრალური ეფექტი“ – შეესაბამება „ერის“ კატეგორიას და გულისხმობს თაობებს შორის მიმდებლობით ანუ პოზიტიურ მემკვიდრეობით კავშირს (განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მოცემული მნიშვნელობით შენარჩუნება, თაობიდან თაობაში), ხოლო „განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტი“ შეესაბამება „ცივილიზაციის„ კატეგორიას და გულისხმობს თაობებს შორის უარყოფლობით ანუ ნეგატიურ მემკვიდრეობით კავშირს (_ თაობიდან თაობაში განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ერთი მნიშვნელობის მეორით ჩანაცვლება ან ერთ მნიშვნელობასთან მეორის კომბინირება).

განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტი გულისხმობს განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ინტეგრალური ეფექტის სათანადო მნიშვნელობით თაობებს შორის მემკვიდრეობითი კავშირის გაუქმებას და რეალიზებადია მხოლოდ ამ პირობით.

ტერმინ „ერი„- ს გამოყენება განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ინტეგრალურ ეფექტთან მიმართებაში ნაკარნახევია იმ გარემოებებით, რომ უზოგადესი გაგებით „ეროვნულ მემკვიდრეობათა“ სახელით ცნობილ ისტორიულ ფენომენტთა (ენის, კონფესიის, ყოფითი ტრადიციის, ხელოვნების, სამეცნიერო მიღწევების და სხვა ასპექტების ერთობლიობა) ძირითადი, თვითშეთანხმებული კომპონენტების მიხედვით თვისებრივი ურთიერთმსგავსება და ურთიერთგანსხვავება ფსიქიკური სტიქიების„ თვითთავიანობისა და ურთიერთგანსხვავების გამოხატულებად წარმოგვიდგება.

ამრიგად, შეიძლება ისტორიულ მემკვიდრეობათა საფუძველზე, ერთა თვისებრივი კლასიფიკაციის განხორციელება ერთა ოთხი თვისებრივი ტიპის დაფიქსირებით, რომელთაც ფსიქიკურ სტიქიათა დასახელების მიხედვით შეიძლება ვუწოდოთ: „ერთა ფორმის მანიის კლასი“, „ერთა ძლევის მანიის კლასი“, „ერთა ცხრომის მანიის კლასი“ და „ერთა მართვის მანიის კლასი“. მათი თვისებრივი მახასიათებლები (მათ შორის მაგალითად: სამართლებრივი მოწყობის, სქესთა შორის და თაობათა შორის ურთიერთობის, აღზრდის პრინციპებისა და სხვა ასპექტები) განსაზღვრულია სათანადო ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების პარამეტრებით. ცხრილში წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს, რომელთაც განსახილველ საკითხთან აქვთ გარკვეული მიმართება. (იხ. გვ. . . .)

განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტი მისივე პირველი გვარის ინტეგრალური ეფექტის ფენომენტთა ანუ სხვადასხვა თვისებრივი ტიპის ერთა ურთიერთქმედებაში პოულობს უმაღლეს გამოხატულებას. ამრიგად, მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტის ფენომენტები ანუ ცივილიზაციები, თავის უმაღლეს რეალიზაციაში, ოთხივე თვისებრივი ტიპის ერთა ერთობლიობას გულისხმობენ და მათი ურთიერთქმედების პროცესის სახით ვლინდებიან და მოიცემიან.

ყოველი ისტორიული საზოგადოებრივი ერთობა, საზოგადოდ, განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის ორივე გვარის ინტეგრალური ეფექტის რეალიზაციის ობიექტია,

ამდენად, მის თვითორგანიზაციის მოვლენაში ანუ „სახელმწიფოებრიობის“ ფენომენში საფუძველი გააჩნია ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენციის ურთიერთბრძოლას: ერთი მათგანი გამოიხატება საზოგადოებრივი ერთობის ერთად თვითდამკვიდრებისაკენ მისწრაფებაში, მეორე – საზოგადოებრივი ერთობის ცივილიზაციად თვითდამკვიდრებისაკენ მისწრაფებაში. ე.ი. პირველი მიმართულია სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტის მისი მატარებელი საზოგადოებრივი ერთობის წმინდად ერთად არსებობის შედეგად და მექანიზმად ხოლო, მეორე – მის ცივილიზაციად არსებობის შედეგად და მექანიზმად დადგენისკენ. ეს გარემოება, რომელიც სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტის თვისებრივი გრადაციის პოტენციურ დიაპაზონს მონიშნავს, ერის და ცივილიზაციის ტერმინთა მნიშვნელობის ურთიერთაღრევის ტრადიციის არსებობის საფუძველსაც წარმოადგენდა.

ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტის პარამეტრები ანუ ერთა თვისებრივი ტიპების მახასიათებლები ცივილიზაციის ფენომენში ერებს შორის ოპტიმალური ურთიერთმიმართების შინაარსს განსაზღვრავენ, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში ლოკალურ ცივილიზაციათა სიმრავლის მიუხედავად ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მათგანს, რომელშიც ერებს შორის ურთიერთობები, მათ შორის ოპტიმალური ურთიერთმიმართების მნიშვნელობაზე ყოფილიყო დაფიქსირებული (ისტორიულ ცივილიზაციათა სტიქიურობის პირობა). ამ გარემოებას გააჩნია ფუნდამენტური ახსნა, რომელიც, ამასთანავე, ცივილიზაციის და მისი მატარებელი საზოგადოებრივი ერთობის ურთიერთმიმართების მნიშვნელობის დაზუსტებაშიც გამოიხატება.

ფსიქიკური სტიქიები	ფორმის მანია	ძლევის მანია	ცხრომის მანია	მართვის მანია
მსოფლმხედველობითი პრინციპები:	მთელის პირველადობა	მთელისა და ნაწილის ურთიერთ-პირველადობა	ნაწილის პირველადობა	მთელისა და ნაწილის ურთიერთ- მიმართების მოხსნა
მოქმედება მოიაზრება:	ფორმის ქმნის აქტად	ძლევის აქტად	ცხრომის ანუ რელაქსაციის აქტად	მართვის აქტად
ურთიერთობის ინციპები:	გაყოფა (ურთიერთდადგენა)	მიღება (შთანთქმა)	გაცვლა (შერწყმა)	გაცემა (არიდება)
ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური კატეგორიები:	მოვალეობა (ჯერარსი)	თანასწორობა (უფლება)	თავისუფლება	თანხმობა
დამოკიდებულება უცხო სადმი:	მიუღებლობა	ნიველირება	დამშვებლობა	მომთხოვნელობა
ეფექტის სივრცითი ასპექტები:	დგომა, სივრცის პყრობა (დამყარება)	კუმშვა, კონცენტრაცია	დინება	გაფართოება
საზოგადოებრივ ერთობად შეკავშირების პრინციპები:	ერთობის პრიმატი ინდივიდის მიმართ (რელამენტაცია ერთობის პირიბით)	იგივეობის საფუძველზე ერთობა	დინება ინდივიდის პრიმატი ერთობის მიმართ (უპირიბიდ ერთობა)	განსხვავების საფუძველზე ერთობა
მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის მოაზრება	მიზეზობრიობით მიმართებაში (დასაწყისის აქტუალურობა)	მიზეზ- მიზნობრიობით მიმართებაში (დასასრულისა და დასაწყისის აქტუალურობა მათს ურთიერთ-კავშირში)	მიზნობრიობით მიმართებაში (დასასრულის აქტუალურობა)	ალტერნატივობით მიმართებაში (უსასრულობა)
ერთა თვისებრივი ტიპების დასახელებები	ფორმის მანიის ანუ მოვალეობის აპოლოგიის კლასი	ძლევის მანიის ანუ თანასწორობის აპოლოგიის კლასი	ცხრომს მანიის ანუ თავისუფლების აპოლოგიის კლასი	მართვის მანიის ანუ თანხმობის აპოლოგიის კლასი
ერთა თვისებრივი ტიპების მკაფიოდ გამოკვეთილი ისტორიული და თანამედრივე წარმომადგენლები	ეგვიპტელები, ებრაელები, ჩინელები, ბიზანტიელები (თანამედროვე ბერძნები), იაპონელები, არმენიელები, გერმანელები, სპარსები, არაბები, იტალიელები, ჩეხები, პოლონელები, ესპანელები, ვიეტნამელები, ინდოენეზიელები, უკრაინელები, თურქები...	მიკენელები, აქადელები, მაკედონიელები, რომაელები, მოგვეები, ჰუნები, პართები, ვანდალები, ვიკინგები, მონღოლები, იეზიდები, მომთაბარე თურქები მჰამადიანობის მიღებამდე, ტიბეტელები ბუდიზმის მიღებამდე, რუსები, ბაშკირები და შესაძლოა სერბები...	ძველი ბერძნები, ფინიკიელები, ინდუსები, ჰოლანდიელები, ინგლისელები, ფრანგები, ამერიკელები (ინგლისურ ენოვანი სამყარო)	შუმერები, პელაზგები, ფილისტიმიელები, კოლხები და მათი მემკვიდრე ქართველები, კელტები და მათი მემკვიდრე ირლანდიელები, და შესაძლებელია შოტლანდიელები, ბასკები, კორსიკელები, სიცილიელები...

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტის განხორციელების კანონზომიერებათა დადგენას დიდად აადვილებს აზრის მეორე მიმართულებით განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული, ორიგინალური (ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით) ლოგიკური აპარატი, „ციკლური ლოგიკა“, რომელიც განსაზღვრული ლოგიკური პირობის მაკმაყოფილებელი ობიექტების, „სრული სისტემების“ სტრუქტურისა და არსებობის წესის დამდგენია (თვითრეგულირებადობის დედუქციური დეფინიცია).

ციკლური ლოგიკა ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების განზოგადებულ განხილვას ეფუძნება.

ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების ორი შემთხვევა ტრივიალურია: პირველი - მთელის პირველადობა ნაწილთა მიმართ; მეორე - ნაწილთა პირველადობა მთელის მიმართ. ციკლური ლოგიკის ობიექტების და მათი არსებობის წესის განმსაზღვრელია ერთადერთი პოსტულატი, რომელსაც სისრულის პირობას ვუწოდებთ. იგი მდგომარეობს ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების ხსენებული ორი ტრივიალური შემთხვევის სათანადო მდგომარეობების რეალიზებადობაში ერთსა და იმავე ობიექტზე. სისრულის პირობა ტოლფასია უწყვეტობის პირობის (ამ ორი მდგომარეობის ერთი და იგივე ობიექტის მდგომარეობად იდენტიფიცირებადობა) და ამ ორ მდგომარეობას შორის ურთიერთსაპირისპირო მიმართულებებით გადასვლის შესაძლებლობის პირობის. განზოგადებული ლოგიკური განხილვით მტკიცდება, რომ გადასვლის ამ ურთიერთსაპირისპირო მიმართულებებს შეესაბამება განსხვავებული ლოგიკური საშუალებო მდგომარეობები, რომელნიც იდენტიფიცირდებიან ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების ორ ახალ, შეიძლება ითქვას, არატრივიალურ შემთხვევად. ამრიგად, ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების ოთხი შესაძლო შემთხვევა სისრულის პირობის საფუძველზე, ციკლურად მოწესრიგებულია და ამდენად, ციკლური ლოგიკის ობიექტთა, რომელთაც სრულ სისტემებს ვუწოდებთ, არსებობა ოთხსვლიან ციკლთა ორმხრივ უსასრულო მწკრივად წარმოგვიდგება. ეს არ არის ერთადერთი შესაძლო სქემა სრული სისტემის არსებობაში ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების ოთხი შესაძლო შემთხვევის, რომელთაც შეიძლება ონტოლოგიური სტიქიები ვუწოდოთ, სათანადო ეფექტების ურთიერთ მონაცვლეობისა, მაგრამ ყველა სხვა შესაძლო სქემა მიიღება ამ ძირითადი სქემისგან გარკვეული კონცეპტუალური მანიპულაციების საფუძველზე. ძირითად სქემას ვუწოდებთ „უსასრულობის ეფექტის სქემას“ დანარჩენები კი შეიძლება შემდეგნაირად დავასახელოთ: „ფარდობითი (ფარული) დასაწყისის ეფექტის სქემას“, „ფარდობითი დასასრულის ეფექტის სქემას“, „ფარდობითი ორმხრივი დასაზღვრულობის ეფექტი“. ძირითადი სქემის გარდა სხვა შესაძლო სქემები, რეალიზებადია, მხოლოდ ისეთ სრულ სისტემათა შემთხვევაში, რომლებიც სხვა სრული სისტემის ან სხვა რამ პირობით მოწესრიგებულ მოვლენათა ბაზაზე არიან მოცემულნი.

ციკლური ლოგიკის მიმართება ფსიქიკურ სტიქიათა თეორიასთან განსაზღვრულია იმ ფაქტით, რომ ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების ოთხი შესაძლო შემთხვევა ანუ ოთხი ონტოლოგიური სტიქია ურთიერთცალსახა შესაბამისობაშია ოთხ ფსიქიკურ

სტიქიასთან - კონკრეტული ფსიქიკური სტიქია ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების შესაძლო ოთხიდან, ერთ-ერთი კონკრეტული შემთხვევის სათანადოდ მოაზრებას გულისხმობს.

ონტოლოგიურ სტიქიათა და ფსიქიკურ სტიქიათა ურთიერთცალსახა შესაბამისობა ანუ „ნოოსფერული ეფექტი“ (საზოგადო მნიშვნელობით), არის საფუძველი ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის მიხედვით განსაზღვრულ ცივილიზაციის კატეგორიის ციკლური ლოგიკის ობიექტად ანუ სრულ სისტემად, ხოლო მისი არსებობის ისტორიული პროცესის ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების ურთიერთმონაცვლეობის შესაძლო სქემათა რეალიზაციის პროცესად დასახვისა. ცივილიზაციის, როგორც სრული სისტემის, შემთხვევაში ერთა ყოველი თვისებრივი ტიპი კონკრეტულ თვისებრივ ფაზას შეესაბამება, ამრიგად, ცივილიზაცია უნდა განიმარტოს არა როგორც ოთხი თვისებრივი ტიპის ერთა ერთობად წარმოდგენილი ფენომენი (თუმცა, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ეს არის მის შემადგენელ ერთა შორის ურთიერთმიმართების ოპტიმალურობის ნიშანი), არამედ, როგორც ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის კონკრეტული სქემის რეალიზაციის ფენომენი და მას შეესაბამება საზოგადოება, რომელიც ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის კონკრეტული სქემის რეალიზაციის პროცესს არის თვითდაქვემდებარებული.

ამრიგად, ერი, საზოგადოდ, ცივილიზაციის ფუნქციონალურ ელემენტად, მისი ისტორია კი, აქტიურობის (მისი განსაკუთრებულად პროდუქტიულობის) და მოლოდინის (მისი ნაკლებად პროდუქტიულობის) ეტაპთა მონაცვლეობად წარმოგვიდგება. ესე იგი ცივილიზაციის ისტორიაში ყოველ მომენტში როდია კონკრეტული თვისებრივი ტიპის ერთა არსებობა აქტუალური; თავის მოლოდინის ეტაპზე ერის თვისებრივი ტიპის (სათანადო ფსიქიკური სტიქიის) შესაბამისი განწყობით მოქმედება ნაკლებ პროდუქტიულია და ვერ უზრუნველყოფს ამ ერის წევრთა წარმატებას, რაც ერის წარმომდგენ საზოგადოებრივ ერთობაში თვისებრივი ტრანსფორმაციისაკენ მიდრეკილების წარმოშობის საფუძველია; ერი იხსნება მიმდინარე ფაზის რეალიზატორ ერთა გავლენისადმი (რაც ერის წარმომდგენ, ისტორიული საზოგადოებრივი ერთობის — ეთნოსის ან ეთნოკონგლომერატის — კულტურულ-ინტელექტუალურ მემკვიდრეობაში ძირითადი თვითშეთანხმებული ანუ ერის სათანადო კომპონენტისადმი თვისებრივად განსხვავებული მომენტების არსებობის პირობაა და განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტის განვითარების კვალია) და მისი არსებობის შენარჩუნება მხოლოდ ტრადიციის ინერციაზე რჩება დამყარებული. ისტორიის უკანასკნელ ეტაპამდე ლოკალურ ცივილიზაციებში ფაზათა ხანგრძლივობა რამდენიმე საუკუნეს შეადგენდა. ამდენად არაა გასაკვირი, რომ ერთა თვისებრივი ტრანსფორმაციის მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება (იხ. ცხრილი, გვ. . .).

დამატებითი ინფორმაცია ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის და ციკლური ლოგიკის შესახებ, წარმოდგენილია ცნებათა განმარტებების სახით.

§ 2. გლობალური ცივილიზაციის ოპტიმალური პოლიტიკური სისტემა – ნოოსფერული ცივილიზაცია

ცივილიზაციაში მიმდინარე ფაზის სათანადო თვისებრივი ტიპის ერთა ზეგავლენა სხვა თვისებრივი ტიპის ერებზე მხოლოდ დახმარების გაწევის სურვილის შემთხვევაშიც კი თვისებრივი ტრანსფორმაციის ხელშეწყობის მნიშვნელობას ვერ ასცდება და შეიძლება კონკრეტულ ფაზაში ცივილიზაციის მთელი არე ამ ფაზის სათანადო თვისებრივი ტიპის ერთმა ან რამდენიმე ერმა დაიკავოს (თანამედროვე მსოფლიოში, თავისი არსით, მსოფლიო საზოგადოების ცხრომის მანიის კლასის ერთიან ერად ჩამოყალიბებისაკენ მიმართული, ეგრეთწოდებული, გლობალიზმის იდეოლოგიაა ამ მისწრაფების გამომხატველი). სწორედ ეს გარემოებაა ცივილიზაციაში ერებს შორის ურთიერთობის მათ შორის ოპტიმალური ურთიერთმიმართების მნიშვნელობაზე დაფიქსირების ხელშემშლელი ფაქტორი. მაგრამ თუ ცივილიზაციაში განხორციელდა ამგვარი მდგომარეობა, მაშინ მასში, მორიგი თვისებრივი ფაზის დადგომისას, არ აღმოჩნდება შენარჩუნებული ახალი ფაზის სათანადო თვისებრივი ტიპის არც ერთი ერი და გარდაუვალი ხდება შინაგანი კონფლიქტი ცივილიზაციაში ამგვარი ელემენტისთვის ადგილის გამოსათავისუფლებლად, ხოლო ერი (ან ერთიდაიგივე თვისებრივი ტიპის რამდენიმე ერის ერთობა), რომელმაც მისთვის ხელსაყრელ ფაზაში მოახდინა ცივილიზაციის მთელი სივრცის დაჭერა, თვითონ გახდება ობიექტი ახალ ფაზაში ნაკლულ ელემენტათვის ადგილის გამოთავისუფლების პროცესისა, რაც მის წარმომდგენ საზოგადოებრივი ერთობის უპირატეს ნაწილში, წარსულთან პოზიტიური მემკვიდრეობითი კავშირის გაწყვეტისაკენ მისწრაფების საფუძელზე, სამოქალაქო კონფლიქტის გაჩაღებას და ერის გახლეჩას ან ერთიანად თვისებრივ ტრანსფორმაციას გამოიწვევს. ამ პროცესს ერთი (მოცემული ერის თვისებრივი ტიპის განმსაზღვრელი) ფსიქიკური სტიქიის ეფექტის (ამ ერის მოცემულობის ფაქტი) ფონზე მეორე (ცივილიზაციაში მიმდინარე ფაზის შესაბამისი) ფსიქიკური სტიქიის ეფექტის განვითარების მნიშვნელობა აქვს, რასაც (ამ მეორე) ფსიქიკური სტიქიის კასტური ეფექტის ფენომენს ვიწოდებთ, რამეთუ იგი ერის წარმომდგენ საზოგადოებრივი ერთობის შიგნით კასტური ფენის ჩამოყალიბებით ვითარდება. თუ მიმდინარე ფაზის დასრულებამდე ერი საწყისი თვისებრივი ტიპის შენარჩუნებას მოახერხებს, ახალ ფაზაში წინა ფაზის სათანადო კასტური ეფექტის ფენომენი მოიხსნება, მაგრამ ერის წარმომდგენ საზოგადოებრივი ერთობის ისტორიულ მემკვიდრეობაში შეიძლება მისი გარკვეული ელემენტები დაფიქსირდეს ამ მემკვიდრეობის ძირითადი თვითშეთანხმებული კომპონენტისადმი (უშუალოდ ეროვნული მემკვიდრეობა) თვისებრივად განკერძოებული, დაპირისპირებული კომპონენტის სახით, რაც მომავალში ცივილიზაციის სათანადო ფაზებში კასტური ეფექტის ახალი ძალით განვითარების (სტრატეგიულ პერსპექტივაში ერის გახლეჩის ან თვისებრივი ტრანსფორმაციის) პირობაა.

ინფორმაციის დაგროვების სიჩქარის ზრდის შედეგად კონკრეტული ფაზის გამომხატველი მოვლენების განხორციელებას უფრო და უფრო ნაკლები დრო სჭირდება, რის გამოც ისტორიის პროცესში განუხრელად მცირდება ცივილიზაციებში ცალკეული ფაზების ხანგრძლივობა. დღეს ეს მახასიათებელი შემცირებულია ორ ათეულ წლამდე. სწორედ, ორი ათეული წლის ხანგრძლივობით ჩაიარა რამდენიმე ფაზამ XX-ს. 40-იანი წლებიდან მთელ მსოფლიოზე განფენილ ეგეოსურ ცივილიზაციაში (იხ. §. 4). ამდენად, ერთი

თაობის ცხოვრება, ისტორიის თანამედროვე ეტაპზე, გლობალურ ცივილიზაციაში, რამდენიმე ფაზის ხანგრძლივობისაა და თაობა, რომელიც წარმოადგენდა კონკრეტულ ერს, მის მიერ ცივილიზაციაში სათანადო თვისებრივი ფაზის რეალიზაციის აქტში, შეიძლება თავის სიმწიფის ასაკშივე შეხვდეს ამავე ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის მოთხოვნის წარმომშობ ვითარებას, რასაც ცხადია მისი მხრიდან დიდი წინააღმდეგობა მოელის და შეიძლება ახალმა ფაზამ სათანადო თვისებრივი ტიპის ერის ჩამოყალიბებისათვის ადგილის გამოთავისუფლების მხოლოდ მცდელობის ანუ წმინდად დესტრუქციული მნიშვნელობით ჩაიაროს. ამის მაგალითია XX საუკუნის პირველი მეხუთედი, ერთ-ერთი ფაზა ევროპული ცივილიზაციისა (იხ. §. 4), რომლის სათანადო ნაკლული ელემენტისთვის ადგილის გამოთავისუფლების პროცესი 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის დამარცხებით შეფერხებული და 1914-18 წლების პირველი მსოფლიო ომის მოვლენაში კვლავ განვითარებული, 1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის და 1918-20 წლების სამოქალაქო ომის შედეგად ეწია განხორციელებას.

სანამ დედამიწაზე თანაარსებობდნენ ლოკალური ცივილიზაციები, ერთ მათგანში სათანადო ნაკლულ თვისებრივ ელემენტზე ახალი ფაზის დადგომით აქტუალიზებული მოთხოვნილება შეიძლებოდა მეორე ცივილიზაციიდან ამგვარივე თვისებრიობის ელემენტის შეთვისების გზით დაკმაყოფილებულიყო, რაც ცივილიზაციათა კონფლიქტის შემარბილებელ და მათი ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა, დღეს კი, როცა მსოფლიოს ყველა ერი, მთელი კაცობრიობა (იზოლირებულ, მცირე ეთნოსთა გამოკლებით) ერთ ცივილიზაციაშია მოქცეული, მასში არც ერთი თვისებრივი ტიპის ერთა დანაკლისი არ შეიძლება იყოს რამენაირი კონსტრუქციული მნიშვნელობის ფაქტორი და ამრიგად, არ არსებობს არავითარი საფუძველი თავი ავარიდოთ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში აქ შემოთავაზებული სამეცნიერო სიახლეებით ნაკარნახევ ახალ სტრატეგიაზე გადასვლას, რომელსაც, ზემოთქმულის მიხედვით, საფუძვლად აქვს ის გარემოება, რომ თავისივე თავის მემკვიდრედ ანუ თვისებრივი ტიპის შენარჩუნებით არსებობის და განვითარების ობიექტურად აუცილებელი პირობა ყოველი ერისთვის, მის მომცავ ცივილიზაციის ფარგლებში (დღეს, თანამედროვე გლობალურ ცივილიზაციაში) სამივე სხვა თვისებრივი ტიპის ერების მასთან თანაარსებობის უზრუნველყოფაა.

ეს ნიშნავს თვითგანვითარების პირობად, ყოველი ერის მიერ, ცივილიზაციაში, მისთვის ხელსაყრელ ფაზაში, თავისი ექსპანსიის ისეთ ზღვარზე თვითშეჩერების ობიექტურ აუცილებლობას, რომლის მიღმაც, ცივილიზაციის ფარგლებში, მოცემული იქნება საკმარისი რესურსები სამივე სხვა თვისებრივი ტიპის თითო მაინც ერის ამავე ხარისხით განვითარებისათვის.

ამ პრინციპზე დაფუძნებულ სტრატეგიას შეიძლება ეწოდოს „საარსებო რესურსების ოპტიმალურად განაწილების სტრატეგია... იგულისხმება ოპტიმალურად განაწილება არა მხოლოდ ერებს შორის, არამედ, ერის კატეგორიის წარმოდგენილი დეფინიციის საფუძველზე, ერების წარმომდგენ საზოგადოებრივ ერთობათა წევრებს შორისაც: მოკლე დროში განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ინტეგრალური ეფექტის გამოვლენის პირობაა თვითგამოხატვაში შეუზღუდველ, სათანადო ფსიქიკური სტიქიის მატარებელ ინდივიდთა საკმარისად დიდი, სინქრონული (დროის ერთსადაიმძავე შუალედში თანამოარსებე) მრავლობის არსებობა.

„ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის“ და „ციკლური ლოგიკის“ შედეგებით განსაზღვრული მსოფლიო წესრიგის დამყარების აუცილებელი და საკმარისი პირობაა მსოფლიოს ერთა კულტურულ-ინტელექტუალური მემკვიდრეობის საფუძველზე მათი თვისებრივი ტიპის აღიარების, თვითაღიარებისა და დაფიქსირების გამომხატველი საერთაშორისო შეთანხმების დადება (რომლის საფუძველი, როგორც აღინიშნა, ობიექტური აუცილებლობაა და არა კეთილი ნება). ამით განისაზღვრება ყოველი ერის საერთაშორისო სტატუსი და ფუნქცია და მისთვის დათმობილი საარსებო რესურსებით, მათ შორის ტერიტორიით სარგებლობის ხასიათი (ახალი პარადიგმა).

ახალი ოპტიმალური მსოფლიო წესრიგი ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მახასიათებელთა მიხედვით, პირველ მიახლოებაში შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

მისი ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იქნება ფორმის მანიის კლასის ერებისათვის ტერიტორიის ექსკლუზიური ფლობის პირობების უზრუნველყოფა, რამეთუ ამ თვისებრივი ტიპის ერები უცხო სადმი შეუწყნარებლობით, უცხო სთან შეუთავსებლობით ხასიათდებიან. გამორჩეულობის, სხვა ერებზე აღმატებულობის ცნობიერება მათი მოუცილებელი მახასიათებელია, რამეთუ ფორმის მანიის კლასის ერთა საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის საზრისია საკუთარ საარსებო სივრცეზე „საზოგადოებრივი ყოფიერების ჯერარსული მოდუსის“ რეალიზაციისკენ მისწრაფება, საზოგადოებრივი ყოფიერების ყველა სხვაგვარი მოდუსი (ფორმა), როგორც არაჯერარსული, უარყოფითად ფასდება და როცა ცივილიზაციაში დგება სათანადო ფაზა, ყოფიერების უცხო მოდუსის ელემენტებისგან საკუთარი საარსებო სივრცის გაწმენდის სულისკვეთების აფეთქებას ამ თვისებრივი ტიპის ერებში ვერაფერი შეაჩერებს. გარედან ამ პროცესზე შემაფერხებელი ზეგავლენის მოხდენის მცდელობა მხოლოდ ექსტრემისტული უკურეაქციის პროვოცირების მომტანია. ცივილიზაციაში საარსებო რესურსების ოპტიმალურად განაწილების სტრატეგიაზე გადასვლის შემთხვევაში საარსებო სივრცის შენარჩუნების გარანტირებულობა ამ ერთა რეაქციას უცხო ელემენტებისადმი რეგულირებადს გახდის.

ფორმის მანიის კლასის ერის სახელმწიფოებრივი მოწყობის ოპტიმალურობა ცენტრალიზმის მომენტის პრიმატში გამოიხატება, ეკონომიკის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირება, სახელმწიფო მოხელეთა მომზადებისა და სელექციის ცენტრალიზებული, სახელმწიფო ინსტიტუტი მისი აუცილებელი ატრიბუტია, რაც თანამედროვე სტიქიური პროცესების შემთხვევაში, ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის დამყარების გზით განიცდის რეალიზაციას. რეაქციულ ხასიათს ამგვარ სისტემებს გარედან მათი ტრანსფორმაციისაკენ მიმართული ზეწოლისადმი უკურეაქცია ანიჭებს.

ფორმის მანიის კლასის ერთა სახელმწიფოს ოპტიმალური მოწყობის მთავარი ნიშანია საკანონმდებლო ინსტიტუტის პრიმატი.

ფორმის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი, ახალი ოპტიმალური წესრიგის ფარგლებში, გლობალური ცივილიზაციის უზენაეს საკანონმდებლო ინსტანციად უნდა დადგინდეს.

მღევის მანიის კლასის ერების მისწრაფება თვითორგანიზაციისაკენ ანუ სახელმწიფოებრიობა სამხედრო ინსტიტუტის პრიმატში პოულობს ოპტიმალურ გამოხატულებას, რაც შესაბამისობაშია ერთა ამ თვისებრივი ტიპის საერთაშორისო ფუნქციასთან, რომელიც სასაზღვრო კონფლიქტების აღკვეთაში, საგარეო აგრესიის ობიექტ

ერთა დაცვის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. საამისოდ აუცილებელია საკუთარი სამხედრო სამრეწველო კომპლექსი და მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით, ფორმის მანიის კლასის ერთა საერთო საზღვრების გასწვრივ, სამხედრო ბაზების ინფრასტრუქტურა. ცხადია, რომ ძლევის მანიის კლასის ერთა საერთაშორისო ფუნქციის შემსრულებელი ინსტიტუტის საფუძველი რუსული სახელმწიფოებრიობა იქნება. ამ თვისებრივი ტიპის სხვა ერები მიიღებენ მათ წარმომადგენელთა დაშვებას ამ ინსტიტუტში. რუსი ერი საერთაშორისო ასპარეზზე თვითრეალიზაციის მცდელობაში სწორედ ამგვარ სულისკვეთებას ავლენს, იგი ხელს უწყობს ლოკალური კონფლიქტების გაღვივებას, იქ სადაც თვითონ შეუძლია გამშველბელი ძალის ფუნქცია მოიპოვოს. ახალი ოპტიმალური მსოფლიო წესრიგის დამყარების შემთხვევაში მას არ დასჭირდება თვითრეალიზაციის პირობების ხელოვნურად შექმნა და მსოფლიო მშვიდობის წმინდად კონსტრუქციულ ფაქტორად იქცევა. (აღსანიშნავია, რომ ახალი წესრიგის პირობებში ჩრდილოეთ კავკასიაში პოზიციების შენარჩუნება რუსეთისათვის დაკარგავს სასიცოცხლო მნიშვნელობას და კავკასიის ხალხებს მიეცემათ საშუალება, ტრადიციაში მეტნაკლებად ჯერ კიდევ შემორჩენილ ისტორიულ-კულტურულ ორიენტირებს დაუბრუნდნენ).

ერთა ძლევის მანიის კლასის ფუნქციაა, ასევე, საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა (მხოლოდ ზედამხედველობა) მსოფლიოს მასშტაბით.

ერთა ძლევის მანიის კლასის სათანადო, საერთაშორისო პარიტეტის ინსტიტუტს საერთაშორისო აგრესიის მხოლოდ შეკავების უფლება ეკუთვნის, ხოლო აგრესიის ფაქტის აგრესორი ძალის ცივილიზაციისგან განდგომად შეფასების შემთხვევაში (უმაღლესი საერთაშორისო სამართალდამდგენი ინსტანციის ფუნქცია), მის საყრდენ არეზე, საპასუხო ინტერვენციის განხორციელება ერთა ცხრომის მანიის კლასის ფუნქციაა. საამისოდ, ასევე, აუცილებელია გლობალური ფუნქციის სამხედრო ინსტიტუტი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საერთაშორისო კოალიციის ჩამოყალიბება და წინამძღოლობა, ხოლო ამგვარ აქციებზე ვეტოს დადება ან მისი შედეგების დაკანონება უზენაესი საკანონმდებლო ინსტანციის, ფორმის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტის ფუნქციაა. ამრიგად, არ არის შემთხვევითი, რომ ამერიკა ცდილობს, სწორედ ამგვარად წარმოადგინოს თავისი მოქმედება ერაყში, ავღანეთსა და ბალკანეთში, თუმცა იგი ბოლომდე არ დაემორჩილა საერთაშორისო წინააღმდეგობას სამხედრო ძალის გამოყენებაზე ყოველ ამ შემთხვევაში. ამდენად, მისი ეს მოქმედება მაინც არაოპტიმალურია (საარსებო რესურსთა დატაცების სტრატეგიის გამოხატულებაა. იხ. გ.7), მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგე მხარის თვისებრივი ტიპის გათვალისწინება არ ხდება.

ერთა ცხრომის მანიის კლასს გარდა ცივილიზაციის საგარეო თავდაცვისა და საერთაშორისო სამართალდამდგენი სისტემის (სასამართლოს) უმაღლესი ინსტანციის ჩამოყალიბების (ცხრომის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი) ფუნქციისა, ეკუთვნის ცივილიზაციის საგარეო კონტაქტების და ცივილიზაციის წევრ ერთა თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთქმედების ანუ მსოფლიო ბაზრის ორგანიზაციის ფუნქცია. სწორედ ეს აძლევს ძალას ამერიკულ დოლარს საერთაშორისო ვალუტად დამკვიდრებაში, რაც გლობალურ ცივილიზაციაში XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს დასრულებული ერთ-ერთი ოცწლიანი ფაზის მთავარი შედეგი იყო, მაგრამ ამ მიღწევასაც „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის“ ბატონობის პირობებში გაუქმება დაემუქრა მომდევნო ფაზაშივე - ფრანგი ერის თავდაცვითმა რეაქციამ, რომელიც, როგორც

თვისებრივად იგივეური ამერიკელი ერისა, მძიმედ განიცდის მის კონკურენტულ ზეწოლას, საერთაშორისო ვალუტის როლზე „დოლარის“ კონკურენტად „ევროს“ შემოტანის ფაქტში ჰპოვა ასახვა. საარსებო რესურსთა ოპტიმალური განაწილების სტრატეგიაზე გადასვლის შემთხვევაში საერთაშორისო ვალუტა ერთა ცხრომის მანიის კლასის ყველა წარმომადგენლის ფინანსური სისტემების ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს, მაგ. ამერიკის „ფედერალური სარეზერვო სისტემის“ ერთა ცხრომის მანიის კლასზე გაფართოებით. ამერიკული სახელმწიფოებრიობა იქნება, ასევე გლობალური ცივილიზაციის საგარეო კონტაქტების, ექსპანსიისა და თავდაცვის სისტემის მთავარი საბაზისო ერთეული, ასე რომ, ამერიკის ახალი, თავდაცვის სტრატეგიული პროექტები ცივილიზაციაში ერთა ცხრომის მანიის კლასის ფუნქციასთან სრულ შესაბამისობაშია. რუსულ და ამერიკულ სახელმწიფოებრიობაზე დამყარებული გლობალური ცივილიზაციის საშინაო და საგარეო ფუნქციის სამხედრო ინსტიტუტები მსოფლიოში სამხედრო პარიტეტის მთავარ მხარეებად მოგვევლინება.

ცხრომის მანიის კლასის ერთა ოპტიმალური სახელმწიფოებრივი მოწყობა გულისხმობს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების, სამართალდამდგენი, პლებისციტისა და ფინანსური ინსტიტუტების პრიმატს, რაც თანამედროვე, სტიქიურ პროცესებში თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ინსტიტუტზე დამყარებულ პოლიტიკურ სისტემაში პოულობს გამოხატულებას.

ერთა ცხრომის მანიის კლასის წარმომადგენლობით ინსტიტუტში აუცილებელია იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ჩართვა, რომლებიც არ წარმოადგენენ ცხრომის მანიის კლასის ერებს, მაგრამ, რომლებშიც მიღწეულია ან მიღწევადია რამდენიმე ერის წარმომადგენელ დიასპორათა სრულიად შეუზღუდველი თანაარსებობა, რაც ცხრომის მანიის ეფექტს წარმოადგენს. ამგვარ ფენომენთა მაგალითია შვეიცარია და ამგვარივე ერთეულად შეიძლება ჩამოყალიბდეს თურქეთი, რომელშიც ერთი თურქული ელემენტი აზერბაიჯან - შუა აზიაში ლოკალიზებულ „თურანული“ პერსპექტიული ეროვნული ერთობის წარმომადგენელ დიასპორად დაისახება. ეს არის თურქეთის ერთიანობის გარანტი და მისი განსაკუთრებული წარმატების პირობა მომავლის მსოფლიოში. თურქეთისგან ამას ითხოვს მისი ლოკალიზაციის გეოგრაფია – ევროპულ, არაბულ და ირანულ სამყაროთა და რუსეთის ეკონომიკური კონტაქტების არე.

ერთა მართვის მანიის კლასის ფუნქცია ცივილიზაციაში განისაზღვრება იმ გარემოებით, რომ სხვა სამი ფსიქიკური სტიქიისაგან განსხვავებით მართვის მანიის ეფექტით განპირობებული საზოგადოებრივი ერთობა საზოგადოების (ინდივიდთა სიმრავლის) არა ერად, არამედ ცივილიზაციად თვითორგანიზების გამომხატველია, ამდენად, მართვის მანიის კლასის ერის სახელმწიფოებრიობა მისი მომცავი ცივილიზაციის შემადგენლობაში ჩართულ ერთა სიმრავლის ერთობის ეფექტის რეალიზაციის მექანიზმად წარმოგვიდგება. ამ ფუნქციის შესრულება მართვის მანიის კლასის ერის ამ თვისებრიობით აბსოლუტური თვითგამოხატვის შინაარსის კერძო მომენტს უნდა წარმოადგენდეს, რაც არის ცივილიზაციის პოლიტიკური სისტემის ოპტიმალურობის აუცილებელი ნიშანი – თვისებრივი ტიპის მიხედვით აბსოლუტური თვითგამოხატვის შინაარსისაგან განსხვავებული არავითარი დამატებითი მოთხოვნა ერებისადმი, ცივილიზაციის წევრობის პირობად – რაც უზრუნველყოფილია ერთა სხვა სამი თვისებრივი ტიპის სათანადო ფუნქციების ზემოთ მოყვანილ დახასიათებაში. მართვის მანიის კლასის ერის შემთხვევაში, ოპტიმალურობის ამ

ნიშანს უზრუნველყოფს მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო, „განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი,, (იხილეთ ცხრილი და §. 5), რომლის ძალითაც, მართვის მანიის კლასის ერის საზოგადოებრივ ერთობად შეკავშირების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია სხვა ერთა (უცხოთა) წარმომადგენელ საზოგადოებრივ ელემენტთა ყოფნა ამ ერთობის რეალიზაციის არეზე. ამდენად, მართვის მანიის კლასის ერის წარმომადგენი საზოგადოება საუკეთესო გარემოა ცივილიზაციის წევრ ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის (იხ. §. 5). ამრიგად, გლობალური ცივილიზაციის პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ინსტიტუტი, ანუ უზენაესი სამართალდამდგენი და საგარეო კონტაქტების ინსტანცია (ცხრომის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი), უზენაესი საკანონმდებლო ინსტანცია (ფორმის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი) და უზენაესი საპარიტეტო ინსტანცია (ძლევის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი), განლაგებულ უნდა იქნას ერთა მართვის მანიის კლასის გამოკვეთილი ლიდერის – ქართველი ერის სახელმწიფოში, მასთან ასიმილაციის პირობით. ეს ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოს საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, დაზვერვის, სტრატეგიული სამეცნიერო კვლევისა და სხვა უწყებების გლობალური ცივილიზაციის პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ინსტიტუტის ამავე ფუნქციის უწყებებად ჩამოყალიბებას. ამ აპარატში დაშვებულნი იქნებიან მართვის მანიის კლასის ყველა სხვა ერის წარმომადგენელი პირებიც.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ერის სახელით ცნობილი მართვის მანიის ეფექტის კავკასიური ფენომენი არ არის მხოლოდ ქართველურ სამყაროზე ლოკალიზებული, იგი ვრცელდება ზოგიერთ კავკასიურ ეთნოსთა განსაზღვრულ ნაწილებზეც, საქართველოს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, ამდენად უფრო მართებული იქნება ამ ფენომენისთვის ახალი სახელის, კავკასიელი ერის შემოღება, რაც დაფიქსირებულია რუსეთის სინამდვილეში.

ამ საერთაშორისო ფუნქციის დაკისრების პირობებში, ქართველი ერის „ფენომენური განვითარების საფეხურის“ (იხ. §. 3) გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფოში უნდა დამყარდეს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო ინსტიტუტის – „მსოფლიოს ერთა თვისებრივი იდენტიფიკაციისა და განვითარების ინსტიტუტის“ პრიმატი. მართვის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი საქართველოს სახელმწიფოს სახით (კავკასიური კოსმოპოლისი) გლობალური ცივილიზაციის წარმომადგენი უზენაესი ინსტანცია იქნება მის წევრ ერთა წინაშე, ანუ ამ ცივილიზაციის შიგნით.

გლობალური ცივილიზაციის პოლიტიკური სისტემის თანამედროვე ცენტრალური ინსტიტუტი, „გაერო,, გარდა იმისა, რომ თავის სტრუქტურით არ ითვალისწინებს ერების თვისებრივ კლასიფიკაციას, თუნდაც იმიტომ ვერ იქნება ქმედითი ინსტანცია, რომ განლაგებულია სახელმწიფოში, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოების აზრით, მიეწერება მსოფლიოში ერთპიროვნული ბატონობისაკენ მისწრაფება და საამისო პოტენცია. საქართველოსთან მსგავსი საფრთხის ასოცირება ყოვლად შეუძლებელია. ამასთანავე, საქართველოში, მისი ლოკალიზაციის გეოგრაფიის წყალობით, გლობალური პოლიტიკის წამყვანი სუბიექტების გავლენა მაქსიმალურად არის გაწონასწორებული – ერის თვისებრივი ტიპის მისი სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ ფუნქციასთან და ლოკალიზაციის გეოგრაფიასთან ოპტიმალური შესატყვისობა.

ამერიკაში შეიძლება განლაგდეს იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი, რომელნიც არ გაიზიარებენ გლობალური ცივილიზაციის პოლიტიკური სისტემის

ოპტიმიზაციის შემოთავაზებულ პროგრამას, რადგან ასეთ სახელმწიფოსთან ურთიერთობას გლობალური ცივილიზაციის საგარეო კონტაქტების მნიშვნელობა მიენიჭება.

გლობალური პოლიტიკური სისტემის ოპტიმიზაციის განხორციელებით ცივილიზაცია მიიღებს ისტორიის პროცესისადმი ინვარიანტულ სტრუქტურას, ანუ უნარს განიცადოს ფაზათა მონაცვლეობა შინაგანი რღვევა-აღდგენის გარეშე. ცივილიზაციის ამ ახალ მდგომარეობას ვუწოდებთ „ნოოსფერულ ცივილიზაციას“. ეს მდგომარეობა „სტიქიური ცივილიზაციის“ მდგომარეობისაგან განსხვავებით გარეშე კონტაქტებისადმი ცივილიზაციის სრული მდგრადობის მიღწევით ხასიათდება. სტიქიური ცივილიზაცია, როგორც არის დღეს ჩვენი გლობალური ცივილიზაცია, გარეგანმა კონტაქტმა შეიძლება სრულ რღვევამდე მიიყვანოს, რის მაგალითსაც წარმოადგენს, ერთის გამოკლებით, ყველა ლოკალურ ცივილიზაციათა ხვედრი კაცობრიობის ისტორიაში. დღეს გლობალური ცივილიზაცია საგარეო კონტაქტებისთვის მზად არ არის.

რაც შეეხება ქართველ ერს, მისთვის გლობალური პოლიტიკური სისტემის ოპტიმიზაციის შემოთავაზებული პროგრამის ინიცირების სტრატეგიას ალტერნატივა არ გააჩნია არც ისტორიის მოკლევადიან პერსპექტივაში, რამეთუ სხვაგვარად საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობათა დამოუკიდებელ სუბიექტად თვითდამკვიდრების პროცესში გარედან მოტანილ-მოწოდებულ იდეებზე ორიენტირებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა მწვავე კონფლიქტს ვერასოდეს დააღწევს თავს. უკანასკნელ დრომდე სწორედ ეს ნიშანია მისი მდგომარეობის განმსაზღვრელი, მთავარ დაპირისპირებულ მხარეებს კი საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის ამერიკულ და რუსულ მოდელებზე ანუ „ერთა ცხრომის მანიის კლასისა“ და „ერთა ძლევის მანიის კლასის“ სათანადო საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის პრინციპებზე ორიენტირებული პოლიტიკური მიმდინარეობები წარმოადგენენ. ამასთანავე, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროტოტიპად სათანადო გერმანული ნიმუშის გამოყენების ფაქტი ავლენს საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის „ერთა ფორმის მანიის კლასის“ სათანადო პრინციპებზე ორიენტირებული პოლიტიკური მიმდინარეობის არსებობასაც (ან ინიცირების მცდელობას მაინც) საქართველოში. მაგრამ რაკი არც ერთი ამ ორიენტირთაგან არ შეესაბამება ქართველი ერის თვისებრივ ტიპს, ვერც ერთი, ხსენებულ მიმდინარეობათაგან – პრორუსული, პროამერიკული თუ პროგერმანული („პროევროპული“) – ვერ მიაღწევს საბოლოო გამარჯვებას ქართველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის გარეშე და ამდენად, რომელიმე მათგანის ზედმეტად გაძლიერება ქართველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციისკენ მიმართულ გარეგანი ძალდატანების იმპულსს გულისხმობს. ეს თავის მხრივ მოპირისპირე პოლიტიკურ მიმდინარეობათა მხრიდან, ქართველი ერის სტრატეგიული ინტერესების სახელით, საბოტაჟის აქციების (რაც კორუფციის განვითარების ინიცირებაშიც შეიძლება გამოიხატოს) გამართლების პირობაა. მათ მიმართ დამსჯელი სანქციები წონასწორობის კიდევ უფრო მეტად დარღვევის პირობა იქნებოდა და ამდენად, აღწერილ ვითარებაში ოპტიმალური პოლიტიკის მოუცილებელ ელემენტად ისახება დაუსჯელობის სინდრომის ჩამოყალიბების ინიცირება, რადიკალურად დაპირისპირებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა დაბალანსების ან დაქსაქსვის მიღწევის საზღაურად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკა არსებული იდეური კრიზისის პირობებში წარმოადგენდა ოპტიმალურ პოლიტიკას და მას არ გააჩნდა არავითარი რესურსი თანმხლები დესტრუქციული ფაქტორების უვნებელსაყოფად.

მაგრამ თვით ამგვარ პოლიტიკას აბსოლუტური გამართლება შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ქართველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის ასაცილებლად იდეური გამოსავალის მიგნებამდე დროის მოგების მნიშვნელობით, რამეთუ თანმხლები დესტრუქციული ფაქტორები (საბოტაჟი, კორუფცია...) უკიდურესად ზღუდავენ ერის საარსებო რესურსების კვლავწარმოებას (სტაგნაციის ტენდენცია) და დრო, რომლის მოგებაც შეიძლება ამგვარი პოლიტიკით, დამოკიდებულია საარსებო რესურსების იმ მარაგზე, რომელიც გააჩნდა ერს ამ პოლიტიკის დამყარებამდე.

საქართველოს ახალი (2003 წლის ნოემბრიდან) ხელისუფლება რადიკალურად დაპირისპირებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა შორის პარიტეტის დამრღვევი გაქანების მატარებელია, ამდენად, მის მოქმედებას ახლავს დაუსჯელობის სინდრომისა და კორუფციის აღკვეთის ტენდენცია, მაგრამ ამასთანავე, მდგომარეობის ლოგიკიდან გამომდინარე, მკვეთრი კონიუნქტურის მომენტიც და ქართველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციისაკენ მიმართული გარეგანი ძალდატანების იმპულსიც, რასაც მზარდი წინააღმდეგობა მოელის, რაც პარიტეტის აღდგენისა და შენარჩუნების პოლიტიკურ კურსზე დაბრუნების პირობაა. ამას ხელს უწყობს გლობალურ ცივილიზაციაში მიმდინარე ფაზის თვისებრიობა (იხ. პარაგრაფი 6), რომლის ძალითაც ხსენებული „პარიტეტის დამრღვევი გაქანება“ პარიტეტისაკენ შემომაბრუნებელი მომენტის მატარებელიცაა (საქართველოში ახალი მთავრობისადმი მხარდაჭერა განპირობებულია არა მისი პროამერიკული კურსით, არამედ თანასწორობის აპოლოგიის მომენტით მთავრობის ლიდერთა მოწოდებებში (*ტექსტის ეს ნაწილი დაწერილია 2003 წელს).

ასე რომ, ხსენებული დესტრუქციული ფაქტორების აღდგენას ვერაფერი შეაფერხებს. მაგრამ თუ ქართველი საზოგადოება, საქართველოს ახალი მმართველი ძალა მოახერხებს გლობალური პოლიტიკური სისტემის ოპტიმიზაციის შემოთავაზებული პროგრამის რეალიზაციის ინიცირებას, საქართველო გლობალური პროცესების ავანგარდში მოექცევა. მისი განვითარების შემაფერხებელი ყველა ფაქტორი მოიხსნება.

§ 3. ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურები, ანუ ერის ფენომენური განვითარების საფეხურები

„ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია დამტკიცება იმისა, რომ ფსიქიკური ინდივიდუური ფენომენი, როგორც ასეთი, არ არის იმთავითვე სრულად მოცემული გარკვეულობა.

ინდივიდუურ ფსიქიკურ ფენომენებს შორის შეიძლება დაფიქსირდეს იგივე სხვაობა, რაც ცივილიზაციის და ერის ფენომენებს შორისაა: ცივილიზაცია განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებული ფენომენია, რაც ნიშნავს განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის მის რომელიმე ერთ მნიშვნელობაზე (ფსიქიკური სტიქია) არადაფიქსირებულობას, ანუ გარკვეული წესით მათს მონაცვლეობას; ერი კი, სწორედ ამ გადაგვარებულობის მოხსნილობის, განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის მის ერთ-ერთ მნიშვნელობაზე დაფიქსირებულობის განხორციელებაა.

გადაგვარებული ფსიქიკური ინდივიდური ფენომენი მხოლოდ ბიოსფეროს ინდივიდია. ამ მდგომარეობას შეიძლება ვუწოდოთ ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების ნულოვანი საფეხური. ადამიანის შემთხვევაში ამ საფეხურის სათანადო მდგომარეობა, როგორც სჩანს, აფექტური რეაქციების სახით ვლინდება. ამრიგად, ადამიანური ფსიქიკის ცხოველური ფსიქიკისგან განსხვავება ერის კატეგორიით გამოიხატება და ამდენად, პიროვნება მხოლოდ კონკრეტული ერის წევრი შეიძლება იყოს.

რაც შეეხება თვითონ გადაგვარებულობის მოხსნის მექანიზმს, აქ საკმარისია აღინიშნოს, რომ ამის საფუძველი იმანენტური რეფლექსიის (თვითცნობიერება არა „პოსტფაქტუმ“, არამედ „ინ ფაქტუმ“) მომენტი და რომ გადაგვარების მოხსნის მოვლენა საფეხუროვანი (სტადიალური) პროცესია, მას ახასიათებს საწყისი საფეხურის ჩათვლით ხუთი თვისებრივი საფეხური, რომელნიც ლოგიკური განპირობებულობით მოსდევენ ერთიმეორეს.

ფსიქიკური ინდივიდური ფენომენი, რომელიც ბიოსფეროს მიღმა ახალ რეალობის დამყარების დასაწყისია, გულისხმობს სუბიექტის მიერ მის მოქმედების აქტში საკუთარი თავის გარეშე სინამდვილის ობიექტთან თვითგაიგივების მოუცილებელ, პრიმატულ მომენტს. კაცობრიობის ისტორიაში ეს საფეხური, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პირველი საფეხური, წარმოდგენილია ტოტემიზმით. ტოტემებად არჩეული ბიოსფეროს თუ ბუნების ფენომენები ადამიანურ თვითცნობიერებაში მის პირველად თვითექვივალენტებად წარმოგვიდგებიან.

ეს გარემოება გვკარნახობს იმას, რომ გადაგვარების მოხსნის მოვლენა ამ მდგომარეობაზე ვერ შეჩერდება. ადამიანი უნდა დაუბრუნდეს თვითხატს თვითიდენტიფიკაციაში, რაც მიიღწევა პირველი საფეხურის სათანადო მდგომარეობის ინვერსიით. ამრიგად, ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეორე საფეხური წარმოდგენილია სუბიექტით, რომელიც მოქმედების აქტში მისი მომცავი სინამდვილის საკუთარი შინაგანი განცდის ფენომენტა შინაარსის საფუძველზე ინტერპრეტაციის პრიმატული მომენტით ხასიათდება. კაცობრიობის ისტორიაში ეს საფეხური წარმოდგენილია მითოსით, რომელიც სინამდვილის ყოველი მოვლენის უკან ანტროპომორფულ ხატ-სუბიექტს აფიქსირებს.

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პირველ და მეორე საფეხურს ახასიათებთ სუბიექტის თვითიდენტიფიკაციაში გარეშე სინამდვილის ფენომენტთან მიმართების მომენტის პრიმატულობა, ამდენად, ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მორიგი მესამე საფეხური, ამ მომენტის დაძლევაში უნდა გამოიხატოს, რისი მიღწევაც მოიცემა სუბიექტით, რომელიც თავის მოქმედების აქტში, მისი გარეგანი მიმართებების ნიველირების პირობით თვითიდენტიფიკაციის პრიმატული მომენტით ხასიათდება. კაცობრიობის ისტორიაში, ეს საფეხური წარმოდგენილია რელიგიით, რაც ასახულია, გარეშე სინამდვილის ონტოლოგიური საზრისის ნიველირების (სასწაულის ფენომენი, რწმენის პრიმატი), სულის, როგორც, ყოვლად უატრიბუტო სუბიექტური საწყისის კონცეფციის (დაკრძალვის ახალი წესის განმსაზღვრელი ფაქტორი), მორალის პრიმატული კატეგორიის შემოტანის და რელიგიის სხვა მახასიათებლებში.

მესამე საფეხურის დასრულება, ანუ რელიგიური გამოცდილების შეძენა-შეცვლა, ფსიქიკურ ინდივიდურ ფენომენს სინამდვილესთან სრულიად ახალ მიმართებაში დადგომის შესაძლებლობას ანიჭებს. კერძოდ, ამ პირობით იგი მიემართება სინამდვილეს როგორც სხვა

სხვას და ესე იგი შეუძლია შეისწავლოს იგი არა ისეთად, როგორაც ეძლევა იგი მას აღქმაში, ან გაცდით გამოცდილებაში (როგორც არის მაგალითად ევკლიდეს რედაქციით გეომეტრიაში წარმოდგენილი ძირითადი ცნებები: წერტილი, წრფე, სიბრტყე, მანძილი და აქსიომები) არამედ, როგორც არის სინამდვილის ყოველი ფენომენი თავის თავში. ამგვარი მიმართების ილუსტრაციად გამოდგება თანამედროვე მათემატიკისა და ფიზიკის ისეთი ცნებები, რომელთა დაფიქსირება აღქმაში ან განცდით გამოცდილებაში ყოვლად შეუძლებელია და მხოლოდ მათზე აპერირების ალგორითმების დადგენაა შესაძლებელი (მაგალითად ფიზიკური ველები, მინკოვსკის სივრცე, რიმანის სივრცე, უსასრულოდ მცირე სიდიდე და სხვა). ამრიგად, კაცობრიობის ისტორიაში, ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ მეცნიერება. ეს დებულება, მეცნიერების დეფინიციაც არის ამასთანავე (ზემოთ ხსენებული, ევკლიდეს რედაქციით გეომეტრია არა მეცნიერული, არამედ მითოსური მემკვიდრეობის ნაწილია, ისევე, როგორც არისტოტელეს ფიზიკა).

მეცნიერების ფუნქციის გათვალისწინებით (გარეშე სინამდვილის მოვლენების მეცნიერული შესწავლა და ადამიანის ცხოვრების შინაარსის გაფართოება მისი შედეგების საფუძველზე), ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის დასრულება მთელი სინამდვილის ფუნდამენტური რეგულირების პოტენციის მოპოვებას გულისხმობს (თუმცა შეიძლება ამ მდგომარეობის მიღწევას ფსიქიკური ინდივიდის ანთროპული სახიერების ტრანსფორმაცია დასჭირდეს). ეს გვკარნახობს ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მორიგი საფეხურის ლოგიკურ შინაარსს, რის დაკონკრეტებისგან (იხ. ცნებათა განმარტებები) აქ თავს შევიკავებთ, რადგან თანამედროვე ერთა შორის, ყველაზე დაწინაურებული ერებიც კი, თავის ფენომენურ განვითარებაში (ამ ერების ისტორიით წარმოდგენილ ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურის მიხედვით) მეოთხე საფეხურის მხოლოდ დასაწყისში იმყოფებიან, მათ შორის უნდა დავასახელოთ ქართველი ერიც. ერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ რელიგიის ეტაპზეა (მაგ., ინდუსები, ისლამური სამყაროს და ლათინური ამერიკის ერები) და არსებობენ მითოსისა და ტოტემიზმის ეტაპზე მდგარი ერებიც (ახალ გვინეაში, აფრიკაში, ტროპიკული ამერიკაში, ჩრდილოეთ აზიასა და ავსტრალიაში).

ერის გადასვლა მისი ისტორიით წარმოდგენილ ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების ახალ საფეხურზე შინაგანი იმანენტური მოვლენაა და ხელშემწყობის მიზნით გარეგანი ჩარევა მხოლოდ გადასვლის სიმპტომების თავისთავად გამოცნაურების შემდეგ არის დასაშვები, სხვაგვარად გადასვლის დაჩქარების მცდელობა აგრესიული უკუერეაქციის გამომწვევი გახდება, რის მაგალითსაც წამოადგენს ისლამური სამყარო, რომელიც სწორედ ამგვარი გაუმართლებელი ზეწოლის ობიექტია.

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე მყოფობა თანამედროვე მსოფლიო სამეცნიერო ინფორმაციის დაგროვებაში ერის წვლილის არსებით მნიშვნელობაში, ეროვნული სამეცნიერო სკოლების არსებობაში აისახება, ერის ფიზიკური მასშტაბის მიუხედავად (ამის მაგალითია ქართველი ერი: მსოფლიო მნიშვნელობისაა ქართული სამეცნიერო სკოლები, მათემატიკის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, ფიზიკის და სხვა დარგებში), ხოლო რელიგიის საფეხურზე მდგომი ერების წვლილი თანამედროვე მსოფლიო მეცნიერებაში არსებით მნიშვნელობას მოკლებულია მათი მასშტაბისა და კეთილდღეობის მიუხედავად, რადგან მათი

შემოქმედებითი პოტენცია რელიგიის საფეხურის შინაარსთა რეალიზაციისკენაა მიმართული (ამის მაგალითია ისლამური სამყარო, ლათინური ამერიკა, აფრიკა).

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების ყოველი საფეხურისთვის შენარჩუნებულია, მის წინმსწრებ ეტაპთა განხორციელების გამომხატველი მომენტების აქტუალობა რადგან თუ ფსიქიკას მოაკლდება მათი ამსახველი შინაარსები, ფსიქიკური აქტივობა აწმყოში ამ დანაკლისის აღდგენის მცდელობად იქცევა და არა მორიგი საფეხურის განხორციელების გამომხატულებად. მიუხედავად ამისა, ახალ საფეხურზე ყოველი გადასვლა ერის ისტორიაში ერის წარმომდგენ საზოგადოებაში მწვავე შინაგანი კონფლიქტით არის აღნიშნული. საქმე ისაა, რომ აღებული საფეხურის დასრულების შემდეგ ამ საფეხურის სათანადო ინსტიტუტებმა უნდა დათმონ ზრდასრული თაობების საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელ მთავარ ინსტიტუტთა ფუნქცია და რაკი საზოგადოების წევრები ფსიქიკური განვითარების მიხედვით არ არიან ურთიერთიდენტურნი, გარდატეხის მომენტში ყოველთვის მოიძებნება ეროვნული საზოგადოების ისეთი ფენა, რომლისთვისაც წინა საფეხურის ინსტიტუტები სოციალურად აქტუალურნი არიან. კონფლიქტს მოსდევს წინა საფეხურის სათანადო ფენომენტა დევნა, რაც გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ წყდება და ხდება დანაკლისის მაკომპენსირებელ ფენომენტა ჩამოყალიბება. ასე რომ, ყოველი ერის ისტორიაში დასრულებული სახის რელიგიური სისტემა შეიცავს მითოსისა და ტოტემიზმის ელემენტების დანაკლისის კომპენსაციის გამომხატველ ფენომენტებსაც. ასევე, ვერც თანამედროვე სამეცნიერო მსოფლმხედველობრივი სისტემების დაცვა ვერ ხერხდება მათი ფართო საზოგადოებაში გავრცელების პროცესში მათში წინა საფეხურის ფენომენტა კომპენსაციების ჩართვისაგან, რაც აფერხებს საზოგადოების განვითარებას. მაგრამ ამასთანავე, სტიქიური ცივილიზაციის პირობებში კომპენსაციის ამგვარ ფენომენტა გარეშე განვითარება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა. ამ შეფერხების დაძლევა ცივილიზაციის სტიქიურობის პირობებში, ფაქტიურად შეუძლებელია.

XX საუკუნეში მსოფლიოს მოწინავე ერები თავის ფენომენტურ განვითარებაში მეოთხე ანუ მეცნიერების საფეხურზე გადავიდნენ და აღზრდამ სტიქიურად, დასაწყისიდანვე ამ საფეხურის სულისკვეთების ჩანერგვის, ცოდნის სისტემის ამ საფეხურის სათანადოდ მოწესრიგების და აღზრდის პროცესის საფუძვლად მისი დადგენის მცდელობის მნიშვნელობა შეიძინა, რაც არის წყარო კომპენსაციების ფენომენტა განვითარების მძლავრი ეფექტისა, რისი მაგალითიც არის XX საუკუნეში მისტიციზმის აყვავება.

კომპენსაციების განვითარების პროცესი შეიცავს არსებით საფრთხეს, რამეთუ კომპენსაციის ფენომენტით განსაზღვრული სისტემა მოცემული ერის ფენომენტური განვითარების გავლილ საფეხურთა ალტერნატიული აღწარმოებაა და ამდენად, შესაძლებელია ამ სისტემის კონკრეტული შინაარსი და ერის ფენომენტური განვითარების თანამედროვე საფეხურის გამომხატველი შინაარსების კონკრეტულობა, ცივილიზაციის თანადროული ფაზის გავლენით, თვისებრივად ურთიერთაცდენილი და, ამრიგად, ერის წარმომდგენ საზოგადოებაში ამ სისტემის ფართოდ გავრცელება ამ ერის მიერ თავის თავთან პოზიტიური მემკვიდრეობითი კავშირის გაწყვეტის, მისი არსებობის გაუქმების მომტანი აღმოჩნდეს.

ძველბერძნულ მემკვიდრეობაში დაფიქსირებულია ამ პრობლემის ზედმიწევნითი ილუსტრაცია, მინოტავრის სახით, რომელიც ანთროპომორფული სხეულით და ზოომორფული თავით, ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენტური განვითარების მორიგი

საფეხურიდან (აქ, მითოსის საფეხური წარმოდგენილი ანთროპომორფული სხეულით) წინა საფეხურისკენ (აქ, ტოტემიზმის საფეხური, წარმოდგენილი ზოომორფული თავით) შემოზრუნების სიმბოლოა. მინოტავრის ლაბირინთში გამომწყვდეულობა ამგვარ უკუქცევასთან დაკავშირებული საფრთხის, გავლილი საფეხურის ალტერნატიულ ვარიანტათა უთავბოლო ლაბირინთში თვითგამომწყვდევის ზუსტი სიმბოლიზაციაა.

მინოტავრული გაქანების საპირისპირო მისწრაფებას გამოხატავს კენტავრი ქირონი: ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების გავლილი საფეხურიდან (აქ, ტოტემიზმის საფეხური წარმოდგენილი კენტავრის სხეულის უკანა ნაწილის ზოომორფულობით) მომდევნო საფეხურისკენ (აქ, მითოსის საფეხური წარმოდგენილი კენტავრის სხეულის წინა ნაწილის ანთროპომორფულობით) ორიენტირებულობით, იგი შეიძლება მივიჩნიოთ იმ თაობის განსახიერებად, რომელიც წარმოადგენდა ერს, მის ფენომენურ განვითარებაში ერთ-ერთი საფეხურის დასრულების ჟამს და ამდენად, რომლის თვითრეალიზაციაში მომდევნო საფეხურების ფენომენების ქმნალობა ყოველგვარი კომპენსაციის თანხლების გარეშე მიიღწეოდა, მაგრამ, შემდეგ ახალ საფეხურზე თვითდამყარების მცდელობაში, ეს თაობა, იმის ვერგაცნობიერების ძალით, რომ მას ახალ (აქ, მითოსის) საფეხურის ფენომენად თვითრეალიზაციაში არსებით დახმარებას უწევს ახალი საფეხურისადმი დამატებითი, წინა საფეხურის შინაარსები (აქ, განსახიერებული კენტავრის უკანა, ზოომორფულ კიდურთა წყვილისგან, რომელნიც წინა ზოომორფულ კიდურთა წყვილი განსხვავებით ვერანაირად ვერ ეტევა ანთროპომორფულ ხატში ანუ, აქ, მითოსის საფეხურის შინაარსში) მომავალი თაობის აღზრდას ამ ახალი საფეხურის შინაარსებს უდებს საწყისად ქირონის მიერ გაზრდილი მითიური გმირები: ჰერაკლე, თეზევსი, იასონი ზოომორფულ არსებებს ებრძვიან), რაც შემდგომში მინოტავრული გაქანების წარმოშობის პირობაა.

ამრიგად, ნოოსფერული ცივილიზაციისთვის არ არის საკმარისი მასში ერთა შორის ოპტიმალური ურთიერთმიმართების დამყარება; აუცილებელია აგრეთვე ერის თავის თავთან მიმართების ოპტიმალურობის მიღწევა, რაც პრობლემად წარმოჩინდება, თაობათა ცვლის პროცესში და საფრთხეს წარმოადგენს, ერისა და ამდენად, საგარეო კონტაქტების პირობებში, ცივილიზაციის არსებობისთვის.

ფსიქიკურ სტიქიათა თეორია ამ პრობლემის გადაჭრის შემდეგ გზას გვთავაზობს:

აღებული ერის ინდივიდალ ჩამოყალიბება, მოითხოვს მოზარდისადმი გაცემული ინფორმაციის მისი ასაკის სათანადო ასაკობრივი დიაპაზონის შესაბამისი ფსიქიკური ინდივიდუალობის

ფენომენური განვითარების საფეხურის გამომხატველი შინაარსებით შემოფარგვლას. ამგვარად მიიღწევა კომპენსაციის ფენომენთა გვერდის ავლა და ერის ისტორიით წარმოდგენილ ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პროცესის (ნოოფილოგენეზი) წმინდა სახით აღწარმოება ახალ თაობათა ფორმირებაში (ნოონტოგენეზი). აუცილებელია ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების სხვადასხვა საფეხურების სათანადო ასაკობრივი ჯგუფების დაცალკეება განათლების სისტემის განსხვავებულ დაწესებულებებში. შესაძლებელია აღზრდის სისტემის სხვა აუცილებლად გასათვალისწინებელ ფაქტორთა (მაგ.: გამოცდების სისტემის და ერთი და იგივე საფეხურის სათანადო ასაკობრივ დიაპაზონში განსხვავებული ასაკის ინდივიდთა ურთიერთობის საზრისის) მათ შორის, ფსიქიკური სტიქიების ურთიერთსხვაობით განპირობებულ განსხვავებათა აღწერაც.

საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ ინფორმაციის დაგროვების სიჩქარის ზრდა განაპირობებს ცივილიზაციაში ფაზათა ხანგრძლივობის შემცირების ტენდენციას. საზოგადოდ, ფაზის ხანგრძლივობის შემცირებას ზღვარი არა აქვს, მაგრამ სტიქიურ ცივილიზაციაში ნოოსფერული ეფექტი მხოლოდ ამგვარი ზღვარის დაწესებით შეიძლება მიღწეულ იქნას — თუ ფაზის ხანგრძლივობა ინდივიდის ფსიქიკური ზრდასრულობის მიღწევისთვის საჭიროზე ნაკლებია, სტიქიურ ცივილიზაციაში შეუძლებელი იქნება რომელიმე თვისობრივი ტიპის ერის ინდივიდთა ახალი თაობის ჩამოყალიბება. როგორც ვნახავთ, (იხ. §4) 20-ე საუკუნეში გლობალურ ცივილიზაციაში ზედიზედ ხუთი ფაზა დიდი სიზუსტით ოცწლიანი აღმოჩნდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე მდგომი ერების ინდივიდთა ფსიქიკური ზრდასრულობის ასაკი ოც წელიწედს შეადგენს. ე. ი. ოცი წლის ადამიანი თანამედროვე სამეცნიერო პრობლემებში საკმარისად ჩახედული და მათ გადაწყვეტაზე მიმართული შეიძლება იყოს. ამრიგად, რელიგიის საფეხურს შეესაბამება უფრო ადრეული ასაკი და ამდენად, რელიგიის საფეხურზე მდგომი ერების შემორჩენილობა ცივილიზაციაში ფაზების ხანგრძლივობის კიდევ უფრო მეტად შემცირების ტენდენციის ჩამოყალიბების პირობას ქმნის, მაგრამ ამას ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის გამოხატულებათა აღკვეთის მცდელობის მნიშვნელობა აქვს. ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მესამე საფეხურზე ცივილიზაციაში ფაზათა ხანგრძლივობა შორს არის ინდივიდის ზრდასრულობის ასაკის ხანგრძლივობისგან, მაგრამ თანამედროვე პირობებში ფენომენური განვითარების მესამე საფეხურზე მდგომი ერები სარგებლობენ ინფორმაციის გაცვლის, კომუნიკაციისა და გადაადგილების საშუალებებით, რომელიც ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე მდგომი ერების მიერ არის შექმნილი, ამდენად, ჩათრეულნი და აყოლილნი არიან ცხოვრების მათთვის უჩვეულო ტემპს, რაც არის მათი ორგვარი მნიშვნელობის პირობა.

აღზრდის სისტემის მოწყობაში ამ თეორიის შედეგთა გათვალისწინება უზრუნველყოფს ერთა მარადიულ არსებობას ამ თეორიისავე დეფინიციის სათანადო მნიშვნელობით. ამავე საფუძველზე გზა გაეხსნება ცივილიზაციაში ფაზათა ხანგრძლივობის შემდგომ შემცირებას (ინფორმაციის დაგროვების შემდგომი დაჩქარება), რაც ამავე საფუძველზე ერის და ცივილიზაციის ურთიერთმიმართებაში სინქრონულ და დიაქრონულ ასპექტებს შორის სხვაობას წაშლის.

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურთა მოწესრიგებული რიგის არსებობა ნიშნავს იმას, რომ ტოტემიზმი, მითოსი, რელიგია და მეცნიერება ისტორიის პროცესის ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პროცესად გარდასახვის გამოხატულებაა, ე. ი. ისტორია გვევლინება ამ პროცესის გენერაციის საშუალებად. ამის გათვალისწინება აუცილებელია ტექსტის შემდგომი ნაწილის გაცნობისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ერი წმინდად ფსიქიკური სფეროს ფენომენია და ამდენად, ბიოლოგიური წარმომავლობა ვერ უზრუნველყოფს პიროვნების მოცემული ერის წევრად დადგენას, საამისოდ აუცილებელია ადამიანმა გაიაროს მოცემული ერის წევრად მაფორმირებელი პროცესი, რაც ერის კულტურულ-ინტელექტუალური მემკვიდრეობის ათვისებას გულისხმობს. და რომელი ერის მემკვიდრეობის ათვისების კონკრეტულობითაც გაივლის ამ პროცეს ფიზიკური პირი სწორედ იმ ერის წევრად ჩამოყალიბდება იგი.

4. ქართველი ერის ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში

ციკლური ლოგიკის მიხედვით შეიძლება ოთხი განსხვავებული ტიპის ცივილიზაციის არსებობის დამტკიცება, რომელთა შორის სხვაობა ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის სქემის ოთხი შესაძლო ტიპის არსებობის შედეგია. მათ შორის სტაბილურობისა და დინამიურობის ოპტიმალური შეთავსებით ხასიათდება სქემა, რომელსაც „ფარული დასაწყისის ეფექტს“ ვუწოდებთ, ამდენად, არ არის შემთხვევითი, რომ თანამედროვე გლობალური ცივილიზაციის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სამმა ამგვარმა ცივილიზაციამ. ქართველი ერი ერთ-ერთი მათგანის ელემენტი იყო დასაწყისიდანვე, ამდენად, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას შევაჩერებთ სწორედ ამ ცივილიზაციაზე.

მიზანშეწონილია წინსაწარ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მართვის მანიის კლასის ერების განვითარება, ცივილიზაციის შეუფერხებელი განვითარების პირობებშიც შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს: მართვის მანიის ეფექტის სივრცითი ასპექტი გაფართოებაში გამოიხატება, გაფართოება კი ყოველთვის განვითარების გამომხატველი ფაქტორია ცივილიზაციისთვის და ამდენად, მართვის მანიის ეფექტი შესაძლებელია მხოლოდ გაფართოების მოვლენაში გამოიხატოს, რაც მართვის მანიის კლასის ერთა დაფიქსირებისა და აქტივიზაციის აუცილებლობის მომხსენლი პირობაა. ამ გარემოებამ, როგორც ვნახავთ, მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ქართველ ერს.

„ფარული დასაწყისის ეფექტის“ სათანადო ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის სქემაში შეწყვილებულია ციკლურ რიგში ერთმანეთისგან გაშუალოებული ორი ფსიქიკური სტიქია. ე.ი. ან მართვის მანია და ძლევის მანია ან ცხრომის მანია და ფორმის მანია, რაც ქმნის „ორმაგი ეფექტის ფაზებს“; ყოველ ამგვარ ფაზას მონაცვლეობით მოსდევს დანარჩენი ორი ფსიქიკური სტიქიის „ცალფა“ ეფექტის ფაზები.

„ფარული დასაწყისის ეფექტით“ კერძო რეალიზაციის და ამდენად, ამგვარი კერძო ცივილიზაციების დასახელება მოხერხებულია პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციის გეოგრაფიული ლოკალიზაციის მიხედვით. ამის გათვალისწინებით ხსენებული სამი ცივილიზაცია შემდეგნაირად შეიძლება დავასახელოთ: „მესოპოტამიური ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარების ფენომენი“- „მესოპოტამიური ცივილიზაცია“, „ეგეოსური ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარების ფენომენი“- ეგეოსური ცივილიზაცია და „დასავლეთევროპული (ევროპული) ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარების ფენომენი“ - „ევროპული ცივილიზაცია“.

(შემდეგში ჩვენ ვისარგებლებთ შემოკლებებით: მაგ. ტერმინი „ეგეოსური ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარების...“ მოკლედ იწერება შემდეგნაირად - „ეგეოსური დასაწყისის განვითარების...“).

მესოპოტამიური ფარული დასაწყისის ეფექტი რეალიზებულ იქნა შუმერულ და აქადურ ეთნოსთა ურთერთკონტაქტის გზით, რომელთაც, შესაბამისად, მართვის მანიის და ძლევის მანიის ეფექტის ფენომენთა როლი შეასრულეს ამ მოვლენაში (უფრო სწორად ეს იყო მეორე ორმაგი ეფექტის ფაზა, მაგრამ პირველი ორმაგი ეფექტის ფაზაც ამავე გეოგრაფიული

ლოკალიზაციით განხორციელდა და მასში შუმერებმა საპირისპირო ფუნქცია შეასრულეს). მორიგი ფაზა ამ სქემის რეალიზაციაში წარმოდგენილია ამ ორ ეთნოსში საერთო ტენდენციის, შეუზღუდველი ერთპიროვნული მმართველობის ინსტიტუტზე დაფუძნებულ ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ მისწრაფების გამოკვეთის ფაქტით (შუმერელი ლუგალზაგისი და აქადელი სარგონი), რაც იძლევა ამ ფაზის მესოპოტამიური დასაწყისის განვითარების მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზად იდენტიფიკაციას. ამ ფაზის დასრულების მიღწევა და მესოპოტამიური ფარული დასაწყისის ეფექტის შემდგომი განვითარება მხოლოდ მესოპოტამიიდან გამოსულ ებრაელთა ეთნოსის (აბრაამის ტომი) ისტორიაში გრძელდება. მესოპოტამია კი, ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის განსხვავებული სქემის, ფარული დასასრულის ეფექტის რეალიზაციის პროცესის ცენტრი გახდა. ამ ახალი, „ბაბილონური ცივილიზაციის“ ისტორია წარმოდგენილი ძველი ბაბილონის, ასურეთის, ახალი ბაბილონ - მიდიის, აქემენიდური სპარსეთის ფენომენტარის სახით, დასასრულს ეწია მაკედონელთა ექსპანსიის შედეგად.

ეგეოსური ფარული დასაწყისის განვითარების პირველი ორმაგი ეფექტის ფაზა რეალიზებულ იქნა ე.წ. პელასგთა (ეგეიდის არაბერძნული მოსახლეობა) და პროტობერძენტა ეთნიკური კონტაქტის გზით და წარმოდგენილია ე.წ. ეგეოსური კულტურების არსებობის ხანით (კრეტა-მიკენი). მაშინდელი საქართველო, ანუ ძველი კოლხეთი ამ ცივილიზაციის იმ პერიფერიას წარმოადგენდა, სადაც მომდევნო ფაზაში, რომელიც იდენტიფიცირდება ეგეოსური დასაწყისის განვითარების პირველ ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზად და წარმოდგენილია ძველბერძნული კულტურით (ქრისტეს შობამდე XI - ქრისტეს შობამდე IV ს.), შენარჩუნებულ და ლოკალიზებულ იქნა წინა ფაზაში განვითარებული მართვის მანიის ეფექტის ფენომენი. ამ შედეგისკენ მიმართული მისწრაფების მითოსური პერსონიფიკაცია კოლხი მედეა (აიეტი კი კოლხეთში ძლევის მანიის ეფექტის ფენომენის შემოღწევას და, ამდენად, ეგეოსური დასაწყისის განვითარების პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის ფენომენს განასახიერებს კოლხეთის სინამდვილეში).

მორიგი, ანუ მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის დასაწყისი აღნიშნულია ალექსანდრე მაკედონელის სახელთან დაკავშირებული შემოზღუდვებით ეგეოსურ სამყაროში. ძლევის მანიის ეფექტის მთავარ ფენომენად ამ ფაზაში რომელიც ერი წარმოგვიდგება, მართვის მანიის ეფექტის გამოხატულებად კი გზა გაეხსნათ წინა ორმაგი ეფექტის ფაზიდან ამ მნიშვნელობით შემორჩენილ ფენომენებს (ნოოსფერული ეფექტი), რომელთა შორის პირველ რიგში ქართველური სამყარო უნდა დავასახელოთ, რასაც გამოხატავს ქრისტეს შობამდე IV ს. მიწურულს იბერიისა და პონტოს სახელმწიფოთა ჩამოყალიბება და დაწინაურება, აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანის, რომელნიც სხვადასხვა დროს ფლობდნენ აბსოლუტურ ინიციატივას ქართველურ სამყაროში, სტრატეგიულ საყრდენ ზურგად ახალი კოლხეთის სამეფო იგულისხმება (იხ. §5).

ძველი საბერძნეთი, კერძოდ კი ათენი ეგეოსური დასაწყისის განვითარების პირველი ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის მთავარ ფენომენად მხოლოდ მცირე აზიაში ბაბილონური ცივილიზაციის წარმომდგენ აქემენიდური იმპერიის ექსპანსიის შედეგად გადაიქცა, მანამდე ამ ფაზაში ეგეოსური ცივილიზაციის ცენტრს წარმოადგენდა ჯერ ფინიკია შემდეგ კი, ლიდია - სწორედ აქ იქნა შემოღებული მიმოქცევაში მსოფლიოში პირველი ნამდვილი ფული (ქრ. შობამდე. VII ს.), რაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაცვლით ურთიერთქმედებად დასახვის გამოხატულებას და ამ წარმოდგენის ცხოვრებაში

საყოველთაოდ, ტოტალურად გატარების პირობაა. კოლხეთის ახალ სამეფოში მსგავსი მოვლენა მხოლოდ ერთი საუკუნით ჩამორჩება ლიდიურს - კოლხური თეთრი შინამიმოქცევაში ბატონობდა ქრისტეს შობამდე VI-IV საუკუნეებში, ამდენად, მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის დასაწყისში კოლხეთის სამეფოში ახალი ფაზის მოვლენების განვითარებას დიდი წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა ნოოსფერული ეფექტის მნიშვნელობით, რაც არის საფუძველი ქართველურ სამყაროში მართვის მანიის ეფექტის განვითარების განახლების ეპიცენტრის ახალი კოლხეთის სამეფოს გარეთ დაფიქსირებისა, ხოლო მეფე ქუჯი, ქართული ტრადიციის მიხედვით დახასიათებული, ამგვარი მისწრაფების ახალი კოლხეთის სამეფოს შიგნიდანვე მომდინარეობის პერსონიფიკაციად წარმოგვიდგება, რაც მიანიშნებს იმას, რომ ძველი საბერძნეთისგან განსხვავებით, კოლხეთში ცხრომის მანიის ერის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. აქ ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენის მაღალგანვითარებულობის მიუხედავად იგი კასტური ეფექტის მნიშვნელობას ვერ გასცდა და არსებობას აგრძელებდა მართვის მანიის კლასის ერი.

აღსანიშნავია, რომ რომიც პირველი ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში, პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის ფენომენთა მიმართ ნოოსფერული ეფექტის რეალიზაციის შედეგია, რაც ცივილიზაციის ცენტრიდან, ეგეიდიდან ცივილიზაციის პერიფერიებისაკენ (მაგ. კოლხეთი, პალესტინა, შუა და ქვემო იტალია, პირინეი) სათანადო ელემენტთა მიგრაციას მოჰყვა. რომის შემთხვევაში, ეს გარემოება ტროელი გმირის ენეასის სახითაა პერსონიფიცირებული, მითოსურ ტრადიციაში.

ქრისტეს შობიდან პირველი საუკუნის მიწურულისთვის, რომმა ამოწურა მისი შემდგომი არსებითი გაფართოების გასაქანი, ამით გაუქმდა შესაძლებლობა მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი გზით რეალიზაციისა, რითაც განვითარების ახალი იმპულსი შეიძინეს რომის გავლენის სივრცეზე შემორჩენილმა მართვის მანიის ეფექტის ფენომენებმა, ქართველმა ერმა (იბერიის სამეფო) და პალესტინაში ლოკალიზებულმა, მესოპოტამიური ცივილიზაციის ეგეოსურ ცივილიზაციაში ასიმილირებულმა ელემენტმა, რაც ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მესამე საფეხურის გამოხატულების, ქრისტიანობის წარმოშობის მოვლენაშია ასახული. ქრისტიანობამ III საუკუნიდან განვითარა სხვა ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების გამომხატველი ასპექტები ალტერნატიული სახესხვაობებით, რაც ქრისტიანულ სამყაროში კონფესიური განხეთქილების განვითარების საფუძველი გახდა (იხ. ქვემოთ). ამდენად, საწყის ქრისტიანობას, ქრისტიანობის საბოლოო შინაარსში, მხოლოდ მართვის მანიის ეფექტის სათანადო ასპექტის მნიშვნელობა აქვს.

ეგეოსური ფარული დასაწყისის განვითარების მორიგი ფაზა, რომელიც მოიცავს ქრ. შობიდან III-IX საუკუნეებს (ახალი ფაზის დასაწყისთან დაკავშირებული გარდატეხა რომის იმპერიაში 193-284 წლების კრიზისშია ასახული), არის მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა (პირველ ამგვარ ფაზად თვითონ ფარული დასაწყისი იგულისხმება) და წარმოდგენილია ბიზანტიისა და არაბთა ხალიფატის ფენომენთა სახით და გერმანული იმპერიის ჩასახვის (ხლოდვიგი) და ჩამოყალიბების (კარლოს დიდი, ოტონ I) ფაქტით. ამ ფაზაში ეგეოსური ცივილიზაციის ცენტრის მნიშვნელობა პალესტინას მიენიჭა, ხოლო მისი პერიფერიები, საქართველო და რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილი ამ ფაზაში წინა ფაზის ფენომენთა ლოკალიზაციისა და შენარჩუნების (ნოოსფერული ეფექტის რეალიზაციის) არეებად იქცნენ. საქართველოში კვლავ მართვის მანიის ეფექტის ფენომენის შენარჩუნება მოხდა. რასაც გამოხატავს ვახტანგ გორგასლის და განსაკუთრებით პეტრე იბერის (და იოანე

ლაზის) ფენომენი, რომლის შემოქმედებაში („არეოპაგიტული კორპუსი“) გვაქვს ქრისტიანობის ფენომენში მართვის მანიის ეფექტის გამომხატველი კომპონენტის შემდგომი განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ საწყის ეტაპზე ამგვარი ლოკალიზაციის არედ სჩანდა კაპადოკია (წმინდა გიორგი და პატრისტიკის მწვერვალებად წოდებული კაპადოკიელი მამები: გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი და ბასილ დიდი). შემდეგ ამ მოვლენამ ბიზანტიის გავლენით გადმოინაცვლა საქართველოში. ამ ფაქტის ამსახველია ქართული ქრისტიანობის სიმბოლოს წმინდა ნინოს ჯვრის, რომელიც ქრისტიანობის მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო ასპექტის სიმბოლიზაციაა, კაპადოკიური წარმომავლობა - კონცეპტუალური მნიშვნელობისაა ნინოს ჯვრის მასალაც (ვაზის რქები და ქალის თმა, მათ შესაკრავად გამოყენებული) და ფორმაც (გვერდითი ტოტების ურთიერთსიმეტრიულად დახრილობა)...

ქრისტიანობა რომის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ, ივითარებს ახალ ასპექტს, რომელიც ბიზანტიის ფენომენით წარმოდგენილ ფორმის მანიის ეფექტის განხორციელების ელემენტად გვევლინება - ქრისტეს ყოვლისმპყრობელი ღმერთის ასპექტში ჭკრეტა - ქრისტე პანტოკრატორი. ქვეყნის ყოვლად მპყრობის ამ ფუნქციის ამქვეყნიურ გამტარებლად ბიზანტიის ფენომენში იმპერატორის ინსტიტუტი იგულისხმებოდა (კათოლიციზმში იგივე მოვლენა „რომის პაპის“ ინსტიტუტის ჩამოყალიბებაშია ასახული) და ის ფაქტი, რომ საქართველო მის იურისდიქციისადმი დაქვემდებარებას გაუბოდა კონფესიურ არათანხვედრაზეც მიუთითებს. ეკლესიის ცხოვრებაში ფორმის მანიის ეფექტის გამომხატველი პირველი მნიშვნელოვანი ფენომენი III საუკუნეში დაფიქსირდა მონასტრის ინსტიტუტის სახით — განდევილი ბერის მარტოხელად ცხოვრების იდეალი ბერ მონაზონთა, კოლექტიური, საცხოვრებელი გარემოს ჯერარსული, სტანდარტული ფორმის დამდგენი წესით ცხოვრების იდეალმა შესცვალა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ნაკლებად, ეს ქართველურ სამყაროს შეეხო.

ქართული (ძირით კაპადოკიური) კონფესია გულისხმობს მართლმადიდებლობის დანარჩენ ქრისტიანულ კონფესიებისაგან გამომრჩეველ ძირითად ასპექტებს, მაგრამ, ამასთანავე, ის მოიცავს მათთან თავსებად დამატებით დებულებებს, რომელთა სისტემაზეც მიუთითებს ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში მყარად დაფიქსირებული შემდეგი წარმოდგენები: საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, მაგრამ მას ეკრძალება საქართველოში ჩამოსვლა; მის ნაცვლად საქართველოში ჩამოდის ანდრია პირველწოდებული, რომლის სახელთან დაკავშირებული ჯვრის ნაირსახეობა ნინოს ჯვრის კონცეპტუალური პროტოტიპია; წმინდა გიორგის სადიდებლად მის ბორბალზე წამების დღესასწაულის შემოტანა ქართული ეკლესიის მიერ, რაც წმინდა გიორგის ანდრია პირველწოდებულის ჯვართან ასოცირების და წმინდა ნინოს ჯვრად მისი კონცეპტუალური გარდასახვის საფუძველია; მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოდის ქართული ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, წმინდა ნინო, ღვთისმშობლის კარნახით და ღვთისმშობლის ჩამობრძანების განსახიერებად საქართველოში; ამ კონცეპტუალური ხაზის შემდგომ განვითარებას ვხედავთ პეტრე იბერის შემოქმედებაში, ამასვე მიუთითებს თამარ მეფის, როგორც წმინდანის, „ქართული რელიგიური სისტემის“ საფუძველზე, კონცეპტუალური იდენტიფიკაციის ჩახრუხადისეული მცდელობა „თამარიანში“ და იოანე ზოსიმესეული დებულება იმის შესახებ, რომ სახარებაში ქართულ ენას ლაზარე ჰქვია, ე.ი., რომ

ქრისტიანობის გაგება ქართველთათვის შეუძლებელია მასში ლაზარეს კონცეპტუალური ფუნქციის გაცნობიერების გარეშე...

მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში ეგეოსური ცივილიზაცია უდიდეს სივრცეზე იყო განფენილი ევროპაში ქრისტიანობის, ხოლო აზიასა და აფრიკაში ისლამის გავრცელების გზით. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთის მიმართულებით იგი ალექსანდრე მაკედონელის ფენომენით მონიშნულ ანუ უკვე მეორე ორმაგი ეფექტის ფაზაში ათვისებული სივრცის მიჯნებს არ გასცილებია. ჩრდილოეთ ევროპის ხალხებში ქრისტიანობის გავრცელებაც, თუმცა კი ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის თანადროულად მიმდინარეობდა, მაგრამ იგი ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის ანუ წინა ფაზის მოვლენაა და მისმა ამგვარად შეყოვნებულად განვითარებამ ეგეოსური ცივილიზაციის განფენის არის ნაწილზე ამ ცივილიზაციის ერთიანობის დარღვევას მისცა საფუძველი.

ცივილიზაციის გაფართოება მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის აქტიურობის ფაზებშია არსებითი და ამდენად, ლოგიკურია, რომ ამ ცივილიზაციის უკვე აღმოსავლეთ ევროპაზე განფენის ფაქტით აღინიშნა მორიგი, ანუ მესამე ორმაგი ეფექტის ფაზა, რომელიც გადაჭვარავს X-XII საუკუნეებს. ამ ფაზაში ახალი გასაქანი მიეცა ქართველურ სამყაროს, რომელიც მართვის მანიის ერის მნიშვნელობით შემორჩა წინა ცალფა ეფექტის ფაზის დასასრულამდე. ქართველი ერის მიღწევები სწორედ პეტრე იბერის სახელით აღნიშნული სააზროვნო მიმდინარეობის (ე. წ. ქართული ნეოპლატონიზმის) განვითარებით აღინიშნა (ეფრემ მცირე, გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი...), ქართველი ერი მსოფლიოში ყველაზე განვითარებული საზოგადოებით იქნა წარმოდგენილი. ამ მიღწევებს მეტ გასაქანს მიაჩნებდა ამ ფაზაში ძლევის მანიის ეფექტის უმაღლესი გამოხატულების, დასავლეთ ევროპული ჯვაროსნული მოძრაობის საქართველოს სახელმწიფოსთან სტრატეგიულ კავშირში შესვლა, რაც ამ ეტაპზე ეგეოსური ცივილიზაციის ცენტრში, პალესტინაში ქართულ-დასავლეთევროპული ორმაგი ეფექტის ფენომენის მყარი ჰეგემონიის დამყარების პირობას წარმოადგენდა და რაც, რეალურად მიღწევადი სჩანდა, მაგრამ პალესტინაში ქრისტიანულ სამფლობელოთა შესანარჩუნებლად შექმნილმა ტამპლიერების ჯვაროსნულმა ორდენმა საქართველოს მეფის დავით IV აღმაშენებლისა და მისი დასის მცდელობათა მიუხედავად თვითიზოლაციის პოზიცია დაიჭირა და ამ კომპონენტის შესავსებად ქართველი ერი იძულებულ იქნა მომთაბარე ყივჩაღებთან კავშირს დაყრდნობოდა და, თუმცა ეს ვერ იყო სრულყოფილი კომპენსაცია, საქართველო დამოუკიდებელ ორმაგი ეფექტის ფენომენად ჩამოყალიბდა. საქართველოს მესვეურთ, მხედველობიდან გამორჩათ XII საუკუნეში ქურთთა ტომების კონსოლიდაციის ფაქტი (შეიხ ადი – იეზიდოზმი), რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა ძლევის მანიის ეფექტის უზრუნველყოფა. ამის აუცილებლობა, როგორც სჩანს, მოიხსნა იმის საფუძველზე, რომ ძლევის მანიის ეფექტის კავკასიურ ფენომენში ჩრდილოეთ კავკასიურმა საყარომ ჰპოვა თვითრეალიზაცია.

ქრისტიანობაში ძლევის მანიის ეფექტის გამომხატველი სხვა ფენომენიც, ამგვარი მნიშვნელობის მქონე რომანული კულტურისა და დასავლეთევროპული ქრისტიანული რაინდობის ინსტიტუტის ერთდროულად, აღმოცენდა აღმოსავლეთ ევროპაში რუსული ქრისტიანობის სახით, რომლის ამგვარი მნიშვნელობა სიმბოლიზებულია რუსული „შვიდქიმიანი ჯვრით“ (ბიზანტიური ჯვრის ვერტიკალური ტოტების მკვეთი, ორი, ჰორიზონტალური ტოტების მიმართ ერთი დახრილად, მეორე კი პარალელურად

გატარებული მოკლე ხაზები, შესაბამისად, ბოროტ და კეთილ ძალებს და ამდენად, სინამდვილის სიკეთისა და ბოროტების ბრძოლად წარმოდგენას განასახიერებენ. ძირითადი ჰორიზონტალური ტოტი ჯვრისა წარმოგვიდგება ამ ორ ურთიერთმზრდომ მხარეთა გამყოფ საზღვრად, მათი ურთიერთშეჯახების ფრონტის ხაზად. მაშინ, ამ ძირითადი ხაზის გარეშე, რუსული ჯვარი, რაც ასევე გავრცელებული გამოსახულებაა, წარმოგვიდგენს სამყაროს ისეთ მდგომარეობას, როცა კეთილი და ბოროტი ძალების გათიშვა არ არის მიღწეული, ანუ როცა მათი გამყოფი ხაზი გადის ყოველ არსებაში. ამის გათვალისწინებით, რუსული ჯვარის პირველად განხილული სახესხვაობა უკანასკნელი აპოკალიფსური შერკინების სიმბოლოდ წარმოგვიდგება, ამდენად, კონცეპტუალურად მას წინ უსწრებს ამ ჯვრის მეორე სახესხვაობა. ქრისტე კი, სამყაროს მეორე მათგანის სათანადო მდგომარეობიდან პირველის სათანადო მდგომარეობაში გადასვლის, ბოროტი და კეთილი ძალების პოლარიზაციის დაწყების ინიციატორად ისახება - ჯვარცმა გამყოფი ხაზის აქტუალიზაციაა — უფლის ხელები ჯვრის ძირითად, ჰორიზონტალურ ტოტზე მიამსჭვალეს. არავითარი ცვლილება არ სჭირდებოდა ჯვარს ქრისტიანობის ფორმის მანიის სათანადო კონფესიებისთვის, რამეთუ იგი ღმერთის ყოვლისმპყრობელობის ასპექტით მოაზრებას შეიძლება შეეთანადოს კონცეპტუალურად: ჯვრის ჰორიზონტალური ტოტები, ქრისტეს ჯვარცმის შედეგად ქვეყნად ახალი წესრიგის გავრცელების მიმდინარეობის სიმბოლოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ; ჯვრის საყრდენი ვერტიკალური სვეტი განასახიერებს უფალს, რომლისგანაც გამომდინარეობს ახალი წესრიგის გავრცელების აღმნიშვნელი ჰორიზონტალური ტოტები ჯვრისა. ეს კონცეფცია კიდევ უფრო მკვეთრად არის წარმოდგენილი ჯვრის ჰორიზონტალურ ტოტებზე ბოლოებიდან დაშორებით მათი მკვეთი მცირე ვერტიკალური ხაზების გამოსახვის შემთხვევაში, რაც ახალი წესრიგის გავრცელებაში ყოველი საზღვრის გადალახვის რწმენის სიმბოლიზაციაა (ისლამის შემთხვევაში იგივე კონცეფცია გადმოცემულია ახალი მთვარის გამოსახულებით); ჯვრის ვერტიკალურ ზედა ტოტზე, მცირე ჰორიზონტალური ხაზის გამოსახვა, ასევე ბოლოდან დაშორებით, შეიძლება ღმერთის ყოვლადუზენაესობის, ყოველივესადმი ზემდგომობის სიმბოლიზაციად წარმოვიდგინოთ).

ეგეოსური დასაწყისის განვითარების მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის დამამთავრებელ ეტაპზე ურთიერთდამოუკიდებელ კავკასიურ, რუსულ (თანმხლებ მართვის მანიის ეფექტს უზრუნველყოფდა გაფართოება), დასავლეთ ევროპულ (თანმხლებ მართვის მანიის ეფექტს უზრუნველყოფდა გაფართოება) და ისლამურ (ისლამური სამყარო თურქული ეთნოელემენტის გავლენით) ორმაგი ეფექტის ფენომენებად წარმოდგენილ ეგეოსურ ცივილიზაციას დაუდგა კატასტროფული შევიწროების ეტაპი (შეიძლება ეს გარემოება ეგეოსური ცივილიზაციის ცენტრში ამჯერად - პალესტინაში მესამე ორმაგი ეფექტის ფაზაში ერთიანი ორმაგი ეფექტის ფენომენის მყარი ჰეგემონიის დამყარების მიუღწევლობით იყოს განპირობებული): მონღოლური ეთნოელემენტის გავლენით ეგეოსურ ცივილიზაციას ჩამოშორდა და დამოუკიდებელ ცივილიზაციებად ჩამოყალიბდა ისლამური სამყარო (პირველი მისეული ფენომენია თემურ ლენგის იმპერია), შემდეგ კი, დასავლეთ ევროპა, სადაც ლათინურ და ჩრდილოეთ ევროპულ ეთნოსთა კონტაქტის საფუძველზე განხორციელდა დასავლეთ ევროპული (ევროპული) ფარული დასაწყისის ეფექტი, რომლის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზა მოიცავს XIII-XV საუკუნეებს და წარმოდგენილია გოთიკისა და რენესანსის კულტურებით. ამდენად, შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ორივე ეს

კულტურული ფენომენი ხსენებული ორი ეთნოსის უმჭიდროესი კონტაქტის არეებზე, შესაბამისად, საფრანგეთში (ილ დე ფრანსი) და ჩრდილოეთ იტალიაში (ფლორენცია) ჩაისახა.

დასავლეთ ევროპული (ევროპული) ცივილიზაციის შემთხვევაში ეგეოსური და მესოპოტამიური ცივილიზაციებისაგან განსხვავებით ორმაგი ეფექტის ფაზათა რეალიზაციაში შეწყვილებულია სხვა ორი ფსიქიკური სტიქია - ცხრომის მანია და ფორმის მანია. ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარებაში ყოველი მეორე ფაზა ორმაგი ეფექტის ფაზას წარმოადგენს და რაკი, ცხრომის მანიის ეფექტს შეუძლია ლოკალურ ფენომენად მოიცვას ფორმის მანიის ეფექტი, ევროპული ცივილიზაციის არე ცხრომის მანიის ფსიქიკური სტიქიის ეფექტის ჰეგემონიის ნიშნით უნდა ხასიათდებოდეს, რასაც ცხადყოფს ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენთა უბრალო ჩამოთვლაც კი (_ აშშ, საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია, შვეიცარია). ეს არის ტერმინ _ „დასავლეთის სამყაროს“ კულტურულ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. „აღმოსავლეთის სამყარო“, მსოფლიო ცივილიზაციის ამგვარ ასპექტში ჭკრეტისას, ფორმის მანიის ფსიქიკური სტიქიის ეფექტის ჰეგემონიის არეა. მისი ლოკალიზაციის გეოგრაფია განსაზღვრულია ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის „ფარდობითი დასასრულის ეფექტის სქემის“ სათანადო ეგვიპტური და ბაბილონური ცივილიზაციების, აღმოსავლეთ აზიელი და ისლამური სამყაროს წარმომადგენელი ფორმის მანიის კლასის ერების ლოკალიზაციის გეოგრაფიით. ამ ლოგიკით შესაძლებელია კიდევ ორი თვისებრივი არეალის მითითება. კერძოდ, რუსეთი ძლევის მანიის ფსიქიკური სტიქიის ეფექტის ჰეგემონიის არეა (_ კიმერიელები, სკვითები, ჰუნები, ვარიანები, მონღოლები, რუსები); კავკასია (საქართველო) კი, _ მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის ეფექტის ჰეგემონიის არე.

მორიგი ეტაპი ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში ევროპული დასაწყისის განვითარების პირველ მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზას წარმოადგენს, რომლის რეალიზაციის თავისებურება განსაზღვრა ორმა უმნიშვნელოვანესმა გეოგრაფიულმა ადმოჩენამ _ კოლუმბისა და ვასკო და გამას ექსპედიციების შედეგად გამოვლენილმა შეუბრკოლებელი გაფართოების გასაქანმა შესაძლებელჰყო ამ ფაზის სათანადო მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი გზით, ევროპულ ასპარეზზე მართვის მანიის კლასის ერის გამოსვლისა და დაწინაურების გარეშე განხორციელება _ მართვის მანიის ეფექტის სივრცითი ასპექტი გაფართოებაში გამოიხატება (იხ. ცხრილი) _ „ახალი სამყაროს“ ათვისების პროცესი ევროპული ცივილიზაციის ტოტალური გაფართოების მოვლენად წარმოგვიდგება. ამ გზით ჩაიშალა ევროპაში მართვის მანიის პირდაპირი ეფექტის განვითარება.

პირველი მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა ევროპულ ცივილიზაციაში გაგრძელდა XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე. XIX საუკუნის მეორე ნახევარი კი მის ისტორიაში ევროპული დასაწყისის განვითარების მეორე ორმაგი ეფექტის ფაზითაა გადაფარული. აქ პირველად გახდა თვალშისაცემი ფაზათა ხანგრძლივობის მკვეთრი შემცირება, რაც დაკავშირებულია ინფორმაციის დაგროვების სიჩქარის ზრდასთან. მორიგი ფაზა კიდევ უფრო ხანმოკლე, მხოლოდ ოცწლიანი ხანგრძლივობის გამოდგა. იგი, მეორე ძლევის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა (პირველ ამგვარ ფაზად, ევროპულ ცივილიზაციაში თვითონ ფარული დასაწყისი იგულისხმება), რომელიც გადაჰფარავს XX საუკუნის პირველ მეხუთედს, ევროპულ ცივილიზაციაში ძლევის მანიის ერად რუსი ერის დამკვიდრებით აღინიშნა, რომელმაც წალეკა რუსეთის სივრცეზე ევროპული დასაწყისის განვითარების პირველი მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში ამ ცივილიზაციის განფენის

გამოხატულებად ჩამოყალიბებული, პეტრე I დიდის სახელთან დაკავშირებული რუსული აბსოლუტური მონარქიის, როგორც ფორმის მანიის ეფექტის ფენომენის, ყოველი ნიშანი (ბოლშევიზმი თანასწორობის კატეგორიის აპოლოგიის იდეოლოგია - იხ. ცხრილი).

რადგან ამ ფაზის დადგომისას ძლევის მანიის კლასის რუსი ერი არ წარმოადგენდა ევროპული ცივილიზაციის ამგვარ ელემენტს (ამ ცივილიზაციას მისი სივრცე ეჭირა ფორმის მანიის ეფექტის რუსული ფენომენით), იგი (ეს ფაზა) ძლევის მანიის არაპირდაპირი ეფექტის განვითარებით დაიწყო. ევროპული ცივილიზაცია ინტენსივობით მრავლობად ანუ მის მატარებლად არსებით ურთიერთმიმართებებს მოკლებულ (ამგვარად თვითმსახავ) ნაწილებად დანაწევრების ობიექტად იქცა. ცივილიზაციის ალტერნატიულ მატარებლად თვითდასახვის ცნობიერების ფაქტით ამგვარ ნაწილთა ფენომენში, ცივილიზაციის მატარებელი ბაზისის კუმშვის ეფექტი ფიქსირდება, რაც ძლევის მანიის ეფექტის სივრცითი ასპექტს წარმოადგენს (იხ. ცხრილი). პირველ ამგვარ ერთეულს წარმოადგენდა გერმანიის და ავსტრიის კავშირი, რომლის დიდმა სიმძლავრემ ბიძგი მისცა ევროპული ცივილიზაციის დანარჩენ ნაწილში თავდაცვით რეაქციას (ანტანტის ჩამოყალიბება) და ცივილიზაციის სრული პოლარიზაციის ტენდენციას, რაც პირველი მსოფლიო ომის მოვლენაში გადაიზარდა. ამ ფაზის, ამგვარად არაოპტიმალურად (არა ნოოსფერულად) რეალიზაცია ევროპული ცივილიზაციის შეფერხების და მასში გარეშე ერის, ძლევის მანიის კლასის რუსი ერის შეჭრის და დამკვიდრების ხელშემწყობი პირობა გახდა.

ევროპული დასაწყისის განვითარების მეორე ძლევის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დასასრულისა და მორიგი ანუ მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის დასაწყისის თარიღად 1921 წ., რუსეთში ე.წ. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღების წელი უნდა დავასახელოთ: „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ ცხრომის მანიის ეფექტს გამოხატავს, ხოლო რუსეთის პოლიტიკური ცენტრალიზაციის ტენდენცია - თანხმლებ ფორმის მანიის ეფექტს. ევროპული ცივილიზაციის წამყვან ერებს ახალი დაწინაურების ფაზა დაუდგათ და მათი აღმავლობა გაგრძელდა ოციანი წლების ბოლომდე. ამ დროს ეს ცივილიზაცია განფენილი იყო თითქმის მთელ მსოფლიოზე, მაგრამ ამ ფაზის მიმდინარეობაში მისი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა რუსეთის სივრცეზე მოვლენათა განვითარებაზე ეგეოსური ფარული დასაწყისის ეფექტის გავლენის გაძლიერების შედეგად, რომლის გამტარებლად ქართველი ერი მოგვევლინა.

ეგეოსური ცივილიზაციის ისტორიის განხილვა ჩვენ შევწყვეტეთ ეგეოსური დასაწყისის განვითარების მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის მიწურულს. მორიგი ფაზა, მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა მისთვის მეტად მძიმე გამოდგა. მისი სივრცე თანდათანობით დაიჭირეს ჯერ აღმოსავლეთ აზიურმა და დასავლეთ ევროპულმა შემდეგ, ისლამურმა ცივილიზაციებმა და მისი საზღვრები ფაქტიურად ქართველი და რუსი ერების ლოკალიზაციის არეებამდე შეიზღუდა. ამ ორ სივრცეზე მის ფენომენებს შორის, არსებითი ურთიერთკავშირის დამყარების შესაძლებლობა აღკვეთილი იყო სხვა ცივილიზაციების გავლენის შედეგად.

ეგეოსური ცივილიზაციის კავკასიური ფენომენის სივრცეზე ისლამური ცივილიზაციის მძლავრი გავლენის პირობებში ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის რეალიზაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სომეხი ერის ფაქტორმა. საკუთარი სახელმწიფოებრიობის გაუქმების პირობებში ფორმის მანიის ეფექტის ორი უცხო ფენომენის - ირანისა და ოსმალეთის იმპერიების გავლენის არეებზე გაფანტული

ეს, ფორმის მანიის კლასის ერი ამ არეებზე უცხო დაშვებულობის მიღწევის სასიცოცხლო ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა, რაც შესაძლებელი გახდა სომეხთა კონფესიურმა განკერძოებულობამ დანარჩენი ქრისტიანული სამყაროსაგან, რომელთანაც კონფრონტაციის პირობებში სომხური კონფესიის მატარებელი პირები ისლამური სამყაროს წარმომადგენელი ხსენებულ იმპერიებისათვის საიმედო სავაჭრო შუამავლებად დაისახნენ. ამდენად, უცხო დაშვებულობის მიღწევაში გამოხატული ცხრომის მანიის ეფექტი ამ კონფესიისადმი მიმართების ნიშნით დაფიქსირდა. ასე რომ, კავკასიური სავაჭრო კაპიტალის განვითარების ანუ ცხრომის მანიის ეფექტის რეალიზაციის სუბიექტად საგულვებელი, სომეხი ერისგან და სხვა კავკასიელი ერებისგან, განსაკუთრებით ქართველი ერისგან გამოსული ფენების გაერთიანება, რომელიც - ერთის მხრივ ნოოსფერული ეფექტის გამოხატულებაა ისლამურ ცივილიზაციაში, მეორეს მხრივ კი, ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის ფენომენია და ქართველ ერთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ერთობის ნაწილია კავკასიურ ცივილიზაციაში (იხ. §5), ისლამური ცივილიზაციის გავლენით, ასოცირებული აღმოჩნდა სომხურ კონფესიასთან. ამით აიხსნება საქართველოში სომხური ეკლესიის გავლენის გაძლიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრომის მანიის ეფექტის განვითარების ხელშემწყობის როლში მნიშვნელოვანი იყო ფორმის მანიის კლასის ებრაელი ერიდან გამოსული ელემენტიც, ასევე ისლამური ცივილიზაციის ზეწოლის პირობებში. ევროპაში კი, ებრაელი ერისაგან მისი საარსებო ინტერესების საპასუხოდ ემისირებული და ამდენად, მისგან გაუცხოებული ამგვარი ელემენტი გადამწყვეტ როლს ასრულებდა, არა მხოლოდ ცხრომის მანიის, არამედ, ძლევის მანიის ეფექტის რეალიზაციაშიც (ეროვნულ განსხვავებათა ნიველირების ეფექტი) და სათანადო თვისებრიობის ერთა ფორმირებაში. საკმარისია დავასახელოთ ნოსტრადამუსი, სპინოზა, ბერგსონი (ცხრომის მანიის ეფექტის ინიციატორები) და ებრაული დიასპორებიდან გამოსულთა წვლილი დასავლეთში ფინანსურ ინსტიტუტთა ფორმირება-ფუნქციონირებაში, მეორეს მხრივ კი მარქსი, ტროცკი, ბუხარინი (ძლევის მანიის ეფექტის ინიციატორები). კავკასიის რუსეთის იმპერიაში მოქცევის შემდეგ, სომეხი ერი იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა უკვე ევროპულ ცივილიზაციაში, როგორც ფორმის მანიის ეფექტის რუსული ფენომენის ჰეგემონიის არეში ორმაგი ეფექტის ფაზების რეალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი, რამაც განსაზღვრა საქართველოში მისი პოზიციების კიდევ უფრო მეტად განმტკიცება.

მონღოლთა კონფესიური განსხვავებულობა, როგორც ქართველთაგან ასევე მაჰმადიანური სამყაროს ერთგან და იეზიდთაგან მონღოლთა წინააღმდეგ მთელი წინააზიის ერთა შინაგანად ბალანსირებული კოალიციის ჩამოყალიბების პირობას ქმნიდა ამ რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოს საქართველოს მეთაურობით (ამგვარი კონსილიდაციისკენ ისლამური სამყაროს მზაობის გამოხატულებას წარმოადგენდა 1225 წ. მისი ლიდერის, მონღოლთაგან დევნილი ხორეზმშაჰის, ჯალალ ად-დინის მიერ ქართული სამეფოს კარისთვის მისი და მეფე რუსუდანის დინასტიური ქორწინების შეთავაზება). შემდგომში ასეთი სამოკავშირეო ურთიერთობა დამყარდა საქართველოს და ეგვიპტის სახელმწიფოს შორის (XIV). იეზიდებს ამ კავშირის დამბალანსებელი ფაქტორის როლის შესრულება შეეძლოთ. წინააზიის ამგვარი კონსოლიდაცია თანადროული ფაზის შესაბამისი იყო ეგეოსური ცივილიზაციის გარეგანი საფრთხისგან დაცვაზე გამიზნულობით (ცხრომის მანიის ეფექტი ცივილიზაციის საგარეო კონტაქტების განხორციელებაში პოულობს ერთ-ერთ

უმთავრეს გამოხატულებას) და განსხვავებული (ოთხი) კონფესიების ერთიანი მიზნით შეკრულ სოციალურ ფენომენში თანაარსებობის ფაქტით. ქართული სახელმწიფო ამ ასპექტშიც ლიდერი იქნებოდა, ამგვარად მთელს წინააზიაზე შენარჩუნებულ ეგეოსურ ცივილიზაციაში, განსხვავებულ კონფესიათა თანაარსებობის უმაგალითო ტრადიციის საფუძველზე. წინა ფაზაში ორმაგი ეფექტის დამოუკიდებელ ფენომენებად არსებობის (ცივილიზაციის მატარებლად თვითკამრობის) ტრადიციის ინერციამ (განსაკუთრებით კავკასიაში) ჩაშალა ეს შესაძლებლობა.

ისლამურ ცივილიზაციაზე ქართველი ერის გავლენა ფორმის მანიის კლასის არაბი, სპარსი და თურქი (თურანელი) ერების საბოლოოდ ჩამოყალიბების ხელშეწყობაში მდგომარეობს: არაბული სახელმწიფოებრიობა ისლამურ ცივილიზაციაში (ე. ი. ქრ. შობიდან XV ს. შემდეგ) არსებობდა ფაქტიურად მხოლოდ ქართველური ეთნოელემენტის საფუძველზე (ერაყისა და ეგვიპტის მამლუქები); ქართველები წარმოადგენდნენ ირანში შაჰ-აბას პირველის დროიდან ცენტრალური ხელისუფლების მთავარ საყრდენს (ყულის ინსტიტუტი); ამ ორი მოვლენის განვითარებით თურქული ეთნოელემენტი კარგავდა ისლამურ ცივილიზაციაში ფაზათა მონაცვლეობის რეალიზაციის მთავარი ობიექტის მნიშვნელობას და ფორმის მანიის კლასის ერად ჩამოყალიბების ტენდენციას ექვემდებარებოდა.

საქართველოში ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში ქართველი ერის მიმართ ნოოსფერული ეფექტის განვითარების მიღწეულობას გამოხატავს ქართული ნეოპლატონიზმის სააზროვნო ტრადიციის შენარჩუნება მორიგ ფაზაშიც. ამას ადასტურებს იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, თეიმურაზ I-ისა და დავით გურამიშვილის შემოქმედება („წამება ქეთევან დედოფლისა“, „დავითიანი“).

საქართველოს სივრცეზე პირდაპირი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა ქართველ ერს დაუდგა XVIII საუკუნის შუა წლებიდან, ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის მიმდინარეობაში ისლამური ცივილიზაციის ზეგავლენის დაძლევის ტენდენციის საფუძველზე, რაც მეფეების ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის სახელით აღნიშნულ, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოთა ერთდროულ გააქტიურებაში აისახა.

მეტი მიღწევები ერეკლე II-ს ეკუთვნის, რომელმაც მთელ აღმოსავლეთ კავკასიაზე მოახერხა თავისი გავლენის გავრცელება. ამ დროისთვის ისლამურ სამყაროში ემისირებული ქართველური ეთნოელემენტის პოზიციების განსაკუთრებული სიმყარე ქმნიდა საფუძველს ქართულ სახელმწიფოებთან შეთანხმებული მოქმედების შემთხვევაში მათ მიერ სრული ჰეგემონიის მოპოვებისათვის, მაგრამ ის ფაქტი, რომ ისლამური სამყარო ევროპული ცივილიზაციის გაფართოების მორიგ ასპარეზად იყო ქცეული ამ დროისათვის გადაულახავ წინააღმდეგობად ისახებოდა საამისოდ.

მოვლენათა შემდგომი განვითარება განსაზღვრა ორმაგი ეფექტის ფაზაში მართვის მანიის კლასის ქართველი ერისთვის ძლევის მანიის კლასის ერთან შეკავშირების აუცილებლობამ, რის განხორციელების პირობას ქმნიდა რუს ერთან სტრატეგიული კავშირის დამყარება. ამრიგად, ეგეოსური დასაწყისის განვითარების IV ორმაგი ეფექტის ფაზის დასაწყისის მაუწყებლად უნდა მივიჩნიოთ საქართველოში ძლევის მანიის კლასის რუს ერთა შეკავშირებისკენ მისწრაფების გამოვლენა, რაც XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე დაფიქსირდა, პირველ რიგში ამ ეტაპზე ქართველურ სამყაროში უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულში, კახეთის სამეფოში. ასე რომ ქართლის მეფე სვიმონის, „დიდი მოურავის“ (გიორგი სააკაძე),

ქართველ მამლუქთა დიდი ბეგების, ირანის სამეფო კარზე ქართველ დიდ მოხელეთა ფენომენებით მონიშნული გააქტიურება ქართველური ეროვნული ელემენტისა სწორედ ამ ახალი ფაზის განვითარებაზე მიუთითებს. ძლევის მანის კლასის ერთან შეკავშირებისკენ მისწრაფება უფრო მკვეთრად გამოვლინდა, ვახტანგ VI მოღვაწობაში. ეს არის ასევე საფუძველი 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერისა ერეკლე II-ს მიერ (ქურთ იეზიდთა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ინიცირებით რეალიზებადი ორმაგი ეფექტის ქართულ-იეზიდური ფენომენის საკმარისად მაღალპოტენციურობის იგნორირებით). ამასთანავე, „გიორგიევსკის ტრაქტატი“ ქმნიდა საფუძველს ქართველი ერით განსაზღვრულ საზოგადოებრივი ერთობის“ (იხ. §5) კავკასიის მეტ ნაწილზე გავრცელებისათვის. „გიორგიევსკის ტრაქტატის“ მიხედვით საამისოდ საკმარისი პირობა იყო ჩრდილოეთკავკასიელ ეთნოსთა მიერ ერეკლე II-ის (ბაგრატიონთა) ქვეშევრდომობის ნომინალური აღიარება და ირანისა და ოსმალეთის მიერ კავკასიაში ერთიანი ბუფერული სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობის გაცნობიერება რუსეთის ექსპანსიის შესაჩერებლად, რასაც, შემდგომ, მხოლოდ ევროპელ ერთა ჩარევა უზრუნველყოფდა.

რუსეთის იმპერიამ იმთავითვე აარიდა თავი ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რადგან იგი წარმოადგენდა არა ძლევის მანის კლასის რუს ერს და ეგეოსური ფარული დასაწყისის განვითარების ფენომენს, რომელიც რუსეთის სივრცეზე არაპრიდაპირი ეფექტების მეშვეობით მაინც აგრძელებდა არსებობას 1917 წლამდე (ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარება, ბრესტის ზავი), არამედ, რუსეთზე ევროპული ცივილიზაციის განფენის გამომხატველ „ფორმის მანის ეფექტის რუსულ ფენომენს“ და ამდენად, ემორჩილებოდა ამ ცივილიზაციის შინაგანი მდგომარეობის ლოგიკას, რაც მართვის მანის ცალფა ეფექტის ფაზის მართვის მანის კლასის ერთა იგნორირებით, გაფართოების აქტის გზით განხორციელებას გულისხმობდა. მაგრამ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევამ ქართველ ერს ძლევის მანის კლასის რუს ერთან პირდაპირი კონტაქტის და ამით ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის შეუფერხებლად რეალიზაციის შესაძლებლობა შეუქმნა და როცა რუსი ერი ევროპულ ცივილიზაციაში მეორე ძლევის მანის ცალფა ეფექტის ფაზის გამოხატულებად ძლევის მანის ერად დადგენილი, ამ ფაზის დასასრულს ინიციატივის დათმობის, მოლოდინის ეტაპზე გადასვლის გარდაუვალობის პირობებში აღმოჩნდა, ამის აცილების, აქტიურობის ეტაპის გახანგრძლივების ერთადერთ საშუალებად მისი (რუსი ერის) ეგეოსური დასაწყისის განვითარების პროცესის ნაკადში დაბრუნება დაისახა, რასაც საფუძველი მისცა ქართველი ბოლშევიკების ინიციატივით საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის განხორციელებამ (სტალინი, ს. ორჯონიკიძე...). ეს მოვლენაც 1921 წელს მოხდა, რაც ნიშნავს იმას, რომ „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ შემოღების ფაქტში გამოხატული ევროპული დასაწყისის განვითარების მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციის და რუსი ერის ეგეოსური დასაწყისის განვითარების პროცესის ნაკადში დაბრუნების ტენდენციის განვითარება ერთდროულად დაიწყო. ამრიგად, XX საუკუნის ოციანი წლების მოვლენები საბჭოეთის სივრცეზე ევროპული და ეგეოსური (1917 წლიდან კავკასიური ფენომენითლა წარმოდგენილი და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კავკასიური) ცივილიზაციების კონფლიქტის ამსახველია, რომელშიც გამარჯვებული გამოვიდა ეგეოსური ცივილიზაცია. ეს ნიშნავს იმას, რომ ოციანი წლები, საბოლოო შედეგის მიხედვით,

საბჭოეთის სივრცეზე ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის დამამთავრებელი ეტაპის მნიშვნელობისა გახდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია ისედაც გარადუვალი სჩანდა იმის შემდეგ რაც მას დიდი ბრიტანეთის გავლენით უარი ეთქვა ერთა ლიგაში მიღებაზე. მაგრამ ქართველი ბოლშევიკების მიერ საამისო ინიციატივის გამოჩენის გარეშე ისინი რუსეთში პოლიტიკურ ინიციატივას ვერ დაეუფლებოდნენ, მიმდინარე მოვლენებზე სათანადო გავლენას ვერ მოახდენდნენ და ეგეოსური ცივილიზაციის არსებობა ალბათ ამით დასრულდებოდა.

ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენა (1918 წ.) არ იყო ამ ფაზის მწვერვალი მართვის მანიის ეფექტის მიხედვით ანუ, რომ ეს ეფექტი განიცდიდა შემდგომ აღმავალ განვითარებას, კარგად სჩანს მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ფაქტის დათარიღებაში, რომელიც სინამდვილის მართვის მანიის ასპექტით ასახვაში მიღწეული დიდი წარმატება იყო - 1925 წელს, დიმიტრი უზნაძე, აყალიბებს თავის განწყობის თეორიას, რაც აღმნიშვნელია იმისა, რომ ქართველი ერი თავის ფენომენურ განვითარებაში IV საფეხურზე დადგა. ქართველი ერისთვის, აბსოლუტურ თვითგამოხატვაში, ამ გარდატეხის ეტაპის დასაწყისი აღნიშნულია ვაჟა-ფშაველას ფენომენით („გველის მჭამელი“). ამ მდგომარეობის შემდგომი განვითარება ქართული სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბებაშია ასახული (მარი, ჯავახიშვილი, ჩიქობავა, ნიკოლაძე, რაზმაძე, მუსხელიშვილი, ვეკუა, ნადირაძე...)

ეგეოსური ცივილიზაციის გამარჯვება აღნიშნულ კონფლიქტში განპირობებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ ეს ძლევის მანიის კლასის რუს ერს აქტიურობის ეტაპს უხანგრძლივებდა, ამასთანავე XIX საუკუნის რუსეთის ცხოვრებაში, რომელიც ეგეოსური დასაწყისის განვითარების ამავე, მეორე ორმაგი ეფექტის ფაზითაა გადაფარული (ამ ცივილიზაციის კავკასიური ფენომენის მდგომარეობის მიხედვით), შეინიშნება ამ პროცესის დადებითი, მათეტიურებული გავლენა რუს ერზე. ორი ცივილიზაციის თანაარსებობის ამ ფაქტის ასახვაა რუსულ ლიტერატურაში ორი ხაზის თანაარსებობა, რომელთაგან ერთი, პუშკინის სახელით აღნიშნული - კავკასიასთან კონტაქტის, მეორე კი, გოგოლის სახელით აღნიშნული - წმინდად ევროპული ცივილიზაციისადმი რეაქციის მოვლენად სჩანს. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტი, რომ რუსული ქრისტიანობა თავისი გენეზისით ეგეოსური ცივილიზაციის მოვლენა იყო. ასე, რომ ხსენებული შედეგი ცივილიზაციათა კონფლიქტისა მოვლენათა განვითარების უპირატეს მიმართულებად ისახება წინაპირობების მიხედვითაც.

ოცინი წლების დასაწყისიდანვე იოსებ სტალინის მიერ პოლიტიკური ინიციატივის ხელში ჩაგდების (საქართველოს ანექსიის ინიცირება) და 1922 წლიდან (სსრკ-ს ჩამოყალიბება) ფაქტიურად, ერთპიროვნულ ლიდერად გადაქცევის შედეგად, მისით წარმოდგენილი მართვის მანიის ეფექტი მთელი საბჭოეთის მასშტაბის ფენომენად იქცა. უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი მართო არ იყო, რომ არაფერი ვთქვათ ქართველ მენშევიკთა გარკვეულ ხელშეწყობაზე, ქართველ ბოლშევიკთა პირველი თაობა, (ს. ორჯონიკიძე და მ. ორახელაშვილი...), მას მყარ საყრდენს უქმნიდა.

ლენინისეულ ახალ ეკონომიკური პოლიტიკის და სტალინური ტოტალური კოლექტივიზაციის პოლიტიკის ურთიერთდაპირისპირებაში ასახული განხეთქილება ბოლშევიკური პარტიის წიაღში, ევროპული და ეგეოსური ცივილიზაციების კონფლიქტის გამოხატულებას წარმოადგენდა: სტალინის მომხრეთა შორის აღმოჩნდნენ მხოლოდ ის

ბოლშევიკები, რომელთაც არასოდეს დაუტოვებიათ რუსეთი, ხოლო მოპირისპირე ბანაკში - ყველა ვისაც ევროპაში ჰქონდა გატარებული რევოლუციური მოღვაწეობის გარკვეული პერიოდი და ამდენად, როგორც სჩანს, ვინც ევროპული ცივილიზაციის პროცესების ლოგიკის გამტარებელი გახდა.

მოვლენათა განვითარების საუკეთესო ალტერნატივა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისგან თავშეკავების შედეგად გვექნებოდა. საქართველოს საბჭოთა რუსეთთან ინტეგრაციის გარეშე ქართველი ბოლშევიკები ვერ მოახერხებდნენ ინიციატივის მოპოვებას და რუსეთი „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ სათანადო გეზით, ანუ ევროპული ცივილიზაციის ფარგლებში გააგრძელებდა არსებობას, ხოლო ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბის მოვლენაში ჰპოვებდა რეალიზაციას, აქ, მენშევიკთა, როგორც თანასწორობის აპოლოგიის იდეოლოგიის მატარებელი ელემენტის, პოლიტიკური ჰეგემონიის ფაქტში ასახულ ძლევის მანის თანხმლები ეფექტის უზრუნველყოფით და რაკი, ძლევის მანის ეფექტის ამგვარი რეალიზაცია გადაიფარება მართვის მანის ეფექტით ამ ფსიქიკური სტიქიისათვის დამახასიათებელ უცხო მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საფუძველზე (იხ. §5), ევროპულ ცივილიზაციასთან მიმართებაში ქართული სახელმწიფო მართვის მანის ერისადმი რეალიზებული ნოოსფერული ეფექტის გამოხატულებად შეიძლება დასახულიყო და XX საუკუნის ოცდაათიანი წლების შემდეგ, მომდევნო, ევროპული დასაწყისის განვითარების მეორე მართვის მანის ცალფა ეფექტის ფაზაში სრული, პირდაპირი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის საფუძველზე ქართველი ერის ევროპულ ცივილიზაციაში ჩართვას არაფერი შეაფერხებდა, რაკი ეგეოსურ (კავკასიურ) ცივილიზაციაში, თვითონ ქართველი ერისთვის ეს მოვლენა XX ს. ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან ეგეოსური დასაწყისის განვითარების მესამე ფორმის მანის ცალფა ეფექტის ფაზის სახით დამდგარი, პასიურობის ეტაპის აცილების საშუალება იქნებოდა. მოვლენების ამ მიმართულებით განვითარების შემთხვევაში ეგეოსური და ევროპული ცივილიზაციების კონფლიქტი ვერ გადაიზრდებოდა ამის ამსახველ გლობალური მასშტაბის ისეთ მოვლენებში, როგორიც იყო 1929-33 წ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და 1939-45 წ. მეორე მსოფლიო ომი (იხ. ქვემოთ).

საბჭოეთის სივრცეზე ეგეოსური (კავკასიური) ცივილიზაციის გამარჯვების ფაქტს ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზაში არ შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ევროპულ ცივილიზაციაზე, რაკი ამით ნაგულისხმევ ძლევის მანის კლასის რუსი ერის აქტიურობის ლოკალურ გახანგრძლივებას შეიძლება მინიჭებოდა ნოოსფერული ეფექტის მნიშვნელობა, ე.ი. ამ ფაზაში საბჭოეთის სივრცე ეგეოსურ და ევროპულ ცივილიზაციათა თანაარსებობის არედ დადგინდა მხოლოდ. მაგრამ, როცა საბჭოეთზე განფენილ ეგეოსურ ცივილიზაციაში დაიწყო მორიგი, ანუ ეგეოსური დასაწყისის განვითარების მესამე ფორმის მანის ცალფა ეფექტის ფაზა (ოცინი წლების დასასრული – ოცდაათიანი წლების დასაწყისი), ეს გავლენა მკვეთრად საგრძნობი უნდა გამხდარიყო ევროპული ცივილიზაციისთვის, რამეთუ, საბჭოეთის სივრცეზე ამ ფაზის გამოხატულებად ფორმის მანის ცალფა ეფექტის ფენომენის განვითარებას ევროპულ ცივილიზაციაში ევროპული დასაწყისის განვითარების მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის მიმდინარეობაში (ოცინი წლების დასასრული ამ ფაზის შუა ეტაპს წარმოადგენდა) ფორმის მანის კლასის და ცხრომის მანის კლასის ერებს შორის პარიტეტის დარღვევა უნდა გამოეწვია. საბჭოთა

სახელმწიფოს გეოპოლიტიკური პოტენციალის ზეგავლენით პარიტეტის ეს დარღვევა, რაც ევროპულ ცივილიზაციაში ფორმის მანიის ერთა დაწინაურებაში უნდა გამოხატულიყო, ამ ცივილიზაციის არეზე უკვე საბჭოთა კავშირის გარეთაც ეგეოსური ცივილიზაციის განვითარების მნიშვნელობის მოვლენა იქნებოდა. ამრიგად, საბჭოეთის სივრცეზე ევროპული და ეგეოსური ცივილიზაციების თანაარსებობის დასრულების და ეგეოსური ცივილიზაციის მხოლოდობაში დაფიქსირებისთვის აუცილებელი იყო, აქ, რაკი სხვა სივრცე ამ ცივილიზაციას არ გააჩნდა, ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფენომენის ჩამოყალიბება ეგეოსური დასაწყისის განვითარების მესამე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის გამოხატულებად და როგორც მოსალოდნელი იყო ლოგიკურად, ამ პროცესის ინიციატორად კვლავ ქართველი ერი მოგვევლინა.

იოსებ სტალინმა ამ ეტაპზეც შეინარჩუნა მისი ლიდერის როლი, რაც მის მიერ ფუნქციონალური სტატუსის შეცვლას მოითხოვდა -- 1927-1929 წლებში ხელახალი ნაციონალიზაციისა და მასობრივი კოლექტივიზაციის პოლიტიკის მომზადებით და 1929 წლიდან ფაქტიური შემოღებით აღკვეთილ იქნა „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ სახით წარმოდგენილი ცხრომის მანიის ეფექტის განვითარება საბჭოეთზე, ხოლო პოლიტიკური ცენტრალიზაციის ტენდენცია, გამომხატველი ფორმის მანიის ეფექტისა, შენარჩუნებულ და გაღრმავებულ იქნა, რითაც სტალინი ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის ინიციატორად და პერსონიფიკაციად გარდაისახა.

მართვის მანიის კლასის ქართველი ერის და ძლევის მანიის კლასის რუსი ერის ლოკალიზაციის არეზე ფორმის მანიის ეფექტის განვითარებას ამ ერთა მხრიდან წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა, ნოოსფერული ეფექტის მიღწევისკენ მისწრაფების მნიშვნელობით, ამდენად, ახალ ფუნქციონალურ სტატუსში სტალინს საყრდენად ქართველ ბოლშევიკთა ახალი თაობა დასჭირდა (იხ. §6) , რომლის ლიდერად ლავრენტი ბერია მოგვევლინა. ხოლო, ქართველ ბოლშევიკთა პირველი თაობა რუსი და ქართველი ერების გარდაუვალი შევიწროების გამომხატველ, ოცდათიანი წლების რეპრესიებს შეეწირა. ქართული ელემენტის გარდა სტალინის ახალ საყრდენ ძალად უნდა ქცეულიყვნენ საბჭოეთის სივრცეზე მოქცეული ფორმის მანიის კლასის ერთა წარმომადგენელი ეთნოსები: სომხები, აზერბაიჯანელები და „თურანული სამყაროს“ სხვა ხალხები, უკრაინელები, თვისებრივ ტრანსფორმაციას გადარჩენილი ებრაელები, მოლდაველები, რაც მათი წარმომადგენლების დაწინაურებით აისახა, შესაბამისად: მიქოიანი, ბაგიროვი, ხრუშჩოვი, კაგანოვიჩი და მოგვიანებით ბრეჟნევი.

ევროპულ ცივილიზაციაზე ამ მოვლენის გავლენა თითქმის მყისიერი გამოდგა: საბჭოეთში ხსენებული შემოღებების დაწყებიდან ორ წელიწადში, 1929 წელს საბჭოეთის გარეთ მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, რომლის მთავარი მსხვერპლი ცხრომის მანიის კლასში დაწინაურებული, ამერიკელი ერი გახდა. ამ კრიზისს შედარებით იოლად გადაურჩნენ ფორმის მანიის კლასის ერები, რომლებიც მის დასრულებამდე (1933 წ.) ერთბაშად დაწინაურდნენ მსოფლიოს ასპარეზზე, განსაკუთრებით გამოიკვეთა გერმანიის და იაპონიის წარმატებები. ფორმის მანიის კლასის ერების სასარგებლოდ პარიტეტის დარღვევის ეს ტენდენცია მიუთითებს ევროპული და ეგეოსური ცივილიზაციების ურთიერთმიმართების 20-იანი წლების დასაწყისიდან არსებულის საპირისპიროთი შეცვლაზე - მაშინ კავკასიური ცივილიზაციის არსებობის არე (საბჭოეთი) იყო მათი ურთიერთგადაფარვის არე, ახლა კი საბჭოეთის სივრცე გამოეცალა ევროპულ ცივილიზაციას

და უკვე დანარჩენი მსოფლიო იქცა ურთიერთგადაფარვის არედ. ის, რომ საბჭოეთის სივრცის გარეთ ევროპული ცივილიზაცია აგრძელებდა არსებობას, ე.ი. რომ გრძელდებოდა ევროპული დასაწყისის განვითარების მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაცია, ასახულია გერმანიის და იაპონიის მილიტარისტული და სტრატეგიულად საბჭოეთის წინააღმდეგ გამოზნულ, ექსპანსიონისტური პოლიტიკის ცხრომის მანიის კლასის ამერიკელი, ფრანგი და ინგლისელი ერების მხრიდან მყარ მხარდაჭერაში 1931-39 წლების მანძილზე (ორმაგი ეფექტის ფენომენი).

ევროპული ცივილიზაციის არეზე (საბჭოეთის სივრცის გარეთ), ეგეოსური (კავკასიური) ცივილიზაციის გაფართოების ეს მასშტაბური აქტი ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეოთხე ორმაგი-ეფექტის ფაზის დამაგვირგვინებელ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, ამრიგად ეგეოსური დასაწყისის განვითარების მესამე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დასაწყისის თარიღად შეიძლება დავასახელოთ 1929 წელი. 1930 წელი კი საბჭოეთის სივრცეზე ევროპული ცივილიზაციის არსებობის საბოლოოდ აღკვეთის თარიღია (სტალინის მიერ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნების უკანასკნელი მცდელობის, „მემარცხენე ამბოხის“ აღკვეთა)

ფორმის მანიის კლასის ერები უცხოს შეუწყნარებლობით ხასიათდებიან, ამდენად, ტერიტორიული პრობლემების არსებობის შემთხვევაში მათ შორის კავშირის დამყარება შეუძლებელია ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზებში და 30-იანი წლების მოვლენებს მთელ მსოფლიოს მასშტაბით გააჩნდათ ეს ასპექტიც, რასაც ასახავს ევროპაში ჩეხეთისა და პოლონეთის და ებრაელთა დიასპორის; აზიაში კი, ჩინეთის და კორეის ხვედრი. მაგრამ ამგვარი პრობლემების არ არსებობის პირობებში მათ შორის კავშირი საკმარისად მყარი უნდა იყოს ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის რეალიზაციისათვის აუცილებელ, ამ თვისებრივი ტიპის ერთა, არსით ლოკალურ ფენომენტა ჰეგემონიის უზრუნველსაყოფად. საწყის ეტაპზე გერმანია-იტალია-იაპონიის სტრატეგიულ კავშირს შეუერთდა ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენიც, რაც გერმანიას და იაპონიას ტერიტორიული შენამენების მაქსიმალურად შენარჩუნების პირობას უქმნიდა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, საბჭოეთის გარეთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ჰქონდათ მეორე ასპექტიც ევროპული ცივილიზაციის არსებობის გაგრძელებასთან დაკავშირებული, რამაც ჩაშალა ეს კავშირი. ეს მოვლენა ევროპული დასაწყისის განვითარების მეორე მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის ევროპულ ცივილიზაციაში მართვის მანიის ერთა დაკნინებული მდგომარეობის ხელშეწყობით, მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი გზით, საბჭოეთის სივრცეზე ევროპულ ცივილიზაციის ახლად განფენით მიღწევად გაფართოების აქტით რეალიზაციის მცდელობის გამოხატულება იყო. ევროპულ ცივილიზაციაში მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის დასასრულად 1941 წ. საბჭოეთში გერმანიის ინტერვენციის დასაწყისის თარიღი უნდა მივიჩნიოთ. პირველი ეტაპი მეორე მსოფლიო ომისა (1939-1941 წ.) ფორმის მანიის ეფექტის სასარგებლოდ წონასწორობის დარღვევის გაღრმავებას წარმოადგენდა, რაც ევროპულ ცივილიზაციის არეზე მასთან ეგეოსური ცივილიზაციის თანაარსებობას და ჰეგემონურ ფაქტორად გადაქცევას ასახავდა მხოლოდ. 1941 წლიდან საბჭოეთის სივრცეზე გარკვეული გავლენა მოიპოვეს ინგლისელმა და ამერიკელმა ერებმა, რაც ევროპული ცივილიზაციაში ნოოსფერული ეფექტის საბჭოეთის სივრცეზე გადატანის მცდელობად ანუ, ასევე მის გაფართოებად წარმოგვიდგება. მაგრამ, 1943 წ. გერმანიის წარმატებული ექსპანსია შეუქცევადი უკუქცევით შეიცვალა, ხოლო ამერიკის და ინგლისის დახმარებამ დაკარგა

არსებითი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისთვის, რაც ნიშნავს იმას, რომ ევროპულ ცივილიზაციაში ევროპული დასაწყისის განვითარების მეორე მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის რეალიზაციის პროცესი ჩაიშალა. ეს კი ამ ცივილიზაციის არსებობის დასასრულის ტოლფასია. ამ გარემოების ერთ-ერთი შედეგია ევროპული კოლონიური იმპერიების, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნიმუშით ორმაგი ეფექტის ფენომენთა (ცხრომის მანიის და ფორმის მანიის ეფექტთა თანხვედრა), ელვისებური ლიკვიდაციის ფაქტი: 1947 წელს განთავისუფლდა ინდოეთი, 1949 წელს ჩინეთი...

ეგეოსური დასაწყისის განვითარების მესამე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა დასრულდა ორმოციანი წლების მიწურულს (როგორც ვხედავთ ისიც ოცწლიანი აღმოჩნდა) მორიგი ფაზა უკვე მთელს მსოფლიოზე მხოლოდობაში განფენილ ეგეოსურ ცივილიზაციაში მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზაა, რაც ქართულ-რუსული ორმაგი ეფექტის ფენომენის აღდგენაში შეიძლებოდა გამოხატულიყო და რაც მისი სივრცის ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენისგან განთავისუფლების ტენდენციის წარმოშობაში უნდა ასახულიყო. ამ ტენდენციის პერსონიფიკაციად წარმოგვიდგება ლავრენტი ბერია (თუმცა ცნობილია, რომ ახალი ფაზის დადგომით აუცილებელ ფუნქციონალური სტატუსის შეცვლის მცდელობა სტალინის რეფორმისტული ინიციატივების ფაქტშიც დაფიქსირდა). მაგრამ მან ჯეროვნად ვერ გაითვალისწინა საბჭოეთის სივრცეზე მოქცეულ ფორმის მანიის კლასის ერების მხრიდან მოსალოდნელი წინააღმდეგობა ამ ერების ისტორიით წარმოდგენილ ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის გამოხატულებად მისაღებ, ფორმის მანიის ეფექტის უნივერსალური საბჭოთა ფენომენის (რაც ასახულია იმ ფაქტში, რომ საბჭოთა კავშირის სივრცეზე მოქცეულ ფორმის მანიის ერთათვის მეცნიერების ენად რუსული ენაა დაფიქსირებული დღემდე) მოხსნის მიმართ და მისი დამარცხების შემდეგ ხსენებული ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციის პროცესი წარიმართა ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის შენარჩუნებით ძლევის მანიის რუსი ერის აქტივობის მისი გაფართოების ამოცანისადმი დაქვემდებარების გზით, რაც ქართველი ერის თვითრეალიზაციის აღკვეთის შესაძლებლობას გულისმობდა - გლობალური მნიშვნელობის მქონე გაფართოების ეფექტი მართვის მანიის ერის (ქართველი ერი) დანაკლისის კომპენსირების საშუალებას იძლეოდა (ამან განსაზღვრა ამ ფაზაში საბჭოთა კავშირის უკიდურესი აგრესიულობა). ქართველი ერი ფაქტიურად უფუნქციო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის გაფართოება ძლევის მანიის კლასის რუსი ერის ძალისხმევით რუს ერს თვითგაფართოებად შეიძლება დასახვოდა, რაც მისი მხრიდან მართვის მანიის კლასის ერთან თანამშრომლობაზე მოთხოვნილების მოხსნას უზრუნველყოფდა. ამ საკითხში ურთიერთიგივეობა არ გამორიცხავდა კონფლიქტის მომენტს რუს ერსა და ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენს შორის გაფართოების სუბიექტის როლისთვის. ეს უმაღლეს გამოხატულებაში მალენკოვ-ხრუშჩოვის გუნდის და ხრუშჩოვ-ბრეჟნევის გუნდის დაპირსპირებაში აისახა.

მართალია, ეგეოსური ცივილიზაცია ამ დროს მთელს მსოფლიოზე იყო განფენილი, მაგრამ ამ ცივილიზაციის გაფართოების ეფექტი მიღწევადი იყო მის სივრცეზე მასში შემავალ ერთა ისტორიით წარმოდგენილ „ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების“ მეოთხე საფეხურის მიღწევით გამოხატულ ახალი მდგომარეობის დამყარებულობის არეალის გაფართოების მნიშვნელობით. ეს ახალი საფეხური ეგეოსური

დასაწყისის განვითარებას მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზის დასაწყისისთვის მიღწეული იყო დასავლეთის სამყაროს მოწინავე ერების და ქართველი და რუსი ერების ფენომენურ განვითარებაში, ხოლო ამ ფაზის მიმდინარეობაში ამგვარივე გარდასახვა განიცადა იაპონიამ, ჩინეთმა, სადაც პროცესის სტიქიურობა მკაფიოდ დაფიქსირდა 60-იანი წლების „კულტურული რევოლუციის“ ფენომენის სახით. ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზის გამომხატველი ეს პროცესი ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის ევროპაზე და ინდოჩინეთზე გაფართოებით, „მსოფლიო სოციალისტური სისტემის“ ჩამოყალიბების ფაქტშია ასახული. შემდგომი ეტაპი ამ გაფართოების კარიბის კონფლიქტისა და კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის გაღრმავების გამომხატველ პროფკავშირული მოძრაობის (განვითარებულ ქვეყნებში) და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში გამოიხატა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სივრცეზე. კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის გაღრმავებას წინ ეღობებოდა აშშ, რაც ნოოსფერული ეფექტის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ, ამასთანავე, რაკი მათი ბრძოლის არენა იყო ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მესამე (რელიგიის) საფეხურზე მდგომ ერთა მიერ დაკავებული სივრცე, ამერიკის, როგორც ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის სათანადო ცხრომის მანიის ეფექტის უნივერსალური ფენომენის გავლენის არეალის გაფართოება, ეგეოსურ ცივილიზაციაში გაფართოების ეფექტის რეალიზაციას წარმოადგენდა. ეს არა გაცვლითი, სავაჭრო ურთიერთობების, არამედ სამხედრო ძალის გამოყენებით და ბუფერის ფუნქციის რეალიზაციით ხდებოდა (50-იანი წლების კორეის და 60-იანი წლების ვიეტნამის კონფლიქტები და ამერიკული სამხედრო აქციები ლათინურ ამერიკაში), რაც ძლევის მანიის ეფექტს გამოხატავს, ამდენად ამ მოვლენაშიც ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზის გამოხატულება ფიქსირდება.

ძლევის მანიის ეფექტი, უპირატეს გამოხატულებაში ფორმის მანიის კლასის კონკრეტულ ერთან არასოცირებული ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის სხვადასხვა ერებზე მათი ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის გამოხატულებად მისი გავრცელების და ამდენად, ურთიერთგაიგივების გზით ხორციელდებოდა (ევროპის სოციალისტური ქვეყნები, კუბა, ანგოლა, ვიეტნამი, ჩრდილოეთ კორეა, ნიკარაგუა...).

აღსანიშნავია, რომ ამერიკის და საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებაში გამოხატული ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის დადგომის დაფიქსირება, ამ გავლენის ობიექტ ერთა ფენომენურ განვითარებაში მიღწეულ მდგომარეობად ვერ იქცა, უმეტეს შემთხვევაში. ამაშია ასახული ცივილიზაციის თანადროული ფაზით განპირობებულობა ამ გავლენის გავრცელებისა და როცა ეს ფაზა დასრულდა, მორიგ ფაზაში, თანდათანობით, გარეგანი გავლენის მოხსნასთან ერთად, ახალი საფეხურის გამომხატველი ნიშნებიც მოიხსნა. ამის მკაფიო მაგალითია ირანი (1979 წ. ისლამური რევოლუცია).

ამ ფაზის მიმდინარეობაში გლობალური მნიშვნელობის გაფართოების ეფექტის განცდის შექმნა შეეძლო გამოეწვია კოსმოსის ათვისებაში გადადგმულ პირველ წარმატებულ ნაბიჯებს, რაც ადამიანის საარსებო სივრცის სწრაფი გაფართოების ილუზიას უწყობდა ხელს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს, 50-იანი წლების დასაწყისში შემოდის და მკვიდრდება მასობრივ კულტურაში „ამოუცნობი მფრინავი ობიექტის“ ფენომენი, რაც ასევე გაფართოების

აქტის განცდისკენ მიმართული სტიქიური, მასობრივი სწრაფვის ასახვაა და ხსენებული ფაზის ლოგიკას შეესაბამება.

ქართველი ერის პირდაპირი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის შეზღუდვა უნდა ასახულიყო ქართული სამეცნიერო წრეების საზოგადოებრივი აქტიურობის უკიდურესად შეზღუდვაში, ამ მდგომარეობამ ქართველი ერი საბჭოთა სახელმწიფოებრიობისგან სრულ გაუცხოებაში და საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების ალტერნატიულ ინსტიტუტზე მოთხოვნილებაში ჩააგდო. ეს ფუნქცია, პოლიტიკური მოძრაობის ჩასახვის აღსაკვეთად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით „კანონიერი ქურდების“ კრიმინალურ ინსტიტუტს დაეკისრა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ორმოცდაათიანი წლებიდან ამ ინსტიტუტის გავლენა მასში ნაწილობრივ ქართული ტრადიციული სამართლის პრინციპების აქტუალიზაციით, საქართველოში გასცდა საპყრობილეთა ფარგლებს და ქართველებს შორის უპირატესი სასამართლო პრაქტიკის ინსტიტუტად იქცა.

ევროპული დასაწყისის განვითარების პროცესის ჩაშლა ევროპული დასაწყისის განვითარების მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში ევროპულ ცივილიზაციის ცხრომის მანიის და ფორმის მანიის კლასის ერების არსებობის შენარჩუნების შესაძლებლობას ქმნიდა: ეს ფაზა ნოოსფერული ეფექტის ობიექტებად მათი დადგენილობის აღმნიშვნელი იყო, ამდენად, ეგეოსურ ცივილიზაციაში მოქცევა მათს მდგომარეობას არსებითად არ ცვლიდა, აძლევდა დროს ახალ ცივილიზაციაში ადაპტაციისთვის. უკვე მთელს მსოფლიოზე მხოლოებაში განფენილ ეგეოსურ ცივილიზაციაში ნოოსფერული ეფექტის განხორციელების გამომხატველად წარმოგვიდგება: ჩინეთის, ისრაელის, იაპონიის და სხვა სახელმწიფოთა აღორძინება 50-იან წლებში (ფორმის მანიის ეფექტის ფენომენები), საფრანგეთისა და ჰოლანდიის აღორძინება, ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და 50-60-იან წლებში დასავლეთის სამყაროში თავისუფლების აპოლოგიის იდეოლოგიის გამომხატველი მასობრივი მოძრაობების განვითარება (პოპ კულტურა, ჰიპების და სხვა ახალგაზრდული მოძრაობები, „სექსუალური რევოლუცია“) (ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენები).

ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენისადმი ძლევის მანიის კლასის მოწინავე წარმომადგენლის, რუსი ერის დაქვემდებარებულობა და საბჭოთა სამეცნიერო ელიტაში რუსების გვერდით მართვის მანიის კლასის ქართველი ერის წარმომადგენლების დასაქმებულობა განაპირობებდა ამ ფაზაში მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სტრატეგიული უპირატესობის განმსაზღვრელ დარგებში საბჭოთა იმპერიის დაწინაურებულობას. ამ მიმართულებით აშშ-მ ინიციატივის მოპოვება მოახერხა მხოლოდ 1969 წლიდან (წარმატებული პილოტირებული ექსპედიციები მთვარეზე) ეს ნიშნავს იმას, რომ სამოციანი წლების მიწურულს, ეგეოსური ფარული დასაწყისის განვითარებაში ახალი ეტაპი, მესამე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა დაიწყო, რაც წინა ფაზაში ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენთა მიმართ მიღწეული ნოოსფერული ეფექტის ესტაფეტური განვითარება იყო და ამერიკელი ერის უაღრეს დაწინაურებაში და ეკონომიკურ გლობალიზაციის ტენდენციის ჩამოყალიბებაში აისახა. ამერიკის საერთაშორისო აქტიურობაში მთავარი მექანიზმის როლში მისი სამხედრო ინსტიტუტი შესცვალა მისმა ფინანსურმა ინსტიტუტმა. პოლიტიკის სფეროში ამ გარდატეხის მაჩვენებელია 1968 წ. „პრადის გაზაფხულის“ სახელით ცნობილი მოვლენები; მათზე მსოფლიო სოციალისტური სისტემის აგრესიული რეაქცია და ამ ფონზე 1969 წლიდან დასავლეთის ინტელექტუალურ

ელიტაში მემარჯვენე, კომუნისტური იდეების ჰეგემონიის (რასაც თვითონ ამერიკაშიც 50-60-იან წლებში ფიზიკური რეპრესიების გარდა ვერაფერი დაუპირისპირეს) პერიოდის დასასასრულის დემონსტრაცია.

რაკი ძლევის მანიისა და მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიებისთვის ეს იყო მოლოდინის ეტაპი, ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენს ქართველი ერის შესავიწროებლად რუსი ერის გამოყენების შესაძლებლობა გამოეცალა. მეტიც, ეს ორი ერი ნოსოფერული ეფექტის რეალიზაციის მცდელობაში შეიძლება მას ერთად დაპირისპირებოდა, რაც ასახულია სამოცდაათიანი წლების შუახანებიდან ქართველებისთვის საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ცენტრალურ ინსტიტუტებში დაშვების აღკვეთილობის მოხსნაში, რისი დემონსტრაციაც ედუარდ შევარდნაძის სწრაფი დაწინაურებაა, ხოლო მის პარალელურად მიხეილ გორბაჩოვის ასეთივე სწრაფი წინსვლა მათ შორის კავშირის არსებობას და საბჭოეთის სივრცეზე მოქცეული ფორმის მანიის კლასის ერთა წინააღმდეგობის დაძლევის ტენდენციას გამოხატავს, რის შედეგადაც ამ ფაზის მიწურულს ე. შევარდნაძე აღმოჩნდა მომდევნო ფაზის რეალიზაციის ალტერნატივების არჩევაზე მის მიერ უდიდესი ზეგავლენის გატარების შესაძლებლობის პირობებში.

რაკი, ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენი ხსენებული ტენდენციის მიუხედავად, ჯერჯერობით აგრძელებდა არსებობას (მისი თავადცვითი რეაქცია ძლევის მანიის კლასის რუსი ერისთვის ნოსოფერული ეფექტის რეალიზაციის არის საბჭოეთის სივრცის მიღმა გადატანის მცდელობის გამოხატუვლ, 1979-89 წლების ავღანეთში გაჩაღებული კონფლიქტის ფენომენში აისახა) მორიგი ფაზა, რომელიც არის ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზა, შეიძლება განხორციელებულიყო წინა ორმაგი ეფექტის ფაზის მსგავსადვე, ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის გაფართოების ამოცანისადმი რუსი ერის დაქვემდებარებით და მართვის მანიის კლასის ქართველი ერის პირდაპირი თვითრეალიზაციის აუცილებლობის მოხსნით (რაც არ ნიშნავს მაინცდამაინც კანონგარეშედ მის დაყენებას); ამდენად, მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზის დადგომა მისი რეალიზაციის ორმაგი ეფექტის ქართულ-რუსული ფენომენის და ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის სათანადო ალტერნატივათა კონფლიქტში უნდა ასახულიყო და სწორედ ეს არის საბჭოთა კავშირის გავლენის სივრცეში 1989-91 წლების მოვლენათა არსი. ამ კონფლიქტის შედეგი კი მაშინდელ ვითარებაში დიდად იყო დამოკიდებული ე. შევარდნაძის პოზიციაზე, რამეთუ, ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის გაფართოების შესაძლებლობა რელიგიის საფეხურზე მდგომ ფორმის მანიის კლასის სხვა ერთა ფენომენური განვითარების მორიგი ეტაპის საერთო გამოხატულების მნიშვნელობით ამ პროცესის ინიციატორად ერთი არარუსი პიროვნების დადგენას მოითხოვდა, ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის წმინდად რუსულ მოვლენად ჩამოყალიბების ანუ მის სხვა ერებზე მათი ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის გამოხატულებად გავრცელების შესაძლებლობას უკიდურესად შეზღუდვის, პერსპექტივის აღსაკვეთად. საბჭოთა კავშირის, ე.წ. გარდაქმნის პოლიტიკასთან დაკავშირებული უკანდახევა (1986-89 წ), ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის შევიწროებას გამოხატავდა და ამ პოლიტიკის შედეგი შეიძლება ყოფილიყო ევროპის ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის დაწყება. ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში ამ პროცესისადმი დიდი წინააღმდეგობის გაწევა საბჭოეთში ნაკლებად იყო შესაძლებელი, მაგრამ ახალი ფაზის დადგომით, ამგვარი უკანდახევის შედეგად საერთაშორისო იმიჯის დადებითი ცვლილება

(საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის მიხედვით - იხ. §7) წარმატებით შეიძლებოდა გამოყენებულიყო საბჭოთა გავლენის ახალი მიმართულებით გავრცელებისათვის. საბჭოთა საგარეო ექსპანსიის ფენომენური განვითარების მესამე საფეხურზე მყოფ ერთა ლოკალიზაციის არეებისკენ მიმართვა ამ მოვლენას ცივილიზაციაში გაფართოების ეფექტის მნიშვნელობას მიანიჭებდა.

ამრიგად, ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეექვსე ორმაგი ფაზის რეალიზაციის ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის შენარჩუნების შესაბამისი ალტერნატივის სათანადო ორიენტაციის არჩევის შემთხვევაში ე. შევარდნაძე, მისი საერთაშორისო იმიჯის და ეროვნული კუთვნილების გათვალისწინებით, 1991 წლის აგვისტოს სამთავრობო გადატრიალების ხელმძღვანელი ორგანოს ე. წ. საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის ლიდერად უნდა გვეხილა და ამ ორგანოს მიერ ხელისუფლების აღება უფრო ადრე, ალბათ 1989 წელსვე მოხდებოდა რაიმე ხილული სახელისუფლებო კრიზისის გარეშე: ყარაბაღში, სუმგაითში, ფერგანასა და აფხაზეთში პროვოცირებულ ეთნოკონფლიქტების შედეგად საბჭოეთის მოსახლეობა და მსოფლიო საზოგადოება შემზადებული იყო საბჭოეთში რეფორმების გარდამავალ პერიოდში სტაბილურობის უზრუნველ-საყოფად ხელისუფლების დროებითი გამკაცრებისთვის. ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის გაფართოების მიმართულება მონიშნული იყო ეგეოსური დასაწყისის განვითარების წინა ფაზაში ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის თავდაცვითი რეაქციის საფუძველზე ძლევის მანიის კლასის რუსი ერისადმი ნოოსფერული ეფექტის რეალიზაციის გამოხატულებად, ავღანეთში განხორციელებული საბჭოთა სამხედრო აქციებით.

ავღანეთში საბჭოთა წყობილების ჩამოყალიბება და პაკისტანის ტერიტორიდან მის წინააღმდეგ წარმოებული პარტიზანული ომი საკმარის საფუძველს ქმნიდა პუშტუნთა ეთნოსების ერთ სახელმწიფოში გაერთიანების ლოზუნგით, ევროპიდან ჯარების გამოყვანის ერთდროულად, პაკისტანში ავღანეთის ინტერვენციის გზით ავღანეთის სახელმწიფო სტრუქტურების პაკისტანზე გავრცელებისთვის, რასაც ინდოეთის და ერაყის მხრიდან მხარდაჭერა უზრუნველყოფილი ჰქონდა; ერთდროულად დაიწყებოდა, უფრო მასშტაბური და საბჭოეთის მხარდაჭერის გათვალისწინებით სამხედრო ჩარევით აღუკვეთელი იქნებოდა ერაყის ექსპანსია არაბულ სამყაროში, რაც დასავლეთის სამყაროს ნავთობის კატასტროფულ დეფიციტში ჩავარდნის ასაცილებლად ერაყთან სავაჭრო კონტაქტის გაგრძელებას აიძულებდა; პაკისტანის საზღვაო პორტების საბჭოეთის ხელში ჩაგდება აღკვეთდა ამერიკის დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობას პაკისტანში მოწინააღმდეგე ძალებისთვის. ამ პროცესს მოჰყვებოდა არაბულ სამყაროში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, ინდო-ჩინეთში პროსაბჭოთა ძალების გააქტიურებაც, რაც მოვლენათა განვითარებას ამ მიმართულებით პრიორიტეტულ ალტერნატივად აქცევდა. მაგრამ ე. შევარდნაძის მოქმედება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შინაარსის მიხედვით, მისი ხელმძღვანელობის პერიოდში, იმთავითვე მიმართული სჩანს ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის ლიკვიდაციისკენ და ამდენად, ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზის ქართულ-რუსული ორმაგი ეფექტის ფენომენის სათანადო ალტერნატიული გზით რეალიზაციისკენ მისწრაფებას გამოხატავს, რაც ასახულია ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის უკიდურესად დაჩქარებაში.

ე. შევარდნაძის პოზიციის გავლენით ორმაგი ეფექტის ქართულ-რუსული ფენომენის გააქტიურების შედეგად, რაშიც უკანასკნელ ეტაპზე რუსი ერის ლიდერის როლში მიხეილ

გორბაჩოვს ბორის ელცინი ჩაენაცვლა (გორბაჩოვმა ფუნქციონალური სტატუსი შეიცვალა) ქართველი და რუსი ერების თვითრეალიზაციის ხელშეშლელი, ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის ლიკვიდაცია ისტორიულ ფაქტად იქცა იურიდიულად - 1991 წელს, ფაქტიურად კი, უფრო ადრე - 1989 წელს.

ეს მოვლენა ეგეოსური დასაწყისის განვითარების მორიგი, ანუ მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზის დადგომის მაუწყებელი იყო, ე.ი. ამჯერად რუსი და ქართველი ერები იმყოფებიან დაწინაურების მაქსიმალური შესაძლებლობის პირობებში, მაგრამ ეს მიღწევადია მხოლოდ ორმაგი ეფექტის ფენომენის მნიშვნელობით მათი შეთანხმებული მოქმედების შემთხვევაში, რაც კავკასიაში, რუსი ერის მიერ ქართველი ერის ინტერესების დაცვის საკუთარი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად გადაქცევის გზით არის შესაძლებელი. რუსი ერი კი დღეს, რუსეთის სახელმწიფოს, როგორც „ფორმის მანიის ეფექტის ახალი რუსული ფენომენის“, გაფართოების მიღწევით მსოფლიო ასპარეზზე ქართველი ერის შესაძლო გავლენის ჩანაცვლების მცდელობაშია.

ამ მისწრაფების სათანადო ფუნქციონალური სტატუსის განვითარება გახდა გორბაჩოვის მიერ ინიციატივის დათმობის მიზეზი, მაგრამ შემდეგ ელცინმაც იგივე გარდასახვა განიცადა და დღეს მისი მემკვიდრე, ვლადიმერ პუტინიც იგივე ფუნქციონალურ სტატუსს მისდევს. ამ სტაბილურ ტენდენციას საფუძვლად აქვს ის გარემოება, რომ ფორმის მანიის ეფექტის ფენომენი რუსეთში, ემყარება ხელისუფლების (ჩინოვნიკობის) ცენტრალიზებულ ინსტიტუტს, რომელიც იქვემდებარებს ძლევის მანიის რუს ერს. რუსი პოლიტიკოსები, ამ ინსტიტუტისადმი დაპირისპირებულობის პირობებშიდა წარმოდგენენ რუს ერს. ხელისუფლების სათავეში მოსვლა ხელისუფლების ცენტრალიზებული (ჩინოვნიკური) აპარატის განადგურების გარეშე, ამ აპარატის სტრუქტურის მწვერვალზე დგომის და ამდენად, ფორმის მანიის ეფექტის ფენომენში ასიმილაციის აღმნიშვნელია. ცხადია ამ სტატუსში ჩავარდნილი პიროვნება რუსი ერის წარმომადგენელი ვერ იქნება.

საბჭოთა კავშირის დაშლა მის მემკვიდრე ახალ რუსულ სახელმწიფოში ხელისუფლების ცენტრალიზებული ინსტიტუტის შენარჩუნების პირობებში, ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის ფორმის მანიის ეფექტის ახალ რუსულ ფენომენამდე შეკუმშვის აქტად იქცა. კუმშვა ძლევის მანიის ეფექტის სივრცითი ასპექტია, ამდენად, ამ აქტით ახალი ფაზის საწყის, მაქსიმალურად ინტენსიურ ქმედებათა ეტაპზე ძლევის მანიის კლასის რუსი ერის აქტიურობის აუცილებლობა მოიხსნა, რაც მის მიერ მსოფლიო ცივილიზაციაში ინიციატივის დაკარგვის საფუძველია.

ქართველი ერის ფუნქციის იგნორირების საკითხში ურთიერთთავსებადობა ფორმის მანიის ეფექტის ახალ რუსულ ფენომენსა და რუს ერს შორის ამჯერადაც არ გამორიცხავს გაფართოების სუბიექტის ანუ ინიციატორის როლზე მათ შორის კონფლიქტს, რაც გორბაჩოვ – იანაევის გუნდის, ელცინ – ხაზბულატოვის გუნდის დაპირისპირებებში აისახა.

ე. შევარდნაძის პოზიცია ხსენებულ ალტერნატივათა კონფლიქტში შეესაბამებოდა ქართველი ერისთვის პირდაპირი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის გახსნას, მაგრამ ქართველი ერისგან მხარდაჭერის მიღება, ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის შენარჩუნების სათანადო ალტერნატივის (უფრო ზუსტად მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი გზით, ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის გაფართოებით რეალიზაციის) ინიციატორებსაც შეეძლოთ, მათ მიერ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების (მაგ. ზაქათალის ოლქი) კუთვნილების საკითხში მეზობელ სახელმწიფოებთან

არსებული პრობლემების აქტუალიზაციის და ქართველი ერის მხარდამჭერი პოზიციის მკაფიო დემონსტრირებით, რასაც შეესაბამებოდა ე. შევარდნაძის დაშვებაც ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის პერსონიფიკაციის როლზე.

რუსეთის მესვეურთა არაოპტიმალური ქცევით (რასაც იგივე საფუძველი აქვს რაც მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზაში ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის შენარჩუნებას: ფორმის მანიის კლასის ერთა, ამჯერად ძირითადად სომეხთა და თვისებრივ ტრანსფორმაციას გადარჩენილ ებრაელთა წინააღმდეგობა კონკრეტულ ერზე არაპერსონიფიცირებულ ფორმის მანიის ეფექტის ახალი რუსული ფენომენის ლიკვიდაციისადმი) წარმოშობილ ძლევის მანიის ეფექტის დეფიციტს ავსებს აშშ-ის სამხედრო ინსტიტუტის საერთაშორისო აქციები მაგ, ერაყ-ქუვეითის და ბალკანეთის კონფლიქტებში და ავღანეთში. აქ აშშ-ის პოლიტიკა 50-იან წლებში კორეაში და 60-იან წლებში ვიეტნამში მისი პოლიტიკის განმეორებაა და ბუფერული ძალის ფუნქციის შესრულების მცდელობაში გამოიხატება. აშშ-ის წარმატებები მისით წარმოდგენილ, ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის სათანადო, ცხრომის მანიის ეფექტის უნივერსალური ფენომენის გაფართოების მნიშვნელობით მართვის მანიის არაპირდაპირი ეფექტის რეალიზაციასაც გვაძლევს. დღეს გაფართოების გლობალური მნიშვნელობის ეფექტის რეალიზაციის შესაძლებლობა იგივე საფუძველს ემყარება, რასაც წინა ორმაგი ეფექტის ფაზაში - მსოფლიო ცივილიზაციის განფენის არის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ მითოსის და რელიგიის ეტაპზე მდგომი ერების მიერაა დაკავებული.

1979-89 წლების ავღანეთის კონფლიქტში ამერიკა ცივილიზაციაში აღწერილი მექანიზმით გაფართოების ეფექტის გამომრიცხავ, რელიგური ექსტრემიზმის გაღვივების ხელშეწყობის პოლიტიკას ატარებდა, დღეს კი ის ერაყსა და იმავე ავღანეთში რელიგიის ინსტიტუტების პოლიტიკური ფუნქციის გაუქმების მცდელობაშია, მაგრამ ცხადია, რომ ამ პოტენციის საფუძველზე მიმდინარე ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაცია არ არის ოპტიმალური გზა ცივილიზაციის განვითარებისათვის.

როგორც მოსალოდნელია, არსებულ ვითარებაში რუსეთის მესვეურთა მიერ სტრატეგიულ მოკავშირედ კავკასიაში არჩეულია არა ქართველი, არამედ, ფორმის მანიის კლასის სომეხი ერი, ხოლო იმავე თვისებრიობის სხვა ერის წარმომადგენელი აზერბაიჯანელი ეთნოსი სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ არის დასახული, მის „ფორმის მანიის ეფექტის ახალი რუსული ფენომენის“ ყოფილ საბჭოეთის სივრცეზე და შემდგომ მის გარეთ ხელახლად გაფართოების ხელშემშლელ ფაქტორთან ასოცირებულობის საფუძველზე. ეს ფაქტორი თურქეთის, შუააზიის, კავკასიის, რუსეთისა და ირანის სივრცეში ლოკალიზებულ, თურქული ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ეთნოსების ანუ თურანული სამყაროს ფორმის მანიის კლასის ერთიან ერად კონსოლიდაციის ტენდენციის ანუ „დიდი თურანის იდეის“ რეაქტუალიზაციის ფაქტში მდგომარეობს. ერთადერთი პრობლემა, რომელიც აფერხებს ამ ტენდენციის გაღრმავებას, თურქეთსა და აზერბაიჯან - შუა აზიას შორის საკონტაქტო ეთნოდერეფნის არარსებობაა, რაც საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის უაღრესი აქტუალიზაციის პირობაა.

XX საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების შუა ხანებისთვის სოხუმისა და ცხინვალის მარიონეტული სეპარატისტული რეჟიმების მეშვეობით საქართველოზე ეფექტური ზეწოლისა და საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევაზე პირდაპირი საერთაშორისო პასუხისმგებლობის აცილებადობის დემონსტრაციით რუსეთმა მკაფიოდ დააფიქსირა

თავისი პოზიციის სიმყარე ამიერკავკასიაში. ეს ფაქტი გახდა თურქეთში 1995 წლის არჩევნებში ფუნდამენტალისტური ძალების გამარჯვებით გამოხატული ფორმის მანიის ეფექტის სათანადო სულისკვეთების შემდგომი გაქანების აღკვეთისა და მალევე ჩაცხრომის საფუძველი. მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შედეგად კავკასიის გარშემო გეოპოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა - არაბული სამყაროს ერთიან ერად რეკონსოლიდაციის ტენდენციის გაღრმავების პირობებში, არაბულ ნავთობზე დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი დასავლეთის სამყაროსთვის სტრატეგიულ საფრთხედ იქცა, რომლის მოხსნა ნავთობის იმავე სიმძლავრის ახალ წყაროს შეუძლია. ამის საფუძველზე კასპიის რეგიონიდან ნავთობისა და ბუნებრივი აირის არაბულ სამყაროსთან ტრადიციული სტრატეგიული კავშირის მქონე რუსეთის გვერდის ავლით დასავლეთისკენ ტრანზიტის უზრუნველყოფამ ამერიკისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა, რაც საქართველოს სატრანზიტო პოტენციალს ახალ აქტუალურობას ანიჭებს (ეს მსოფლიოს სტაბილურობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაცაა). საქართველოზე რუსეთის დესტრუქციულ გავლენას ახლა უკვე ამერიკის სტრატეგიული ინტერესები ეღობება წინ. დიდი თურანის იდეას, როგორც ანტიჩინურ (აღმოსავლეთ თურქესტანის საკითხი), ანტიირანულ, ანტირუსულ, ანტიარაბულ და ერთიანი ანტიამერიკული ისლამური ფრონტის ჩამშლელ ფაქტორს, არსებითი მხარდაჭერა მოეწოდება ამერიკისგან. მაგრამ ეს გარემოება გლობალური ცივილიზაციის სტიქიურობის პირობებში წონასწორობის დამყარებას არ უწყობს ხელს, რადგან საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის რეალიზაციით ახალ ბიძგს შეიძენს „თურანული სამყარო“ კონსოლიდაციის ტენდენცია, რაც 2002 წლის არჩევნებში თურქეთში კვლავ ფორმის მანიის ეფექტის სულისკვეთების მატარებელ ძალთა გამარჯვების ფაქტშიც აისახა უკვე. ამდენად, რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლა მსოფლიოში დღემდე გაბატონებული (საარსებო რესურსების დატაცების) სტრატეგიის ლოგიკით შეუძლებელია შესუსტდეს, რაც გამორიცხავს მისი მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას.

ამრიგად არსებულ ვითარებაში საქართველოს სატრანზიტო პოტენციის აქტუალიზაციის საკითხში რუსეთის სტაბილურობის ინტერესები მისი მომცავი ცივილიზაციის სტაბილურობის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული და მხოლოდ „ნოოსფერული ეფექტის“ მნიშვნელობის გაცნობიერებას შეუძლია უზრუნველყოს ის, რომ რუსი ერისთვის „დიდი თურანის იდეამ“, ჩეჩნეთისა და სხვა ავტონომიური ერთეულების დამოუკიდებლობის საკითხმა დაჰკარგოს სტრატეგიული საფრთხის მნიშვნელობა და თურანული სამყაროს კონსოლიდაციის პროცესმა მოიპოვოს რუსი ერის მხარდაჭერა; ძლევის მანიის რუსმა ერმა მისი ამ თვისებრიობის სათანადო საერთაშორისო ფუნქციის რეალიზაციისათვის მიიღოს სამხედრო სამრეწველო კომპლექსის საამისოდ მოდერნიზაციისა და სამხედრო ბაზების საერთაშორისო ბუფერული ძალის ფუნქციის შესაბამისად მთელს მსოფლიოში განლაგების უფლება და სათანადო მატერიალური და ფინანსური და ხელშეუხებელი საარსებო ტერიტორიით უზრუნველყოფა ამ ამოცანის განსახორციელებლად; დასავლეთის სამყარომ გზა მისცეს არაბული სამყაროს ფორმის მანიის ერთიან ერად რეკონსოლიდაციის პროცესს და „ირანულ სამყაროში“ (სპარსები, ტაჯიკები, პუშტუნები, ქურთები იეზიდების გარდა) შესაძლებელ ამგვარივე პროცესს, რაც ისლამური რადიკალიზმის მოხსნის პირობაა, რამეთუ ეს რადიკალურ-ექსტრემისტულ ძალებს პოლიტიკურ ინიციატივას გამოაცლის ხელიდან (ფორმის მანიის ეფექტის ფენომენტა

გამსხვილება გარდაუვალია გლობალური ცივილიზაციის სტიქიურობის პირობებშიც ჩინელი ერის დაწინაურების კვალდაკვალ. ეს ახალ საყრდენს შესძენს ევროგაერთიანების გერმანელი ერის გარშემო ფორმის მანიის ეფექტს მრავალელებმენტიან ფენომენად ჩამოყალიბებას). საერთაშორისო მხარდაჭერა თურანული და არაბული სამყაროების ერთიან ერებად მათი რეკონსოლიდაციის პროსცესისადმი უზრუნველყოფს ყარაბახისა და პალესტინის პრობლემების აქტუალურობის მოხსნას...

„ნოსფერული ეფექტის“ გამომხატველი გარდაქმნის განხორციელება ან მსოფლიოს განვითარების სტრატეგიულ ორიენტირად მისი აღიარების მიღწევა მაინც, მიმდინარე, მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზაში მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციად მოგვევლინება. რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება ეგეოსური დასაწყისის განვითარების მორიგი ეტაპის, რომელიც არის მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა, მშვიდობიანად დადგომისა და აღნიშნული გლობალური მოწესრიგების განხორციელების შესაძლებლობა ამ ფაზის გამოხატულებად.

საწინააღმდეგო შემთხვევაში ანუ ხსენებულ სამეცნიერო სიახლეთა („ფსიქიკურ სტიქიათა თეორიისა“ და „ციკლური ლოგიკის“ შედეგები) გათვალისწინების გარეშე, რაც ნიშნავს ცივილიზაციის სტიქიურობის შენარჩუნებას (ცივილიზაციის შემადგენელ ერთა შორის ოპტიმალური ურთიერთმიმართების დამყარების შესაძლებლობის იგნორირება), მიმდინარე ათწლეულის დასასრულს მსოფლიო ცივილიზაცია XX საუკუნის ოცდაათიანი წლების ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მორიგი (მეოთხე) ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დადგომით, რაც 2010 წლის მახლობლად არის მოსალოდნელი, მოხდება ფორმის მანიის კლასის ერთა მკვეთრი დაწინაურება ყველა სფეროში (მაგალითად, ეკონომიკაში თავისუფალი საბაზრო რეგულირების ეფექტურობას შესცვლის სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების ეფექტურობა, როგორც 30-იან და 40-იან წლებში). ამჯერად, ამ კლასის ლიდერი არა გერმანელი, არამედ მოსალოდნელია, რომ ჩინელი ერი იქნება, რომლის ყველაზე ენერგიული დასაყრდენი არაბული და ირანული სამყაროები მოგვევლინებიან, სადაც რადიკალურად განწყობილ ექსტრემისტულ ძალებს შენარჩუნებული ექნებათ პოლიტიკური ინიციატივა და ანტიდასავლური ორიენტაცია. ფორმის მანიის ფსიქიკური სტიქიისათვის დამახასიათებელი უცხოის შეუწყნარებლობა მსოფლიოში ანტაგონიზმის საყოველთაო აფეთქებას მოიტანს, რაც სტიქიურ მსოფლიო ცივილიზაციას დიდ განსაცდელს უქადის, მით უმეტეს, რომ დედამიწის ეკოსისტემის მდგრადობის რესურსი ამოწურვის ზღვარზეა.

ასე რომ ამგვარი შემობრუნების დაწყებამდე დარჩენილ 6-7 წელიწადში მითითებული სამეცნიერო სიახლეების საყოველთაოდ გავრცელება მსოფლიო მშვიდობის აუცილებელ პირობად სჩანს.

§5. ქართველი ერის ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში მისი წარმომდგენი საზოგადოებრივი ერთობის შინაგანი სტრუქტურის მიხედვით

საზოგადოებრივი ერთობის ჩამოყალიბების საკითხში მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიას შეესაბამება „განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი“.

მართვის მანიის კლასის ერის ინდივიდები მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის მიხედვით ვერ განირჩევიან ერთმანეთისაგან, ამ არსებითი მახასიათებლის მიხედვით ისინი

ურთიერთიგივეურნი არიან, ამდენად, ამ თვისებრივი ტიპის ერის სოციალურ ერთობად ჩამოყალიბებას მის ინდივიდებს შორის არა არსებითი ურთიერთ განსხვავებულობის განვითარება უნდა დაედოს საფუძვლად, რაც შესაძლებელია ამ ერის, როგორც კულტურის ფენომენის, ალტერნატიულ განხორციელებათა მრავლობის თანაარსებობის მიღწევით. ეს მართვის მანიის ერს, როგორც საზოგადოებრივ ერთობას, ერთმანეთისაგან მკვეთრი საზღვრებით გამიჯნულ, ერთიმეორის გვერდით ლოკალიზებულ თვითგანხორციელების ალტერნატიულ შესაძლებლობათა კონგლომერატად წარმოგვიდგენს.

ამის თვალსაჩინო ილუსტრაციად წარმოგვიდგება საქართველოს კუთხეებად დაყოფის შეურყეველი ტრადიცია, მათ შორის მკვეთრად გამოხატული გარეგნული განსხვავებით, რისი შენარჩუნებაც უმნიშვნელოვანესი შინაგანი რესურსია ქართველი ერის საზოგადოებრივ ერთობად თვითდადგენისათვის.

არსებობს ერში განსხვავებათა განვითარების სხვაგვარი შესაძლებლობაც. კერძოდ, ინდივიდებს შორის არარსებითი განსხვავების გამოხატულებად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა თვისებრივი ტიპის ერების არსებით მახასიათებელთა (ფართო გაგებით) ამსახველი ელემენტები მათი კულტურობისა (მათ შორის ენა, კონფესია, სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტები), შესაძლებელია, არასრული, განსხვავების დემონსტრაციისთვის საკმარისი შინაარსობრივი მოცულობით, ერის შემადგენლობიდან კონკრეტული ჯგუფის მიერ თავის გარეგნულ გამომრჩეველ ნიშნად მათი მომარჯვებით.

იმისთვის, რომ ინდივიდთა არაარსებით მახასიათებელთა მიხედვით ურთიერთგანსხვავებებზე დამყარებულმა საზოგადოებრივმა ერთობამ იარსებოს, აუცილებელია არსებითი მახასიათებლის (აქ, მართვის მანიის ფსიქიკური სტიქია) მიხედვით პირდაპირი, შეუნიღბავი თვითგამოხატვის აკრძალვა ამ საზოგადოებრივი ერთობის შიგნით, რადგანაც არსებით მახასიათებელთა დემონსტრაციას შეუძლია არაარსებით მახასიათებელთა მნიშვნელობის ნიველირება (მაგ. მართვის მანიის ინდივიდისთვის ურთიერთობა გაცემის აქტია, ამდენად ყოფით ტრადიციაში გაცემის რეალიზაცია ყოველთვის შენიღბული უნდა იყოს ცრუ მოტივაციით, ან ტრადიციული მოვალეობის, ან კუთვნილის გაცემის, ან სხვა რამ მნიშვნელობით უნდა წარმოიდგინებოდეს გაცემის მიერ) და ამდენად, ამგვარი საზოგადოებრივი ერთობის შენარჩუნების პირობაა არსებით მახასიათებელთა გამომვლენ ინდივიდთა განდევნა. ამის მკაფიო ილუსტრაციაა ის ფაქტი, რომ ქართველი ერის ინტელექტუალური მემკვიდრეობის ძირითადი შემოქმედი პირები, როგორც წესი, ან მოღვაწეობდნენ უცხოეთში, ან განდევნილ იქნენ საქართველოდან. ამის მაგალითებია: იოანე ლაზი, პეტრე იბერი, ათონელი წმინდა მამები, იოანე პეტრიწი, რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. ვაჟა-ფშაველაც მაშინდელი ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრიდან ფაქტიურად განდევნილი, მარტოობაში ქმნიდა თავის შედევრებს, გერმანიაში შექმნა განწყობის თეორია დიმიტრი უზნაძემ, საქართველოში კი მისი სამეცნიერო სკოლა განწყობის კატეგორიის მეორე დეფინიციაზე დაყრდნობით ვითარდებოდა, იხ. ცნებათა განმარტებები...

არსებითი მახასიათებლების გამოვლენა დასაშვებია მხოლოდ მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობაში, მაგრამ ასევე აკრძალულია მოსწავლეთა ურთიერთობაში. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ქართული ტოტემისტური და მითოსური სისტემების შესახებ ინფორმაცია ძველბერძნულ მემკვიდრეობაში დაფიქსირებული შინაარსებითაა

მოდწეული ჩვენამდე და რომ ქართული კონფესიის სიმბოლო, წმინდა ნინოს ჯვარი არც ერთ ქართულ ტაძარზე არ არის აღმართული.

ამრიგად, მართვის მანიის ერის საზოგადოებრივ ერთობად თვითორგანიზების აქტუალიზაციის მცდელობა უნდა გამოვლინდეს ამ პროცესის ინიციატორი ინდივიდის ან ჯგუფის მიერ, ან თავის კუთხურ განკერძოებულობის საფუძველზე (ეგრისის მეფე ქუჯი, ფარნავაზი, პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი, იოანე მარუშის-ძე, გიორგი ჭყონდიდელი...), ან უცხო კულტურის ამგვარად გამოყენების მცდელობაში რისი მაგალითიც არის, კოლხეთის მითიური მეფის აიეტის მიერ კოლხეთში სქესთა შორის ურთიერთობის აქეური (ძლევის მანიის სათანადო) ტოტემური სისტემის დამკვიდრების მცდელობა (თესალიიდან გადმოხვეწილი ფრიქსეს მხსნელ ვერძის უმაღლეს საკულტო ობიექტად გადაქცევა); იბერიის მეფის ფარნავაზის მიერ მაზდეიზმის გავრცელების ხელშეწყობა (არმაზი – ჰორმუზდი); ქართლის მეფის აზოს და პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის მიერ ელინიზმის შემოღწევის ხელშეწყობა; ვახტანგ გორგასლის მიერ ქრისტიანობის ბიზანტიური კონფესიის საქართველოში დანერგვა; ბაგრატიონთა დინასტიის მიერ თავისი წარმომავლობის ბიბლიურ ტრადიციასთან დაკავშირება; სულხან-საბა ორბელიანის მიერ საქართველოში კათოლიკური კონფესიის, ერეკლე მეორეს მიერ, სომხური კონფესიის გავრცელების ხელშეწყობა, მათთვის ხელსაყრელი პირობით სომხური ეთნოჯგუფების საქართველოში ჩამოსახლების გზით; მოგვიანებით კი, ერეკლე მეორისა და კათალიკოს ანტონ I-ს მიერ რუსული კონფესიის დამკვიდრება; ამგვარივე მიმართებაშია რუსული კულტურასთან ილია ჭავჭავაძისა და სტალინის ფენომენები ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურისთვის (რუსული ინტელიგენციის ფენომენის და პოლიტიკური მიმდინარეობის დანერგვა საქართველოში). აღსანიშნავია, რომ რაკი უცხო სადმი ამგვარი დამოკიდებულება მართვის მანიის ეფექტის აბსოლუტური მახასიათებელია, ეს ნიშანიც შეფარულად უნდა იქნეს წარმოდგენილი. (მაგ. გამართლებული წარმომავლობის სიბუნდოვნით ან უცხოობით ან გარეგნულად ფანატიკურად დემონსტრირებული უცხო მრწამსით) წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია დევნა ამგვარი მოვლენის ინიციატორი ინდივიდისა. რასაც მოწმობს ის ფაქტიც, რომ ამგვარი ხვედრი ვერ აიცილა ვერც ერთმა აქ დასახელებულმა პირმა.

უცხო კულტურის გარეგნულად მატარებელ ერთეულად აუცილებელია რამდენადმე მაინც გამოცალკავებული, ლოკალიზებული ჯგუფი, რამეთუ უცხო კულტურის ელემენტთა აქტუალიზაციას გარკვეული საზოგადოებრივი ინსტიტუტების არსებობა ან იმიტაცია მაინც სჭირდება. ამასთანავე, ამ ჯგუფის სახით, რომელსაც მართვის მანიის ერში გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფს ვუწოდებთ, კონკრეტული განსხვავებულობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნება (საზოგადოებრივი ერთობის ხანგრძლივად შენარჩუნების პირობა) მოითხოვს მასთან (ამ ჯგუფთან) ისეთი ფენის თანაარსებობას, რომლის წევრთათვის სათანადო უცხო კულტურის ელემენტები არა გარეგნული გამორჩევის საშუალებაა ანუ ნიღაბი, არამედ აბსოლუტური ღირებულების მქონეა. ამგვარ ფენას შეიძლება ვუწოდოთ „მართვის მანიის ერით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობის განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტი“, ანუ მოკლედ მდგრადობის კომპონენტი.

ამ პირობის დაკმაყოფილება შეიძლება სათანადო კულტურის აბსოლუტურ მახასიათებლად მატარებელი უცხო ეროვნული ელემენტის შემოსვლით, რისი ინიციატორიც ზემოთქმულის საფუძველზე, მართვის მანიის კლასის ერის წარმომადგენელი პირი, ან

გარკვეული ფენა შეიძლება იყოს (მაგალითად, ფარნავაზის მიერ ბერძენთა ჩამოსახლება, საურმაგის მიერ ჩრდილოეთ კავკასიელთა ჩამოსახლება, დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღთა ჩამოსახლება, ერეკლე მეორეს მიერ, სომეხთა, ელისენში კი დადესტნელთა ჩამოსახლების ხელშეწყობა) ან ამავე ერის შემადგენელი გარკვეული ეთნოჯგუფის გაუცხოებით, როგორც აფხაზთა და სამცხის მაჰმადიანთა მნიშვნელოვანი ნაწილის შემთხვევაში. ცხადია, დასაშვებია მდგრადობის კომპონენტის როლი დაეკისროს მართვის მანიის ერის ლოკალიზაციის არეში თავშესაფრის საძიებლად შემოხიზნულ უცხო ეროვნულ ელემენტს, როგორც მაგალითად ქართველი ებრაელების შემთხვევაში და თვით უცხო ერთა ექსპანსიის შედეგად დამკვიდრებულ უცხო ეროვნულ ელემენტს, როგორც მაგალითად ქრისტეს შობიდან VI საუკუნეში ქართლში მეფობის გაუქმებისას დარიალის ხეობის ჩასაკეტად იქ ჩასახლებული სპარსული ეთნოჯგუფის (გარნიზონის) შემთხვევაში, რომელიც ოსების სახელით დაფიქსირებული გარეგნული განსხვავების მატარებელი ჯგუფის ფორმირების საფუძველი უნდა გამხდარიყო, ამას მოწმობს მათი თვითსახელწოდება – „ირონი“ (თუმცა ეს ჯგუფი ერთგვაროვანი არ არის და მის ფორმირებაში შეიძლება სხვა ელემენტიც იყოს ჩართული, მას მაინც გარეგნულად ირანული სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეულ ჯგუფს ვუწოდებთ). ამგვარ უცხო ან გაუცხოებულ ეროვნულ ელემენტს (მდგრადობის კომპონენტი) არ მოეთხოვება მართვის მანიის კლასის ერთან ერთობის ცნობიერების ქონა, თუმცა მას ექნება მისი კულტურის ელემენტების მოშველიებით გამორჩეული მართვის მანიის კლასის ერის წარმომადგენელ ელემენტთან ანუ სათანადო მართვის მანიის კლასის ერში გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთან ერთობის ცნობიერება, გარეგნულად თვითგამოხატვაში ურთიერთიგივეობის საფუძველზე. თვითონ მართვის მანიის ერის სათანადო ელემენტისთვის უცხო ერის წარმომადგენელ ელემენტთან, ანუ მდგრადობის კომპონენტთან ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხში ურთიერთგანსხვავება მათი ლოკალური ერთობის პირობაა (ამრიგად, თუ აფხაზებსა და ოსებს შორის შემორჩენილია ერთი ქართველი ელემენტი, მას უნდა ჰქონდეს შესაბამის არაქართულ ელემენტებთან გარკვეულად ერთიანობის ცნობიერება, რაც მათთან გარეგნული კულტურული დამსგავსების გზით ქართველ ერში განსხვავებულობის და, ამდენად, მასთან საზოგადოებრივი ერთობის შენარჩუნებისაკენ მისწრაფების მაჩვენებელია). ეს, თუმცა კი სხვადასხვა საფუძველზე არსებული, მაგრამ ორმხრივი ლოკალური ერთობის ცნობიერება განაპირობებს მართვის მანიის ერში გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფსა და სათანადო უცხო ეროვნულ ელემენტს (მდგრადობის კომპონენტი) შორის მკვეთრი საზღვრის არ არსებობას. ამის ცხად ილუსტრაციას წარმოადგენს ისრაელში გადასახლებულ „ქართველ ებრაელთა“ შორის ერთი ქართველი ელემენტის არსებობა, რასაც ცხადყოფს ის ფაქტი, რომ მათმა სათანადო ფენამ ისრაელის საზოგადოებაში ადაპტაციის პრობლემას ქართული კულტურის ანუ, აქ, მისი განმასხვავებელი მახასიათებლის აქტუალიზირებით უპასუხა. საქართველოდან გასულ ოსთა შემთხვევაში იგივეს გამოვლენაა ის ფაქტი, რომ მათს გარკვეულ ჯგუფს უჭირს ადაპტაცია ისტორიულ ოსეთში.

მეზობელი ერების კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით, ქართველ ერში გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ხელშემწყობი მექანიზმი გამოავლინა ქართველმა მეცნიერმა გაიოზ ერადემ. მისი კონცეფციის მიხედვით, ქართველთა განსახლების გარე პერიმეტრზე და თვით განსახლების არეალის შიგნით სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადასასვლელების ჩაკეტვის ფუნქციის შემსრულებელი,

ბაზ-ბას-ფას-ბაც ფუძიანი სიტყვებით სახელდებულ, განცალკევებულ თემებად ლოკალიზებული სოციალური ჯგუფის არსებობა მტკიცდება. ხოლო, მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის ეფექტით განპირობებულ, უცხო მემკვიდრეობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების საფუძველზე, ამ თემთა ფუნქციის რეალიზაციის სექტორებში ქართველი ერის განსახლების გარე პერიმეტრზე მათთან მოკონტაქტე უცხო ერთა კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები მათი გარეგნული განსხვავების დაფიქსირების საშუალებად, ქართულ საზოგადოებრივ ერთობაში მათი ინტეგრაციისთვის საკუთარი საწყისი კულტურის ელემენტებთან მიმართებაში თვითგამოხატვის პრიორიტეტულ გარეგნულ ნიშნად და ამდენად, მყარად დაფიქსირებულ გარეგნულ მახასიათებლად უნდა ქცეულიყვნენ. ამგვარი თემები, ქართველი ერით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობაში, მეზობელ ერთა ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდნენ (დვალები, აბაზები, აფსარები, ბასიანელები, „სომხები“, ქისტები...). ამრიგად მართვის მანიის კლასის ერის შემთხვევაში ამ მონაპირე ერთეულთა განვითარება ამ ერის დანარჩენი ნაწილისადმი მათი გარეგნული განსხვავების განვითარებას გულისხმობს, საპირისპიროდ ძლევის მანიის კლასის ერის შემთხვევისა, როცა მონაპირე ბუფერული ფუნქციის შემსრულებელი ერთეულები (მაგ. კაზაკობის ინსტიტუტი რუს ერში) ამ ერის დანარჩენ ნაწილთა დამსგავსებით ვითარდებიან, ძლევის მანიის ეფექტის გამოხატულებად, იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპის მიხედვით.

ამდენად, „მართვის მანიის კლასის ერით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობა“ წარმოგვიდგება თვითონ ამ ერის, როგორც საზოგადოებრივი ერთობის, შევსებად მდგრადობის კომპონენტის ფუნქციის შემსრულებელ, უცხო ერთა წარმომადგენელი დიასპორების კონგლომერატით (დასაშვებია, რომ ამ ერით უცხო დიასპორთა იდენტური ერი არც იყოს დარჩენილი, ან არც არასოდეს ყოფილიყო არსებული განსახილველი საზოგადოებრივი ერთობის გარეთ, რაც შესაძლებელია კუთხური ეთნოსის ნაწილის ეროვნული გაუცხოებით ანუ მდგრადობის კომპონენტად, უცხო ერად დადგენით) და პოტენციურად წარმოადგენს ცივილიზაციას და რაკი, ამგვარი თვისებრიობის ერთა მისწრაფება საზოგადოებრივ ერთობად თვითორგანიზაციისაკენ სხენებულ როლში უცხო ეროვნულ ელემენტთა მოზიდვის ან ამავე ერის შემადგენელი განსაზღვრული ჯგუფების გაუცხოების (მდგრადობის კომპონენტად) დადგენის მცდელობაშიც უნდა აისახებოდეს, მათში უზრუნველყოფილია ამ უცხოეროვნულ ელემენტთა სრულიად შეუზღუდველი არსებობა და განვითარებისაკენ მომწოდებელი დამოკიდებულება მათდამი. მაგრამ ეს მომენტი ვერ უზრუნველყოფს მდგრადობის კომპონენტთა საბოლოოდ შემომტკიცებას განსახილველ საზოგადოებრივ ერთობებში: როცა ცივილიზაციაში მთავრდება მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის აქტიურობის ფაზა, მაშინ „მართვის მანიის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფისა“ და მისი სათანადო „მდგრადობის კომპონენტის“ ერთობლიობად წარმოდგენილ „მართვის მანიის კლასის ერით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობის განსხვავების მატარებელ ჯგუფებში“, რომლებშიც მდგრადობის კომპონენტი ახალი ფაზის სათანადო თვისებრიობისაა, ინიციატივა მდგრადობის კომპონენტის ხელში გადადის და ჯგუფში მისი სრული ჰეგემონია მყარდება, რასაც მთელი ამ ჯგუფის გაუცხოება, განსახილველი ერიდან მისი სრული მოწყვეტა, მისი წარმომადგენელი ფენის სრული ფსიქოლოგიური ტრანსფორმაცია შეიძლება მოჰყვეს.

ქართველი ერის ისტორიაში ამის მაგალითებს წარმოადგენენ: „პონტოელი ბერძნები“ (კაპადოკიის და პონტოს ქართველური მოსახლეობა, რომელმაც გარეგნულ გამომრჩეველ ნიშნად ძველბერძნული კულტურა გამოიყენა); „სომხები“ (ისტორიული საქართველოს სამხრეთულ პროვინციებში, ჯერ წარმართული არმენული კულტურის, შემდეგ კი გრიგორიანული კონფესიის თავის გარეგნულ მახასიათებლად მიმღები ქართველური ელემენტი, რომლის სრული გაუცხოების დასტურია ხსენებული მეზობელი ერის ქართულ სახელწოდებად სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელის დამკვიდრება, რომელიც „სომეხის“ ფუძეშია საგულვებელი. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ქართველურ სამყაროსთან წარმომავლობითი კავშირი სომხეთის ისეთ გავლენიან საგვარეულოთა, როგორიც იყვნენ მამიკონიანები და ბაგრატიონები. როგორც სჩანს ამგვარივე მიმართებაშია ქართველურ სამყაროსთან სახელები ბერძენი და ოსი); აბაზინები (გარეგნულად ადიღური სამყაროს მემკვიდრეობის ელემენტების მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი); ჩრდილოეთ კავკასიელი ოსები (გარეგნულად ირანული სამყაროს მემკვიდრეობის ელემენტებით გამორჩეული საწყისი ჯგუფი); რანელები (გარეგნულად ირანული სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული სხვა ჯგუფი). ამგვარივე გაუცხოების პროცესი მიმდინარეობს დღეს საინგილოს გამაჰმადიანებულ ქართველურ მოსახლეობაში (რომელიც ლეკთა ჩამოსახლების შედეგად იქცა განსხვავების მატარებელ ჯგუფად); ქისტებში (გარეგნულად ვაინახური მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი) ჩრდილოეთ კავკასიის ბასიანელებს (გარეგნულად ბალყარული და ყარაჩაიული სამყაროთა მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი) აფხაზებსა (გარეგნულად ადიღური სამყაროს კულტურის ელემენტების მეშვეობით გამორჩეული სხვა ჯგუფი) და საქართველოს ოსებს (ირანული სამყაროს კულტურის ელემენტების მეშვეობით გამორჩეული ახალი ჯგუფი), ბაცებებს (ვაინახური კულტურის ელემენტების მეშვეობით გამორჩეული სხვა ჯგუფი) შორის, რომელნიც ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებით თავის დროზე ასცდნენ ამგვარ შესაძლებლობას; საქართველოს გარეთ კი ე.წ. თურქ მესხებს (გარეგნულად თურქული კულტურის ელემენტების მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი), ირანისა და თურქეთის გამაჰმადიანებულ ქართველებს შორის...

გაუცხოების ამგვარ პროცესს უნდა მოჰყოლოდა გარეგნულად იგივე ნიშნით გამორჩეულ ჯგუფთა ახლად ჩამოყალიბება ქართველი ერის ლოკალიზაციის არის ახალ სიღრმეში (ამის მაგალითს წარმოადგენენ საქართველოს თანამედროვე საზღვრებში დასახლებული იმავე უცხო კულტურათა მეშვეობით გამორჩეული ჯგუფები), რაც სრული კოლაფსის გარდაუვალობის პირობა იქნებოდა (ამის მაგალითია, შუმერთა, პელასგთა, ფილისტიმიელთა, ეტრუსკთა და კელტთა ისტორია), რომ არა შეუდარებლად უფრო მასშტაბური გაფართოების უნარი მართვის მანიის ერებით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობათა მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის აქტიურობის ფაზებში, როცა ამ თვისებრივი ტიპის ერების წარმომადგენელ ელემენტთა აქტიური შეღწევა და დაწინაურება მეზობელ ერებში უზრუნველყოფს მათს შეუბრკოლებელ მოქცევას ხსენებულ ერთობაში და მათში უკვე თითქმის ბოლომდე ასიმილირებული მართვის მანიის კლასის ერისმიერი ელემენტის უკუმოქცევის შესაძლებლობას.

ამის ბრწყინვალე მაგალითებია: პონტოს სამეფო, მითრიდატე VI ევპატორის ხანაში, (ქრისტეს შობამდე I ს.); ფარსმან I-ის და ფარსმან II ქველის ხანის იბერია (ქრისტეს შობიდან I-II ს.); საქართველოს ოქროს ხანა (XII ს.), როცა ქართველი ერით განსაზღვრულმა

საზოგადოებრივმა ერთობამ მოიცვა მთელი კავკასია და პონტო და უკვე მონღოლების ხანაში გამოვლინდა ტენდენცია უფრო შორს, სამხრეთით, ქურთ ხალხზე მისი გავრცელებისა, რისი სიმბოლოც არის სადღუნ მანკაბერდელის აღზევება საქართველოს სამეფო კარზე. (ამ ერთობაში განსხვავებათა მატარებელი ჯგუფებისადმი სათანადო მიდგომის ილუსტრაციაა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცეულ სომხეთის მმართველ მხარგრძელთა გრიგორიანელობა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებზე გავრცელებულობა ქართველი ერთი განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობისა დაფიქსირებულია მათი ლოკალიზაციის გეოგრაფიით – მათგან უმსხვილესი ერთეულები განლაგებულნი არიან საქართველოს ისტორიული საზღვრის გასწვრივ ისე, რომ მასთან საკუთარ საკონტაქტო არეს ინარჩუნებენ (ხსენებული ეფექტით განსაზღვრული მომენტი). იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე ერეკლე II-ის სამეფოს გარშემო ამიერკავკასიის სახანოთა და ჩრდილოეთ კავკასიელ ტომთა კონსოლიდაციის ტენდენციაში, რომელიც კავკასიაში ამ მეფის მიერვე კიდევ უფრო მასშტაბური გაფართოების ინიცირების არაადექვატურმა შეფასებამ დაარღვია.

ამგვარ ხელშემწყობ სიტუაციაში შესაძლებელია მართვის მანიის ერთი განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობის განსხვავების მატარებელი ჯგუფის მხოლოდ უცხო ერის წარმომადგენელი ეთნოჯგუფის საფუძველზეც ჩამოყალიბება ამ ეთნოჯგუფის ნაწილის მიერ საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ დამოკიდებულების შეცვლით, საწყის აბსოლუტური მახასიათებლის გარეგნულ მახასიათებლად გადაქცევით, რაც მართვის მანიის ერთან მჭიდრო კონტაქტის პირობებში ხდება შესაძლებელი. ამგვარი გარდასახვის ტენდენცია დაფიქსირდა აფხაზეთში ჩამოსახლებულ რუსულ დიასპორაში, ქვემო ქართლსა და გარე კახეთში ჩამოსახლებულ თურქმანული წარმოშობის დიასპორაში, თბილისში მცხოვრებ ქურთთა დიასპორაში...

რაკი მართვის მანიის კლასის ერში საზოგადოებრივი ერთობის მომენტის აქტივიზაცია განსხვავებათა აქტუალიზაციას გულისხმობს, შესაძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვან ელემენტად გარეგნულად რომელიმე უცხო კულტურის ელემენტების მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი სჩანდეს. IV საუკუნემდე ამ როლს ერთმანეთს ეცილებოდნენ ქართველ ერში ძველბერძნული და ირანული (მაზდეიზმი) მემკვიდრეობის სათანადო ჯგუფები, რაც პონტოს და იბერიის (უფრო სწორად - რანის) იდეურ დაპირისპირებაშია ასახული; V საუკუნიდან (ვახტანგ გორგასალი) ასეთი გახდა ქართველ ერში ბიზანტიური კულტურის (კონფესიის) მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი (იგი საქართველოს კუთხეთა მეტ ნაწილს გადაჰფარავს და ამ შემთხვევაში კუთხური სხვაობა ქრისტიანული საქართველოს ლოკალური ერთობის ფაქტორად სჩანს ქართველ ერში); VIII-XII საუკუნეებში დაწინაურებული იყო, ქართველ ერში გარეგნულად ჩრდ. კავკასიური სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი (აფსარნი); XVII-XVIII საუკუნეებში დაწინაურდნენ ქართველ ერში გარეგნულად ამრენიული, თურქული და ირანული მემკვიდრეობის ელემენტების მეშვეობით გამორჩეული ჯგუფები, (თუმცა ქართველ ერში გარეგნულად ბიზანტიური მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი მაინც ჰეგემონად რჩებოდა); XIX საუკუნიდან ჰეგემონის ადგილი დაიჭირა ქართველ ერში გარეგნულად რუსული კულტურის ელემენტების მეშვეობით გამორჩეულმა ჯგუფმა. რუსი ერი მიეკუთვნება ერთა იმ თვისებრივ ტიპს, რომელსაც საზოგადოებრივ ერთობად თვითორგანიზაციის სფეროში „იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპი“ შეესაბამება. ამ გარემოებამ ქართველ ერში განსაკუთრებული ვითარება გამოიწვია.

მართვის მანიის კლასის ერებში განსხვავების მატარებელი ჯგუფები დაქვემდებარებული არიან მართვის მანიის ეფექტივზე განსაზღვრულ მათი გაუცხოებისკენ მიმართული ზეწოლის ფონურ ეფექტს, რამეთუ მათს გარეგნულ განმასხვავებელ ნიშნებში გამოხატული სხვაობის მათი წევრების შინაგან, აბსოლუტურ მახასიათებლებად გადაქცევა (სრული ეროვნული გაუცხოება) ამგვარ გაუცხოებას გადარჩენილ გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფს უცხო კულტურის ნიღბით სარგებლობის აუცილებლობისაგან გაათავისუფლებს და აბსოლუტური მახასიათებლის გამოვლენის მოთხოვნის წინაშე დააყენებს, საწყის ეტაპზე ერის წარმომადგენი საზოგადოების ერთობის შენარჩუნების პირობად (რა თქმა უნდა, არა ერთიანი ერის მნიშვნელობით).

ამაშია საფუძველი, შიდა ქართლში და აფხაზეთში განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტებისა: ოსთა და აფხაზეთა სახით წარმოდგენილი ქართველ ერს გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების თავდაცვითი რეაქცია მხარდაჭერას პოულობს სათანადო „მართვის მანიის კლასის ერით განსაზღვრულ საზოგადოებრივი ერთობის განსხვავების მატარებელ ჯგუფებში“ მოუცილებელ, უცხო ეროვნულ ელემენტში (მდგრადობის კომპონენტები – აქ, ერით არაქართველნი ოსთაგან და ერით არაქართველნი აფხაზეთაგან) და სხვა გარეშე ძალებში. მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ, მართვის მანიის ეფექტივზე განსაზღვრულ მაუცხოებელი ზეწოლის ფონური ეფექტით შევიწროებულ ჯგუფთა წევრების თავდაცვითი რეაქციის მეორეგვარი გამოხატულებაა მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჰეგემონიურ ჯგუფში გათქვეფის მცდელობა გამოხატული გარეგნული განსხვავების რეალიზაციის ფაქტორთა: უცხო (გარეგნული) კონფესიის, უცხო (მეორე) ენის, უცხო წარმოების გვარსახელის თვითუარყოფაში, მოშორებაში.

გარეგნულად ძლევის მანიის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის ჰეგემონიის დამყარება მართვის მანიის კლასის ერის შიგნით განსხვავებათა მატარებელ სხვა ჯგუფებზე მაუცხოებელი ზეწოლის ფონური ეფექტის უკიდურესი გაძლიერების პირობაა (ამრიგად ვახტანგ გორგასლის ინიციატივა, ამ საფრთხის აცილება იყო თანადროული ფაზის თვისებრიობის ხელშეწყობით), რამეთუ, ამ ჯგუფის თვითრეალიზაცია გამოხატული „იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპის“ გატარებაში ამ ნიშნის მიხედვით პირდაპირ მიმართულია სხვა განსხვავების მატარებელ ჯგუფებზე მაასიმულირებელ ან მაუცხოებელ ზეწოლად, ხოლო ამ ჯგუფის ჰეგემონობას უზრუნველყოფდა ქართველ ერში გარეგნულად ძლევის მანიის კლასის ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის განსაკუთრებული მნიშვნელობა ცივილიზაციის სტიქიურობის პირობებში, ეგეოსური დასაწყისის განვითარების ორმაგი ეფექტის ფაზებში ქართველი ერის თვითრეალიზაციისათვის. რაც ეგეოსურ ცივილიზაციაში თვით მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის აქტიურობის ფაზებშიც, (ორმაგი ეფექტის ფაზები ეგეოსური ცივილიზაციის ნიმუშით) შესაძლებელს ხდის სათანადო მართვის მანიის კლასის ერით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობის ჰეგემონურ განსხვავების მატარებელ ჯგუფში ინიციატივის ძლევის მანიის კლასის ერის წარმომადგენელი ელემენტის (მდგრადობის კომპონენტი) მიერ დაუფლებას, ანუ მართვას მანიის კლასის ერის ძლევის მანიის კლასის ერად თვისებრივი ტრანსფორმაციის თვითმზარდი გაქანების ტენდენციას (მითოსურ ტრადიციაში ეს კანონზომიერება პერსონიფიცირებულია კოლხეთის მეფის, აიეტის ფენომენის, თანამედროვე ქართულ

ლიტერატურაში კი, ჭაბუა ამირეჯიბის რომანის – „დათა თუთაშხია“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, მუშნი ზარანდიას სახით).

რაც უფრო მოახლოვდება მართვის მანიის კლასის ერში, გარეგნულად ძლევის მანიის ერის ნიშნით გამორჩეული ჯგუფის მხოლოდობის მიღწევაში გამოხატული კრიტიკული მომენტი, რაც კუთხური განსხვავების დაკნინება-ჩაქრობასაც გულისხმობს, მით უფრო აქტუალური გახდება ამ მდგომარეობით ნაგულისხმევ შინაგანი ერთგვაროვნების პირობებში, მართვის მანიის კლასის ერის მიერ თვისებრივი ტიპის შენარჩუნების შემთხვევაში, მის, როგორც საზოგადოებრივი ერთობის, შენარჩუნებისათვის უკანასკნელი რესურსის აქტუალიზაცია, რომელიც გამოიხატება საზოგადოების კლანურ დიფერენციაში – კონკრეტული კლანის წევრობა, რომელიც გარეგნულად გამოირჩევა სხვა ამგავრივე კლანებისაგან მისი კონკრეტული რომელობით, მის წევრთათვის ერთადერთ საშუალებად დაისახება საზოგადოებაში ინდივიდებს შორის განსხვავების რეალიზაციისათვის. ასეთ შემთხვევაში მართვის მანიის კლასის ერი ეგეოსური ცივილიზაციის ნიმუშით. ორამგი ეფექტის ფაზების რეალიზაციაში თვითკმარ, ლოკალურ ორამგი ეფექტის ფენომენად ჩამოყალიბდება (ძლევის მანიის ეფექტი ფუნქციით ურთიერთიდენტურ კლანების სიმრავლედ მის დადგენაში მიიღწევა, მართვის მანიის ეფექტი – კლანების რომელობის მიხედვით ინდივიდებს შორის განსხვავების ფაქტში), რაც ცივილიზაციაში მისი აქტიურობის უკიდურესად შეზღუდვის, თვითიზოლაციის პირობაა.

ამრიგად, ქართველი ერისთვის მისი განვითარების ხელშემწყობი პირობის უზრუნველყოფა გლობალური ცივილიზაციის სტიქიურობის დამღევას, ნოოსფერული ცივილიზაციის მდგომარეობაში მის გადაყვანას მოითხოვს.

ჩვენი ქვეყნის მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ინსტიტუტის განთავსების ადგილად დადგენა, ქართული სახელმწიფოს ამ ინსტიტუტთან ასიმილაცია მსოფლიოს ერთა წარმომადგენლობების სახით ქართველ ერში გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთა გენერაციისათვის მდგრადობის ელემენტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

ეს იქნება მსოფლიოს პოლიტიკური სისტემის ოპტიმიზაციის ერთ-ერთი პირობათაგანი, რაკი ეს ოპტიმიზაცია უნდა გულისხმობდეს ერთა იმგვარ პოლიტიკურ ინტეგრაციას, რომ თავის საშინაო ცხოვრებაში, მათ, ინტეგრაციის პირობად, არავითარი დამატებითი, მათივე თვისებრივობით განუპირობებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ უწევდეთ, რაც ქართველი ერისთვის მითითებულ პირობებში დაცული იქნება. ამ დებულებით მონიშნულია სტრატეგიული ორიენტირი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის.

გლობალურ ცივილიზაციაში ერთა მართვის მანიის კლასის ფუნქციის რეალიზაციის მექანიზმის ქართული სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტზე დაფუძნების მიზანშეწონილობა ნაკარნახევაია, არა მხოლოდ საქართველოს ლოკალიზაციის გეოგრაფიისა და მისი გეოპოლიტიკური ფუნქციის ოპტიმალური შესატყვისობით ხსენებული მექანიზმის ფუნქციისთან, არამედ იმითაც, რომ ქართველი ერი ერთადერთია ერთა მართვის მანიის კლასში, რომელმაც თავის ფენომენურ განვითარებაში, მესამე საფეხურის დახურვას მიაღწია არა მხოლოდ უცხო მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებაში თვითრეალიზაციით, არამედ აბსოლუტური თვითგამოხატვითაც (ქართული ქრისტიანობა).

ნოოსფერული ცივილიზაციის დამყარების პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნას ჩრდილოეთ კავკასიელ ეთნოსთა, რომელნიც დღეს ასიმილაციის ზღვარზე იმყოფებიან და

თვითგადარჩენისთვის თავის თავს და კავკასიის გარეთ ეძებენ ორიენტირებს, რუსი ერისთვის უმტკივნეულოდ ქართველ ერთან ინტეგრაცია და მართვის მანიის ეფექტის ერთიანი კავკასიური საზოგადოებრივი ერთობის ჩამოყალიბება, მათი ისტორიის სახით მოცემული ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პროცესში მესამე საფეხურის დაძლევისა და მეოთხე საფეხურზე გადასვლის გამოხატულებად, რაც არის (ამ ერთობაში, განსხვავების მატარებელ ჯგუფთა მდგრადობის კომპონენტების როლში) ჩრდილოეთ კავკასიელ ერთა შენარჩუნებისა და განვითარების ერთადერთი შესაძლებლობა.

საქართველოში ლოკალიზებულ აფხაზთა, ოსთა, აზერბაიჯანელთა, სომეხთა, რუსთა, ბერძენთა და ქართველი ერთი განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობის განსხვავების მატარებელ სხვა ჯგუფებში საგულეებელ ეროვნული ცნობიერებით ქართველი ფენის წარმომადგენლებს ერთი ქართველებად ლეგალური აღიარებისთვის არ მოეთხოვებათ აქამდე მათი უცხო ერის წევრებად მიჩნევის (ვარაუდის) საფუძვლის, გარეგნული თვითგამოხატვის კონკრეტულობის მოშლა რაკი ერთი ქართველობა ქართველი ერის ტოტემისტური, მითოსური, რელიგიური და სამეცნიერო მემკვიდრეობის ათვისებაში მდგომარეობს, რაც აღზრდის პროცესის ამოცანაა, ეს შინაარსები კი მართვის მანიის კლასის ერის შემთხვევაში გარეგნული დემონსტრაციის საგანს არ წარმოადგენენ და რაკი, ერთდროულად აღზრდა უნდა უზრუნველყოფდეს და ხელს უწყობდეს გარეგნულად უცხო ერის მემკვიდრეობის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის წევრებს თავიანთი გარეგნული ნიშნების შენარჩუნებაში, რაც ქართველი ერის, როგორც საზოგადოებრივი ერთობის, სიმტკიცის პირობაა. ხოლო საქართველოში ლოკალიზებულ ჭეშმარიტად უცხო ერთა წარმომადგენელ დიასპორებს, როგორც ქართველი ერთი განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობაში განსხვავების მატარებელი ჯგუფების მდგრადობის კომპონენტებს, ამ მნიშვნელობით არსებობის გაგრძელებაში ხელშეწყობა კვლავინდებურად უზრუნველყოფილი ექნებათ, რამეთუ მათ გარეშე გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთა არსებობა შეუძლებელია, მაგრამ ამასთანავე, როგორც აღინიშნა, შეუძლებელია ამ ჯგუფებში ერთი უცხო და ერთი ქართველი ელემენტის მკაფიოდ გამოყოფა – ეროვნული თვითიდენტიფიკაცია, თითოეული პიროვნების შინაგანი, მხოლოდ მისთვის გარკვეული კონკრეტულობაა.

ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ პიროვნების გარეგნული თვითგამოხატვის კონკრეტულობის ეროვნულ თვითიდენტიფიკაციასთან არა ცალსახა მიმართებით ხასიათდება ცხრომის მანიის კლასის ერებიც. მაგალითად, თალმუდის კანონების დაცვით არსებობა ისრაელში მოვალეობის კატეგორიის რეალიზაციაა და ცალსახად ერთი ებრაელობაზე მიუთითებს, მაგრამ იგივე სახის ქცევა ამერიკის შეერთებულ შტატებში ანუ ინდივიდთა სხვა კონკრეტულობით თვითრეალიზაციათა გვერდით შეიძლება შეფასდეს, როგორც გარეგნული თვითგამოხატვის კონკრეტულობის მიხედვით შეუზღუდველობის გამოხატულება, რაც თავისუფლების კატეგორიის რეალიზაციაა (თუმცა კი, არაპირდაპირი) და ინდივიდის ცხრომის მანიის კლასის ამერიკელი ერის წევრად წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა. ამის საფუძველზე, ცხრომის მანიის ერის ინდივიდები მოკლებულნი არიან ერთა გარჩევის უნარს. მაგრამ ამგვარი უნივერსალიზმის მიუხედავად ცხრომის მანია მხოლოდ ერთ-ერთი ფსიქიკური სტიქიაა, მენტალობის ოთხიდან მხოლოდ ერთი შესაძლო ფუნდამენტური სახესხვაობის განხორციელებას იძლევა. უცხოხდმი ამგვარი დამოკიდებულება ცივილიზაციაში ცხრომის მანიის კლასის ერთა ფუნქციას ცივილიზაციის თვითმოცვის ფუნქციად განსაზღვრავს.

§6. ქართული საზოგადოება XIX-XXI საუკუნეებში, ციკლური ლოგიკის პოზიციიდან

კავკასიური ცივილიზაციის არეალში ფორმის მანიის ეფექტის ჯერ რუსული, შემდეგ საბჭოთა და ბოლოს ახალი რუსული ფენომენების ჰეგემონიის პირობებში ეგეოსური დასაწყისის განვითარების ორმაგი ეფექტის ფაზებში მართვის მანიის ერთად თვითრეალიზაციისათვის და სხვა ფაზებში „ნოოსფერული ეფექტის“ უზრუნველსაყოფად ქართველ ერს უპირატეს შესაძლებლობად დაესახა მასში გარეგნულად ძლევის მანიის რუსი ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის ჰეგემონურ ჯგუფად დადგენა: ძლევის მანიის ეფექტი მიიღწევა არაპირდაპირ, ამ ჯგუფის გარეგნულ თვითგამოხატვაში, მართვის მანიის ეფექტი კი, ასევე არაპირდაპირ, ამ ჯგუფის ჩამოყალიბებისა და არსებობის მოვლენაში გამოხატულ უცხო მემკვიდრეობისადმი სათანადო დამოკიდებულების ფაქტში.

ქართველ ერში გარეგნულად რუსი ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის მეშვეობით ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეოთხე (და ყველა შემდგომი) ორმაგი ეფექტის ფაზა შესაძლებელია განხორციელებულიყო, ან მხოლოდ კავკასიის (საქართველოს) მასშტაბის მოვლენად, როცა დაშვებული რჩებოდა მართვის მანიის პირდაპირი ეფექტის რეალიზაციაც, ან მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბის მოვლენად, რაც ქართველი ერის გარეგნულ თვითგამოხატვად მხოლოდ ძლევის მანიის კლასის რუსი ერის მემკვიდრეობის ელემენტების გამოყენებას, ქართველი ერით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობაში მისი სათანადო განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად მთელი რუსი ერის დადგენას და ამით მიღწეული ეგეოსური ცივილიზაციის გაფართოების ეფექტით მართვის მანიის პირდაპირი ეფექტის განვითარების შესაძლებლობის მაქსიმალურად შეზღუდვას გულისხმობს. ცხადია, რომ ქართველი ერისთვის უპირატესობა პირველ შემთხვევას ეკუთვნის, რომელსაც „ამოსავალი პარამეტრის მიხედვით პირველ ალტერნატივას“ ვუწოდებთ, ეგეოსური ცივილიზაციისათვის კი მეორე შემთხვევას - „ამოსავალი პარამეტრის მიხედვით მეორე ალტერნატივა“. შეიძლება დავასახელოთ ამ ალტერნატივათა პერსონიფიკაციები, ანუ ისტორიული პირები, რომელთა ფენომენში მაქსიმალური სისრულით არის გამოხატული ხსენებული ორი შემთხვევის რეალიზაციისკენ მისწრაფება. მაგრამ ამოსავალი პარამეტრის მიხედვით ალტერნატივებთან მიმართება ვერ არის ისტორიულ პირთა ფუნქციონალური სტატუსის სრულად განმსაზღვრელი, რადგან არსებობს ქართველ ერში გარეგნულად ძლევის მანიის ეფექტის ნიშნებით (რუსი ერის კულტურის ელემენტებზე ორიენტირებულად) გამორჩეული ჯგუფის რეალიზაციის ალტერნატივათა გარჩევის მეორე პარამეტრიც, რომელსაც ძირითად პარამეტრს ვუწოდებთ. ამ პარამეტრის არსებობა ემყარება იმ ფაქტს, რომ რუსი ერის მდგომარეობა რუსეთში, ფორმის მანიის ეფექტის ფენომენთა სამ საუკუნოვანი, თითქმის უწყვეტი ჰეგემონიის პირობებში ორაზროვნებით ხასიათდებოდა: ერთი მხრივ მას თვითრეალიზაციის შესაძლებლობა ჰქონდა ფორმის მანიის ეფექტის ხსენებულ ფენომენთა (უფრო ზუსტად - რუსეთის სივრცეზე განფენილ ევროპულ ცივილიზაციაში მიმდინარე ფაზის სათანადო კასტური ეფექტის ფენომენთა) გაფართოების ან შენარჩუნების ამოცანისადმი დაქვემდებარებულად; მეორე მხრივ კი, თავის საარსებო სივრცეზე პირდაპირი და სრული, შეუზღუდველი

თვითგამოხატვის შესაძლებლობის დამყარებით. ამრიგად, გარეგნულად ძლევის მანიის კლასის რუსი ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფი, ქართველ ერში ორი ალტერნატიული მნიშვნელობით შეიძლება ჩამოყალიბებულიყო, ან ფორმის მანიის ეფექტის ხსენებულ ფენომენთაგან დაქვემდებარებას შეგუებულობის - „ძირითადი პარამეტრის მიხედვით პირველი ალტერნატივა“, ან, ამ დაქვემდებარებულობისგან თავდახსნის მისწრაფების გამოხატვლად - „ძირითადი პარამეტრის მიხედვით მეორე ალტერნატივა“. გარდა ამისა რუსეთის სინამდვილე წარმოადგენდა წყაროს ქართველ ერში კიდევ ერთი გარეგნულად განსხვავების მატარებული ჯგუფის ჩამოყალიბებისთვის, რუსეთის სივრცეზე ლოკალიზებულ ფორმის მანიის ეფექტის ფენომენის (ან საზოგადოდ კასტური ეფექტის ფენომენების) ნიშნების სათანადოდ გამოყენების საფუძველზე. მაგრამ, რაკი, ფორმის მანიის ეფექტის ეს ფენომენები, ხასიათდებოდა რუსი ერის დაქვემდებარებულობით მათი გაფართოების ან არსებობის შენარჩუნების ამოცანისადმი, ქართველ ერში ამგვარი ჯგუფი მასში გარეგნულად რუსი ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის რეალიზაციის ძირითადი პარამეტრის მიხედვით პირველი ალტერნატივისგან განუყოფელია და მასთან ერთად შინაარსობრივ ერთიანობაში, ერთ ალტერნატივად მიემართება ქართველ ერში გარეგნულად რუსი ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის რუსი ერის სრული შეუზღუდველობისკენ მისწრაფებაზე ორიენტირებულად რეალიზაციას ანუ „ძირითადი პარამეტრის მიხედვით მეორე ალტერნატივას“.

1921 წლამდე საქართველოს ისტორიაში მოვლენათა განვითარების განმსაზღვრელს ამოსავალი პარამეტრის მიხედვით ხსენებული ორი ალტერნატივის დაპირისპირება წარმოადგენდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ეს დაპირისპირება ქართული არისტოკრატიის წიაღში განვითარებულ განხეთქილებაში აისახა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ 1832 წლის შეთქმულების ჩაშლის მიზეზი იყო. ამ ალტერნატივათა კონფლიქტი უფრო მწვავე გახდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რასაც ასახავს ქართულ ინტელიგენციაში „მამათა და შვილთა ომის“ სახელით ცნობილი განხეთქილება (უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაპირისპირებაში ქართველი ერის ფენომენურ განვითარებაში მეოთხე ეტაპის დასაწყისიც არის ასახული, ჯერ მხოლოდ არაპირდაპირ თვითგამოხატვაში - ი. ჭავჭავაძე). "შვილთა" ბანაკის ლიდერები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ვაჟ-ფშაველასთან ენის საკითხში მათი დაპირისპირების (ერთგვაროვანი სალიტერატურო ენის და, ამდენად, ერთგვაროვანი სამეტყველო სივრცის დამყარებისკენ მისწრაფება ვაჟ-ფშაველას პოზიციაში გამოხატულ, დიალექტურად დიფერენცირებული სალიტერატურო ენის შენარჩუნებისკენ მისწრაფების საწინააღმდეგოდ), ქართველ ერში გარეგნულად რუსი ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის რეალიზაციის ამოსავალი პარამეტრის მიხედვით პირველი ალტერნატივის პერსონიფიკაციად წარმოგვიდგებიან. ამ ფუნქციონალურ სტატუსში მათ წინამორბედებად შეიძლება დასახელდეს ერეკლე მეორე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და დიმიტრი ყიფიანი. ამოსავალი პარამეტრის მიხედვით მეორე ალტერნატივის პერსონიფიკაციად წარმოგვიდგება „მამათა ბანაკის“ ლიდერი გრიგოლ ორბელიანი ხოლო ამ ფუნქციურ სტატუსში მის წინამორბედებად შეიძლება დასახელდნენ კათოლიკოსი ანტონ I, პეტრე ბაგრატიონი, მეფის ნაცვლები ბარატინსკი და ციციანოვი. XIX საუკუნის მიწურულს ამოსავალი პარამეტრის მიხედვით, მეორე ალტერნატივის მატარებლად ილია ჭავჭავაძის ბანაკს დაუპირისპირდა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „მესამე დასის“ სახით.

ალტერნატივების კონფლიქტმა, მეტად მწვავე ხასიათი შეიძინა 1905-1907 წლების რევოლუციის შედეგად, რუსეთის იმპერიის ანუ ფორმის მანიის ეფექტის რუსული ფენომენის განადგურების ფაქტიური შესაძლებლობის გამოვლენის საფუძველზე, რაც ამოსავალი პარამეტრის ნიველირების ტენდენციას, ძირითადი პარამეტრის აქტუალიზაციას და მის მიხედვით მეორე ალტერნატივის უპირატესობას განაპირობებდა. ძირითადი პარამეტრის მიხედვით ხსენებული ორი ალტერნატივის დაპირისპირებამ ასახვა ჰპოვა თვითონ მესამე დასის შიგნით წარმოშობილ განხეთქილებაში ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. ამ პარამეტრის მიხედვით, მეორე ალტერნატივის პერსონიფიკაციად მოგვევლინა (საბოლოო შედეგის მიხედვით) ქართველ ბოლშევიკთა ლიდერი სტალინი - მისი პირველი ფუნქციონალური სტატუსი. ძირითადი პარამეტრის მიხედვით, მეორე ალტერნატივა მე-20 საუკუნის პირველ მეხუთედში შეესაბამებოდა, როგორც ევროპული, ასევე ეგეოსური ცივილიზაციების მდგომარეობის ლოგიკას, რაც სტალინის პოლიტიკური წარმატების საფუძველს წარმოადგენს ხსენებულ ფუნქციურ სტატუსში.

კავკასიური ცივილიზაციის საბჭოეთის სივრცეზე განფენამ, ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის მიწურულს, ამოსავალ პარამეტრს წაართვა ალტერნატივათა გარჩევის პარამეტრის მნიშვნელობა (- ეგეოსური ცივილიზაცია საბოლოოდ გასცდა კავკასიის ფარგლებს) და ქართველ ერში ძირითადი პარამეტრის მიხედვით ალტერნატივათა დაპირისპირება გახდა მოვლენათა განვითარების განმსაზღვრელი. ეგეოსური დასაწყისის განვითარების, მესამე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში დაწინაურდა პირველი ალტერნატივა (შემდგომ ყველგან მხოლოდ ძირითადი პარამეტრის მიხედვით ალტერნატივებზე იქნება მსჯელობა), ამ ეტაპზე მის პერსონიფიკაციად, სტალინი შეიძლება დავსახოთ, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ ეს ალტერნატივა ორი ასპექტის მაერთიანებელია, ქართველ ერში მისი სათანადო გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი ფორმის მანიის ეფექტის ფენომენის და მისადმი დაქვემდებარებაში ჩაყენებულ ძლევის მანიის რუსი ერის ნიშნების ერთობლივად მატარებელია - სტალინი, როგორც გარეგნულად ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის პერსონიფიკაცია ამ ალტერნატივის გამომხატველ გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფში, ფორმის მანიის ეფექტის სათანადო ასპექტის განსახიერებად წარმოგვიდგება - მისი მეორე ფუნქციონალური სტატუსი. ხოლო გარეგნულად ძლევის მანიის ეფექტის სათანადო ასპექტის პერსონიფიკაციად ამ ფაზის განმავლობაში, მასთან მიმართების საფუძველზე, ლავრენტი ბერია ისახება. მეორე ალტერნატივის მდგომარეობა ამ ფაზაში, მისი პერსონიფიკაციის როლს შემორჩენილ, სერგო ორჯონიკიძის ხვედრშია ასახული. ამ ვითარების ასახვაა აგრეთვე, ერთის მხრივ, ტ. ტაბიძის, იაშვილის, ჯავახიშვილის და სხვათა და, მეორეს მხრივ, მაიაკოვსკის, ესენინის, ცვეტაევის და სხვათა საერთო ხვედრი.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულისთვის სტალინის ერთპიროვნული მმართველობის უზრუნველყოფის სამსახურმა ლ. ბერია, იმდენად გააძლიერა, რომ იგი, როგორც ერთადერთი შუამავალი ერთპიროვნულ ხელისუფალსა და პოლიტიკურ ელიტას შორის, თვითონ იქცა ერთპიროვნული ხელისუფალის ალტერნატიულ კანდიდატად, მისი ფაქტიური მდგომარეობა უმაღლესი ხელისუფლების ინსტიტუტში მრავლობის მომენტის (ორის თანამმართველობა) მნიშვნელობისა გახდა, რაც დაუშვებელი იყო ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში. ამით აიხსნება 1945-48 წლებში ამ ორი პიროვნების ურთიერთობაში განვითარებული მწვავე კონფლიქტი, რაც სტალინის მიერ ინსპირირებულ ე.წ. მეგრელთა

საქმის მისი კონკურენტის წინააღმდეგ თვალსაჩინო გამიზნულობაშიც აისახა. მაგრამ, ეგეოსური დასაწყისის განვითარების მომდევნო ფაზის დადგომამ (1949 წ.) მათს ურთიერთმიმართებაში მკვეთრი ცვლილება შეიტანა, ორის ფაქტიური თანამმართველობის (უმაღლესი ხელისუფლების ინსტიტუტში მრავლობის) მომენტი შესაბამისობაში აღმოჩნდა ახალ ფაზასთან ძლევის მანიის ეფექტის გამოხატულებად, რაც მათ მიერ ფუნქციონალური სტატუსის და ამდენად, ურთიერთობის შეცვლაში უნდა გამოხატულიყო. ის, რომ ლ. ბერია, მეორე ალტერნატივის პერსონიფიკაციად გარდაისახა, სტალინის გარდაცვალების შემდეგ მისი სამთვლიანი ერთპიროვნული მმართველობის პერიოდში, მის მიერ გადაგმული ნაბიჯების მიხედვით საცნაურდება, ხოლო სტალინის შემთხვევაში ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მასთან ახლო წარსულში მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, სტალინი აჩერებს მეგრელთა საქმის სახელით ცნობილ კომპრომეტაციის პროცესს და თავისი უახლოესი გარემოცვის (პერსონალური ექიმები, დაცვის უფროსი და აპარატის უფროსი) ჩამოშორების შემდეგ ფაქტიურად მუდმივ საცხოვრებლად გადადის სამთავრობო აგარაკზე, რომლის მთელ პერსონალს ლ. ბერია არჩევდა.

აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ, როგორც ირკვევა, ამ პერიოდში სტალინი პოლიტიკურად წინა ფაზის შესაბამისად წარმოდგენილ, საბჭოეთის სივრცეში მოქცეულ ფორმის მანიის კლასის ერთა წარმომადგენელი პირების დაქვეითებას და ძლევის მანიის კლასის რუსი ერის წარმომადგენელ პირთა დაწინაურების ინიცირებას ახდენდა, რაც მაგ. სუსლოვის კარიერაში აისახა.

ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხელშეწყობით, სტალინმა მიაღწია საბჭოეთის სივრცეზე ფორმის მანიის კლასის ებრაელი ერის წევრებად დარჩენილ ეთნიკურ ებრაელთა გაუცხოებას ამ სივრცეზე. საბჭოეთიდან ისრაელში ებრაელთა მიგრაციის ფაქტი ამგვარი ელემენტის არსებობის ტრანსფარაციას უზრუნველყოფდა, რის შემდეგაც მოსალოდნელი იყო ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზაში, ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის ლიკვიდაციის შესაძლებლობის საფუძველზე, საამისო მცდელობის მნიშვნელობით, მის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის გამოხატულებად კონკრეტულ ერზე პერსონიფიცირების მთავარი კანდიდატის, საბჭოეთის სივრცეს შემორჩენილი ფორმის მანიის კლასის ებრაელი ერის წარმომადგენელი ელემენტის რეპრესიის მთავარ ობიექტად დადგენა. ამდენად შესაძლებელია სინამდვილეს შეეფერებოდეს, გამოთქმული ექვები შორეულ აღმოსავლეთში, საგანგებო ბანაკებში ებრაელთა დეპორტაციის სამზადისის შესახებ. ე.წ. ექიმთა საქმე სტალინის გარდაცვალებით ჩაშლილ ამ პროცესის დასაწყისი იყო.

როგორც აღინიშნა, ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზა რეალიზებადი იყო ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის შენარჩუნებითაც, ამდენად ახალი ფაზის დადგომამ მოიტანა უმაღლესი ხელისუფლების ინსტიტუტში მხოლოობის მომენტის მხოლოდ აუცილებლობის მოხსნა და არა მხოლოობის მომენტის აუცილებლობით მოხსნა. ამრიგად სტალინი ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენტთან რჩებოდა ასოცირებული, მიუხედავად რეალური ფუნქციონალური სტატუსისა ახალი ფაზის საწყის ეტაპზე მისი რეალიზაციის ალტერნატივებს შორის არჩევანის დაფიქსირებამდე და გარეგნულად სტალინსა და ბერიას შორის ფუნქციონალური სტატუსის მიხედვით სხვაობა განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპით ანუ მართვის მანიის ეფექტით, მათი ერთიანობის პირობას წარმოადგენდა. ამრიგად, ბუნებრივია, რომ მოვლენების ამგვარი

გეზით წარმართვის მოწინააღმდეგენი ნ. ხრუშჩოვის მეთაურობით მათ ერთ ხელშემშლელ ფაქტორად აღიქვამდნენ და, როცა შესაძლებლობა მიეცათ, ერთნაირი აგრესია გამოავლინეს ორივეს მიმართ.

ბერიას დამარცხების მიუხედავად, ქართველი ერის ფაქტობრივად კანონგარეშედ დაყენების პირობებში, პირველი ალტერნატივის დაწინაურება გამორიცხული იყო რაკი ლ. ბერიას, რომელიც განასახიერებდა მეორე ალტერნატივას, განადგურებას მოჰყვა სტალინის, რომელიც ხალხის ცნობიერებაში განასახიერებდა პირველ ალტერნატივას, დისკრედიტაციის მცდელობა, რის გამოც ორივე ალტერნატივა დათრგუნული აღმოჩნდა, რასაც ქართველი ერისთვის აბსოლუტური მნიშვნელობით თვითგამოხატვისკენ მისწრაფების იმპულსი უნდა მიენიჭებინა. ამ ტენდენციის ასახვად შეიძლება მივიჩნიოთ 1956 წელს თბილისში საპროტესტო გამოსვლები, რომელიც სასტიკად ჩაახშვეს. მოვლენათა შემდგომ განვითარებაში ამ ტენდენციის უმაღლესი გამოხატულებაა ქართული კულტურის (კინო, თეატრი) მიღწევები და ლიტერატურის დარგში მართვის მანიის პირდაპირი ეფექტის ახალი პერსონიფიკაციის შემოსვლა ქართულ სინამდვილეში (დათა თუთაშხია – ქართველი ერის ფაქტიურად პოლიტიკურად დევნილის მდგომარეობაში ყოფნის დაფიქსირება).

სტალინის გარდაცვალებით მოისპო მრავლობის მომენტი საბჭოთა უმაღლესი ხელისუფლების ინსტიტუტში და ბერია ფაქტიურ ერთპიროვნულ მმართველად იქცა, ანუ მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციის ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის შენარჩუნების სათანადო ალტერნატივის შესაბამის მდგომარეობაში ჩავარდა. როგორც სჩანს, მან სწორად ვერ შეაფასა ეს მდგომარეობა, რადგან კომპარტიისა და მთავრობის მეთაურად მისადმი მორალურად სრულ დაქვემდებარებაში მყოფი პიროვნების, მალენკოვის დაყენებით (სტალინის სიკვდილის შემდეგ, ცნობილია, რომ ბერიამ გაანაწილა თანამდებობები) ვერ მიიღწეოდა მიმდინარე ფაზის რეალიზაციის მეორე (ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის ლიკვიდაციის სათანადო) ალტერნატივის შესაბამისად საბჭოთა უმაღლესი ხელისუფლების ინსტიტუტში მრავლობის მომენტის უზრუნველყოფა. შეიძლება საამისოდ უმჯობესი გამომდგარიყო ჟუკოვის, მოლოტოვის ან სუსლოვის კანდიდატურა. ამრიგად ბერიამ, საკუთარი არჩევანით გზა გადაუღო ალტერნატივას, რომლის პერსონიფიკაციაც თვითონ იყო. ცხადია, რომ ამგვარ ვითარებაში მის მიერ ფუნქციონალური სტატუსის შეცვლის გარეშე, მისი დამარცხება გარდაუვალი იყო და ასეც მოხდა, ხელისუფლების სათავეში მოვიდა ფორმის მანიის კლასის ერების წარმომადგენელ პირთა ჯგუფი, უკრაინელი ნ. ხრუშჩოვის მეთაურობით (მისი უკრაინელობა, უკრაინისთვის ყირიმის გადაცემის ფაქტში საცნაურდება). შემდეგ იგი შეცვალა მოლდაველმა ბრეჟნევმა. (ამიერიდან ორმაგი ეფექტის ფაზის და ქართველ ერში რუს ერზე ორიენტირებულად გარეგნულად ძლევის მანიის ეფექტის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის რეალიზაციის ალტერნატივებს შორის ურთიერთცალსახა შესაბამისობა დამყარდა)

მოვლენების ამგვარი შემობრუნება აიხსნება გადამფარავი სუბიექტის ეფექტით: სტალინი და ბერია, როგორც მართვის მანიის ინდივიდები თავიანთ თვითრეალიზაციის მცდელობაში ამ ფაქტის საფუძველზე დაქვემდებარებულნი უნდა ყოფილიყვნენ (ამის აცილება შეუძლებელია) მათი სახით წარმოდგენილ ორელემენტთან სიმრავლეზე რეალიზებულ მართვის მანიისავე ეფექტისადმი, რაც მათს ურთიერთქმედებას, გადამფარავი სუბიექტის ეფექტით განსაზღვრულს, მეორე ალტერნატივის დაწინაურების უზრუნველყოფის შეთანხმებული მცდელობის მნიშვნელობას ანიჭებდა. სტალინის

გარდაცვალებით კი ამ ეფექტის განვითარების შესაძლებლობა მოისპო. ხოლო ბერიას მიერ მოკავშირედ არჩეული ერთი რუსი მალენკოვისგან მისი ღალატი შეიძლება ცივილიზაციის სტიქიურობით აიხსნას.

ეგეოსური დასაწყისის განვითარების მესამე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში, როგორც აღინიშნა, ქართველ ერს კანონგარეშედ დგომის მდგომარეობისგან გამოსვლის საშუალება მიეცა და ამ ფაზაში პირველი ალტერნატივის პერსონიფიკაციად ედუარდ შევარდნაძე მოგვევლინა – მისი პირველი ფუნქციური სტატუსი. ის ამ ფუნქციურ სტატუსს ინარჩუნებდა ამ ფაზის დასრულების შემდეგაც, მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზის დასაწყისში, 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტად მის არჩევამდე. ამ უკანასკნელი ორი ფაზის საზღვარზე, გარეგნულად ძლევის მანიის კლასის რუსი ერის ნიშნებით გამორჩეულმა ჯგუფმა დაჰკარგა ქართველ ერში ჰეგემონი ჯგუფის მნიშვნელობა. მას ამ როლში დაუპირისპირდა, გარეგნულად ფორმის მანიის ეფექტის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფი რომლის პერსონიფიკაციად წარმოგვიდგება საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია. ამ ჯგუფის შემთხვევაში იგულისხმება არა რომელიმე ფორმის მანიის კლასის ერის, არამედ, თვითონ ქართველი ერის კულტურის ელემენტები გარეგნული ფორმის ეტალონურ ნიმუშებად დასახულნი (ყოველი თვისებრივი ტიპის ერის მემკვიდრეობა, მისი აბსოლუტური თვისებრივი

მნიშვნელობის მიუხედავად, შეიძლება გამოყენებულ იქნას ფორმის მანიის სათანადო სულისკვეთების ამგვარად რეალიზაციისთვის), თუმცა ფორმის მანიის კლასის გერმანელი ერის მემკვიდრეობაზე ორიენტაცია ამ ჯგუფის ფენომენში მაინც არის წარმოდგენილი (– ანთროპოსოფია). ზ. გამსახურდიას იდეურ წინამორბედად ამ ფუნქციური სტატუსის წარმოდგენაში გრიგოლ რობაქიძე ისახება. ამ ჯგუფის განსაკუთრებული გაძლიერება დაკავშირებული იყო საბჭოეთში ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზის ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის შენარჩუნების გზით რეალიზაციის სათანადო ალტერნატივის დაწინაურებით (ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის ლოკალური, ქართული ვარიაცია), რაც მ. გორბაჩოვის ფუნქციური სტატუსის შეცვლაში აისახა. 1991 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ბ. ელცინის დაწინაურებით, პრიორიტეტული გახდა ხსენებული ფაზის რეალიზაციის მეორე, ქართველი ერის აბსოლუტური თვითრეალიზაციის დაშვების სათანადო ალტერნატივა. ამან გამოიწვია ზ. გამსახურდიას ფენომენთან ასოცირებული გარეგნული განსხვავების მატარებელი ჯგუფის ჰეგემონიის პერიოდის დასასრული და 1992 წლიდან საქართველოში კვლავ გარეგნულად ძლევის მანიის კლასის ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფი გაბატონდა. მაგრამ, რუსეთში ბორის ელცინის მიერ ფუნქციური სტატუსის შეცვლის შედეგად მის ფორმის მანიის ეფექტის ახალი რუსული ფენომენის პერსონიფიკაციად თვითდაფიქსირების გზით, ამ ჯგუფმა ვერ მოიპოვა მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზაში ქართველი ერის თვითრეალიზაციის უპირატესი ალტერნატივის მნიშვნელობა. ამდენად, ე.შევარდნაძეს, როგორც მის პერსონიფიკაციას, არ შეეძლო პოლიტიკური ინიციატივის შენარჩუნება. აფხაზეთის კონფლიქტში მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციის ხსენებული ალტერნატივის სათანადოდ რუსეთის მიერ ქართველი ერისადმი უკიდურესად მტრული დამოკიდებულების დემონსტრირების შედეგად, ქართველი ერი იძულებული გახდა გარეგნულად ფორმის მანიის ეფექტის ახალი რუსული ფენომენის გაფართოების ამოცანას დაექვემდებარებოდა, „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ შესულიყო, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა

ქართველ ერში გარეგნულად ფორმის მანიის ეფექტის ნიშნებით გამორჩეული, ზ. გამსახურდიას სახელთან ასოცირებული ჯგუფის მიერ მისი ჰეგემონური მდგომარეობის აღდგენის მცდელობამ (1993 წ. მდ. ცხენისწყალზე მეორე ფრონტის გახსნა, რამაც ქვეყანა, ლიხის ქედზე, დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად გაყოფის საფრთხის წინაშე დააყენა, რითაც უქმდებოდა მისი გეოპოლიტიკური ფუნქცია ფორმის მანიის ეფექტის საბჭოთა ფენომენის მოხსნის შედეგად აქტუალიზებული).

რუსეთის პოლიტიკა ქართველ ერში გარეგნულად ძლევის მანიის რუსი ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის პირველი ალტერნატივის მნიშვნელობით (ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზის ფორმის მანიის ეფექტის ახალი რუსული ფენომენის გაფართოების სათანადო ალტერნატივა) დამყარებისკენ მისწრაფების გამოხატულება იყო ამ პერიოდში და ასეა დღემდე. ე.შევარდნაძე „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ საქართველოს შესვლის ანუ „ფორმის მანიის ეფექტის ახალი რუსული ფენომენის“ საქართველოს სივრცეზე გაფართოების და ე.ი. ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციის პირველი ალტერნატივის დაწინაურების ინიციატორად სჩანს, მაგრამ მან ამის სათანადო სტატუსი არ მიიღო და საბოლოოდ პოლიტიკის სფეროში ამ ალტერნატივის პერსონიფიკაციად მოგვევლინა საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე, მისი შემდგომი ხვედრი ამ ალტერნატივის მდგომარეობას ასახავს. ე.შევარდნაძემ მის წინააღმდეგ გამოიყენა გარეგნულად ძლევის მანიის კლასის რუსი ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის მეორე ალტერნატიული რეალიზაცია, რომლის პერსონიფიკაციად ამ ეტაპზე და ისტორიის უკანასკნელი ნახევარ საუკუნეიანი მონაკვეთის მიხედვით, წარმოგვიდგება გასამხედროებული ორგანიზაციის „მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი. ამ პიროვნების ბიოგრაფია ადექვატურად ასახავს მის გარეგნულ თვითგამოხატვად ძლევის მანიის ეფექტის ნიშნების პრიორიტეტულობის მიუხედავად, ქართველი ერის კანონგარეშედ დგომას 50-60 წლებში; ქართველი ერის პოლიტიკური რეაბილიტაციის ტენდენციას 70-80-იანი წლების საბჭოეთში; გარეგნულად ძლევის მანიის რუსი ერის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის მდგომარეობას, გარეგნულად ფორმის მანიის ეფექტის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის ჰეგემონიის პირობებში (მხედრიონის და მისი ლიდერის რეპრესირება ზ. გამსახურდიას მმართველობისას); ე. შევარდნაძის ფუნქციონალური სტატუსის შეცვლის შედეგად ამ ჯგუფის ახალი მდგომარეობაც მის ხვედრშია ასახული (მხედრიონის და მისი ლიდერის მეორედ რეპრესირება 90-იანი წლების შუა ხანებში). ე. შევარდნაძე კი, ქართველ ერში გარეგნულად ცხრომის მანიის ეფექტის ნიშნებით (ამერიკელ ერზე ორიენტირებულად) გამორჩეული ჯგუფის ჩამოყალიბების ინიციატორად და, შეიძლება ითქვას, პერსონიფიკაციად გვევლინება, მის მიერ ქართული ფინანსური ოლიგარქიის ჩამოყალიბების ხელშეწყობის და მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის ტენდენციაზე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტირების საფუძველზე. მთელი ქართველი ერი მისი პრეზიდენტობის პერიოდში პრაქტიკულად სავაჭრო კაპიტალის დაგროვების სტიქიური პროცესით იყო დაკავებული.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის მესვეურთა არაოპტიმალური მოქმედებით ძლევის მანიის რუსი ერის შეფერხების მაკომპენსირებელმა ამერიკის სამხედრო მანქანის აქტიურობამ ახალი გასაქანი შეიძინა. ამის საფუძველზე ქართველ ერში გარეგნულად ძლევის მანიის ეფექტის ნიშნებით გამორჩეული ჯგუფის,

ამჯერად ამერიკის სამხედრო მანქანასთან სტარტეგიულ კავშირზე ორიენტირებულად ჰეგემონურ ჯგუფად დადგენის პირობები შეიქმნა, რაც საქართველოში 2003 წლის ნოემბრის მოვლენების და ახალი პოლიტიკური ძალის მმართველობის დამყარების საფუძველია. ამ გარეგნული განსხვავების მატარებელი ჯგუფის პერსონიფიკაციად გვევლინება მ. სააკაშვილი. ე. შევარდნაძე დარჩა იგივე ფუნქციონალურ სტატუსში, რაც ინიციატივის დაკარგვის ფასად დაუჯდა.

გარეგნული განსხვავების მატარებელ ახალ ჰეგემონურ ჯგუფის ფენომენში ძლევის მანიის ეფექტი გლობალიზმის სახელით ცნობილი მსოფლიოს გაერთიანების ტენდენციის მხარდაჭერაშია ასახული (შეიძლება აქვე აღინიშნოს კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგით წარმოდგენილი თანასწორობის აპოლოგიის ფაქტი). ამ ჯგუფს ჰეგემონურობის შენარჩუნებისთვის ხელსაყრელი პირობები შეუნარჩუნდება მიმდინარე ათწლეულის დასასრულამდე, ანუ მორიგი ფაზის დადგომამდე.

ცივილიზაციის სტიქიურობის პირობებში, ახალ ფაზაში, რომელიც მორიგი ათწლეულის დასაწყისში დადგება, მოსალოდნელია გარეგნულად ფორმის მანიის ეფექტის ნიშნებით ქართველი ერის მემკვიდრეობის გარეგნულ კონკრეტულობაზე ორიენტირებულად გამორჩეული ჯგუფის აღდგენა და ქართველ ერში ჰეგემონიისთვის ბრძოლაში მისი დაწინაურება. შესაძლებელია ასევე ირანის და თურქეთის ქართული დიასპორების (გარეგნულად ირანული სამყაროს მემკვიდრეობის და თურანული სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეულ ჯგუფთა) დაწინაურება მომავალი ფაზის თვისებრიობის საფუძველზე.

აქ წარმოდგენილ სამეცნიერო სიახლეთა (“ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის” და „ციკლური ლოგიკის“ შედეგები) მსოფლიოს პოლიტიკური ელიტის ყურადღების საგნად გადაქცევა მსოფლიოს გლობალური მოწესრიგების, გლობალურ ცივილიზაციაში ერთა შორის ურთიერთმიმართების ოპტიმალურ მნიშვნელობაზე დაფიქსირების და ამით ქართველი ერის მსოფლიო ასპარეზზე პირდაპირი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის დამყარების პირობაა, რაც საქართველოს სახელმწიფოს გაეროს მასპინძელ ქვეყნად ჩამოყალიბების პროცესის დაწყებაში უნდა გამოიხატოს. ამით საფუძველი გამოეცლება ქართველ ერში გარეგნული განსხვავების მატარებელ ჯგუფთა ურთიერთბრძოლას და ქართული სახელმწიფო ქართველი ერის აბსოლუტური თვითგამოხატვის მექანიზმად დადგინდება.

§7. ოპტიმალიზმი (ნაციონალ-გლობალიზმი) – გლობალიზმის იმპერატიული პარადიგმა

მიზანშეწონილია მოკლე დასკვნის სახით დავაფიქსიროთ წარმოდგენილი კვლევის შედეგებით დაფუძნებული პოლიტიკური პროგრამის შინაარსი.

მსოფლიოს თანამედროვე პრობლემების მთავარი წყაროა მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თითოეულ ერს საზოგადოდ, მისი არსებობის და განვითარების შესაძლებლობის შენარჩუნებით დაინტერესებული არავინ მოეპოვება თავისივე თავის გარდა და ამდენად, თავის არსებობის გარანტიად დედამიწაზე მოცემულ საარსებო (სასიცოცხლო და სამრეწველო) რესურსების სულ უფრო და უფრო მეტ წილზე საკუთარი კონტროლის დამყარებაა

დასახული, არა მხოლოდ საარსებო რესურსებზე საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, არამედ, ამ რესურსებით სარგებლობაზე კონტროლის დამყარებით სხვა ერების გაძლიერების აღსაკვეთად. ესე იგი, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეტაპზე (და ასე იყო ყოველთვის, დღემდე) საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში გაბატონებულია „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგია“ ანუ შეუჩერებელი შეტევითი ქცევის სტრატეგია. ამის გამო ერთა შორის მოკავშირეობა მხოლოდ საერთო მტრის პირისპირ ხდება შესაძლებელი და ამ შემთხვევაშიც კი პრობლემურია. (მაგ. საბჭოთა საფრთხის მოხსნამ ბზარი მიაყენა ამერიკის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობას – დღეს დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის პროცესი ამერიკის წინააღმდეგ კონსოლიდაციის მომენტსაც შეიცავს, სწორედ ამიტომ შეიძინა მან ახალი ბიძგი სსრკ-ს დაშლის შემდეგ.)

„საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის“ კარნახით ყოველი ერი მოწოდებულია გაანადგუროს სხვა ამგვარი ისტორიული ერთეულები, ან თავს მოახვიოს მათ საკუთარი ღირებულებათა სისტემა, რადგან თითოეულ მათგანს, ხსენებული სტრატეგიის მიხედვით, მხოლოდ ამრიგად შეიძლება შეუმცირდეს ამგვარივე გარეგანი ზემოქმედების ობიექტის როლში ჩავარდნის შესაძლებლობა სამომავლოდ.

ცხადია, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის“ ბატონობის პირობებში შეუძლებელია შიშის ფაქტორის დაძლევა და მყარი მშვიდობის მიღწევა ერთ-ერთი ერის საბოლოო გამარჯვებამდე, რაც ნიშნავს ისეთი მდგომარეობის დამყარებას, როცა ადამიანისთვის ხელმისაწვდომ საარსებო რესურსთა უდიდესი ნაწილი ერთ-ერთი ერის კონტროლქვეშ იქნება მოქცეული, ხოლო სხვა ერებს, თუ ისინი გააგრძელებენ არსებობას, საარსებო მინიმუმის ზღვარზე ექნებათ ამის შესაძლებლობა დატოვებული. მაგრამ რომელიმე ერის მკვეთრი დაწინაურება, ამავე სტრატეგიის კარნახით, დანარჩენ მსოფლიოს მის (როგორც მაგ. დღეს, ამერიკის) წინააღმდეგ კონსოლიდაციის გზაზე დააყენებს.

ამრიგად, „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგია“ (ძველი პარადიგმა) პოლიტიკური ექსტრემიზმის, საერთაშორისო დამაბულობისა და გლობალური ომის საფრთხის განუხრელი ზრდის პირობად წარმოგვიდგება.

ამ ნაკლის იდეური დამღევისა და საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესების ახალ სტრატეგიაზე დაფუძნების შესაძლებლობის და გზის მაჩვენებელია ფსიქიკურ სტიქიათა თეორიისა და ციკლური ლოგიკის საფუძველზე „ერის“ და „ცივილიზაციის“ კატეგორიათა ზუსტი მეცნიერული დეფინიციის მიღწევა (ამ ტერმინთა მნიშვნელობის ლოგიკურად მკაცრი დაფიქსირება, საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების განსაზღვრა) და ისტორიული პროცესის ლოგიკის განსაზღვრა (ისტორიულ ეპოქათა იდენტიფიკაცია და მათი მონაცვლეობის კანონზომიერებების დადგენა).

ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის და ციკლური ლოგიკის შედეგები გვკარნახობს თანამედროვე საერთაშორისო პროცესებში ერთმანეთის საპირისპირო ტენდენციებად დასახულ გლობალიზმის და ნაციონალიზმის იდეური შერიგების შესაძლებლობას და აუცილებლობას. ამ დებულებით მონიშნული მიმართულება საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარებისა შეიძლება წოდებულ იქნას ნაციონალ-გლობალიზმად.

ერის და ცივილიზაციის კატეგორიების ზუსტი და სრული განსაზღვრის საფუძველზე, გაირკვა, რომ ერი როგორც ფენომენი აუცილებლად გულისხმობს ცივილიზაციას, როგორც მისი ფუნქციონალური ელემენტი და ერი თავისი კულტურული მემკვიდრეობის

(უფართოესი გაგებით: ენა, მითოსური, რელიგიური, ფილოსოფიური სისტემები, სამეცნიერო სკოლები, მიმდინარეობანი ლიტერატურაში, ხელოვნებაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში...) მატარებლად რჩება მხოლოდ თავის მომცავ ცივილიზაციაში ფუნქციონალური სტატუსის შენარჩუნების, ანუ ცივილიზაციის სხვა თვისებრიობის ფუნქციონალურ ელემენტთა სათანადო პოტენციების ცივილიზაციის ფარგლებში ამ ერის გარეთ რეალიზებულობის პირობებში. მხოლოებაში დარჩენილი ერი თვითონ ხდება ამ პოტენციათა სხვა თვისებრივი ტიპის ერთა სახით რეალიზაციის პროცესისადმი დაქვემდებარებული, ანუ ცივილიზაციის ფუნქციონალურ ერთეულებად დაყოფის ობიექტი.

ამ ფაქტის გაცნობიერება აუცილებელი და საკმარისი პირობაა საერთაშორისო ურთიერთობებში (უკიდურეს შემთხვევაში, სხვადასხვა თვისებრივი ტიპის ერებს შორის მაინც) საარსებო რესურსების ოპტიმალური განაწილების სტრატეგიის გაბატონებისათვის ანუ თავისივე თავის მემკვიდრეებად არსებობა-განვითარებაში ერთა ურთიერთ ხელშეწყობის სულისკვეთების დამყარებისათვის საერთაშორისო ცხოვრებაში და მით მსოფლიოს მდგომარეობის სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის.

საარსებო რესურსების დატაცება-შენარჩუნებისთვის ურთიერთბრძოლაში სტაბილური საერთაშორისო თანაშრომლობის დამყარების შეუძლებლობა ერებს სხვა თვისებრივი ტიპის ერებთან ურთიერთობის დეფიციტის პირობებში აყენებს, რისი დაძლევაც ეროვნულ საზოგადოებებში გარკვეულ მაკომპენსირებელ ფენომენტთა განვითარებას მოითხოვს და რაკი ერთა ურთიერთდაპირისპირება სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდება, სწორედ ეს ინსტიტუტი გვევლინება ხსენებულ მაკომპენსირებელ ფენომენტთა მატარებლად, რაც მას გარკვეულად, თვისებრივად მიჯნავს ერისაგან. ერის და სახელმწიფოებრიობის ამგვარი ურთიერთმიმართება გულისხმობს თვისებრივი შეუთავსებულობის მომენტს ერსა და სახელმწიფოებრივ ინსტიტუტს შორის, რისი დაძლევა მხოლოდ მტრის ხატის მეშვეობით მიიღწევა. ამრიგად სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, აღწერილ ვითარებაში, ნაყოფია საარსებო რესურსთა დატაცების სტრატეგიის ამსახველი პრინციპებისა და თვითონვე წყარო ხდება ამ პრინციპების შემდგომი აქტუალიზაციისა. ამგვარ ვითარებაში არცერთი ერის მდგომარეობა არ არის და არც შეიძლება იყოს სტაბილური.

თუმცა მსოფლიოს ისტორიაში რამდენიმე დამოუკიდებელი ლოკალური ცივილიზაციის არსებობა ფაქტია, სადღეისოდ ცივილიზაციათა მრავლობა მოხსნილია ერთ-ერთი მათგანის მთელ მსოფლიოზე განგებით და დღეს მსოფლიო ერთ გლობალურ ცივილიზაციად არის წარმოდგენილი (თუ არ ჩავთვლით პირველყოფილი ცხოვრებით თვითიზოლაციაში მოარსებე ეთნოსებს ამაზონის აუზში, ახალ გვინეაში და ზოგიერთ სხვა რეგიონში). ორმხრივი ურთიერთობების ხანა დასრულდა და ყოველ მნიშვნელოვან საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფოებრივი პრობლემის სრული გადაწყვეტა მხოლოდ გლობალურ ასპექტშია შესაძლებელი, მათ შორის ქართული სახელმწიფოებრიობის ქართველი ერის თვისებრიობის სათანადო მდგომარეობაში მოყვანა მსოფლიოს ოპტიმალური მოწყობის ერთ-ერთი შემადგენელი პრობლემაა და მხოლოდ მსოფლიოს ოპტიმალური მოწყობის გლობალური პროგრამის ფარგლებში გადაიჭრება.

მითითებულ სამეცნიერო სიახლეთა გათვალისწინებით სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტი ცივილიზაციის შიგნით, ერთა მიერ მათი ფუნქციური სტატუსის რეალიზაციის ინსტრუმენტად გადაიქცევა, რაც მოსპობს თვისებრივ ზღვარს ამ ინსტიტუტსა და ერს შორის.

„ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის“ და „ციკლური ლოგიკის“ დასკვნებზე დაფუძნებული ოპტიმალიზმის (ნაციონალ-გლობალიზმის) დოქტრინა ერთა შორის თვისებრივი განსხვავებულობის გამოხატულებათა შემდგომი განვითარების, გამკვეთრების და, ამის საფუძველზე, მათი საარსებოდ ურთიერთზე დამოკიდებულობის ხარისხის ამაღლებას გულისხმობს.

მსოფლიოს ყოველი პოლიტიკური ერთეული ოთხიდან ერთ-ერთი შესაძლო ტიპის სამართლებრივი მოწყობის არედ ჩამოყალიბდება. დედამიწის ტერიტორიულ განაწილებაში, განხორციელდება ოთხი განსხვავებული თვისებრივი ტიპის ერებს შორის საარსებო რესურსების და სივრცის ოპტიმალურად განაწილების პრინციპი აბსოლუტური გარანტიით. ამგვარი გარკვეულობის დამყარებას დღემდე ცივილიზაციის სტიქიურობა უშლის ხელს.

ნოოსფერული ცივილიზაცია ერებს შორის მათი თვისებრივი ტიპის მიხედვით ოპტიმალური ურთიერთმიმართების დამყარებას გულისხმობს. იგი ერთა მიერ საკუთარი თვისებრიობის შეუზღუდველი თვითრეალიზაციის უპირობო და უშუალო თანმხლები შედეგია, რაც ნიშნავს იმას, რომ არცერთ ერს გლობალური ინტეგრაციის პირობად არავითარი დამატებითი, მის შეუზღუდველ თვითრეალიზაციასთან დაუკავშირებელი პირობის შესრულება არ მოეთხოვება.

ოპტიმალიზმის დოქტრინა არსებითად განსხვავდება გლობალიზმის თანამედროვე გაგებისგან, რომელიც მთელი მსოფლიო საზოგადოების ერების მხოლოდ ერთი თვისებრივი ტიპის (ერთა ცხრომის მანის კლასი) სათანადოდ ორგანიზების მიღწევას გულისხმობს და ამდენად, უპერსპექტივოა და მხოლოდ რადიკალური ექსტრემისტული უკურეაქციის წყაროა.

ოპტიმალიზმი კაცობრიობის ნოოსფერულ ცივილიზაციად ჩამოყალიბების მეცნიერული პროგრამაა.

თანამედროვე გლობალური ცივილიზაციის სტიქიურობის აღკვეთა ქართველი ერის განვითარების აუცილებელი პირობაა.

§8. ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის ცნებები

ცნებები დალაგებულია აზრის უწყვეტი განვითარების სათანადოდ.

განწყობა – დიმიტრი უზნაძისეული პირველი დეფინიციის მიხედვით - სუბიექტის სიმთელის მომენტის, როგორც გარეშე სინამდვილესა და ფსიქიკურ შინაარსებს შორის შუამავალი რგოლის, არსებობის მოდუსი;

დიმიტრი უზნაძე იყენებს განწყობის მეორე დეფინიციასაც, რომელიც დაფიქსირებულია შემდეგი ფორმულირებით: _ განწყობის მოვლენები ვლინდება იქ, სადაც სუბიექტის შინაგანი მოთხოვნილება მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობის სიტუაციას წააწყდება

ფსიქიკურ სტიქიათა თეორია – დ. უზნაძის განწყობის თეორიის ორიგინალური (ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით) განვითარების შედეგი, განწყობის შინაარსის

საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის აღმოჩენის საფუძველზე და განწყობის უზნაძისეული, მხოლოდ პირველი დეფინიციის გამოყენებით.

დიმიტრი უზნაძე და მისი სამეცნიერო სკოლა განწყობის მოვლენებს განწყობის შინაარსის, საზოგადოდ, მოხსნად და კვლავადგენად მომენტთა მიხედვით განიხილავს, რასაც ასახავს ის ფაქტიც, რომ დიმიტრი უზნაძის მიერ შემოტანილი განწყობის რვავე ინტერინდივიდუალური პარამეტრი სწორედ ამ მოხსნა-აღდგენის პროცესს აღწერს.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი – ნებისმიერი სუბიექტის განწყობის შინაარსში მოქმედების აქტის საზოგადოდ შეფასებადობის საფუძველზე აუცილებლობით მონაწილე ასპექტი.

ფსიქიკური სტიქიები – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ოთხი შესაძლო მნიშვნელობა და მათი სათანადო ოთხი დომინანტური ფსიქიკური კომპლექსი.

ფორმის მანია – ერთ-ერთი ფსიქიკურ სტიქიათაგანი და მისი გამომხატველი ფსიქიკური კომპლექსი, რომლის ზოგიერთი მახასიათებელი მითითებულია ცხრილში. (გვ. 10-11)

ძლევის მანია – ერთ-ერთი ფსიქიკურ სტიქიათაგანი და მისი გამომხატველი ფსიქიკური კომპლექსი, რომლის ზოგიერთი მახასიათებელი მითითებულია ცხრილში (გვ. 10-11).

ცხრომის მანია – ერთ-ერთი ფსიქიკურ სტიქიათაგანი და მისი გამომხატველი ფსიქიკური კომპლექსი, რომლის ზოგიერთი მახასიათებელი მითითებულია ცხრილში (გვ. 10-11).

მართვის მანია – ერთ-ერთი ფსიქიკურ სტიქიათაგანი და მისი გამომხატველი ფსიქიკური კომპლექსი, რომლის ზოგიერთი მახასიათებელი მითითებულია ცხრილში (გვ. 10-11).

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტი – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის, თავის ერთ-ერთ შესაძლო მნიშვნელობაზე (ფსიქიკური სტიქია) დაფიქსირებულობის პირობებში სუბიექტის მოქმედების პროცესზე და მოქმედების შედეგზე გავლენის გამოხატულება ზოგადი მახასიათებლებით წარმოდგენილი, იგივე ფსიქიკური სტიქიის ეფექტი.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ეფექტი – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის თავის ერთ-ერთ შესაძლო მნიშვნელობაზე (ფსიქიკური სტიქია) დაუფიქსირებულობის (მნიშვნელობათა ცვლილების დაშვებულობა აქტის განმავლობაში) პირობებში სუბიექტის მოქმედების პროცესზე და მოქმედების შედეგზე გავლენის გამოხატულება ზოგადი მახასიათებლებით წარმოდგენილი.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტის ფენომენი – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტი კონკრეტულ რეალიზაციაში.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ეფექტის ფენომენი – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ეფექტი კონკრეტულ რეალიზაციაში.

ფსიქიკური სტიქიის ეფექტი – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტი ოთხიდან ერთი მნიშვნელობით.

ფსიქიკური სტიქიის კასტური ეფექტი – ფსიქიკური სტიქიის ეფექტი მეორე ფსიქიკური სტიქიის ეფექტის ფონზე განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ეფექტის თანმხლები მოვლენა.

ფსიქიკური სტიქიის ეფექტის ფენომენი – ფსიქიკური სტიქიის ეფექტი კონკრეტულ განხორციელებაში წარმოდგენილი.

ფსიქიკური სტიქიის კასტური ეფექტის ფენომენი – ფსიქიკური სტიქიის კასტური ეფექტი კონკრეტულ განხორციელებაში წარმოდგენილი.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის “პირველი გვარის” ინტეგრალური ეფექტი – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის, პირველი გვარის ეფექტი მისი დომინანტურობის პირობებში: მხოლოდითი სუბიექტის შემთხვევაში – მოქმედების აქტის საკმარისად ხანგრძლივობისას; მრავლობითი სუბიექტის (სინქრონული თუ დიაქრონული მრავლობა) შემთხვევაში – ინდივიდთა რიცხვის საკმარისი სიდიდის პირობებში; ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობებზე (_ წინა ორივე პირობის ერთობლიობა)ე.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის “მეორე გვარის” ინტეგრალური ეფექტი – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის, მეორე გვარის ეფექტი მისი დომინანტურობის პირობებში: მხოლოდითი სუბიექტის შემთხვევაში – მოქმედების აქტის საკმარისად ხანგრძლივობისას; მრავლობითი სუბიექტის (სინქრონული თუ დიაქრონული მრავლობა) შემთხვევაში – ინდივიდთა რიცხვის საკმარისი სიდიდის პირობებში; ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობებზე (_ წინა ორივე პირობის ერთობლიობა).

ერი – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ინტეგრალური ეფექტის ფენომენი ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობათა შემთხვევაში, ფსიქიკური სტიქიის ეფექტის ფენომენი უმაღლეს განხორციელებაში, ისტორიის სუბიექტი, რომლის განწყობის შინაარსში საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი წარმოდგენილია ერთ-ერთი ფსიქიკური სტიქიით.

ამ ტერმინის ასეთი მნიშვნელობით გამოყენების საფუძველია ის ფაქტი, რომ „ეროვნულ კულტურულ-ინტელექტუალურ მემკვიდრეობათა“ სახელით ცნობილი (უფართოესი გაგებით: ენა; ტოტემისტური, მითოსური, რელიგიური, ფილოსოფიური სისტემები; ხელოვნების, ლიტერატურის, სამეცნიერო სკოლები; პოლიტიკური და სოციალური ორიენტირები და სხვა) ისტორიული ფენომენები მათი თვითშეთანხმებული კომპონენტების მიხედვით ურთიერთშედარებაში ფსიქიკურ სტიქიათა ურთიერთგანსხვავებისა და თვითთავისებულების გამომხატველ თვისებრივი ურთიერთგანსხვავებისა და ურთიერთთავისებულების დაფიქსირების საშუალებას იძლევა. ამრიგად, ერი გულისხმობს საზოგადოებას, რომელიც კონკრეტული ფსიქიკური სტიქიის დომინანტურობის კონკრეტული განხორციელების პროცესს არის თვითდაქვემდებარებული თავის ისტორიაში.

ერთა თვისებრივი ტიპი – კონკრეტული ფსიქიკური სტიქიის ეფექტის ფენომენებად დადგენილ ერთა პოტენციური სიმრავლე, შეიძლება დავასახელოთ ერთა 4 თვისებრივი ტიპი: მართვის მანიის კლასი, ფორმის მანიის კლასი, ძლევის მანიის კლასი და ცხრომის მანიის კლასი.

ერთა ფორმის მანიის კლასი – ფორმის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო ერთა თვისებრივი ტიპიდ ძირითადი ისტორიული და თანამედროვე წარმომადგენლები ჩამოთვლილია ცხრილში (გვ. ...).

ერთა ძლევის მანიის კლასი – ძლევის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო ერთა თვისებრივი ტიპი. ძირითადი ისტორიული და თანამედროვე წარმომადგენლები ჩამოთვლილია ცხრილში (გვ. ...).

ერთა ცხრომის მანიის კლასი – ცხრომის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო ერთა თვისებრივი ტიპი. ძირითადი ისტორიული და თანამედროვე წარმომადგენლები ჩამოთვლილია ცხრილში (გვ. ...).

ერთა მართვის მანიის კლასი – მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო ერთა თვისებრივი ტიპი. ძირითადი ისტორიული და თანამედროვე წარმომადგენლები ჩამოთვლილია ცხრილში (გვ. ...).

ცივილიზაცია – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტის ფენომენი ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობათა შემთხვევაში (დაზუსტება – იხ. ნოოსფერული ეფექტი).

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურები – ფსიქიკური ინდივიდუალური ფენომენის შემთხვევაში განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნის გამოვლენის თვისებრივი სტადიები.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ოთხიდან ერთ-ერთი შესაძლო მნიშვნელობით დაფიქსირებულობა (რაც ნებისყოფის ფსიქოლოგიური ფენომენის არსებობის საფუძველია), საზოგადოდ, ამ მნიშვნელობის ცვლის შესაძლებლობის გათვალისწინებით ანუ გადაგვარებულობის მოხსნა ფსიქიკურ ინდივიდურ ფენომენში თავის თავთან დატოლების მომენტის უწყვეტად წარმოდგენილობას ანუ იმანენტურ რეფლექსიას გულისხმობს, რაც, ამრიგად გადაგვარებულობის მოხსნის პირობით მოუცილებელ ფაქტორად ისახება.

ერის ფენომენური განვითარების საფეხურები – ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურები დაფიქსირებულია ერის ფენომენში.

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების ნულოვანი საფეხური – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ეფექტი ინდივიდუალური ფსიქიკური ფენომენის (მხოლოებითი სუბიექტი) შემთხვევაში.

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პირველი საფეხური – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტის საწყისი საფეხური ინდივიდუალური ფსიქიკური ფენომენის შემთხვევაში. გულისხმობს სუბიექტის მიერ მის მოქმედების აქტში საკუთარი თავის გარეშე სინამდვილის ობიექტთან თვითგაიგივების მოუცილებელ, პრიმატულ მომენტს. კაცობრიობის ისტორიაში, წარმოდგენილია ტოტემიზმით. ტოტემებად არჩეული ბიოსფეროს, თუ ბუნების ფენომენები, ადამიანურ თვითცნობიერებაში, მის პირველად თვითექვივალენტებად წარმოგვიდგებიან.

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეორე საფეხური – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტის განვითარების მეორე საფეხური ინდივიდუალური ფსიქიკური ფენომენის შემთხვევაში, ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პირველი საფეხურის ინვერსია, ადამიანის (ანთროპული ინდივიდის) დაბრუნება თვითხატთან თვითიდენტიფიკაციაში. გულისხმობს სუბიექტს, რომელიც გარეშე სინამდვილის საკუთარი შინაგანი გამოცდილების საფუძველზე ინტერპრეტაციის პრიმატული მომენტით ხასიათდება (ყოველი ბუნებრივი

ფენომენის უკან იგულისხმება ანტროპომორფული პერსონა) რის საფუძველზეც სიტყვას ონტოლოგიური ძალა მიეწერება.

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მესამე საფეხური – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტის განვითარების მესამე საფეხური ინდივიდური ფსიქიკური ფენომენის შემთხვევაში. წინა ორი საფეხურისაგან განსხვავებით, გარეშე სინამდვილეს ეცლება ყოველგვარი მნიშვნელობა, ინდივიდის თვითიდენტიფიკაციის განხორციელებაში. გულისხმობს სუბიექტს, რომელიც გარეგანი მიმართებების ნიველირების პირობით, თვითიდენტიფიკაციის პრიმატული მომენტით ხასიათდება. ისტორიაში წარმოდგენილია რელიგიით, მისთვის დამახასიათებელ შემდეგ ატრიბუტთა საფუძველზე: სასწაულის ფენომენი, რწმენის პრიმატი, სულის, როგორც ყოვლად უატრიბუტო სუბიექტური საწყისის კონცეფცია, მორალის კატეგორია...

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხური – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტის განვითარების მეოთხე საფეხური ინდივიდური ფსიქიკური ფენომენის შემთხვევაში. გულისხმობს სუბიექტს, რომელიც თავის თვითიდენტიფიკაციის განხორციელებაში, ისე მიემართება გარეშე სინამდვილეს, როგორც სხვა სხვას (– სუბიექტისთვის გარეშე სინამდვილეს უბრუნდება დამოუკიდებელი ონტოლოგიური სტატუსი). ეს საფეხური ისტორიაში წარმოდგენილია მეცნიერებით (მეცნიერების კატეგორიის დეფინიცია). ყველაზე ადრე ამ საფეხურზე შეუქცევადი გადასვლის დასაწყისი დაფიქსირდა ევროპულ ცივილიზაციაში რელიგიის ინსტიტუტების საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტატუსის შეცვლისკენ მისწრაფების სახით, რაც მარტინ ლუთერის სახელთან დაკავშირებულ რეფორმაციულ მოძრაობაშია ასახული. გადასვლის პროცესის გაჭიანურებულობამ, რაც ამ ეტაპზე ინფორმაციის დაგროვების სიჩქარის სიმცირესთან იყო დაკავშირებული, განაპირობა რეფორმაციის კონფესიური განხეთქილების გამოხატულებად ანუ პროტესტანტიზმის ახალ კონფესიად მოაზრება, რასაც ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ პროტესტანტიზმის მემშვეობით და მასშივე ქრისტიანობის ინტერპრეტაციათა თავისუფლების დამყარება ევროპულ ცივილიზაციაში ცხრომის მანიის კლასის ერთა ფენომენურ განვითარებაში რელიგიის საფეხურის რეალიზაციას უბრუნველყოფდა არაპირდაპირი გზით. საქმე ისაა, რომ მართალია, სახარება შეიცავს საფუძველს ქრისტიანობის ერთა ამ თვისებრივი ტიპის სათანადოდ გააზრების განვითარებისთვის და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია „სალხინებლის“ კონცეფცია კათოლიციზმში, მაგრამ დასრულებულ კონფესიად ჩამოყალიბებას ამ ტენდენციამ ვერ მიაღწია (კათოლიციზმში მას გადაჰფარავს პაპიზმი, რომელიც ფორმის მანიის ეფექტის ფენომენია). დღეს ამ დანაკლისის კომპენსაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა ბუდიზმის გავრცელება, განსაკუთრებით აშშ-ში.

მათემატიკაში თვით ძველ ბერძენთა მიღწევებიც არის აქ მითითებული განსაზღვრის მიხედვით არა მეცნიერების, არამედ მითოსის საფეხურის გამოხატულება. სწრედ ამ მნიშვნელობის შესაბამისად, გეომეტრია ძველ ბერძნული (ეკკლიდესეული) რედაქციით დამყარებულია სუბიექტური თვალსაჩინოების მომენტზე ძირითად ცნებათა (წერტილი, წრფე, სიბრტყე, მანძილი) დეფინიციისა და აქსიომების შერჩევის მიხედვით და სივრცის აბსტრაქციას მოკლებულობით. მეცნიერული დაფუძნება ეკკლიდეს გეომეტრიისა და მისი ადგილის განსაზღვრა გეომეტრიის მეცნიერულ თეორიაში მოხდა მხოლოდ XIX საუკუნეში (ლობაჩევსკი, რიმანი, კლეინი, აინშტაინი...), მაგრამ XIX საუკუნეც არ არის მეოთხე

საფეხურზე გადასვლის დასასრული. ამას ასახავს კანტორის სიმრავლეთა თეორიაში ლოგიკურ პარადოქსთა აღმოჩენით დაფიქსირებული სუბიექტურობის მომენტი გარეშე სინამდვილესთან მიმართების განსაზღვრაში და ფიზიკაში ნიუტონის სახელთან დაკავშირებული აბსოლუტური დროის კონცეფცია, როგორც რელიგიის საფეხურის ასახვა. თანამედროვე მეცნიერული მათემატიკა და ფიზიკა ამ მომენტთა დაძლევით ვითარდება (რასელი, ბორი, აინშტაინი...). ამრიგად, მსოფლიოს დაწინაურებულ ერებში ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე გარდამავალი ეტაპის დასასრული XX საუკუნეზე ადრეული მოვლენა არ არის და, ამდენად, ქართველი ერი ამ მხრივ მოწინავე ერების რიგში დგას.

ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეხუთე საფეხური – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტის განვითარების მეხუთე საფეხური რაც მეცნიერების საფეხურის დასრულებით მოპოვებულად საგულგებელ, სინამდვილის ონტოლოგიური ვარიანტების პოტენციის აქტუალიზაციას აღნიშნავს.

სადღეისოდ მსოფლიოს ყველაზე დაწინაურებული ერები, თავიანთ ფენომენურ განვითარებაში მხოლოდ მეოთხე საფეხურის დასაწყისში იმყოფებიან და, ამდენად, თითქოს, მეხუთე საფეხურის ისტორიული ასახვები მხოლოდ მომავალშია საგულგებელი, მაგრამ საქმე სხვაგვარადაა: მეცნიერების საფეხურის დასრულება უნდა ნიშნავდეს ადამიანის მიერ სინამდვილის სრულად შეცნობას და რაკი სინამდვილის შესწავლილ ასპექტებს ადამიანი თავისი არსებობის მოვლენაში რთავს, თავის ყოფიერებაში იქვემდებარებს, მეცნიერების საფეხურის დასასრული სუბიექტის გარეგან სინამდვილესთან მიმართების შინაარსში სხვის სხვასთან მიმართების მნიშვნელობის მომენტის არსებობას გამოირიცხავს და, ამდენად, იმანენტური რეფლექსიის მომენტი სუბიექტის თავის თავზევე მიმართულობის, ანუ იმანენტური რეფლექსიის მიმართ იმანენტური რეფლექსიის მნიშვნელობითაა შეიძლება განხორციელდეს: ფსიქიკურ ინდივიდურ ფენომენში იმანენტური რეფლექსიის მომენტი არა ერთჯერადია, არამედ უსასრულოდ კასკადური, რამეთუ თავის თავზე მიმართულობა არა მარტო სუბიექტის მის ობიექტზე მიმართულობის ფაქტს ითვალისწინებს, არამედ, თვითონ ამ ნიშნის ქონის ფაქტსაც და ასე შემდეგ. ამრიგად, იმანენტური რეფლექსიის მიმართ იმანენტური რეფლექსიის მომენტი ახლავს ტოტემიზმსაც, მითოსსაც, რელიგიასაც და მეცნიერებასაც. მეხუთე საფეხურზე კი იმანენტური რეფლექსია მხოლოდ თავისივე თავით იქნება წარმოდგენილი. ამდენად, მეხუთე საფეხურს შეიძლება ეწოდოს „წმინდა ფილოსოფიის საფეხური“. სწორედ ფილოსოფიაა ის, რაც ოთხივე წინა საფეხურის თანამდევია მაგრამ ამ საფეხურებზე მეორად ფენომენად წარმოგვიდგებოდა (ტოტემიზმის ფილოსოფია, მითოსის ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია და მეცნიერების ფილოსოფია). მეხუთე საფეხურის ამგვარად განსაზღვრა გამოირიცხავს მის დადგომა-დასრულებამდე შემდგომი საფეხურების არსებობა-არარსებობის შესახებ რაიმეს გამორკვევის შესაძლებლობას და თვითონ ეს საფეხურიც სინამდვილის გარკვეული ონტოლოგიური კონკრეტულობის შემთხვევაში შეიძლება მიუღწევადიც აღმოჩნდეს.

ნოოსფერო – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტით მონიშნული ასპექტი სინამდვილისა. იგი მიემართება კონკრეტულ ცივილიზაციას ისევე, როგორც ბიოსფერო (სიცოცხლე) კონკრეტულ ბიოცენოზს.

ტოტემიზმი – ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პირველი საფეხურის ასახვა ისტორიაში.

მითოსი – ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეორე საფეხურის ასახვა ისტორიაში.

რელიგია – ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მესამე საფეხურის ასახვა ისტორიაში.

მეცნიერება – ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის ასახვა ისტორიაში.

წმინდა ფილოსოფია – ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეხუთე საფეხურის ასახვის პირობითი სახელი.

ნოოონტოგენეზი – ალზრდის კონსტრუქციული ასპექტი, ერის ისტორიით წარმოდგენილ ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პროცესის განმეორება ახალი თაობის ინდივიდის ჩამოყალიბების პროცესში ფსიქოლოგიური ზრდასრულობის მიღწევამდე. თავისი არსით წარმოადგენს ფსიქიკურ ინდივიდურ ფენომენში განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნის მდგრად დაფიქსირებას ერთ-ერთ შესაძლო განხორციელებაში (ფსიქიკური სტიქიები).

ნოოფილოგენეზი – ისტორიის კონსტრუქციული ასპექტი, ერის ისტორიით წარმოდგენილი ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების ანუ ერის ფენომენური განვითარების პროცესი სადღეისოდ წარმოდგენილია პირველ, მეორე, მესამე, ან მეოთხე საფეხურს მიღწეული პროცესების სახით, ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობებზე.

სახელმწიფო:

– 1) ნოოსფერული ცივილიზაციის შემთხვევაში (იხ. ნოოსფერული ეფექტი) იგივე ეროვნული სახელმწიფო ჭეშმარიტი მნიშვნელობით – მოცემული ერის თვისებრივი ტიპით განსაზღვრული სტატუსისა და ფუნქციის რეალიზაციის მექანიზმი ამ ერის მომცავ ცივილიზაციაში;

– 2) სტიქიური ცივილიზაციის შემთხვევაში ერის არათვითკმარობის საფუძველზე ამ ერის წარმომდგენ საზოგადოებრივ ერთობაში სისრულისკენ (იხ. სისრულის პირობა) ანუ ცივილიზაციად თვითდადგენისკენ მისწრაფების მექანიზმი, რაც აღებულ ერთან თვისებრივი დაპირისპირების, შეუსაბამობის და კონფლიქტურობის მომენტს გულისხმობს.

მართვის მანიის კლასის ერთ განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობა – პოტენციურად მთელი ცივილიზაცია, მართვის მანიის კლასის ერის, როგორც საზოგადოებრივი ერთობის, და მართვის მანიის კლასის ერთ განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობის გასხვავების მატარებელ ჯგუფთა მდგრადობის კომპონენტების (უცხო ერების ან მათი წარმომადგენელი დიასპორების) გაერთიანება.

მართვის მანიის კლასის ერთ განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობის გასხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტი – მართვის მანიის კლასის ერში გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის გამომჩვეული შინაარსის მომწოდებელი უცხო ერი ან მისი წარმომადგენელი დიასპორა.

მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი – მართვის მანიის კლასის ერის წევრთა ერთობლიობა, რომელთა გარეგნული თვითგამოხატვის კონკრეტულობა რომელიმე უცხო ერის კულტურული მემკვიდრეობის

ელემენტებით არის განსაზღვრული, მათი სრული ან გარეგნული განსხვავების ტრანსფარაციისთვის აუცილებელი მოცულობით.

გადამფარავი სუბიექტის ეფექტი – ფსიქიკური სტიქიის ეფექტი ფსიქიკური სტიქიის ინდივიდურ ფენომენტთა სიმრავლეზე.

ციკლური ლოგიკა – ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების განზოგადებულ განხილვაზე დამყარებული ლოგიკური სისტემა, მისი ობიექტებისა და მათი ქცევის ანუ არსებობის წესის განზოგადებულ განსაზღვრაში გამოხატული.

ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების პირველი ტრივიალური შემთხვევა – იგივე მთელის პირველადობის პრინციპი - გამოიხატება ნაწილის მიმართ მთელის ონტოლოგიური (ლოგიკური) პირველადობის დაშვებაში.

ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების მეორე ტრივიალური შემთხვევა – იგივე ნაწილის პირველადობის პრინციპი - გამოიხატება მთელის მიმართ ნაწილთა ონტოლოგიური (ლოგიკური) პირველადობის დაშვებაში.

სისრულის პირობა – ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების ორი ტრივიალური შემთხვევის ერთსა და იმავე ობიექტზე განხორციელებადობის მოთხოვნა, ციკლური ლოგიკის ობიექტებისა და მათი არსებობის წესის (ქცევის) განმსაზღვრელი მთავარი (ერთადერთი) პრინციპი. იგი ექვივალენტურია უწყვეტობის პირობისა და ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების ორი ტრივიალური შემთხვევის სათანადო მდგომარეობებს შორის ურთიერთსაპირისპირო გადასვლების შესაძლებლობის მოთხოვნისა.

უწყვეტობის პირობა (ციკლური ლოგიკის მიხედვით) – ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების ორი ტრივიალური შემთხვევის სათანადო მდგომარეობების ერთი ობიექტის ორ განსხვავებულ მდგომარეობად იდენტიფიცირებადობის მოთხოვნა.

სრული სისტემა – ობიექტი, რომელიც აკმაყოფილებს სისრულის პირობას. ციკლური ლოგიკა არ იძლევა სრულ სისტემათა აბსოლუტურ დაკონკრეტებას. ასე რომ, სრული სისტემის მაგალითების გამოსავლენად აუცილებელია სინამდვილის სხვადასხვა სფეროს ობიექტებზე უშუალო დაკვირვება სისრულის პირობის ამსახველი მათი ნიშნების დასადგენად. საამისოდ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ობიექტების რომელობას, არამედ იმას, თუ რა კუთხით ხდება მათი ჭკრეტა. შეიძლება დავასახელოთ სრული სისტემის სავარაუდო თუ ზუსტად დადგენილი მაგალითები: კვანტური ნაწილაკები (ამრიგად, ციკლური ლოგიკა კვანტური ფიზიკის დედუქციურ დაფუძნებად წარმოგვიდგება) და შესაძლებელია ძლიერი, სუსტი და ელექტრო-მაგნიტური კვანტური ველებით მონიშნული სინამდვილის სფერო; ორგანიზმები; ეკოსისტემები და მთელი ბიოსფერო; ცივილიზაციები; სამყარო მთელი მისი შიონაარსით (უნივერსუმი).

სრული სისტემის აღმოჩენა მოსალოდნელია ნივთიერების ფიზიკურ ფაზური გადასვლის მოვლენებში, ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობის ონტოლოგიურ სტიქიებთან კორელატურობის შედეგად (იხ. ონტოლოგიური სტიქიები). მაგალითად, თვითონ სიცოცხლე ბიოლოგიურ ხსნარებში მიმდინარე კრისტალიზაცი-რეკრისტალიზაციის მოვლენებს ემყარება ანუ თხევადი და კრისტალური მდგომარეობის ერთობლიობას გულისხმობს. შეიძლება სრული სისტემის მაგალითებთან გვექონდეს საქმე ლითონთა რეკრისტალიზაციის პროცესში დამზერადი ძაფისებური ფენომენების სახით, რომელნიც ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად იქცევიან. ამ შემთხვევაში ეს ფენომენები

შეავსებენ შუალედს აქ ჩამოთვლილი სრული სისტემის მაკროსკოპულ და მიკროსკოპულ მაგალითებს შორის.

ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების პირველი არატრივიალური შემთხვევა – ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების პირველი ტრივიალური შემთხვევიდან ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების მეორე ტრივიალურ შემთხვევაზე გადასვლის ლოგიკურად საშუალებდო მდგომარეობა. მისი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია მთელის ინტენსივობით ერთობად წარმოდგენილობა, რაც ნიშნავს იმას, რომ თითოეული ნაწილთაგანი სხვა ნაწილებთან მიმართების გარეშე, მხოლოდ თავისი არსებობის ფაქტით ავლენს მთელს.

ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების მეორე არატრივიალური შემთხვევა – ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების მეორე ტრივიალური შემთხვევიდან ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების პირველ ტრივიალურ შემთხვევაზე გადასვლის ლოგიკურად საშუალებდო მდგომარეობა. მისი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია პოტენციურობისა და აქტუალობის ტოლფასობა, რაც ალტერნატივების მრავლობას ონტოლოგიურ აქტუალობას ანიჭებს.

ონტოლოგიური სტიქიები – ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების ლოგიკურად შესაძლო ოთხი შემთხვევა, რომლებიც სისრულის პირობის საფუძველზე, ციკლურად მოწესრიგებულ ოთხეულს წარმოადგენენ, მათი ამგვარი ურთიერთმიმართება სისრულის პირობის ალტერნატიული ფორმულირებაა. ონტოლოგიურ სტიქიათა დასახელებაში მოხერხებულია ხსენებული წესრიგით განსაზღვრული რიგითობის გათვალისწინება. ამ შემთხვევაში მხოლოდ პირველის არჩევაში გვრჩება თავისუფლება.

პირველი ონტოლოგიური სტიქია – ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების პირველი ტრივიალური შემთხვევა.

მეორე ონტოლოგიური სტიქია – ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების პირველი არატრივიალური შემთხვევა.

მესამე ონტოლოგიური სტიქია – ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების მეორე ტრივიალური შემთხვევა.

მეოთხე ონტოლოგიური სტიქია – ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების მეორე არატრივიალური შემთხვევა.

ონტოლოგიური სტიქიის ეფექტი – ონტოლოგიური სტიქიის გავლენა მოვლენაზე, წარმოდგენილი ზოგადი მახასიათებლების მიხედვით.

ონტოლოგიური სტიქიის ეფექტის ფენომენი – ონტოლოგიური სტიქიის ეფექტის კონკრეტული განხორციელება.

სრული სისტემის საკუთარი “დრო” – სრული სისტემის თავის თავში არსებობის წესი, დროის ლოგიკური საფუძველი, იგივე სისრულის პირობა წარმოდგენილი ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ურთიერთმიმართების მეშვეობით. ონტოლოგიურ სტიქიათა ოთხეული ციკლურად მოწესრიგებულია მათს დასახელებაში მითითებული თანმიმდევრობით. ეს მათი ეფექტების ურთიერთმიმართებას ოთხსვლიან ციკლთა უსასრულო მწკრივად წარმოგვიდგენს. ამ მწკრივში ნებისმიერი ოთხი ერთიმეორის მომდევნო საფეხური ცალკეულ ციკლად შეიძლება დაისახოს, რაკი ციკლურ რიგში აბსოლუტური საწყისი პოზიცია არ არსებობს, ამდენად, ეს მწკრივი შეიძლება სპირალის სახით წარმოვიდგინოთ, რომლის ყოველ მუხლში მონიშნულია ოთხი წერტილი.

ეს მწკრივი ორმხრივ უსასრულოა, რამეთუ, ყოველ ონტოლოგიურ სტიქიას ეგულისხმება ციკლურ რიგში მისი წინმსწრები (დასაწყისის უარყოფა) და მისი მომდევნო (დასასრულის უარყოფა) ონტოლოგიური სტიქია, ამდენად, ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების არც ერთი ფენომენი არ შეიძლება სრული სისტემის არსებობის (თავის თავში არსებობის) დასაწყისის ან დასასრულის წერტილი იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარ დროს გააჩნია მიმართულება ონტოლოგიურ სტიქიათა ციკლური მოწესრიგებულობის რიგით განსაზღვრული.

ციკლურ რიგში, ყოველ ორ მომდევნო საფეხურს შორის, შეიძლება მოთავსდეს, სრული ციკლის წარმომდგენი სხვა ოთხეული, რასაც სისრულის პირობის მასშტაბის მიხედვით ინვარიანტობის პირობა შეიძლება ვუწოდოთ. ეს მახასიათებელი სრული სისტემის ფრაქტალურ ბუნებაზე მიუთითებს.

სრული სისტემის ფუნდამენტური (საბაზისო) “დრო” – სრული სისტემის საკუთარი დრო სრულ სისტემაზე ჩამოყალიბებულ მისი ნაწილის ანუ ქვესისტემის მიმართ ან სრული სისტემის საბაზისო სისტემაზე მოვლენათა თანმიმდევრული მოწესრიგებულობის პირობებში ამ წესრიგის მიმართ. დასაშვებია სრულ სისტემებს შორის ფუნდამენტური დროის ცნებით გადმოცემული ურთიერთმიმართების შეცვლა, რისი მაგალითიცაა ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურთა მონაცვლეობის ისტორიულად დაფიქსირებული ფაქტი. კერძოდ, ცივილიზაცია (ნოოსფერო), როგორც სრული სისტემა, ბიოსფეროს, როგორც სრული სისტემის, წიაღში იწყებს არსებობას: ყოველი ცივილიზაციის ინდივიდი, მხოლოდ, ცოცხალი არსების მნიშვნელობით იყო წარმოდგენილი (ფიზიკურად და თვითიდენტიფიკაციის ხატის მიხედვით) ტოტემიზმის საფეხურის დასრულებამდე მაინც; ამრიგად, საწყის ეტაპზე, ცივილიზაციისთვის ბიოსფეროს საკუთარი დრო იყო ფუნდამენტური დრო, რაც არის ტოტემიზმის არსი ამ ასპექტით; ამის შემდეგ ადამიანმა დაიწყო წარმოება და სარგებლობა ბუნებაში არარსებულ (ამ სახით ან ამგვარი კონცენტრირებული ოდენობით) პროდუქტებისა (ღვინო, პური, ბრინჯაო, რკინა, სხვადასხვა დანიშნულების იარაღები...), რაც ცივილიზაციის ბიოსფეროს გარსს მიღმა გავრცელების აღმნიშვნელია; ეს კი ბიოსფეროს და ცივილიზაციის, როგორც სრული სისტემების, ურთიერთმიმართების ინვერსიული შეცვლის შესაძლებლობის საფუძველია. ამ შესაძლებლობის რეალიზაციაა მითოსის საფეხური, რომლის არსი, ამრიგად, ამ ასპექტში ისაა, რომ ცივილიზაციის საკუთარი დრო ისახება ბიოსფეროსთვის ფუნდამენტურ დროდ. რელიგიის საფეხური ცივილიზაციის საკუთარ დროში არსებობაა, რასაც ასახავს ღმერთის მარადიული არსებობის იდეა, ხოლო გარეშე სინამდვილის ილუზორულობის (ბუდიზმი) ან შესაქმის (ბიბლია) იდეაში მისი ონტოლოგიურ საზრისს მოკლებულობაა გამოხატული. მეცნიერების საფეხურის არსი კი ცივილიზაციის ახალ მდგომარეობაში ფუნდამენტური დროის ძიებაა და თუ იგი არსებობს, მაშინ მეხუთე საფეხურის არსი, ან მის მიმართ ინვერსიის, ან თუ იგი აბსოლუტური ანტოლოგიური დროა (იხ. სათანადო პუნქტი), მისი გასაკუთრირების განხორციელება იქნება. ცივილიზაცია ფიზიკური მატერიის ბაზაზე არსებობს და თუ ფიზიკური მატერიის სფერო წარმოადგენს სრულ სისტემას, რისი გამორკვევაც მეცნიერების საგანია, მაშინ მისი საკუთარი დრო იქნება ცივილიზაციისთვის ფუნდამენტური დრო მეცნიერების საფეხურზე.

აბსოლუტური ონტოლოგიური “დრო” – ლოგიკური აბსტრაქცია, საკუთარი დრო სრული სისტემისა, რომელიც ყველა სხვა არსებული და შესაძლო სრული სისტემის მომცავია

ან უნივერსუმის შინაგანი თანმიმდევრული მოწესრიგებულობის რაიმე სხვა პირობა. ის, რაც მოსდის ფიზიკური დროის ღერძს გრავიტაციული ობიექტების, შავი ხვრელების შემთხვევაში, ან გვიჩვენებს იმას, რომ ფიზიკური დრო არ არის გრავიტაციული ურთიერთქმედების მოვლენებით მონიშნული სინამდვილის სფეროს მომცავი სრული სისტემის (თუ იგი არსებობს) საკუთარი დრო, ან – აბსოლუტური ონტოლოგიური დროის მიხედვით ფაზის ცვლის გამოხატულებაა.

სრული სისტემის ფარდობითი “დრო” – სრული სისტემის საკუთარი დრო გამოსახული ამ სრული სისტემის ფუნდამენტური დროის ან სრული სისტემის საბაზისო სისტემაზე მოვლენათა თანმიმდევრული წესრიგის მიმართ. ფარდობითი დროის სათანადო სქემები ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობისა შეიძლება აღვწეროთ გეომეტრიული მოდელის მეშვეობით, რომელიც ორი წრფის, რომლებზეც არჩეულია მიმართულება (ან ნებისმიერი ერთგანზომილებიანი ობიექტის ან სრულად მოწესრიგებული სიმრავლის), ერთიმეორეზე ზედდების შესაძლო ხერხების აღწერაში მდგომარეობს. ამ მოდელის საფუძვლიანობა ემყარება იმ ფაქტს, რომ სრული სისტემის საკუთარი დროის გამომხატველი ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების ფენომენთა რიგი მოწესრიგებული სიმრავლეა, ისევე, როგორც წრფე, ნამდვილ რიცხვთა სიმრავლედ წარმოდგენილი და როცა სრული სისტემა (ან თანმიმდევრულად მოწესრიგებული მოვლენებით წარმოდგენილი რაიმე სისტემა) შეიცავს სრულ სისტემად დადგენილ ქვესისტემას, პირველი მათგანის საკუთარი დროის წარმომდგენი ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ფენომენები შესაძლებელია (ლოგიკურად აკრძალული არ არის) არ წარმოადგენდნენ ამავე მნიშვნელობის მოვლენებს მეორე სისტემისთვის, ანუ ამ ფენომენთა სიმრავლეში პირველი (მომცავი) სრული სისტემის საკუთარი დროის ამსახველი მოწესრიგებულობა მეორე (მოცული) სრული სისტემისთვის, საზოგადოდ, გაუქმებულია და ამ სიმრავლის ელემენტები, მათი ცალკეული ასპექტების მეორე (მოცული) სრული სისტემის შესაბამის ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ფენომენებად იდენტიფიკაციის საფუძველზე, მისი (მოცული სისტემის) საკუთარი დროის ასახვაში, სრულიად განსხვავებული რიგით შეიძლება აღმოჩნდნენ მოწესრიგებულნი. ეს ნიშნავს იმას, რომ ფარდობითი დრო ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის ძირითადი ანუ საკუთარი დროის გამომსახველი სქემის გარდა შეიძლება სხვა სქემებითაც იქნეს წარმოდგენილი. ეს შესაძლებლობა ემყარება ერთზე მეტ ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების თანხვედრის ანუ ერთი ფენომენით წარმოდგენის შესაძლებლობის ლოგიკურად აუკრძალველობას, რასაც კავშირი აქვს უწყვეტობის (ციკლური ლოგიკის ნიმუშით) პირობასთან. ფარდობითი დროის გამომხატველ ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის სქემების თვისებრივი სხვადასხვაობა ემყარება ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების განმხოლოებულად, დაწყვილებულად, სამეულად და ოთხეულად რეალიზებადობის შესაძლებლობას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ სისრულის პირობის მაშტაბური ინვარიანტულობის პირობას (იხ. სისრულის პირობის ონტოლოგიური ეფექტი).

სისრულის პირობის ონტოლოგიური ეფექტი – სინამდვილის ფენომენური დიფერენციაციის, შინაგანი დანაწევრების (ქვანტიზაციის) საფუძველი. ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტები არ შეიცავს თვითშეჩერების მომენტებს, მაგრამ სრული სისტემის არსებობა ანუ სისრულის პირობის რეალიზაცია გულისხმობს ამ მოვლენის არეზე ანუ სრული სისტემის შიგნით ონტოლოგიური სტიქიების ეფექტთა მოხსნა-შეჩერებას სრული

სისტემის განფენის მთელ არეალზე ან, ნოოსფერული ეფექტის პირობებში, ამ არეალის ნაწილზე მაინც.

სისრულის პირობის გნოსეოლოგიური ეფექტი – სისრულის და თანამიმდევრულობის დაპირისპირება – სინამდვილის ასახვაში: კონკრეტული ფსიქიკური სტიქიის პოზიციიდან სინამდვილე თანამიმდევრულად მაგრამ ცალმხრივად აისახება; ცალმხრივობის დაძლევა, ორი მაინც ფსიქიკური სტიქიის სათანადო პოზიციების მაერთიანებელი სააზროვნო სისტემის ჩამოყალიბებას მოითხოვს (ამის მაგალითია დ. უზნაძის მიერ განწყობის ორი დეფინიციის გამოყენება: პირველი შეესაბამება მართვის მანიის ეფექტს, მეორე – ძლევის მანიის ეფექტს), მაგრამ ამგვარი ასახვის შედეგი ყოველთვის იქნება სრული სისტემა, რომელიც ყოველთვის შემოსაზღვრულია სისრულის პირობის ონტოლოგიური ეფექტის ძალით. ამ შემოსაზღვრულობის არსია, გარკვეულ საზღვრის იქით, სინამდვილის არაცალმხრივად ასახვის მცდელობაში თანამიმდევრულობის აუცილებლობითი დარღვევა. ამრიგად სინამდვილის არაცალმხრივად ასახვა, სინამდვილის შემოსაზღვრულ ნაწილებზე შეჩერებას გულისხმობს. შემოსაზღვრულობისგან თავის დაღწევა წმინდად ერთ-ერთი ფსიქიკური სტიქიის სათანადო პოზიციაზე, ანუ ცალმხრივად ასახვაზე გადასვლას მოითხოვს (ამის მაგალითია დ. უზნაძის განწყობის თეორიის ფსიქიკურ სტიქიათა თეორიასთან მიმართება: განწყობის დ. უზნაძისეული მხოლოდ პირველი დეფინიციის გამოყენება). ამრიგად თანამიმდევრულობა და სისრულე გნოსეოლოგიის სფეროში, საპირისპირო კატეგორიათა წყვილს წარმოადგენს, რომელიც ცივილიზაციის და ერის ურთიერთმიმართების გამომხატველიცაა.

სისრულის პირობის გნოსეოლოგიური ეფექტი კატეგორიათა და ცნებათა განსაზღვრულ ოთხეულეზად დანაწილებას გვაძლევს. თითოეული მათგანის წევრები, ურთიერთცალსახა შესაბამისობაში იმყოფებიან ფსიქიკურ სტიქიებთან. კონკრეტული ოთხეულიდან, მხოლოდ ორის მოცემულობა საკმარისია დანაჩენი ორის დასადგენად. ზოგადი სქემა ასეთია: ოთხსვლიან ციკლში ორი საფეხურის დაფიქსირებით ცალსახად ფიქსირდება ციკლურ რიგში მესამის მდებარეობა. საწყისი ორის ჩამოთვლის თანამიმდევრობით განსაზღვრული (წინსვლითი ან უკუსვლითი) მიმართულებისთვის; მეოთხე მათგანის პოზიცია კი ორაზროვანია, იგი დანარჩენი სამის დაფიქსირებით მონიშნული ციკლის დასაწყისიც შეიძლება იყოს და დასარულიც. ცნებათა ოთხეულების ზოგიერთი მაგალითი წარმოდგენილია ცხრილში. შეიძლება დაისვას კითხვა – ხომ არ არიან ეს ოთხეულები, ერთიდაიგივე უსასრულო ოთხსვლიან ციკლთა სპირალის ცალკეული მუხლები?

უსასრულობის ეფექტის სქემა – ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ურთიერთმონაცვლეობის წესი, რომელიც სრული სისტემის საკუთარი დროის ამსახველია და დასაშვებია ფარდობითი დროის გამოხატვაშიც, ფუნდამენტური დროისადმი თანხვედრილი ან საპირისპირო მიმართულების დაფიქსირებით.

ფარდობითი დასაწყისის ეფექტის სქემა – ფარდობითი დროის ამსახველი სქემა, რომლის წარმომდგენ ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტის ფენომენები ფუნდამენტური დროის ამსახველ ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტის ფენომენების მოწესრიგებულ სიმრავლეში მხოლოდ გარკვეული ელემენტის შემდგომ ელემენტებს მონიშნავენ, როგორც მათი კერძო ასპექტები ან, როგორც ციკლურ რიგში მათთან უშუალო მიმართების მქონე საფეხურები.

ფარდობითი დასასრულის ეფექტის სქემა – ფარდობითი დროის ამსახველი სქემა, რომლის წარმომდგენი ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ფენომენები ფუნდამენტური

დროის წარმოდგენ ონტოლოგიური სტიქიების ეფექტების ფენომენთა მოწესრიგებულ სიმრავლეში მხოლოდ გარკვეული ელემენტის წინმდგომ ელემენტებს მონიშნავენ, როგორც მათი კერძო ასპექტები ან, როგორც ციკლურ რიგში მათთან უშუალო მიმართების მქონე საფეხურები.

ფარდობითი ორმხრივი დასაზღვრულობის ეფექტის სქემა – ფარდობითი დროის ამსახველი სქემა, რომლის წარმოდგენ ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ფენომენები ფუნდამენტური დროის წარმოდგენ ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ფენომენთა მოწესრიგებულ სიმრავლეში მხოლოდ რომელიმე ორ ელემენტს შორის მოქცეულ ელემენტებს მონიშნავენ, როგორც მათი კერძო ასპექტები ან, როგორც ციკლურ რიგში მათთან უშუალო მიმართების მქონე საფეხურები.

ნოოსფერული ეფექტი – ციკლური ლოგიკის მთავარი გნოსეოლოგიური პრინციპი, რომელიც ონტოლოგიური სტიქიებისა და ფსიქიკური სტიქიების ცალსახა ურთიერთშესაბამისობაში გამოიხატება. პირველ ონტოლოგიურ სტიქიას შეესაბამება ფორმის მანიის ფსიქიკური სტიქია; მეორე ონტოლოგიურ სტიქიას – ძლევის მანიის ფსიქიკური სტიქია; მესამე ონტოლოგიურ სტიქიას – ცხრომის მანიის ფსიქიკური სტიქია და მეოთხე ონტოლოგიურ სტიქიას – მართვის მანიის ფსიქიკური სტიქია. ეს ცალსახა ურთიერთშესაბამისობა აღნიშნავს იმას, რომ ყოველ ფსიქიკურ სტიქიას ნაწილის და მთელის ურთიერთმიმართების მისი სათანადო ონტოლოგიური სტიქიის მნიშვნელობით მოაზრება შეესაბამება.

ამრიგად, იმის მიუხედავად თუ რა არის სუბიექტის შემეცნების საგანი, შემეცნების ფაქტში იგი ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ფენომენთა მნიშვნელობით იქნება წარმოდგენილი. ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი მისი თვისებრივი ტიპის მიხედვით სინამდვილეს ოთხიდან ერთ-ერთი ონტოლოგიური სტიქიის სათანადო ასპექტით ასახავს ანუ შემეცნების სფეროში ერთ-ერთი ონტოლოგიური სტიქიის ეფექტის ფენომენს წარმოადგენს. ხოლო ცივილიზაცია, როგორც ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების ურთიერთქმედების ფენომენი, ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ურთიერთქმედების ფენომენად ანუ სრულ სისტემადაა და, ამდენად, მისი არსებობა ფარდობითი დროის ანუ, ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის კონკრეტული სქემის რეალიზაციის მოვლენად ისახება. ზემოთქმულის საფუძველზე, ონტოლოგიური სტიქიის ეფექტი ცივილიზაციის, როგორც სრული სისტემის, ფენომენში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სათანადო თვისებრივი ტიპის ერების აქტიურობისა და პროდუქტიულობის, ხოლო ცივილიზაციის არსებობა მუდმივმოცემული ოთხი თვისებრივი ტიპის ერების ურთიერთქმედების ფაქტით, რაც ნოოსფერული ეფექტის უმაღლესი გამოხატულებაა ისტორიაში. ერთ თვისებრივ ფაზაში სხვა თვისებრივი ტიპის ერის შენარჩუნების შესაძლებლობის საფუძველია ამ ფაზის სათანადო ფსიქიკური სტიქიის ეფექტის სხვა თვისებრივი ტიპის ერებისადმი ამ თვისებრივი ტიპის ერის დამოკიდებულების ფაქტით რეალიზებადობა.

ნოოსფერული ცივილიზაცია – ცივილიზაცია, რომელშიც უზრუნველყოფილია ნოოსფერული ეფექტის უმაღლესი განხორციელება ანუ ცივილიზაცია, რომლის არსებობა მუდმივმოცემულ ოთხივე თვისებრივი ტიპის ერების ურთიერთქმედების პროცესით არის წარმოდგენილი.

სტიქიური ცივილიზაცია – ცივილიზაცია, რომლის არსებობაშიც ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების რეალიზაცია ხდება მხოლოდ არაპირდაპირი ეფექტის მნიშვნელობითაც ანუ

სათანადო თვისებრივი ტიპის ერთა იგნორირებით – დაფიქსირებისა და აქტუალიზირების გარეშე.

ცივილიზაციის თვისებრივი ტიპი – განისაზღვრება ცივილიზაციის, როგორც სრული სისტემის, ფარდობითი დროის ამსახველ ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის სქემის ტიპით. მართალია, ცივილიზაცია ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პირველი საფეხურის შემდეგ არ არის ბიოსფეროს, როგორც სრული სისტემის, ამგვარივე ნიშნის მატარებელი ქვესისტემა, მაგრამ ყოველი ფსიქიკური ინდივიდუური ფენომენი, თუნდაც ხელოვნური ინტელექტის მატარებელ კიბერნეტიკული მანქანით წარმოდგენილი, მხოლოდ ფიზიკური მატერიისგან შეიძლება აიგოს, თანამედროვე ცოდნის მიხედვით მაინც და რაკი, ფარდობითი დროის ეფექტისთვის საკმარისია ფიზიკურ მოვლენებს შორის იმ თანმიმდევრული მოწესრიგებულობის ფაქტიც, რომელიც ფიზიკური დროის სახით წარმოიდგინება, ამდენად, ცივილიზაციის არსებობა ასახული ფიზიკურ დროში ფარდობითი დროის ამსახველ ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის შესაძლო სქემებით გამოისახება. ცივილიზაციების, სრულ სისტემათა ამ კონკრეტული მაგალითების შემთხვევაში ფარდობითი დროის ამსახველ სქემებს, რომელთაც ნოოსფერული ეფექტის საფუძველზე, ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის სქემის მნიშვნელობა აქვთ, რამდენადმე განსხვავებული სახელებით აღვნიშნავთ. კერძოდ, დასახელებაში სიტყვა „ფარდობითი“ შეიცვლება სიტყვით – „ფარული“.

ფარული დასაწყისის ეფექტის სქემა – ფარდობითი დასაწყისის ეფექტის სქემა ცივილიზაციის შემთხვევაში.

ფარული დასასრულის ეფექტის სქემა – ფარდობითი დასასრულის ეფექტის სქემა ცივილიზაციის შემთხვევაში.

ფარული ორმხრივი დასაზღვრულობის ეფექტის სქემა – ფარდობითი ორმხრივი დასაზღვრულობის სქემა ცივილიზაციის შემთხვევაში.

ცივილიზაციათა პირველი თვისებრივი ტიპი – ცივილიზაცია, როგორც ფარული დასასრულის ეფექტის ფენომენი. ისტორიაში ამგვარ ფენომენტა დაფიქსირებადობის პირობაა სამი ფსიქიკური სტიქიის ეფექტის თანხვედრილად განხორციელების შესაძლებლობა (– ციკლურად მოწესრიგებულ ოთხეულში სამი ელემენტის დაფიქსირება მეოთხე ელემენტის ადგილს ორაზროვანს ხდის. ის შეიძლება ამ სამით მონიშნული ციკლის, ან დასაწყისის, ან დასასრულის წერტილად დაისახოს და, ამდენად, დარჩენილ, მეოთხე ფსიქიკური სტიქიის ეფექტს სამი აღებული ფსიქიკური სტიქიის თანხვედრილი ეფექტის ფენომენი ერთდროულად ადგილსაც ართმევს, როგორც ციკლის დასაწყისს, და ადგილსაც უთმობს, როგორც ციკლის დასასრულს). ისტორიაში ეს თვისებრივი ტიპი წარმოდგენილია ეგვიპტური და ბაბილონური (ძველი ბაბილონის სამეფოს ხანიდან) ცივილიზაციებით.

ცივილიზაციათა მეორე თვისებრივი ტიპი – ცივილიზაცია, როგორც ფარული დასაწყისის ეფექტის ფენომენი. ისტორიაში მათი დაფიქსირებადობის საფუძველია ციკლურ რიგში გაშუალებულ ანუ ურთიერთმოპირისპირე ფსიქიკურ სტიქიათა წყვილის ე. ი., ან მართვის მანიის და ძლევის მანიის, ან ცხრომის მანიის და ფორმის მანიის თანხვედრილი ეფექტის განხორციელების შესაძლებლობა, რითაც იქმნება ორმაგი ეფექტის ფაზები, რომელთაც ფარული დასაწყისის ეფექტის სქემის რეალიზაციაში მონაცვლეობით მოსდევს დანარჩენი ორი ფსიქიკური სტიქიის ცალფა ეფექტის ფაზები. ფარული დასაწყისის ფენომენად დადგენილი ცივილიზაცია გარეგან მიმართებაში ძლევის მანიის არაპირდაპირი

ეფექტის ფენომენად ისახება. ამ თვისებრივი ტიპის მაგალითებია ეგეოსური, მესოპოტამიური, ევროპული და შესაძლებელია აცტეკური ცივილიზაციები. ევროპული ცივილიზაციის შემთხვევაში ორმაგი ეფექტის ფაზათა რეალიზაციაში შეწყვილებულია ფორმის მანიის და ცხრომის მანიის ფსიქიკური სტიქიები. დანარჩენი ცივილიზაციების შემთხვევაში კი ძლევის მანია და მართვის მანია. ამ ტიპის ცივილიზაციებში გაადვილებულია ნოოსფერული ეფექტის რეალიზაცია - რაკი ყოველი მეორე ფაზა ორმაგი ეფექტისაა, სათანადო თვისებრივი ტიპის ერებს მოლოდინის, ანუ პასიურობის ეტაპების ხანგრძლივობა სამჯერ ნაკლები აქვთ ვიდრე მეოთხე თვისებრივი ტიპის ცივილიზაციებში.

ცივილიზაციათა მესამე თვისებრივი ტიპი – ცივილიზაცია, როგორც ფარული ორმხრივი დასაზღვრულობის ეფექტის ფენომენი. ისტორიაში მისი არსებობის პირობაა ოთხივე ფსიქიკური სტიქიის თანხვედრილი ეფექტის განხორციელების შესაძლებლობა. ცივილიზაციათა ამ თვისებრივი ტიპის მაგალითია ინდური ცივილიზაცია.

ცივილიზაციათა მეოთხე თვისებრივი ტიპი – ცივილიზაცია, როგორც უსასრულობის ეფექტის რეალიზაციის ფენომენი. ისტორიაში მათი არსებობის პირობაა ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების დაცალკევებულად განხორციელების შესაძლებლობა. ცივილიზაციათა ამ თვისებრივ ტიპს მიეკუთვნება იაპონური, *ჩინური, *დიდი სტეპის, ინკური და მაიას ცივილიზაციები.

ევროპული ცივილიზაცია – ფარული დასაწყისის ეფექტის ფენომენი, რომლისთვისაც ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის სქემაში, ორმაგი ეფექტის ფაზათა რეალიზაციისას შეწყვილებულია ცხრომის მანიის და ფორმის მანიის ფსიქიკური სტიქიები და, რომლის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზა რეალიზებულ იქნა ეგეოსურ ცივილიზაციაში ჩრდილოეთ ევროპელი ხალხების, პროტოგერმანელებისა და სკანდინავიელების ინტეგრაციის შედეგად დასავლეთ ევროპაში ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის, რეალიზაციის პროცესის ესტაფეტური გახანგრძლივებით III-VIII საუკუნეების მანძილზე – პროტოგერმანულ, IX-XII სს. მანძილზე – ნორმანულ სამყაროში, რის საფუძველზეც XIII ს. დასავლეთ ევროპაში, ლათინური ელემენტის მიხედვით ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დასაწყისის, ხოლო ნორმანული ელემენტის მიხედვით, ეგეოსური დასაწყისის განვითარების მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დასაწყისის ხანად იქცა. გერმანიის სივრცეზე ამ ორი პროცესის ერთდროულად განვითარებამ საფუძველი მისცა ცხრომის მანიის და ფორმის მანიის ფსიქიკური სტიქიების თანხვედრილი ეფექტის ანუ ევროპული ფარული დასაწყისის განვითარების პირველ ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციას XIII-XV სს. დასავლეთ ევროპაში. ევროპული ფარული დასაწყისის ეფექტის ფარულ დასაწყისად, შეიძლება მივიჩნიოთ, ძლევის მანიის ეფექტის ფენომენი რომანული ქრისტიანული კულტურის სახით. ევროპული დასაწყისის განვითარების მორიგი, პირველი მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა მოიცავს ევროპის ისტორიის პერიოდს XVI ს-დან XIX ს. შუა წლებამდე; XIX ს. მეორე ნახევარი ევროპული დასაწყისის განვითარების მეორე ორმაგი ეფექტის ფაზით იყო გადაფარული; XX ს. პირველი მეხუთედი – მეორე ძლევის მანიის ცალფა ეფექტის ფაზით; 1921-1940 წლები წარმოადგენდა მეორე ორმაგი ეფექტის ფაზას და ამ ცივილიზაციის შეფერხების, მის არეზე ეგეოსური ფარული დასაწყისის ეფექტის გავლენის გაძლიერების მომტანი აღმოჩნდა; მორიგი, ევროპული დასაწყისის განვითარების მეორე მართვის მანიის

ცალფა ეფექტის ფაზაში, რომელიც დაიწყო 1941 წელს და უნდა დასრულებულიყო 1960 წლის მახლობლად, ამ ცივილიზაციამ არსებობა შესწყვიტა.

ეგეოსური ცივილიზაცია – ფარული დასაწყისის ეფექტის ფენომენი, რომლისთვისაც ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის სქემაში, ორმაგი ეფექტის ფაზათა რეალიზაციისას შეწყვილებულია ძღვეის მანიის და მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიები და რომლის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზა რეალიზებულ იქნა პროტოელინურ (აქეურ) და პელაზგურ-კოლხურ სამყაროების კონტაქტით, ეპიცენტრით ეგეოსის ზღვის არეალში, დაახლოებით ქრისტეს შობამდე XXII-XII საუკუნეებში და, რომლის ფარულ დასაწყისად წარმოგვიდგება ეგვიპტური ცივილიზაციის ზეგავლენა ეგეოსურ სამყაროზე; XI-IV საუკუნეები მის ისტორიაში პირველ ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზას წარმოადგენდა; ქრისტეს შობამდე IV – ქრისტეს შობიდან II საუკუნეები – მეორე ორმაგი ეფექტის ფაზას; III-IX საუკუნეები – მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზას; X-XII საუკუნეები – მესამე ორმაგი ეფექტის ფაზას; XIII-XVI საუკუნეები მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზას, და მისი განვითარების შეფერხების ეტაპი იყო; XVII საუკუნის დასაწყისიდან 1927 წლამდე პერიოდი მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზას წარმოადგენდა, რომლის დროსაც მოხდა ამ ცივილიზაციის რუსეთის სივრცეზე ახლად განფენა; 1927-1948 წლები, მესამე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზას წარმოადგენდა, რომლის დროსაც მოხდა ამ ცივილიზაციის მთელ მსოფლიოზე განფენა; 1949-1968 წლები – მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზას; 1969-1988 წლები – მესამე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზას; 1989 წლიდან ვითარდება ეგეოსური ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარების მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზა, რომელიც უნდა დასრულდეს 2009 წლის მახლობლად, რის შემდეგაც დაიწყება მორიგი (მეოთხე) ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა (2009_2028 წწ.). *(პირველ გამოცემაში, აქ, ნაცვლად 2028 წლისა მითითებული იყო 2039 წელი, რადგან 2039 წლამდე ანუ მორიგი VII ორმაგი ეფექტის ფაზის შუახანებამდე მსოფლიოში ინიციატივის მფლობელებად შეიძლება დარჩნენ ფორმის მანიის კლასის ერები. თუმცა 2028 წლის შემდეგ, იდეური უპირატესობის გარდაუვალი დაკარგვის შედეგად, ეს მათი სამხედრო ინსტიტუტების მოქმედებითაა შეეძლება). 2029 – 20048 წლები VII ორმაგი ეფექტის ფაზას დაეთმობა, ხოლო 2049 – 2068 წლები IV ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზას და ასე შემდეგ.

განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი – მართვის მანიის ეფექტის ინდივიდურ ფენომენთა (მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის მატარებელ ინდივიდთა) სიმრავლეზე მართვის მანიის ეფექტით განსაზღვრული ერთობის აუცილებელი პირობა, რომელიც გულისხმობს ერთობის წევრებს შორის ურთიერთგანსხვავების მათ მიერვე დაფიქსირების აუცილებლობას ერთობის პირობად: ყოველი ინდივიდი, ერთი მაინც შესაბამისი მახასიათებლით განსხვავებული უნდა იყოს ერთობის ყველა სხვა წევრისგან, ან ყველა იმ წევრისგან მაინც, რომელთაც ცნობს და ურთიერთქმედებს, როგორც მისი მომცავი ერთობის წევრებთან.

მართვის მანიის ეფექტის ინდივიდურ ფენომენთა, როგორც ასეთთა, მართვის მანიის ეფექტით განსაზღვრული ერთობა, საზოგადოდ შეუძლებელი იქნებოდა მართვის მანიის ეფექტის ინდივიდურ ფენომენებს შორის ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურების და სქესის მიხედვით შესაძლო განსხვავებების გარეშე.

პირველ შემთხვევაში ერთობა მოსწავლის და მასწავლებლის ურთიერთმიმართებით გამოიხატება: მასწავლებელი ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების

კონკრეტულ საფეხურზე მდგომ მოსწავლეს მომდევნო საფეხურის ინდივიდად უნდა წარმოუდგეს, ანუ იმ შინაარსების განსახიერებად, რომლის ათვისებასაც გულისხმობს აღზრდა მოსწავლის, როგორც ფსიქიკური ინდივიდის, ფენომენური განვითარების მოცემულ ეტაპზე.

მეორე შემთხვევაში ერთობა განსხვავებული სქესის ადამიანთა ურთიერთმიმართებით გამოიხატება. მართალია, სქესი პირველ რიგში ბიოლოგიური მახასიათებელია, მაგრამ მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიისთვის (მხოლოდ ამ ფსიქიკური სტიქიისთვის) სქესი ეფექტის აბსოლუტური მახასიათებელიცაა: მდებრობით სქესს შეესაბამება მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციაში პიროვნული ამოცანებისა და მოთხოვნილებების იდენტიფიკაცია და ტრანსფარაცია (მოწოდების პერსონიფიცირება); მამრობით სქესს კი, შეესაბამება ამ ამოცანათა და მოწოდებათა გადაჭრა-დაკმაყოფილების გზების, მოქმედების ალგორითმის მიგნება და განხორციელება. (ქართულ კულტურაში სქესთა ურთიერთმიმართების სწორედ ამგვარი მნიშვნელობით დაფიქსირებად წარმოგვიდგება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ – თინათინის და ავთანდილის წყვილი).

ამრიგად მართვის მანიის ეფექტის ინდივიდურ ფენომენტა სიმრავლეზე, მართვის მანიის ეფექტით განსაზღვრული ერთობის უმაღლესი ფენომენი რამდენიმე თაობის მაერთიანებელი ოჯახის სახით წარმოგვიდგება. საშუალო თაობა (დედ-მამა) განასახიერებს ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურს, რომელზეც იმყოფება ამ ოჯახის მომცველი ერი, უფროსი თაობა კი, უმცროს თაობასთან ურთიერთობაში თითოეული მათგანის აღზრდის პროცესში უკვე დაძლეული საფეხურის მომდევნო საფეხურის განსახიერებად. უმცროსი თაობის წევრებს შორისაც, ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურის მიხედვით განსხვავება შეიძლება დაფიქსირდეს.

მართვის მანიის ეფექტის ინდივიდურ ფენომენტა სიმრავლეზე, უფრო დიდმასშტაბიანი ერთობის მიღწევას სჭირდება ინდივიდებს შორის განსხვავებების აქტუალიზაცია ისეთი მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც მართვის მანიის ეფექტის პარამეტრებს არ წარმოადგენენ. ინდივიდებს შორის ამგვარ განსხვავებათა რეალიზაცია შესაძლებელია გენტიკური მემკვიდრეობის გარეგნულ გამოხატულებათა, ანუ ფენოტიპის მიხედვით. გარეგნულ გასხვავებათა პარამეტრად უნდა მივიჩნიოთ ინდივიდის ასაკიც, მხოლოდ აქ, არა როგორც მისი ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურის კორელატი, არამედ, როგორც გარეგნობის განმსაზღვრელი კონკრეტული ბიოლოგიური მახასიათებელი და სქესიც, აქ, ასევე, როგორც გარეგნობის განმსაზღვრელი ბიოლოგიური მახასიათებელი.

ინდივიდთა შორის გარეგნული ურთიერთგანსხვავების თვალსაჩინო მახასიათებლები განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის მიხედვით ამ ინდივიდთა უეჭველი ერთობის ცნობიერების განმსაზღვრელია, თვით ამგვარად ურთიერთგანსხვავებულ ინდივიდთათვის, მათი ურთიერთქმედების მოვლენაში და ამ ვითარებაში მათზე დამკვირვებელი ინდივიდისთვისაც. ამდენად, მართვის მანიის ეფექტის ინდივიდურ ფენომენტა ურთიერთობის – მისი შინაარსის ჭეშმარიტი მნიშვნელობის სათანადოდ შეფასება-თვითშეფასება შეუძლებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გარეგნულად გამოხატული სხვაობით მინიშნებული ერთობა ურთიერთქმედ ინდივიდთა რეალურ ურთიერთმიმართებას შეესაბამება, ე.ი. როცა გასხვავებული ასაკის ურთიერთქმედი ინდივიდები ერთ ოჯახს ან მოსწავლე-მასწავლებელს წარმოადგენენ (ასაკობრივი სხვაობით

მინიშნებული მიმართება); როცა განსხვავებული ნიჭისა და ცოდნის ან გასხვავებული რასის ინდივიდები ერთი ინტერესით მოქმედ ჯგუფს წარმოადგენენ; როცა გასხვავებული სქესის ინდივიდები სქესობრივ პარტნიორებს წარმოადგენენ.

მართვის მანიის ეფექტის ინდივიდურ ფენომენთა ურთიერთობის, მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობის მიხედვით შეფასებადობის პირობაა ინდივიდებს შორის გარეგნული სხვაობის არათვალსაჩინოება, ნიველირებადობა. ამრიგად მართვის მანიის კლასის ერის წარმომდგენი საზოგადოება, დიფერენცირებული უნდა იყოს ინდივიდთა ურთიერთმიმართების ადექვატურად შეფასებადობის ანუ ფსიქოლოგიური კომფორტის ისეთ ჯგუფებად, როგორიცაა ასაკობრივი, სქესობრივი და სქესობრივ წყვილთა ჯგუფები. რომელთა შიგნით მათ წამრომადგენლებს შორის ურთიერთმიმართების გადამეტვასება მართვის მანიის ეფექტით გამოირიცხებულია.

ინდივიდებს შორის ურთიერთგანსხვავების დაფიქსირების შემთხვევაში, სხვაობით მინიშნებული ერთობის უეჭველობის ცნობიერების, ფსიქოლოგიური დისკომფორტის აცილების საშუალებაა ეროვნული ცნობიერების ფენომენი: მართვის მანიის კლასის ერის, როგორც საზოგადოებრივი ერთობის ფენომენის, აქტუალიზაცია ინდივიდებს შორის ნებისმიერი კონკრეტულობის ურთიერთსხვაობით მინიშნებული ერთობის გადამფარავია (ამრიგად მართვის მანიის კლასის ერის წარმომადგენელთა ეროვნული ცნობიერება მათთვის ფსიქოლოგიური კომფორტის პირობაა) და პირიქით მართვის მანიის კლასის ერის, როგორც საზოგადოებრივი ერთობის, აქტუალიზაცია მოითხოვს ინდივიდებს შორის ურთიერთგანსხვავებათა ტრანსფარაციას.

დიდი საზოგადოებრივი ეფექტის მქონეა ინდივიდებს შორის ერის, როგორც საზოგადოებრივი ერთობის, ალტერნატიულ რეალიზაციათა ურთიერთგანსხვავებასთან ასოცირებადი სხვაობები, რაც ეროვნული საზოგადოების კუთხურ დიფერენციაში აისახება. ამგვარივე მნიშვნელობისაა უცხო ერის მემკვიდრეობის მეშვეობით გარეგნულ თვითგამოხატვის კონკრეტულობის მიხედვით სხვაობის განვითარება, რაც `მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთა` ჩამოყალიბებაში აისახება. გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთა ფორმირებაში დასაშვებია სხვა თვისებრივი ტიპის ერთა კულტურის ნებისმიერი ელემენტი, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, მაგ. მართვის მანიის კლასის ერში სქესობრივი უმცირესობის ლეგალიზაცია (ცხრომის მანიის კლასის ერის რიგითი ფენომენი) გამოირიცხებულია, რადგან ინდივიდთა ბიოლოგიურად სქესობრივი იგივეობის პირობებში, სქესობრივი ფუნქციის მიხედვით განსხვავების არსებობის შესაძლებლობის დაშვებაც კი, მართვის მანიის კლასის ერის წევრთა ურთიერთობის ადექვატურად შეფასებადობის ანუ ფსიქოლოგიური კომფორტის უმნიშვნელოვანესი ჯგუფების, სქესობრივი ჯგუფების შინაგანი ერთგვაროვნების დარღვევა და ამდენად, მათი ამგვარი ფუნქციის გაუქმება იქნება.

მართვის მანიის ეფექტის ინდივიდური ფენომენისთვის ფსიქიკური სტიქიის მიხედვით ინდივიდებს შორის ურთიერთგანსხვავება, მათი უპირობო ერთობის საფუძველია, ამდენად მართვის მანიის კლასის ერის ინდივიდი, თავისთავს ცივილიზაციის ელემენტად სახავს.

ქართველი ერი – ეგეოსური ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარებაში მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო ასპექტის ძირითადი ფენომენი, ამ მნიშვნელობით ეგეოსური ფარული დასაწყისის განვითარების პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის დამამთავრებელი ეტაპიდან (ქრისტეს შობამდე XVI-XII-ს) მაინც ლოკალიზებულია

კავკასიაში. მისი ფენომენური განვითარების პირველი და მეორე საფეხურების აღსანიშნავად ეგეოსური მითოსური მემკვიდრეობის მიხედვით უნდა გამოვიყენოთ სახელები შესაბამისად პელაზგი ერი და კოლხი ერი. ქართველი ერი მისი ფენომენური განვითარების მესამე საფეხურის სახელია და იგივე სახელით მოიხსენიება იგი დღემდე გლობალურ ცივილიზაციაში თავის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე. გლობალური ცივილიზაციის ნოოსფერულ ცივილიზაციად გარდაქმნის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს ერთა მართვის მანიის კლასის სათანადო ფუნქციის შემსრულებელი მექანიზმის საფუძვლად გადაქცევის აუცილებლობის გათვალისწინებით, ამ ფუნქციის ელემენტის გეოგრაფიული ლოკალიზაციის მიხედვით და იმის საფუძველზე, რომ ეს ერი ქართველური სამყაროს გარეშე ეთნოსებზეც ვრცელდება, მის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის აღსანიშნავად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი სახელი – კავკასიელი ერი. *ქართველი ერი მისი ფენომენური განვითარების მესამე საფეხურის სახელად – უპირატესობა ეკუთვნის სახელს – გეორგიანელი ერი. ქართველი ერი ამ ერის საზოგადო სახელად შეიძლება დარჩეს.

ქართველი ერი, როგორც საზოგადოებრივი ერთობა წარმოდგენილია მისი, როგორც ასეთის, ალტერნატიულ რეალიზაციათა ფენომენებით: მეგრელები, სვანები, იმერლები, გურულები, აჭარლები, ლაზები, ქართლები, კახელები, ფშაველები, ხევსურები, მოხევეები, ჰერები... და უცხო მემკვიდრეობის მეშვეობით გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფებით: ქართველი ქრისტიანი მართლმადიდებლები – გარეგნულად, ბიზანტიური სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი, ქართველი ქრისტიანი კათოლიკეები – „ფრანგები“ – გარეგნულად კათოლიკური სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი, ქართველი აფხაზები – გარეგნულად ადიღური სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი, ქართველი ებრელები – გარეგნულად ებრაული მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი), ქართველი რუსები – გარეგნულად რუსი ერის მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი (მოიცავს ქართული ინტელიგენციის უმეტეს ნაწილს) – თავის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე ქართველი ერისთვის გარეგნული თვითგამხატვის დომინანტური სახიერება, “სომხები” – გარეგნულად არმენული სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი, გრიგორიანელები, “ოსები” – გარეგნულად ალანური სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი, ქართველი შიიტები – გარეგნულად ირანული სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული სხვა ჯგუფი: ფერეიდნელები, ქართველი სუნიტები – გარეგნულად თურქული სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი, მათ შორის მაჰმადიანი ლაზები, მაჰმადიანი ინგილოები და, “ქისტები” – გარეგნულად ვაინახური სამყაროს მემკვიდრეობის მეშვეობით გამორჩეული ჯგუფი, ბაცბები...

ამ ჯგუფებს აუცილებლად თან ახლავთ სათანადო მდგრადობის კომპონენტები (– არაქართველი აფხაზები, არაქართველი ოსები, არაქართველი სომხები ანუ არმენიელები ...) რომელთა თანაარსებობის გარეშე ხსენებული, გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფები ვერ იარსებებენ.

საგულვეტელია ერთი ქართველი ელემენტის არსებობა მრავალ კავკასიურ ეთნოსში საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ნოოსფერული ცივილიზაციის პირობებში ჩამოყალიბდება ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი სხვა ჯგუფებიც

(ზოგიერთი მათაგანი დღესაც შეინიშნება: ქართველი ამერიკელები, ქართველი გერმანელები...) გლობალური ცივილიზაციის ცენტრალურ პოლიტიკურ ინსტიტუტში მსოფლიოს ერთა წარმომადგენლობების მდგრადობის კომპონენტის როლში გამოყენებით, რაც ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე ქართველი ერის გარეგნული თვითგამოხატვის მრავალსახიერებას უზრუნველყოფს.

ნაწილი მეორე

კომენტარები

1. "ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის" პოზიციდან ისტორიულ მოვლენათა განხილვისთვის აუცილებელია შემდეგი დებულებების დამახსოვრება (არ არის აუცილებელი მათი დამტკიცების ლოგიკური პროცედურების ცოდნა):

1) არსებობს "განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი", რომელსაც ოთხი განსხვავებული მნიშვნელობის მიღება შეუძლია;

2) განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის" შესაძლო მნიშვნელობებს, რომელთაც "ფსიქიკურ სტიქიებს" ვიწოდებთ, შეესაბამებათ 4 "დომინანტური ფსიქიკური კომპლექსი": "ფორმის მანია", "ძლევის მანია", "ცხრომის მანია" და მართვის მანია".

3) "ფსიქიკურ სტიქიათა" ოთხეული მოწესრიგებულია ციკლური რიგის მიხედვით, აქ მითითებული თანმიმდევრობით.

4) "ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების" (გავლენების) პარამეტრები გვადლევს კრიტერიუმების სისტემას მსოფლიო კულტურათა კლასიფიკაციისთვის.

5) დადგენილია, რომ ყოველი კულტურა, მისი ძირითადი თვითშეთანხმებული კომპონენტის მიხედვით, ერთ-ერთი "ფსიქიკური სტიქიის ეფექტის" გამოხატულებაა, რაც ნიშნავს მისი შემოქმედი საზოგადოების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის ერთიდაიგივე "ფსიქიკური სტიქიის" მატარებლად წარმოდგენილობას.

6) ამ გარემოებითაა ნაკარნახევი "ერის" დეფინიცია, როგორც ერთიდაიგივე "ფსიქიკური სტიქიის" მატარებელ ინდივიდთა საზოგადოებრივი ერთობისა.

7) ამრიგად, არსებობს ერთა ოთხი თვისებრივი ტიპი, რომელთა დასახელებისთვის ვიყენებთ "ფსიქიკურ სტიქიათა" სახელებს.

8) ამგვარად განმარტებული "ერის" რეალიზაციები არ წარმოადგენენ თვითკმარ ფენომენებს, მათ არ გააჩნით უნარი თავიანთი წარსული მდგომარეობით განსაზღვრონ თავიანთი აწმყო მდგომარეობა, ანუ მათ არ ახასიათებთ თვითრეგულირებადობა

9) თვითკმარ, თვითრეგულირებად საზოგადოებრივ წარმონაქნმებს ვუწოდებთ "ცივილიზაციებს".

10) ამგვარად განმარტებული "ცივილიზაცია" წარმოგვიდგება ოთხივე თვისებრივი ტიპის ერების სინქრონულ-დიაქრონულად მაერთიანებელ სისტემად.

11) "ცივილიზაციის" არსებობა კონკრეტული თვისებრივი მდგომარეობების, რომელთაც "ცივილიზაციურ ფაზებს" ვუწოდებთ, კონკრეტული რიგის მიხედვით მონაცვლეობის პროცესად წარმოგვიდგება. ცივილიზაციურ ფაზათა ცვლის პროცესი ინფორმაციის დაგროვების პროცესის უზოგადესი მახასიათებლის გამოვლენაა და გარეგან რეგულირებას არ ექვემდებარება _ ის თავად არის ყოველგვარი რეგულაციის გამოხატულება.

12) ერთა ყოველი თვისებრივი ტიპი კონკრეტული თვისებრივი ფაზის რეალიზატორი ელემენტია. ყოველ კონკრეტულ ცივილიზაციაში კონკრეტული "ცივილიზაციური ფაზა" სათანადო თვისებრივი ტიპის ერის პროდუქტიულ აქტუალიზაციაში პოულობს გამოხატულებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ერები მათი მათი მომცავი ცივილიზაციისგან ღებულობენ.

13) თუ ცივილიზაციაში ახალი ფაზის დადგომისას არ აღმოჩნდება შენარჩუნებული სათანადო ტიპის ერი, შეიძლება მოხდეს მასში წარმოდგენილ სხვა თვისებრივი ტიპის ერთა თვისებრივი ტრანსფორმაცია, ან ამგვარი ერის შემოჭრა მეზობელი ცივილიზაციიდან, რაც ცივილიზაციურ წარმონაქმნთა მასშტაბის ზრდის და, ამდენდა, პროგრესის პირობას წარმოადგენდა XX საუკუნის შუაწლებამდე.

14) ცივილიზაციურ ფაზათა მონაცვლეობა შესაძლებელია ოთხი განსხვავებული სქემის მიხედვით მიმდინარეობდეს, რაც გვაძლევს თვითონ ცივილიზაციათა კლასიფიკაციის შესაძლებლობას.

15) დინამიზმის და მდგრადობის ოპტიმალური შეთანადებით გამოირჩევა ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის სქემა, რომელსაც "ფარული დასაწყისის ეფექტის სქემას" ვუწოდებთ. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მსოფლიოზე განფენილი გლობალური ცივილიზაციის რომელობის ასკითხი სამი ამგვარი ცივილიზაციის ულთიერებრძოლაში გადაწყდა.

16) "ფარული დასაწყისის ეფექტის სქემაში" "ორმაგი ეფექტის ფაზების" რეალიზაციებში შეწყვილებულია ორი დიამეტრალურად საპირისპირო ფსიქიკური სტიქია, ე.ი. ან მართვის მანია და ძლევის მანია, როგორც ეგეოსურ და შუმერულ ცივილიზაციებში, ან ფორმის მანის და ცხრომის მანია, როგორც დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში. ორმაგი ეფექტის ფაზებს მორიგეობით მოსდევს სხვა ორი ფსიქიკური სტიქიის "ცალფა ეფექტის ფაზები".

17) "ფარული დასაწყისის ეფექტის სქემის" მიხედვით მოარსებე ცივილიზაციის დასახელება მოხერხებულია მისი "პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის" რეალიზაციის გეოგრაფიული ლოკალიზაციის მიხედვით. მთელს მსოფლიოზე განფენას ანუ გლობალურ ცივილიზაციად დამკვიდრებას მიაღწია ცივილიზაციამ, რომლის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციის ეპიცენტრი დაფიქსირდა ეგეიდაში ქრისტეს შობამდე 22-ე – მე-12 საუკუნეებში. ქართველი ერი, კოლხური სამყაროს სახით, მონაწილეობდა ამ ფაზის რეალიზაციაში. ეს არის მისი ასაკის განმსაზღვრელი პირობა.

18) ერთიდაიგივე თვისებრივი ტიპის ერები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან "ფენომენური განვითარების საფეხურების" მიხედვით.

19) "ერის ფენომენური განვითარების პირველი საფეხური", იგივე – "ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პირველი საფეხური" წარმოდგენილია "ცნობიერების ტოტემისტური შრიტ"; მეორე საფეხური – "ცნობიერების მითოსური შრიტ"; მესამე საფეხური – "ცნობიერების რელიგიური შრიტ"; მეოთხე საფეხური – ცნობიერების მეცნიერული შრიტ", რომელიც არ არის, საზოგადოდ, ბოლო საფეხური, მაგრამ დედამიწის პირობებში ყველაზე დაწინაურებული ერებიც კი, თავიანთი ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის, მხოლოდ, დასაწყისს განიცდიან. ამასთანავე, ერთა დიდი ნაწილი თავისი ფენომენური განვითარების მესამე საფეხურზეა, მიუხედავად იმისა, რომ სარგებლობს ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე მდგომ ერთა სამეცნიერო სკოლების მიღწევებზე დაფუძნებულ მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტებით.

2. ადამიანის აქტივობის ყველა სფეროში შეიძლება დავასახელოთ კატეგორიათა ოთხეულები, რომლებიც ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების ურთიერთმიმართებას გვიხასიათებენ. ეს კარგად არის ასახული წიგნის პირველ ნაწილში წარმოდგენილი ცხრილით.

საზოგადოებრივ ერთობად თვითორგანიზაციის სფეროში, როგორც აღინიშნა:

– მართვის მანიას შეესაბამება "განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი"; ფორმის მანიას – "ერთობის პრიმატის (ერთობის წევრის ერთობის პირობით განსაზღვრულობის) პრინციპი"; ძლევის მანიას – "იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპი"; ცხრომის მანიას – "ერთობის მიმართ ერთობის წევრის პრიმატის (ერთობის უპირობობის) პრინციპი".

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების სფეროში:

– მართვის მანიას შეესაბამება "თანხმობის" კატეგორიის პრიმატულობა; ფორმის მანიას – "მოვალეობის" კატეგორიის პრიმატულობა; ძლევის მანიას – "თანასწორობის" და "უფლების" კატეგორიის პრიმატულობა; ცხრომის მანიას – "თავისუფლების" კატეგორიის პრიმატულობა.

ურთიერთობის საზრისის აფასებს:

– მართვის მანია – "გაცემის" აქტად; ფორმის მანია – "გაყოფის" აქტად; ძლევის მანია – "მიღების" აქტად; ცხრომის მანია – "გაცვლის" აქტად.

ეს სია ამით არ ამოიწურება, მაგრამ ეს ჩამონათვალიც საკმარისია განსხვავებული თვისებრივი ტიპის ერების წარმომადგენელ საზოგადოებათა სტრუქტურის, მათი წევრი პირების ღირებულებითი ორიენტირების რადიკალრად განსხვავებულობის გასაცნობიერებლად.

ამ კატეგორიების მიხედვით შესაძლებელია განსხვავებული თვისებრივი ტიპის ერების ურთიერთმიმართების ხასიათის განსაზღვრა.

– ფორმის მანიის კლასის ერი თავისი შემოქმედებითი აქტებით მიიწევს "მოვალეობის" კატეგორიის უფრო და უფრო მეტი ასპექტებით აქტუალიზაციისკენ; ძლევის მანიის კლასის ერი – "უფლების" კატეგორიის უფრო და უფრო მეტი ასპექტებით აქტუალიზაციისკენ; ცხრომის მანიის კლასის ერი – "თავისუფლების" კატეგორიის უფრო და უფრო მეტი ასპექტებით აქტუალიზაციისკენ; მართვის მანიის კლასის ერი – "თანხმობის" კატეგორიის უფრო და უფრო მეტი ასპექტებით აქტუალიზაციისკენ.

ერთი თვისებრივი ტიპის ერთა შემოქმედებითი პროდუქტიულობა იწყება იქ სადაც მთავრდება ციკლურ რიგში მისი წინმსწრები თვისებრივი ტიპის ერის შემოქმედებითი პროდუქტიულობა:

– "მოვალეობის" კატეგორიის აქტუალიზაციის ფაქტი წინაპირობაა "უფლების" კატეგორიის აქტუალიზაციისა; "უფლების" კატეგორიის აქტუალიზაციის ფაქტი – "თავისუფლების" კატეგორიის აქტუალიზაციისა; "თავისუფლების" კატეგორიის აქტუალიზაციის ფაქტი – "თანხმობის" კატეგორიის აქტუალიზაციისა; "თანხმობის" კატეგორიის აქტუალიზაციის ფაქტი – "მოვალეობის" კატეგორიის აქტუალიზაციისა.

ამგვარად იკვრება წრე, რაც განვითარებას უსასრულო ოთხსვლიანი სპირალად წარმოგვიდგენს. ამ პროცესის არაწრფივი ხასიათი საფუძველი ხდება ილუზიისა, რომელიც გამოიხატება ყოველი მიმდინარე ეტაპის განვითარების საბოლოო შედეგად დასახვის მცდელობაში.

3. თანამედროვე ეპოქაში, საკომუნიკაციო (საინფორმაციო და სატრანსპორტო) ტექნოლოგიების საფუძველზე განვითარებულ ეკონომიკური ინტეგრაციის ტენდენციის გაღრმავების პირობებში, ჩვენი პლანეტის ნებისმიერი რეგიონი გლობალური გეოპოლიტიკური ძალების სტრატეგიული დაპირისპირების ასპარეზად არის ქცეული. ეს დაპირისპირება ღია და გაჭიანურებულ სამხედრო კონფლიქტშია გადაზრდილი არაერთ სახელმწიფოში, მათ შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს საქართველო.

ფსიქიკურ სტიქიათა თეორია ცივილიზაციის, როგორც თვითრეგულირებადი საზოგადოებრივი წარმონაქმნის, არსებობის და სისტემური ქცევის კანონზომიერებების და ფუნქციური სტრუქტურის განმსაზღვრელია, რაც საშუალებას გვაძლევს ისტორიული მოვლენების ქაოსური სიმრავლის საფუძველში ცივილიზაციური თვითრეგულირების რეაქციები და თვითრეგულირების პროცესები ამოვიცნოთ, მივაღწიოთ გლობალურ პოლიტიკურ სტაბილიზაციას და ავამოქმედოთ კრიზისების, მათ შორის, ეკონომიკური კრიზისების, გამომრიცხავი მექანიზმები, უზრუნველვყოთ მსოფლიო საზოგადოების მდგრადი და შეუქცევადი განვითარების გზაზე დაყენება ანუ მივაღწიოთ მდგომარეობას, როდესაც კაცობრიობის განვითარების პოტენციურ შემფერხებლად მხოლოდ გეოლოგიური და კოსმოლოგიური ფაქტორები დარჩებიან.

4. ეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაკვირვება არ იძლევა ეკონომიკის მდგომარეობის სტრატეგიული პროგნოზირების და, ამდენად, ეკონომიკური განვითარების ეფექტური სტრატეგიის შემუშავების საშუალებას, პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტების ნაკლები სიმწვავის და თვით ჩაცხრომის პირობებშიც. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2008 წლის მიწურულს დაწყებული გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ამერიკა-ერაყის მეორე და ამერიკა-ავღანეთის ომების დასრულების შემდეგ დამდგარ სტაბილურობის და აღმავლობის წლებს მოჰყვა და რომლის საფუძველი დღემდე დაუდგენელი რჩება ეკონომიკის ექსპერტებისთვის. მზგავს მოვლენად უნდა დასახელდეს 1929 – 1933 წლების გლობალური ეკონომიკური კრიზისიც, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ათწლეულის ეკონომიკური აღმავლობის პროცესში მოულოდნელად დაატყდა თავს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს.

ეს გარემოება “ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის” მიხედვით, აიხსნება იმით, რომ ეკონომიკა მხოლოდ ერთი კერძო ასპექტია ადამიანთა საზოგადოების თვითორგანიზაციის მოვლენისა, რომელიც თვითრეგულირებად საზოგადოებრივ წარმონაქმნთა – “ცივილიზაციათა” არსებობაში პოულობს გამოხატულებას. როგორც ეკონომიკური, ასევე, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, სამხედრო და სხვა სფეროს მოვლენები საზოგადოებრივი ცხოვრების, როგორც “ცივილიზაციური თვითრეგულირების პროცესის” მიმდინარეობის, მეორადი გამოხატულებები, მხოლოდ “ცივილიზაციათა სისტემური ქცევის” კერძო ასპექტების მნიშვნელობით ექვემდებარებიან ზუსტ იდენტიფიკაციას და სტრატეგიულ რეგულირებას.

5. – ფორმის მანიის კლასის ერების შემთხვევაში სახელმწიფო ეკონომიკის მონოპოლისტური რეგულირების ინსტიტუტია, რაც ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე ეტაპზე ამ თვისებრივი ტიპის ერებისთვის ეკონომიკის უპირატესი მოდუსი სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმია; ფორმის მანიის კლასის ერის წარმომადგენლისთვის ეკონომიკური აქტივობის მთავარი მოტივია წარმოება, როგორც ჯერარსული ქცევის რეალიზაცია, ბაზარზე გამოსვლას მხოლოდ წარმოების საშუალებების დანაკლისის შესავსებად აუცილებელი ქმედების მნიშვნელობა აქვს; ამ თვისებრივი ტიპის ერებისთვის დამახასიათებელია მოვალეობის კატეგორიის პრიმატი და ცენტრალიზებული მოწყობა, ცენტრალიზებული იერარქიული სახელმწიფო სამოხელეო სისტემა და სახელმწიფო მოხელეთა მომზადებისა და სელექციის ეროვნული ინსტიტუტი, რაც, თანამედროვე პირობებში, ეგრეთწოდებულ ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის სახით პოულობს რეალიზაციას და, როგორც მესამე რაიხის, იაპონიის და თანამედროვე ჩინეთის მაგალითი აჩვენებს, მაღალი ეკონომიკური ეფექტურობის გამოვლენა შეუძლია;

– ძლევის მანიის კლასის ერების შემთხვევაში პრიმატულია თანასწორობის და უფლების კატეგორიები, სახელმწიფოს მოწყობის ოპტიმალური მოდუსია სამხედრო დემოკრატია, რომელიც ეკონომიკურად არაეფექტურია, მთავარ საარსებო წყაროდ სამხედრო აგრესიის შედეგად მიღებულ შემოსავლებს გულისხმობს (როგორც რომის შემთხვევაში), მაგრამ შეუძლია არსებითი კონსტრუქციული ფუნქციის შესრულებაც საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების ეფექტური კონტროლისა და საიმედო დაცვის უზრუნველყოფით (როგორც, ასევე, რომის და მინდოლთა იმპერიების შემთხვევებში) და, რაც სადღეისოდ რუსი ერის არსებობის მთავარი რესურსია;

– ცხრომის მანიის კლასის ერების შემთხვევაში სახელმწიფო არის ეკონომიკის ანტიმონოპოლისტური რეგულირების ინსტიტუტი, რომლის უმთავრესი მახასიათებელია ფინანსური სისტემის პრიმატი, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ თვისებრივი ტიპის ერებისთვის ეკონომიკის უპირატესი მოდუსი თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებული კაპიტალიზმია; ცხრომის მანიის კლასის ერის წარმომადგენლის ეკონომიკური აქტივობის მთავარი მოტივია საბაზრო ურთიერთობებში მონაწილეობა, საქონლის წარმოებას კი მხოლოდ მეორადი, ბაზარზე დამკვიდრების საშუალების მნიშვნელობა აქვს; ამ თვისებრივი ტიპის ერებისთვის დამახასიათებელია თავისუფლების კატეგორიის პრიმატი; მათი ოპტიმალური თვითგამოხატვა თავისუფალ, მრავალპარტიულ არჩევნების ინსტიტუტზე დამყარებულ პოლიტიკურ მოწყობაში მდგომარეობს, რომლის საუკეთესო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები;

– მართვის მანიის კლასის ერებს არ გააჩნიათ განკერძოებულად თვითორგანიზაციის უნარი, რამეთუ ისინი ცივილიზაციის სისტემური ერთიანობის ეფექტის რეალიზატორ ელემენტებს წარმოადგენენ, რასაც შეესაბამება მათთვის დამახასიათებელი თანხმობის კატეგორიის პრიმატი; ამ თვისებრივი ტიპის ერის წარმომადგენლები ცუდი მესაკუთრეები, მაგრამ, კარგი მეურვეები (მენეჯერები) არიან, ეს არის მათი ეკონომიკური თუ სხვა მოდუსის აქტივობის მთავარი მოტივი, რის დასადასტურებლადაც საკმარისია მსოფლიოს არაერთი ქვეყნის სამსახურში სახელმძღვანელო ქართველთა მრავალრიცხოვანი ჩამონათვალი.

6. თავისთავად ერთა ეს თვისებრივი კლასიფიკაცია არ ხსნის საკითხს იმის შესახებ თუ რომელი თვისებრივი ტიპის ერის ღირებულებათა სისტემა და საზოგადოებრივი ინსტიტუციებია უპირატესი, რაც პირველი სამი (ფორმის მანიის, ძლევის მანიის, ცხრომის მანიის ფსიქიკური სტიქიების სათანადო) თვისებრივი ტიპის წარმომადგენელ ერთაგან დაწინაურებული ერების მიერ საკუთარი ღირებულებათა სისტემების და ინსტიტუციების მთელს კაცობრიობაზე გავრცელების მცდელობებში პოულობს ასახვას. ამის შედეგად გვაქვს სამი დესტრუქციული პარადიგმა კაცობრიობის გლობალური უნიფიკაციისა:

– ფორმის მანიის კლასის ერების შემთხვევაში ამის გამოხატულებაა გამორჩეული ერის კონცეფცია, რომელიც ყოფიერების ჯერარსული მოდუსის მატარებლად თვითმსახავი ერის მიერ კაცობრიობის ერთადერთ, სამომავლოდ არსებობის გაგრძელების ღირს ნაწილად საკუთარი თავის მოიაზრებას გულისხმობს, რაც არის არსი ფაშიზმისა და ისლამური ფუნდამენტალიზმისა, თუმცა ამ უკიდურესად რადიკალური რეალიზაციების გვერდით არსებობს ამ კონცეფციის შედარებით ზომიერი რეალიზაციები იაპონელი, ჩინელი, იტალიელი, ესპანელი, არმენიელი, არაბი, თურქი და სხვა ამავე თვისებრივი ტიპის ერების მენტალიტეტის კომპონენტად;

– ძლევის მანიის კლასის ერების შემთხვევაში – საზოგადოების წევრებს შორის განსხვავებათა ნიველირების, კაცობრიობის სრული უფლებრივი (საარსებო საშუალებათა ხელმისაწვდომობის მიხედვით ფაქტობრივი) გაერთვაროვნების კონცეფცია, რაც არის არსი მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების იდეისა, სრული თანმიმდევრულობით მარქსიზმის ტროცკისტულ მიმდინარეობაში წარმოდგენილის;

– ცხრომის მანიის კლასის ერების შემთხვევაში – მსოფლიოს ეკონომიკური ინტეგრაციის ტენდენციის საფუძველზე მთელი მსოფლიოს ერთიან თავისუფალ ეკონომიკურ ზონად, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ერთიან არედ გადაქცევის კონცეფცია, რაც საზოგადოების თვითორგანიზაციის პირველადი ფუნქციური ერთეულის როლში ეროვნული სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტის ეკონომიკური კორპორაციის ინსტიტუტით ჩანაცვლებას გულისხმობს და, რაც არის არსი ლიბერალიზმისა და მსოფლიო ფინანსური ელიტის მიერ საერთაშორისო კორპორაციების და მომავლის საზოგადოების პროტოტიპად მოაზრებულ, ამერიკული საზოგადოებრივი ერთობის (ამერიკის სახელმწიფოს) მეშვეობით აქტუალიზირებული, გლობალიზმის სახელით ცნობილი მიმდინარეობისა, რომელსაც, მართებული იქნება ეწოდოს, “ეკონომიკური მოდუსის გლობალიზმი”.

7. რადგან მართვის მანიის კლასის ერებს განკერძოებულად თვითორგანიზაციის უნარი არ გააჩნიათ, არ არსებობს მეოთხე უნიფიკატორული პარადიგმა ანუ გლობალიზმის მეოთხე დესტრუქციული მოდუსი.

8. ერთა განსხვავებული თვისებრივი ტიპების სათანადო საზოგადოების პირველადი თვითორგანიზაციის მოდუსებს შორის უპირატესის ამორჩევის პრობლემის მომხსნელია მათ შორის სისტემური ფუნქციური ურთიერთმიმართებების არსებობა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ერი, როგორც ერთიადიმავე ფსიქიკური სტიქიის მატარებელ პიროვნებათა ისტორიული ერთობა, არის არა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი წარმონაქმნი, არამედ ასეთ (თვითკმარ) საზოგადოებრივ წარმონაქმნთა, ცივილიზაციათა ფუნქციური ელემენტი: – ცივილიზაციის, როგორც ასეთის, არსებობა ანუ თვითრეგულირების პროცესი მისი გარკვეული მდგომარეობების – ცივილიზაციური ფაზების – გარკვეული რიგის მიხედვით შეუჩერებელ ცვლაში გამოიხატება და ერთა ყოველი თვისებრივი ტიპი კონკრეტული თვისებრიობის ცივილიზაციური ფაზის რეალიზატორი ელემენტია. სხვაგვარად რომ ვთქვათ – ყოველი ცივილიზაციური ფაზა კონკრეტული თვისებრივი ტიპის (ან ტიპების) ერთა პროდუქტიულ აქტიურობაში პოულობს გამოხატულებას. ამდენად, რომელიმე თვისებრივი ტიპის ერთა, როგორც კონკრეტული ფაზის რეალიზატორ ელემენტთა, შეუვსებელი დანაკლისი შეუძლებელს გახდის ცივილიზაციური თვითრეგულირების პროცესის გაგრძელებას ანუ ცივილიზაციის არსებობას.

ეს ნიშნავს იმას, რომ ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე კონკრეტულ ცივილიზაციაში კონკრეტული ერის დაწინაურება მისი მომცავი ცივილიზაციისგან მომდინარე, ამ ერისთვის გარეგანი მათეტიურებელი იმპულსის შედეგია და არა თვით ამ ერის დამსახურება და, რომ ცივილიზაციაში სხვადასხვა დროს აქტუალურია სხვადასხვა მოდუსები საზოგადოების პირველადი ფუნქციური თვითორგანიზაციისა და, ამდენად, სხვადასხვა მოდუსები ეკონომიკური მოწყობისა.

9. ერს შეუზღუდველი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა ეძლევა მის მომცავ ცივილიზაციაში მისი თვისებრივი ტიპის სათანადო ფაზების მიმდინარეობისას, სხვა შემთხვევაში კი, ის იძულებულია დროებით ისარგებლოს სხვა თვისებრივი ტიპის ერთა ინსტიტუციების ეფექტურობით. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს 1930-იანი წლების ამერიკაში პრეზიდენტ რუზველტის მიერ ეკონომიკური დეპრესიის დასაძლევად გატარებული პოლიტიკა, რომელიც ამერიკელი ერის, როგორც ერთა ცხრომის მანიის კლასის წარმომადგენლის, უარსებითესი მახასიათებლის – თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ინსტიტუტების შეზღუდვასა და ეკონომიკაში ფორმის მანიის კლასის ერებისთვის დამახასიათებელ, სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების მექანიზმების დროებით ამოქმედებაში გამოიხატა. ასევე, კომუნიზმის დამყარებამდე დროებითი ღონისძიების მნიშვნელობით ჩამოყალიბდა ამავე ხასიათის მქონე, სტალინური ეკონომიკური სისტემა ძლევის მანიის კლასის რუსი ერის ჰეგემონიის არეზე. ხოლო ფორმის მანიის კლასის წარმომადგენელ – იტალიელ, გერმანელ და იაპონელ ერების მიერ ეკონომიკის სახელმწიფო

მონოპოლისტური რეგულირების დამყარება მარად სასურველ მოვლენად – ეკონომიკის ჯერარსული მოდუსის მიღწევად – იქნა შეფასებული (– ათასწლოვანი რაიხის იდეა).

აღსანიშნავია, რომ იაპონური ეკონომიკური სისტემა, იაპონელი ერის “დასავლეთევროპილ ცივილიზაციაში” ინტეგრაციისას (19-ე ს. შუაწლები) ამ ცივილიზაციაში თანადროული ფაზის რომელობის ხელშეწყობით, თავიდანვე სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის მოდუსით ჩამოყალიბდა და ამ ნიშანს არ კარგავს დღემდე. ამგვარადვე ვითარდება ეკონომიკა ფორმის მანიის კლასის ჩინელი და ირანელი ერების სახელმწიფოებშიც.

10. თანამედროვე მსოფლიოში ცივილიზაციურ ფაზათა ცვლის პროცესი გლობალური მასშტაბით სინქრონულად მიმდინარე პროცესია. ეს ნიშნავს რეგიონალიზმის ანაქრონიზმად გადაქცეულობას.

ზოგიერთ კერძო საკითხის გადაწყვეტაში, რეგიონალიზმს თანამედროვე მსოფლიოშიც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული კონსტრუქციული მნიშვნელობა, მაგრამ შავი ზღვის რეგიონს, რომელთან მიმართებაშიც ხდება საქართველოს მომავლის საკითხის რეგიონალიზმის ასპექტით განხილვა, მათ შორის ვერ დავასახელებთ:

– ეგეოსური ცივილიზაციის მიერ ჩინური ცივილიზაციის შთანთქმის შედეგად მასში ინტეგრირებული ფორმის მანიის კლასის ჩინელი ერი ამ თვისებრივი ტიპის ერებს ახალი მასშტაბის დამამყარებელ ერთეულად მოევლინა და როდესაც ამ ერთეულს, ეგეოსურ ცივილიზაციაში მისი არსებობის განმავლობაში პირველად, დაუდგა აქტიურობის ეტაპი (2009 – 2028 წლების მომცველი IV ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა) ამ თვისებრივი ტიპის სხვა ერების მიერ ფუნქციური აქტუალურობის შენარჩუნების პირობად იქცა მათგან ჩინელი ერის მასშტაბის კიდევ ერთი მაინც გაერთიანების ჩამოყალიბება, რომლის ბირთვიც ევროპაში შეიძლება გახდეს გერმანელი ერი (სხვათაშორის, ეს გარემოება ევროგაერთიანებაში ცხრომის მანიის კლასის წარმომადგენელი ფრანგი, ჰოლანდიელი და ინგლისელი ერების არსებობას პრობლემად გადააქცევს), ამდენად, რადგან ბულგარელი, რუმინელი და უკრაინელი ერები ფორმის მანიის კლასს ეკუთვნიან, მათი განვითარების უპირატესი პერსპექტივა ერთა ამავე თვისებრივი ტიპის ერთ-ერთ ლიდერთან, გერმანელ ერთან ინტეგრაციის ტენდენციის განვითარებაში მდგომარეობს;

– შავი ზღვის რეგიონის ისეთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, როგორიცაა ძლევის მანიის კლასის გამოკვეთილი ლიდერი, რუსი ერი, აღნიშნულის საფუძველზე, მისი ამ თვისებრიობის გათვალისწინებით, დასახელებულ სამ ერთან ვერ გაერთიანდება;

– თურქი ერი, თუმცა კი, არის ფორმის მანიის კლასის წარმომადგენელი, მაგრამ თურქეთის სახელმწიფო არ არის ამ ერის თვითრეალიზაციის ფენომენი, რამეთუ მასში პრიმატულ როლს ასრულებს თურქი ერისგან გამიჯნული, თურქეთის სამხედრო ინსტიტუტი, რომელიც გარეგან ფაქტორს, ამერიკის მხარდაჭერას ემყარება, რის გარეშეც თურქეთის სახელმწიფოს, მის თანამედროვე საზღვრებში, არსებობა შეუძლებელი იქნებოდა, რაც თურქეთის სახელმწიფოს ამერიკელი ერის გავლენის გამომხატველ ფენომენად ანუ ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენად წარმოგვიდგენს, რაც მისი განვითარების უპირატეს პერსპექტივად სახავს, მისი და სადღესოდ ამგვარივე მნიშვნელობის ფენომენის, ერაყის სახელმწიფოს, თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობის ერთიან არედ ჩამოყალიბებას,

ფორმის მანის კლასის ერების წარმომდგენ არაბულ სამყაროს, ირანულ სამყაროს და ამავე თვისებრივი ტიპის გერმანელი ერის გარშემო კონსოლიდირებადი ევროგაერთიანების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის რეალიზაციისთვის.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის რეგიონი გლობალური ცივილიზაციის სამი განსხვავებული ფუნქციის არედ არის დაყოფილი, რომელთა გაერთიანება, მხოლოდ, გლობალური ცივილიზაციის სტრუქტურაში მათი წარმოდგენითაა შესაძლებელი. ეს ნიშნავს იმას, რომ შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის აქტუალიზაციის აუცილებელი პირობაა მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის გლობალური ოპტიმიზაციის პროგრამის რეალიზაციის ინიცირება.

11. კონცეფციას, რომელიც დღემდე გლობალიზმის სახელითაა ცნობილი, მისი ხასიათის გათვალისწინებით უნდა ეწოდოს – “ეკონომიკური მოდუსის გლობალიზმი”, რამეთუ ამ სახელქვეშ იგულისხმება კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე განვითარებული, მსოფლიოს ეკონომიკური ინტეგრაციის ტენდენცია და, მის ლოგიკურ დასასრულად დასახული, მსოფლიოში ეკონომიკური საზღვრების მოსპობის და შედეგად ლოკალური კულტურების და ყოფითი ტრადიციების მიხედვით სხვაობათა წაშლის მოლოდინი, რომელიც ამ მდგომარეობის დამყარების დაჩქარების მცდელობაშიც პოულობს გამოვლინებებს და ამის საფუძველზე, ნაციონალიზმის სახელით ცნობილ, მზარდი გაქანების ოპოზიციასაც. ამ დაპირისპირების ასახვაა ე.წ. ეკონომიკური მკვლელის ინსტიტუტიც და ტერორიზმიც.

ურთიერთგანსხვავებულ ლოკალურ კულტურათა არსებობა ისტორიის წინა ეტაპებზე კაცობრიობის ცალკეულ ნაწილთა ურთიერთკავშირების გარეშე არსებობის შედეგად და გადმონაშთად წარმოიდგინება. ამდენად, თვითონ ლოკალური კულტურები და აღზრდა-განათლების ინსტიტუტები ისახებიან ინტეგრაციის ხელშეშლელ ფაქტორად, რაც მათ გლობალისტების მთავარ სამიზნედ აქცევს. ლოკალურ კულტურათა ურთიერთგანსხვავებულობის ლიკვიდაციის საშუალებად დასახული სჩანს ეკონომიკური პრობლემების შექმნით მსოფლიოში ეთნომიგრაციების იმგვარად წარმართვა, რომ ყოველ რეგიონში ადგილობრივი ლოკალური კულტურის მატარებელი ეთნოსები აღმოჩნდნენ უმცირესობაში. დიფუზიის ობიექტის როლში იგულისხმება ისტორიულ საზოგადოებათა ყველა ფენა. როგორც საქართველოს მაგალითზე სჩანს, ეკონომიკური მოდუსის გლობალიზმის მამოძრავებელი ძალების ზემოქმედების ობიექტად (მათი პროექტების რეალიზაციის არედ) ქცეულ ქვეყნებს ხელი ეშლებათ მათ ხელთ არსებული რესურსების დამოუკიდებლად განვითარებისთვის გამოყენების შესაძლებლობას. ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა სასურსათო დამოუკიდებლობა, მნიშვნელოვნად იზღუდება არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარების შეფერხებით, არამედ სამეურნეო კულტურების ადგილობრივი ჯიშების დასავლეთიდან შემოტანილი ჰიბრიდული ჯიშებით ჩანაცვლების ტენდენციის ხელშეწყობითაც – შემოტანილ სათესლე მასალაზე მუდმივი დამოკიდებულების დამყარება აუქმებს ქვეყანაზე გავლენის შენარჩუნებისთვის სოფლის მეურნეობის განვითარების შეზღუდვის აუცილებლობას.

12. “ეკონომიკური მოდუსის გლობალიზმის” და “ნაციონალიზმის” დაპირისპირების ასპექტით მსოფლიოს მდგომარეობის აღწერა არ გვაძლევს მსოფლიოში მიმდინარე გლობალური მასშტაბის პროცესების საზრისის ზუსტ იდენტიფიკაციას, რადგან ეკონომიკური მოდუსის გლობალიზმი თავადაც ნაციონალიზმის ერთ-ერთი მოდუსია, კერძოდ – ერთა ცხრომის მანიის კლასის შესაბამისი.

– ეკონომიკური მოდუსის გლობალიზმი, როგორც თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ინსტიტუტზე დამყარებულ ღირებულებათა სისტემის, ამერიკული კულტურის ნიშნით და ამერიკელი ერის ძალით, მთელს მსოფლიოზე განფენისკენ მისწრაფება, სწორედ, მისი ამ მნიშვნელობის საფუძველზე აწყდება დღითიდღე მზარდ წინააღმდეგობას, სხვა ლოკალური კულტურების თავდაცვითი რეაქციის გამოხატულებად.

კაცობრიობის თანამედროვე მდგომარეობის მთავარი დამამძიმებელი ფაქტორია არა “ეკონომიკური მოდუსის გლობალიზმის” და “ნაციონალიზმის” დაპირისპირება, არამედ, “საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის” გაბატონებულობა მსოფლიოში, რაც თავის დაღს ასვამს როგორც საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკას, ასევე, კერძო პირების ცხოვრებასაც (იხ. § 7).

13. საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის ბატონობის ასახვაა საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე პრაქტიკაში ორმაგი სტანდარტის სინდრომის, საბოტაჟის, დემოგრაფიული შეჯიბრის და ეთნოწმენდის, ომის, ტერორიზმის და ექსტრემიზმის სხვა ნაირსახეობების, ბიოსფეროს რესურსების უზომოდ ფლანგვის და ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობათა თუ უფრო მცირე საზოგადოებრივ ერთეულთა და თვით ცალკეულ პირთა ქცევის სხვა დესტრუქციული მოდუსების საყოველთაო ნორმად ქცეულობა. ამ, აგრესიული (შეუჩერებელი შეტევითი ქცევის) სტრატეგიის კარნახით სახელმწიფოთა თუ სხვა საზოგადოებრივ ერთეულთა შეკავშირება, მხოლოდ, საერთო მტრის პირისპირ და მხოლოდ დროებით, ხდება შესაძლებელი. საილუსტრაციოდ პირველ ნაწილში დასახელდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთიანობაში განხეთქილების განვითარების პროცესი, რაც საბჭოთა კავშირის დაშლით მათი საერთო საფრთხის მოხსნამ (შეურიგებელი იდეური ანტაგონიზმის გაუქმებამ) განაპირობა.

14. თანამედროვე მსოფლიოში, ამერიკულმა საზოგადოებრივმა ერთობამ – მომავლის საზოგადოების პროტოტიპად დასახულმა, თუმცა კი, მხოლოდ, ერთა ცხრომის მანიის კლასის ლიდერმა – ამერიკელმა ერმა – მიაღწია ისეთ მდგომარეობას, რომელიც, საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიით განსაზღვრულ, საბოლოო გამარჯვების მდგომარეობასთან მიახლოებად მოიაზრება. ამ შეფასებას იზიარებენ როგორც ამერიკული

(აშშ-ს) ფინანსურ-პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, ასევე, თანამედროვე გლობალისტური მოძრაობის ინიციატორებიც და მოწინააღმდეგეებიც მთელს მსოფლიოში. ამერიკის სტატუსის ამგვარი შეფასება, აღნიშნული სტრატეგიის კარნახით, თანამედროვე გლობალიზმისთვის სადღეისოდ აქტუალურ ამოცანად სახავს აზიის მთელს სივრცეზე ამერიკის კონტროლის დამყარებას. საამისოდ საუკეთესო საშუალებაა “დიდი თურანის იდეის” (თურქულენოვანი სამყაროს კონსოლიდაციის პროცესის) რეაქტუალიზაცია, როგორც ირანულ და არაბულ სამყაროთა წინააღმდეგ მიმართული და ანტიამერიკული ისლამური ფრონტის ერთიანობის ჩამშლელი გეოპოლიტიკური ფაქტორი, რომელიც, ამასთანავე, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც რუსეთის შინაგანი დესტაბილიზაციისთვის, ასევე, უიღურული სეპარატიზმის გამოყენებით, ჩინეთის გამომფიტავ კონფლიქტში ჩათრევისთვის. ამ პოტენციის აქტუალიზაციისთვის აუცილებელია მცირეაზიასა და შუააზიას შორის თავისუფალი სატრანზიტო დერეფნის გახსნა, რაც მიღწევადია საქართველოს თავისუფალი ეკონომიკურ ზონად გადაქცევით (“სინგაპურიზაციით”). **სწორედ, ეს არის, ისტორიის მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს სახელმწიფოზე გარეგანი ძალების ზემოქმედების საზრისის განმსაზღვრელი გარემოება.**

ამ პროექტის რეალიზაციაში ამერიკის პოლიტიკის მესვეურებმა, გარკვეულწილად, რუსეთის ჩათრევაც მოახერხეს, როგორც ეს საქართველოში 2003 წლის “ვარდების რევოლუციის” სახელით ცნობილი მოვლენების ინიცირებაში რუსეთის და ამერიკის თანამშრომლობამ აჩვენა. ამის საფუძვლად, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გამოავლინა, გამოყენებულ იქნა ამერიკის მიერ საქართველოს სტრატეგიული რესურსებისა და სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტების პირველადი შესყიდვის ექსკლუზიური უფლების ფაქტობრივად რუსეთისთვის მინიჭება (– ამერიკა ხაზგასმით იკავებს თავს საქართველოში სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ეკონომიკური ობიექტების შესყიდვისგან, ყველა მნიშვნელოვან ობიექტს რუსეთი ეუფლება). ამით აიხსნება აჭარის იოლად დათმობა რუსეთის მიერ.

ამერიკული პოლიტიკის მესვეურები დარწმუნებულნი არიან “ამერიკულ” ღირებულებათა სისტემის (“ამერიკანიზმის”) უპირატესობაში და, ამდენად, უნდა ვიგულისხმოდ, რომ საქართველოს ამგვარად “დათმობით”, ისინი იმედოვნებდნენ, აქ, ამ ღირებულებათა სისტემის თვითონ რუსეთზე და წინააზია-შუააზიაზე გასავრცელებლად პლაცდარმის ჩამოყალიბებას, ჩინური გავლენის ზრდისგან აზიის სივრცის დაცვისა და მისი დასაკუთრებისთვის წინაპირობების მომზადებას.

რუსეთ-ამერიკის საეტაპო “გარიგების” არსებობის ფაქტი გამოამჟღავნა საქართველოს “რევოლუციური” ხელისუფლების პარიტეტის პრინციპზე დაფუძნებულობის ფაქტმაც:

– პრემიერმინისტრ ჟვანიას გუნდი, როგორც რუსეთის ინტერესების ლობი, და პრეზიდენტ საკაშვილის გუნდი, როგორც ამერიკის ინტერესების ლობი, თანაბრად ინაწილებდნენ გავლენის ბერკეტებს რუსეთ-ამერიკის შეთანხმების შესაბამისად (შევნიშნავთ, რომ ლობის ინსტიტუტი ამერიკული პოლიტიკური სისტემის ელემენტია, ამდენად ხელისუფალთა გუნდის ასე დანაწევრება ამერიკულ ღირებულებათა სისტემისთვის დამახასიათებელი მომენტია და საქართველოს “სინგაპურიზაციის” პროგრამას არ ეწინააღმდეგება. ასე რომ პრემიერმინისტრი ჟვანია, მისი აღნიშნული სტატუსის გათვალისწინებით, მაინც დასახელებული გლობალისტური პროგრამის მონაწილედ რჩებოდა).

გლობალისტების ამ პროგრამის რეალიზაციაში მონაწილეობა რუსეთმა პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლებისგან ჩამოშორების პროცესის მხარდაჭერით დაიწყო. ხელისუფლების ცვლისთვის ქართული საზოგადოების განწყობა შეთანხმებულად მოქმედი დასახელებული გარეგანი ძალებითა და საქართველოს შიგნით არსებული მათი გავლენის ჯგუფებით ორგანიზებულ სრული სტაგნაციის კამპანიის შედეგად მოხერხდა. ფაქტობრივად ეს იყო საქართველოს, მსოფლიო პოლიტიკის სუბიექტის (თუმცა კი მეტად შევიწროებულის, მაგრამ – მაინც სუბიექტის) სტატუსიდან მსოფლიო პოლიტიკის ობიექტის (თუმცა კი მეტად აქტუალურის, მაგრამ – მაინც ობიექტის) სტატუსში ჩამოქვეითება. პრეზიდენტ შევარდნაძისეული დროის მოგების სტრატეგია, რისი პროდუქტიც საქართველოს შიგნით კონფლიქტების კონსერვაცია, ბაქო-თბილისი-სუფსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების პროექტების რეალიზაცია იყო და ამერიკა-რუსეთის ინტერესთა კონფლიქტის აქტუალიზაციის რესურსს ქმნიდა, საქართველოს გლობალური პოლიტიკის სუბიექტის სტატუსში პოზიციების განმტკიცებას უქადდა, სწორედ, ამან უზიძგა, საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის კარნახით მოქმედ, რუსეთისა და ამერიკის სახელმწიფოთა მესვეურებს მოენახათ საერთო პოზიცია საქართველოს მიმართ.

საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის ბატონობის პირობებში, ამერიკა-რუსეთის ეს შეთანხმება, მხოლოდ, საეტაპო შეთანხმება შეიძლებოდა ყოფილიყო და, მართლაც, რუსეთი აგრძელებს მისთვის სასარგებლოდ სიტუაციის შეცვლის მცდელობას. რუსეთის მესვეურთა მიერ საქართველოს სატრანზიტო პოტენციის აქტუალიზაციასთან დაკავშირებულ, რუსეთისთვის საარსებო საფრთხის სწორად შეფასების ასახვა კავკასიისა და შუაზღვის ქვეყნებში დიქტატურების, როგორც ანტიგლობალისტური და ანტიპანთურქისტული ფაქტორის, ჩამოყალიბების ტენდენციების ხელშეწყობი პოლიტიკის გატარება რუსეთის მიერ. მის მიმართ განხორციელებული, აღნიშნული, დათმობების წყალობით, რუსეთი თანდათან იმტკიცებს პოზიციებსაც საქართველოში, აქ თავისუფალი ეკონომიკური სივრცის ფორმირებას კი, კვლავაც ეწინააღმდეგება. მაგრამ, რაც უფრო ცხადი ხდება რუსეთის გავლენის ზრდის შედეგად საქართველოს სივრცის მის მიერ ცალმხრივად გაკონტროლების (ანუ აღნიშნული სტრატეგიული მიზნებისთვის გამოსაყენებლად საქართველოს გავლით ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფნის ამოქმედების არდაშვების) შესაძლებლობა, მით ურო გამოიკვეთება თურქულენოვანი სამყაროს (დიდი თურქის იდეის მომხრე ძალების) არმენიის წინაშე დათმობებისთვის განწყობა, რაც ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფნის არმენიაზე გავლით გახსნის წინაპირობაა. იგულისხმება ყარაბაღზე არმენიის კონტროლის დაკანონება, მისი ტერიტორიის გავლით შუაზღვისთან თურქეთის შეუზღუდველი კომუნიკაციის არხის ამოქმედების სანაცვლოდ. აზერბაიჯანი მისი დათმობის სანაცვლოდ მიიღებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კომპენსაციას თურქული სამყაროს კნფედერაციის დედაქალაქად ბაქოს გადაქცევით (აზერბაიჯანმა XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოს გადადგა მზგავსი ნაბიჯი, თურქული სამყაროს ინტერესების სახელით, როდესაც თურქეთის დასახმარებლად საზღვარი გაუხსნა წითელ არმიას. მაშინ კონპენსაციის სახით კავკასიის საკითხზე რუსეთ-თურქეთის შეთანხმების პირობის მიხედვით მას გადაეცა ზაქათალის, ნახჭევანის და ყარაბაღის ოლქები).

მდგომარეობის სწორად შეფასებისთვის უნდა გავითვალისწინოთ ევროპის წამყვანი ქვეყნების ინტერესების გავლენა საქართველოზე.

ევროპის წამყვანი ქვეყნების მესვეურები ტრანსკავკასიურ სატრანზიტო დერეფანს ენერგომატარებლების რუსეთის გვერდის ავლით მიღების გზად და, ამდენად, ენერგეტიკული დამოუკიდებლობის განმსაზღვრელ ფაქტორად განიხილავენ, რაც ევროპაზე ამერიკის გავლენის შემცირების პირობაცაა. არმენიის გავლით სატრანზიტო დერეფნის გახსნისთვის აუცილებელ, არმენიისა და თურქულენოვანი სამყაროს ურთიერთნდობის გარანტირება ევროკავშირს არ შეუძლია, საამისოდ აუცილებელია ნატოს ანუ ამერიკის ჩარევა. ამდენად, ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფნის ეს ვარიანტი ევროპის წამყვან ქვეყნებს ამერიკის გავლენის ქვეშ (რუსეთ-ამერიკის პოტენციური გარიგების ობიექტის როლში) ტოვებს, რაც ამ ალტერნატივას ამერიკისთვის სასარგებლოდ, ევროკავშირისთვის კი, მეტად საზიანოდ წარმოაჩენს. ამით შეიძლება ავხსნათ საფრანგეთის და გერმანიის გამოსვლა ნატოში (– ევროპაზე ამერიკის გავლენის გამტარებელ ინსტიტუტში) საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგ და, ევროგაერთიანების წარმომადგენლის სტატუსში, საფრანგეთის პრეზიდენტის, სარკოზის აქტიურობა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შესაჩერებლად (ანუ ამერიკისა და რუსეთის კონტროლისგან თავისუფალი ტრანსკავკასიური დერეფნის საქართველოს გავლით გახსნის შესაძლებლობის აღკვეთის ასაცილებლად). ამდენად ლოგიკურია რომ, როგორც პრეზიდენტ სარკოზის განცხადებამ (რომლის მიხედვითაც ამერიკის პრეზიდენტმა, ბუშმა სცადა საქართველოში მისი ვიზიტის ჩაშლა) ცხადყო, პრეზიდენტ ბუშის გუნდმა, უკანასკნელ ჟამს, უპირატესობა ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფნის არმენიის გავლით გახსნის ალტერნატივას მიანიჭა. ის ფაქტი, რომ, შექმნილ ვითარებაში, რუსეთის მიერ საქართველოს სრული ოკუპაცია ამერიკის სტრატეგიული მიზნებისთვის ხელსაყრელი იყო, გვაფიქრებინებს, მიუხედავად ამერიკელ დიპლომატთა საჯარო განცხადებებისა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი დაპირისპირებულ მხარეებზე, სწორედ, ამერიკის ფარული ზემოქმედებით პროვოცირებულ მოვლენად მივიჩნიოთ.

ამ ომის შედეგები დღეს რუსეთ-ამერიკის ახალი საეტაპო შეთანხმების აქტუალიზატორიც შეიძლება აღმოჩნდეს.

საქმე ისაა, რომ ამერიკისთვის მისაღებია ტრანსკავკასიური დერეფნის და თავისუფალი ეკონომიკური ზონის ამოქმედება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ფასადაც. ამერიკის მესვეურთა გარკვეულ წრეში გავრცელებულია აზრი, რომ ამიერკავკასიაში, მის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის ნაწილების სახით, უშუალოდ მიმდებარე პლაცდარმის მიღებით რუსეთმა დაჰკარგა მეტის მოთხოვნის გამართლება და მორალურ უფლება და, რომ ის შეწყვეტს წინააღმდეგობას საქართველოს დანარჩენი სივრცის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გადაქცევის პროექტების რეალიზაციისადმი. მით უმეტეს, რომ საქართველოში სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტების პირველადი შესყიდვის ექსკლუზივი რუსეთს, ფაქტობრივად, დღესაც შენარჩუნებული აქვს.

2008 წლის ომის გაჩაღებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ რუსეთის აგრესორად წარმოჩენით ამერიკის რესპუბლიკური პარტია იმედოვნებდა საარჩევნო კამპანიაზე გავლენის მოხდენას. ამ მოლოდინმა გაამართლა, მაგრამ ევროგაერთიანების ჩარევით რუსეთის ინტერვენციის დამუხრუჭებამ ხელი შეუშალა რესპუბლიკელების გაზრდილი რეიტინგის არჩევნებამდე შენარჩუნებას. დღეს, როგორც სჩანს, უკვე რუსეთის მესვეურებიც ხვდებიან არმენიაზე მათი კონტროლის შესანარჩუნებლად (არმენიისთვის არჩევანის

აქტუალიზაციის არდასაშვებად), თურქულენოვან სამყაროში, საქართველოს გავლით თავისუფალი სატრანზიტო დერეფნის გახსნის შესაძლებლობის შესახებ წარმოდგენის შენარჩუნების აუცილებლობას, და თავს იკავებენ საქართველოს საკითხის ბოლომდე გადაწყვეტისგან. ამასთანავე, საქართველოს წინააღმდეგ პერიოდულად, ხანმოკლე და ლოკალური სადამსჯელო სამხედრო კამპანიების განხორციელებაც სავსებით შეესაბამება რუსეთის სტრატეგიულ ამოცანებს.

უნდა აღინიშნოს, რომ არმენიისთვის, თუმცა, ერთი მხრივ, ხელსაყრელია საქართველოს რუსეთის სრული კონტროლის არეში მოქცევა, როგორც არჩევანის მიმნიჭებელი ფაქტორი, მაგრამ, მეორე მხრივ, ამის შემდეგ ის თვითონ შეიძლება გახდეს ამერიკა-თურქეთის და რუსეთის გავლენის არეებად დაყოფის ობიექტი, ანუ თვითონ აღმოჩნდეს საარსებო საფრთხის წინაშე. რის რეალურობასაც ადასტურებს უკრაინის მდგომარეობა და თვით ნატოს და ევროგაერთიანების წევრ, პოლონეთის ინტერესების რუსეთისა და გერმანიის ურთიერთგარიგების ობიექტად გადაქცევა, რაც პოლონეთს პროამერიკული ორიენტაციის გამამართლებელია და შეიძლება პრეზიდენტ კაჩინსკის ტრაგიკული დაღუპვის ამხსნელიც გამოდგეს. ამდენად, არმენიისთვის აუცილებელია მასზე რუსეთის გავლენის დესტრუქციულ ფაქტორად გადაქცევის შესაძლებლობის აღმკვეთი, დამცავი ბუფერი, რუსეთის გავლენისგან თავისუფალი საქართველოს სახით.

აღსანიშნავია, რომ ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფნის ფუნქციონირებისთვის საკმარისია საქართველოს სამხრეთი ზოლიც მესხეთ-ჯავახეთ-ქვემოქართლის ხაზზე. ამ შემთხვევაში არმენიის და, ამდენად, ამერიკის მონაწილეობა ამ პროექტში არ იქნება საჭირო. ამით შეიძლება ავხსნათ ევროგაერთიანების ინიციატივები მესხეთ-ჯავახეთში მაჰმადიანთა ჩასახლების საკითხის (რეპატრიაციის პრობლემის მნიშვნელობით) აქტუალიზაციაში, იმის გათვალისწინებით, რომ ქვემო ქართლში მაჰმადიანი მოსახლეობა, საამისოდ, საკმარისი წილითაა უკვე წარმოდგენილი. ამრიგად, საქართველოს შემდგომი დასუსტება და მისი დანაწევრების პროცესის სტაბილიზაცია რუსეთს კვლავ საფრთხეს უმზადებს. მით უმეტეს, რომ არმენიის და თურქულენოვანი სამყაროს მორიგების მცდელობა შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიების ხარჯზეც სცადონ ევროგაერთიანების მესვეურებმა.

2008 წლის აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა გლობალისტური ინიციატივები საქართველოში, რასაც გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმაც შეუწყო ხელი. მაგრამ ეს შეფერხება დღეს დაძლეული სჩანს. ამას მიაწინებებს 2011 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის ქალაქ ქუთაისში გადატანის შესახებ: ეს ფაქტი თავისუფალ ეკონომიკურ ზონად (ახალ სინგაპურად) საქართველოს და არმენიის ერთგვარი კონფედერაციული გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბების პროექტის ამოქმედების მაუწყებელია. იგულისხმება, რომ ქართველი ერის პოლიტიკური ცენტრის თბილისიდან სხვა ქალაქში გადატანით (რაც საქართველოს პარლამენტის ქალაქ ქუთაისში გადატანით უკვე დაწყებული პროცესია: გამოცხადდა, რომ აქვე განთავსდება სახელმწიფო კანცელარია), ქართველი ერი არმენიელი ერის მზგავს მიმართებაში აღმოჩნდება გლობალისტური პროექტის რეალიზაციის კავკასიური ეპიცენტრთან, თბილისის სახით, რომელიც, თავის მხრივ, განთავსდებოდა კონკრეტულ ერთან ასოცირებულობისგან. ეს შექმნის პირობებს იმისათვის, რომ აღნიშნული პროექტის ინიცირება გარეგან ფაქტორად მოველინოს ქართველ და არმენიელ ერებს, მათს ეროვნულ

პოლიტიკურ ცენტრებს, ქუთაისსა და ერევნს. მომავალში კი განზრახული სჩანს ახალი ფუნქციით აღჭურვილ თბილისის მეგაპოლისის განკარგულებაში საქართველოს ცალკეული, ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პუნქტების გადაცემა, რისი მაგალითიცაა სამთო კურორტი გუდაური. ამას მოჰყვება მესტია, ბორჯომი, ფოთი, და ასე ემდეგ, ხოლო ბათუმსა და მთელს აჭარაზე ამ პრაქტიკის გავრცელება ამ პროცესს ახალ მასშტაბს შესძენს, რაც მის საქართველოს გარეთ გავრცელების წინაპირობაა. საამისო პრეცედენტის შექმნის საფუძველი არსებობს ყარაბაღის საკითხში: ყარაბაღის არმენიის უშუალო კონტროლიდან გამოყვანა და გლობალისტურ პროექტში მოქცევა მეტად სასარგებლოა არმენიისთვის (აცილებს მას უშუალო პასუხისმგებლობას) და, პრობლემის ორმხრივი ურთიერთობის სიბრტყიდან საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცეში გადატანით, აზერბაიჯანსაც უფრო ღირსეულ პოზიციაში აყენებს, თანაც უბიძგებს მას თბილისთან დაკავშირებულ გლობალისტურ პროექტში ჩართვისკენ, ინიციატივის ხელში ჩასაგდებად (რაც, თურქეთთან მისი შეთანხმებული მოქმედების პირობით, არ სჩანს შეუძლებელი). ეს პრეცედენტი გამოიწვევს ახალი ფუნქციით აღჭურვილ თბილისის მეგაპოლისის გავლენის დანარჩენ კავკასიაზე გავრცელების (სოხუმის, გროზნოს, მახაჩკალას, ნალჩიკის, ვლადიკავკაზის და სხვა ეროვნული ცენტრების მისი გავლენის ორბიტაში მოქცევის) ენერგიულ მცდელობებს, გლობალისტური პროექტის ფარგლებში. ამით ეს პროექტი რუსეთისთვის შეუნიღბავ საფრთხედ გამოჩნდება, რომლის გასაწეიტრალეზლად მას მოუხდება, ან თვითონაც ენერგიულად ჩაერთოს მასში (მაქსიმალურად ისარგებლოს ზემოთხსენებული ესკლუზივით და შეიქმნას უკანდახვევისთვის მაქსიმალური რესურსი. არმენიის ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი მას უკვე აქვს ხელში ჩაგდებული), ან ირანთან ერთად გაზარდოს ზეწოლა აზერბაიჯანზე და მთელს კავკასიაზე, რაც დიდი ომის გაჩაღების პერსპექტივას ქმნის.

გლობალისტური პროექტის ამ ალტერნატიული კონკრეტულობით რეალიზაციაზე გადასვლა საქართველოში დემოგრაფიული სურათის ქართველი ერის საზიანოდ შეცვლის მცდელობას ვერ შეაჩერებს, რადგან საქართველო-არმენიის გარედან თავსმოხვეულ კონფედერაციაში ელექტორატის შემადგენლობა მაინც ვერ იქნება არჩევნების შედეგებზე ეროვნული ინტერესების ფაქტორის გავლენის არაარსებითობის უზრუნველყოფელი. ასე რომ, ქართველი ერის მდგომარეობა ამით ოდნავადაც არ შემსუბუქდება. პირიქით ამ პროექტის წარმატებით რეალიზაცია იქნება მის მიერ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილის ფაქტობრივად დათმობის მომტანი, რამაც შეიძლება ქართული ეროვნული ძალები რუსეთ-ირანი კოალიციის მხარეს დააყენოს.

ურთიერთგამომრიცხავ ინტერესთა ამ ქართული "გორდიას კვანძის" გახსნის ლოგიკური შეუძლებლობა და, ამდენად, შეუძლებლობა მოვლენათა განვითარების პროგნოზირებისა აჩენს მზარდ შიშს რუსეთის მესვეურთა შორის, რაც, ატომური იარაღის პრევენციული გამოყენების შესახებ, ახალ საკანონმდებლო ინიციატივაში აისახა.

საკითხის ეს განხილვაც საკმარისია ცხადსაყოფად იმისა, რომ **"საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის"** იდეური დამღევა თანამედროვე მსოფლიოსთვის საარსებო აუცილებლობას წარმოადგენს. ოპტიმალიზმი (ნაციონალ-გლობალიზმი), სწორედ, ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი იმპერატიული პარადიგმაა.

15. 2001 წელს ამერიკაში განხორციელებულმა ტერაქტმა ხელი გაუხსნა ამერიკას დიდმასშტაბიანი სამხედრო კამპანიების ჩასატარებლად, რისი მოთხოვნილებაც გლობალურ ცივილიზაციაში ფაზათა ცვლის სტიქიურმა მიმდინარეობამ განაპირობა.

– 1988 წელს გლობალურ ცივილიზაციაში დასრულდა ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა, ამერიკელი ერის უაღრესად აქტუალურობის ოცწლიანი პერიოდი, დაწყებული 1969 წელს. ამ ფაზის უმაღლეს გამოხატულებად სწორედ ამერიკის, განსაკუთრებით მისი ფინანსური ინსტიტუტების გავლენის განუხრელი ზრდა, 1986 წლიდან გლობალური ფუნქციის ინსტიტუტებად მათი გადაქცევა უნდა დავასახელოთ. ამან განსაზღვრა ის რომ 1989 წელს მორიგ, VI ორმაგი ეფექტის ფაზის დასაწყისს მაქსიმალური რესურსების მქონე სახელმწიფოდ სწორედ, ამერიკა შეხვდა. ახალი ფაზის დადგომას, მისი თვისებრიობის შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტების ეფექტურობის დიდად დაქვეითება და მათ ნაცვლად სამხედრო ინსტიტუტების ფუნქციის აქტუალიზაცია მოჰყვა, რაც საბჭოთა კავშირის სივრცეზე სამოქალაქო ომების და პირველი ამერიკა-ერაყის და ამერიკა-იუგოსლავიის ფართომასშტაბიანი ომების გააჩაღებაში აისახა. 1998 წლისთვის ამერიკას გამოეღია წინა ფაზაში დაგროვილი რესურსები, რაც ფინანსური ინსტიტუტების ეფექტურობის უკვე კატასტროფულ დაქვეითებაში უნდა ასახულიყო, რისი ნიშნებიც ამავე წელს გამოჩნდა მსოფლიო ბირჟებზე შექმნილი მდგომარეობის მიხედვით. მაშინ კრიზისის გაღრმავებისგან თავის დახსნა 2001 წელს განხორციელებული ტერაქტების საპასუხოდ ერაყის მთელი ტერიტორიის ოკუპაციის შედეგად მისი ნავთობსარეწების ექსპლუატაციის გზით (მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასიის მანიპულირების პირობებში) უდიდესი მოგების მიღებით მოხერხდა. მაგრამ 2008 წელს დამთავრდა აღნიშნული ფაზა და მორიგი IV ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის, თვისებრიობის შესაბამისად, გაუქმდა სამხედრო ინსტიტუტების ეფექტურობის მორიგი ეტაპიც, რამაც გამოავლინა ფინანსური ინსტიტუტების ეფექტურობის კატასტროფული დაქვეითებულობა, რასაც ასახავს 2008 წლის მიწურულს დაწყებული გლობალური ეკონომიკური კრიზისი. 2009 წლიდან დგას საზოგადოებრივი ცხოვრების, მათ შორის ეკონომიკის სფეროს ცენტრალიზებული მონოპოლისტური რეგულირების ეფექტურობის ხანა, რაც ნიშნავს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის სათანადო რეალიების აღორძინების აუცილებლობას მომავალი 19 წლის განმავლობაში, რაც ფორმის მანიის კლასის ერებისთვის ყოფიერების ოპტიმალური მოდუსის დამყარების შესაძლებლობის მომნიჭებელია. ეს ნიშნავს იმას რომ კრიზისის დაძლევის შემდეგ, დაახლოებით 2013 წლიდან ვიხილავთ გერმანიის ჩინეთის, იაპონიის, ირანის, არაბული სამყაროს და სხვა ამავე თვისებრივი ტიპის ერების სწრაფ დაწინაურებას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის ოპტიმიზაციის პროგრამის აქტუალიზაციის გარეშე 2028 წლის მიწურულიდან მსოფლიოს ახალი კატაკლიზმები, სამხედრო ინსტიტუტების აქტუალიზაციის მორიგი ეტაპი ელოდება. თუმცა მიმდინარე ფაზაც (2009 _ 2028 წწ), რომელიც ფორმის მანიის კლასის ერების მთავარი მახასიათებელის, უცხოის მიმართ შუწყნარებლობის ფაქტორის გავლენით არანაკლებ ფეთქებადსაშიში ვითარების დამყარებას გულისხმობს. ამ საფრთხის ხარისხის გასაცნობიერებლად საკმარისია გავიხსენოთ ეგეოსური ცივილიზაციის წინა ამგვარი ფაზის, 1929 _ 1948 წწ. მოვლენები.

16. ქართველი ერს ისტორიის, მისი რაობის განხილვა არ შეიძლება მხოლოდ კავკასიის მასშტაბის მოვლენების ან მეზობელ ქვეყნებთან მისი ურთიერთობის ასპექტით. ქართველი ერის ფუნქციურ ელემენტად მომცავი ფენომენი არის ერთ-ერთი საშუალო ასაკის, კერძოდ – 42 საუკუნის ისტორიის მქონე, თვითრეგულირებადი სოციალური წარმონაქმნი, ეგეოსური ცივილიზაცია. რომელმაც გლობალურ ცივილიზაციად ჩამოყალიბებას მიაღწია, სხვა ამგვარ წარმონაქმნთა განადგურებით და მათი შემადგენელი ერების თავის სტრუქტურაში ინტეგრაციით. ქართველი ერი არის ერთადერთი ერი, რომელმაც დასაწყისიდან დღემდე თვისებრივი ტრანსფორმაციების აცილებით გამოიარა ეს პროცესი, ანუ რომლის ისტორიაც არის ერთადერთი უწყვეტი ძაფი თანამედროვე გლობალური ცივილიზაციის ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში. ქართველი ერი არის ერთა მართვის მანიის კლასის გამოკვეთილი ლიდერი, ამრიგად დღეს ის უნდა დასახელდეს გერმანელი, ამერიკელი და რუსი ერების ანუ, შესაბამისად, – “ერთა ფორმის მანიის კლასის”, “ერთა ცხრომის მანიის კლასის” და “ერთა ძლევის მანიის კლასის” ყველაზე დაწინაურებული წარმომადგენლების გვერდით. მისი ფიზიკური სიმცირე და სახელმწიფოებრივი თვითორგანიზაციის ასპექტით მისი დაბალქმედუნარიანობა, მისი თვისებრივი ტიპით განსაზღვრული მახასიათებლებია – მართვის მანიის კლასის ერის თვითორგანიზაცია არა ეროვნული სახელმწიფოებრიობის, არამედ ცივილიზაციის სისტემური ერთიანობის გამოხატულებაა და დღეს როდესაც (როგორც იქნა) გლობალური ცივილიზაციის სისტემური ერთიანობის ინსტიტუციონალიზაციის აქტუალურობის ეპოქა დადგა, თვისებრივი ტრანსფორმაცია ქართველი ერისთვის გლობალური ცივილიზაციის ყველაზე აქტუალურ ფუნქციურ ელემენტთაგანის სტატუსის დაკარგვა იქნება. ამასთანავე, საამისოდ, მას მოუხდება დიდი წინააღმდეგობის დაძლევა, რამეთუ ქართველი ერის გეოგრაფიული ლოკალიზაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მისი წარმომდგენი ეთნოკონგლომერატის 42 საუკუნის განმავლობაში თვისებრივი ტრანსფორმაციის გარეშე, მართვის მანიის კლასის ერად არსებობას განაპირობებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გლობალური ცივილიზაციისთვის სწორედ საქართველოს გეოგრაფიული ლოკალიზაციითა ოპტიმალური ამგვარი თვისებრივი ელემენტის არსებობა.

ქართველი ერის აღნიშნული სტატუსის გათვალისწინებით, დღეს საქართველო უნდა იქცეს მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის გლობალური ოპტიმიზაციის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის საერთაშორისო ცენტრად. ეს ხელს შეუწყობს სამომავლოდ (შესაძლებელია – ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე ფაზაშივე, ე.ი. 2029 წლამდე) საქართველოში გლობალური ცივილიზაციის წევრ ერთა ურთიერთობის მარეგულირებელი ინსტიტუტის – “გლობალური განვითარების ცენტრის” დაარსებას. თანამედროვე გაეროსგან განსხვავებით “გლობალური განვითარების ცენტრი” იქნება ერთა ოთხი თვისებრივი ტიპის შესაბამისად, განსხვავებული, თანაბარღირსეული ფუნქციებით აღჭურვილი ოთხი პალატისგან შედგენილი ინსტიტუტი. ყოველი ერი, მისი თვისებრივი ტიპის გათვალისწინებით, წარმოდგენილი იქნება მისი თვისებრივი ტიპის სათანადო ფუნქციით აღჭურვილ პალატაში. ეს ნიშნავს ერთა საერთაშორისო სტატუსიების, ფუნქციების და შინაგანი მოწყობის სასაფუძვლო პრინციპების მათ თვისებრივ ტიპებთან შესაბამისობაში მოყვანას.

“გლობალური განვითარების ცენტრის” საქართველოს სახელმწიფოში განლაგების აუცილებლობის ფაქტი საქართველოს სახელმწიფოს და მთელი შავი ზღვის რეგიონის

სტრატეგიული განვითარების პროექტებში გასათვალისწინებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

17. ასაკით დაახლოებით ქართველი ერის ტოლი, ფორმის მანიის კლასის ებრაელი ერი ჩამოყალიბდა შუმერულ (პირველ მესოპოტამიურ) ცივილიზაციაში, მის მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში, რომელიც დაიწყო ქრისტეს შობამდე III ათასწლეულის შუახანებში. სემიტების ახალი ტალღის ზეწოლით შუმერული ცივილიზაციის დაცემისა და მესოპოტამიაში ახალი – ბაბილონური (მეორე მესოპოტამიური) ცივილიზაციის ჩამოყალიბების შედეგად, შუმერული ცივილიზაციის შემადგენელ ფორმის მანიის კლასის ერის წარმომადგენელ ელემენტად დარჩენილი ებრაელთა (შუმერულ-სემიტური ნარევი) ეთნოსი გამოდევნილ იქნენ მესოპოტამიიდან. პალესტინაში დამკვიდრების შემდეგ, ფილისტიმიელთა გავლენით მოხდა მისი ინტეგრაცია ეგეოსურ ცივილიზაციაში ფორმის მანიის კლასის ერადვე, ამ ცივილიზაციის პირველი ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში (ქრისტეს შობამდე XI – ქრისტეს შობამდე IV სს.) დასაშვები ერთ-ერთი ამგვარი ლოკალური ელემენტის მნიშვნელობით. ამ ცივილიზაციის მორიგ – მეორე ორმაგი ეფექტის ფაზაში (ქრისტეს შობამდე IV – ქრისტეს შობიდან II სს.) მოხდა ამ ლოკალური ფენომენის ლიკვიდაცია და დიასპორებად გაფანტვა ეგეოსური ცივილიზაციის დანარჩენ სივრცეზე, რომელიც ამ დროს მოიცავდა ყოფილ სპარსეთის იმპერიის სივრცესაც.

ფორმის მანიის კლასის ებრაელი ერის გაფანტულობა სხვა ფორმის მანიის კლასის ერთა სივრცეზე ამ ერისგან მისი საარსებო ამოცანის, უცხო ერის წიაღში ადაპტაციის ამოცანის რეალიზატორი ელემენტის გამოყოფის პროცესს განაპირობებდა. ეს ელემენტი მისი ფუნქციის გათვალისწინებით არის არა ფორმის მანიის ფსიქიკური სტიქიის მატარებელი, არამედ ცხრომის მანიის ან ძლევის მანიისა, რამეთუ სხვა სოციალურ გარემოში ადაპტაცია ებრაელი ერის დიასპორის, როგორც უცხოს, თანაარსებობის დაშვების მიღწევას (ცხრომის მანიის ეფექტი) ან მის განსხვავებულობის ნიველირებას (ძლევის მანიის ეფექტი) მოითხოვს. ასე რომ, ეს ელემენტი, თუმცა არსებობს ებრაელი ერის საარსებო ამოცანის საპასუხოდ, მაგრამ ფსიქოტიპის მიხედვით მას არ ეკუთვნის და თავისი შემოქმედებით ავსებს სხვა თვისებრივი ტიპის ერთა მემკვიდრეობას და არა ებრაულს. მართვის მანიის ეფექტის რეალიზატორად გამოსვლა ამ ელემენტის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ, რდგან მართვის მანიის ეფექტი ხაზს უსვამს განსხვავებას. ამრიგად წარმოშობით ებრაელი ერის წარმომდგენ ეთნოკონგლომერატის წევრებს ჰქონდათ შეასძლებლობა სამი განსხვავებული თვისებრივი ტიპის ერების წარმომადგენლად თვითრეალიზაციისა. ეს მათი პროდუქტიულობის ამხსნელია. რაც შეეხება ხაზარებს, ეს იყო ფორმის მანიის კლასის ერი, რომელიც სარწმუნოების საფუძველზე ამავე თვისებრივი ტიპის ებრაელი ერის ნაწილად შეიძლება წარმოვიდგინოთ

18. ეგეოსური ცივილიზაციის მდგომარეობის მიხედვით, 2009 – 2028 წლები თვისებრივად 1929 – 1948 წლების იგივეს იქნება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ 1929 წელს არ იყო დამთავრებული ცივილიზაციათა თანაარსებობის ეპოქა, მიმდინარეობდა

ეგეოსური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების კონფლიქტის უმწვავესი ეტაპი, რომლის ერთ-ერთი საეტაპო აქტი, 1921 _ 1929 წლებში საბჭოეთის სივრცეზე განვითარებულ მოვლენებში ასახული, ეგეოსური ცივილიზაციის გამარჯვებით დამთავრდა. ამ შედეგის დაფიქსირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართველი ერის წარმომადგენელმა ელემენტებმა _ ქართველმა ბოლშევიკებმა, სტალინის წინამძღოლობით. გერმანიული იმპერიის, მესამე რაიხის აღზევება დასავლეთევროპული ცივილიზაციის საპასუხო რეაქციისთვის მობილიზაციის მოვლენას წარმოადგენდა, რასაც ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ ამ მოვლენაში სათანადო წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის თავდაცვითი რეაქციის გამომხატველმა, გერმანიის საბჭოეთის წინააღმდეგ წამქეზებელმა პოზიციამ, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. ამ რეაქციის შედეგად ეგეოსურ ცივილიზაციაზე დასავლეთევროპული ცივილიზაციის გავლენის ამსახველია საბჭოეთში 1930-იანი წლებში განვითარებული მოვლენებიც და მეორე მსოფლიო ომის მეორე, საბჭოეთში გერმანიის ინტერვენციით დაწყებული ეტაპიც (1941 _ 1945 წწ). ხოლო, ამ ომის პირველი ეტაპი (1939 _ 1940 წწ) დასავლეთ ევროპულ ცივილიზაციაზე ეგეოსური ცივილიზაციის გავლენის მაჩვენებელია. გერმანიის დამარცხებით ეგეოსური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების კონფლიქტის გადამწყვეტი აქტიც ეგეოსური ცივილიზაციის გამარჯვებით დამთავრდა, რაც ეგეოსური ცივილიზაციის გლობალიზაციის აღმნიშვნელია. ამიერიდან ფაზათა ცვლის პროცესი მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს სინქრონულად, ერთიდაგივე სქემის _ "ეგეოსური ფარული დასაწყისის ეფექტის სქემის" მიხედვით.

19. მართვის მანის ეფექტი გულისხმობს იმის სასარგებლოდ მოქმედებას ვისი მდგომარეობის ცვლის ინიცირებაც ხდება, როგორც ეგვიპტის, ირანის, ოსმალეთის, რუსეთის და დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ ელიტაში მოხვედრილი ქართველების და კორსიკელი ნაპოლეონის მაგალითზე სჩანს. ხოლო ელიტაში ადგილის პირადი ინტერესების შესაბამისად გამოყენება არ არის მართვის მანის კომპლექსის გამოხატულება.

20. 2008 წლის მიწურულს დაწყებული გლობალური ეკონომიკური კრიზისი არის, გლობალურ ცივილიზაციაში ახალი ფაზის დადგომასთან დაკავშირებული მდგომარეობის ცვლილების, წინა ფაზაში აქტუალურ ფაქტორთა ეფექტურობის გაუქმების გამოხატულება. ამგვარი მოვლენის დესტრუქციული შედეგების აღკვეთა (მინიმიზაცია), ცივილიზაციურ ფაზათა ცვლის საზრისისა და კანონზომიერებების ცოდნას და ამ ცოდნის მიხედვით მოქმედებას მოითხოვს. იგივე ცოდნა, ამგვარი დესტრუქციული ეფექტის უკიდურესად გაღრმავებისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას, მაგრამ ამ ცოდნის ქონა თვითონვე სპობს დესტრუქციული მოქმედების ყოველგვარ მოტივს.

21. ფსიქიკურ სტიქიათა თეორიაში, ცივილიზაცია არის ლოგიკურად მკაცრად დეფინირებული კატეგორია. ის აღნიშნავს თვითკმარ სოციალურ წარმონაქმნს, რომელიც ჩაკეტილია ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტის ფაზების ცვლის პროცესის მიმართ ანუ, რომელსაც

შეუძლია ფაზათა ცვლა თავის თავში განიცადოს. ამრიგად ცივილიზაცია აერთიანებს ოთხივე ტიპის ერებს, თუმცა შეიძლება ისინი სინქრონულად არ იყონ წარმოდგენილი მასში. სათანადო დროს ცივილიზაციის შიგნითვე ხდება რომელიმე ეთნოკონგლომერატის ბაზაზე სათანადო თვისებრივი ტიპის ერის ჩამოყალიბება. შესაძლებელია, ასევე, გარედან, სხვა ცივილიზაციებიდან ინტეგრირებაც ცალკეული ერებისა.

22. ფსიქიკურ სტიქიათა დაასახელებაში კომპოზიტად გამოყენებული ტერმინი – “მანია” მკითხველისა თუ მსმენელის პირველრეაქციაში ფსიქიკურ სტიქიებთან ნეგატიური მნიშვნელობის ასპექტის ასოცირების განმაპირობებელია. ეს მომენტი აუცილებლად დასაძლევია. ფსიქიკურ სტიქიათა დასახელებაში ტერმინ “მანიას” გამოყენება ემსახურება, მხოლოდ, ამ კომპლექსების დომინანტურობის ხაზგასმას. ფსიქიკური სტიქიები წმინდად კონსტრუქციული მნიშვნელობის ფაქტორებია. ფიქსირებულობის პირობით (ანუ პირველი გვარის) მათი ეფექტების გარეშე ადამიანის ისტორია იქნებოდა არა ცივილიზაციის ისტორია, არამედ მხოლოდ ბიოფილოგენეზი.

23. ახალი ცნებების აღსანიშნავად აქამდე ცნობილი ტერმინების (მაგ.: პიროვნება, ერი, ცივილიზაცია, ტოტემიზმი, მითოსი, რელიგია, მეცნიერება, ფილოსოფია და ა.შ.) გამოყენება გამართლებულია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ ტერმინებით აღნიშნული, აქამდე არაზუსტად განსაზღვრული შინაარსები ნაწილობრივ ემთხვევიან ზუსტად განმარტებულ, ახალაღსანიშნ შინაარსებს.

ამ წიგნში გამოყენებულ ცნებებს ენციკლოპედიებში ვერ შეხვდებით. აქ წარმოდგენილია ფართო საზოგადოებისთვის ჯერჯერობით ნაკლებად ცნობილი სამეცნიერო სიახლეები. ტერმინები ცალსახად განსაზღვრული მნიშვნელობით გამოიყენება. ცნებათა სისტემა ოპტიმალურია აქ წარმოდგენილი ახალი ცოდნის გადმოსაცემად. მსმენელთა თუ მკითხველთა პირველი რეაქცია, როგორც წესი, ტექსტის თავისთვის ჩვეულ ენაზე გადათარგმნის მცდელობის გამოხატუვლია, მაგრამ, გარკვეული დროის შემდეგ, ყველა შემოთავაზებულ ცნებათა სისტემას უბრუნდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკას.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებული ცნებათა სისტემა და ლოგიკური აპარატი სინამდვილეს მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო პოზიციიდან აღწერს. არსებობს კიდევ სამი სხვა ფსიქიკური სტიქიის სათანადო პოზიცია. ასე რომ, საზოგადოდ, ერთ აზრზე დგომა ფუნდამენტური გადაუჭრელი პრობლემაა.

24. დღეს, როდესაც თანამედროვე გამოკვლევებით შიმპანზეებს იარაღის დამზადების და აქტიურად გამოყენების უნარიც კი დაუდგინდათ, განსაკუთრებით მწვავედ დაგას ადამიანის და ცხოველის ფსიქიკური განსხვავების განსაზღვრის პრობლემა.

ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის მიხედვით ადამიანს განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ერთ მინიშვნელობაზე დაფიქსირებულობა ანუ ერთ-ერთი ფსიქიკური სტიქიის სახით წარმოდგენილობა ახასიათებს, ცხოველური ინდივიდი კი,

მოქმედების პროცესში, განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ოთხივე შესაძლო მნიშვნელობების უწყვეტი ურთიერთმონაცვლეობით ხასიათდება. ეს ცხოველის ქცევას ადაპტაციურ ხასიათს და ოპტიმალურობას ანიჭებს, რაც ბუნებრივი ანუ ბიოცენოზური ქცევის განმარტებად შეიძლება მივიღოთ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ "ფსიქიკური სტიქიების თეორია" ადამიანის ფენომენში არაბიოლოგიური ასპექტის (_ ერთ-ერთი ფსიქიკური სტიქიის ფიქსაციის) არსებობას ავლენს. ეს ასპექტი იქვემდებარებს ბიოლოგიურ საწყისს, ახდენს ბიოლოგიური მექანიზმების არაბიოლოგიური მოტივაციით ექსპლუატირებას და გვაძლევს "ფსიქიკური ინდივიდური ფენომენის ოთხ ახალ მოდულს", რომელნიც ერთიანდებიან "პიროვნების" ცნებაში.

ფსიქიკურ სტიქიათა ფიქსირებულობა საზოგადოების სტრუქტურული ზრდის და ისტორიის მიმდინარეობის ამხსნელი ერთადერთი ფაქტორია. ეს არის ამსაკითხის მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო პოზიციიდან ახსნა. არსებობს კიდევ სამი სხვა ფსიქიკური სტიქიის: ფორმის მანიის, ძლევის მანიის და ცხრომის მანიის სათანადო პოზიციები, რომელთა გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ, შესაბამისად, _ გეშტალტ ფსიქოლოგია, მარქსისტული ფსიქოლოგია, ბიჰევიორიზმი. ფსიქონალიზი ფორმის მანიის და ცხრომის მანიის ეფექტების სათანადო ასპექტების მაერთიანებელია, რაც დასავლეთევროპული ცივილიზაციის მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის (1848 _ 1900 წწ.) პროდუქტად მისი ჩამოყალიბების ფაქტით აიხსნება:

_ ფსიქონალიზის ფუძემდებლის, ზ. ფროიდის პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი, "სიზმრის ანალიზი" 1900 წელს გამოიცა, რაც ნიშნავს მისი შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესის, სწორედ, აღნიშნული ფაზის მოვლენად იდენტიფიცირებადობას.

ფროიდის მემკვიდრეობა კარგი მაგალითია ინდივიდის შემოქმედების შედეგებზე ცივილიზაციური ფაზების ცვლის პროცესის გავლენის საილუსტრაციოდ:

_ 1901 _ 1920 წლებში გამოცემული მისი შრომები ფსიქიკური დარღვევების ცნობიერის და არაცნობიერის ურთიერთბრძოლის ანუ ძლევის მანიის ეფექტის გამოხატულებად წარმოდგენის მცდელობა, სწორედ დროის აღნიშნულ ინტერვალზე განფენილ, დასავლეთევროპული ცივილიზაციის მეორე ძლევის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის შესაბამისია; ამას მოჰყვა უკვე ამ ცივილიზაციის მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის (1921 _ 1940 წწ) შესაბამისად ინდივიდის ფსიქიკის დანაწევრებულ-სტრუქტურირებულ მთელად, ხოლო ფსიქიკური პროცესების ამ დანაწევრებული მთელის ნაწილების სისტემური ურთიერთქმედების მოვლენად წარმოდგენის ასპექტის გაღრმავება სამი ელემენტის შემოტანით _ "იგი" (არაცნობიერი); "ეგო" ("მე"), "სუპერეგო" (კულტურის იდეალი), რომელთა ურთიერთქმედების პროცესში ხდება მთელის შემდგომი სტრუქტურიზაცია ახალი კომპლექსების (მათ შორის სინდისის), როგორც ახალი ურთიერთქმედი ნაწევრების, ჩამოყალიბების გზით; შეიძლება ითქვას, რომ მესამე საწყისეული კომპონენტის შემოტანა წინა ფაზის გავლენით განპირობებულ, ძლევის მანიის კასტური ეფექტის ნიველირებას ემსახურება (_ სამი კომპონენტის ურთიერთქმედების ბრძოლად წარმოდგენა გაუმართლებელია), რადგან მთელის შემდგომი სტრუქტურიზაციის პროცესის საწყის ნაწევრთა ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილ კომპლექსთა გენერაციის მექანიზმით წარმოდგენა ინდივიდის ფსიქიკის საწყისეულ სტრუქტურულ ნაწევრთა რიცხვის ორობის შემთხვევაშიც შესაძლებელია.

ფსიქოანალიზის ცხრომის მანიის ეფექტის სთანადოდ ინტერპრეტირებადობის საფუძველია ინდივიდური ფსიქიკის ელემენტების არა ლოკალიზებულ ნაწევრებად, არამედ მთელ ფსიქიკაზე გავრცელებულ ფუნქციებად ინტერპრეტირებადობა.

თავად ფროიდის მემკვიდრეობაში შეიძლება შემდეგი ხარვეზის მითითება:

– ფსიქიკური აქტივობის დანაწევრებულ-სტრუქტურირებული მთელის ნაწილებს შორის ურთიერთქმედების პროცესად წარმოდგენის შემთხვევაშიც, რაც ფორმის მანიის სათანადო პოზიციის შესაბამისია, ურთიერთქმედების აღმძრავი ენერგია რატომ უნდა იყოს მხოლოდ სექსუალური ანუ ბიოლოგიური მოდუსის? – ლოგიკური თანმიმდევრულობა მოითხოვს, რომ ენერგიის წყაროც სინამდვილის ფორმის მანიის ფსიქიკური სტიქიის პოზიციის სათანადოდ იქნეს მითითებული. მაგ.: პიროვნების ყოფიერების ჯერარსული მოდუსისკენ ბუნებითი მისწრაფება, ანუ აწმყოში საკუთარი არასრულყოფილების განცდა – “არასრულფასოვნების კომპლექსი”.

25. ფუნდამენტური მნიშვნელობის მიღწევაა იმის დამტკიცება, რომ პიროვნებას, როგორც ინდივიდური ფსიქიკური ფენომენს, განასხვავებს არაპიროვნული ინდივიდებისგან ანუ ცხოველებისგან სწორედ "განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებელი მომენტის" ერთ-ერთი ფსიქიკური სტიქიის მნიშვნელობით დაფიქსირებულობა – განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებელი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნა. ცვალებას ექვემდებარება განწყობის შინაარსის სხვა მომენტები. მაგრამ ეს არ ახდენს გავლენას ფსიქიკური სტიქიის ფიქსირებულობაზე. ცხოველთა შემტხვევაში ფსიქიკური სტიქიები უწყვეტად მონაცვლეობენ ციკლური რიგის მიხედვით.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებელი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნა არის სულის შთაბერვის შესახებ რელიგიური კონცეფციის მეცნიერული ექვივალენტი: – ეს ფსიქიკური გარდაქმნა არის ნახტომისებური, რევოლუციური (ფიქსაცია ან არის ან არა – საშუალებო მდგომარეობა არ არსებობს), ამდენად, პიროვნების ფენომენის დაარსებაში ევოლუციური შეიძლება იყოს მხოლოდ ამგვარი ფსიქიკური გარდაქმნისადმი დაქვემდებარებადობის განმსაზღვრელ მახასიათებელთა (ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანიზაციის ხარისხის) ზრდა. მაგრამ ამგვარი ფსიქიკური გარდაქმნისადმი დაქვემდებარებისთვის მზაობა არ ნიშნავს ამგვარი ფსიქიკური გარდაქმნის მოხდენის აუცილებლობას. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ნეანდერტალელი ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ, რაკი გვაქვს ოთხი ფსიქიკური სტიქია აღნიშნული ფსიქიკური გარდაქმნა გვაძლევს პიროვნების ოთხ თვისებრივად განსხვავებულ მოდუსს, ანუ პიროვნებებს შორის ისეთი განსხვავებების არსებობის შესაძლებლობას როგორც შეუძლებელია არსებობდეს ცხოველთა სამყაროს ინდივიდებს შორის.

საზოგადოებამ შეიძლება შეიცვალოს მის წევრებში ფიქსირებული ფსიქიკურ სტიქიის რომელიმე, მხოლოდ, თაობათა ცვლის პროცესში, ცივილიზაციური ფაზების ცვლის შესაბამისად. მაგრამ საამისოდ აუცილებელია ფაზათა ცვლის პროცესის დაბალი ტემპი. ცივილიზაციურ ფაზატა ხანგრძლივობა გილგამეში ეპოსის შექმნის ხანაში შეადგენდა დაახლოებით 1000 წელს, ქრისტეს ეპოქაში გახდა, დაახლოებით, 700 წელი, მეფე თამარის

ეპოქაში კი – 300. ძველელინურმა ეთნოსმა სამჯერ შეიცვალა ფსიქოტიპი: მიკენურ (აქეურ) ხანაში ის წარმოადგენდა ძლევის მანიის კლასის ერს, ანტიკურ ხანაში – ცხრომის მანიის კლასის ერს; ბიზანტიის ფენომენის სახით კი – ფორმის მანიის კლასი ერს. თვისებრივი ტიპი გამოიცვალეს გერმანული, სემიტური და თურქული სამყაროების წასრმოდგენელმა ეთნოსებმაც. ასეთი რამ ნიშნავს მემკვიდრეობითი კავშირის გაწყვეტას, ახალი ერის წარმოშობას.

დღეს გლობალურ ცივილიზაციაში ფაზის ხანგრძლივობა მხოლოდ ოცი წელია, რაც გამორიცხავს უნებლიე თვისებრივ ტრანსფორმაციებს.

26. ყოველი ერი და, მით უმეტეს, პიროვნებათა შედარებით მცირე, რაგინდ მაღალორგანიზებული ჯგუფი, მოტივირებულია (აქტუალიზირებულია თუ დეზაქტუალიზირებულია) ცივილიზაციური თვითრეგულირების პროცესის გამომხატველი გარეგანი (ცივილიზაციისეული) იმპულსებით. ეს ნიშნავს იმას, რომ პიროვნებათა ჯგუფს (ორგანიზაციას) არ შეუძლია ცივილიზაციური თვითრეგულირების პროცესზე მაღლა დადგეს – კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში ყველაზე მაღალეფექტური ჯგუფები ყველაზე მეტად და სრულად არიან, სწორედ, ამ პროცესის გამომხატველნი – ცივილიზაციური თვითრეგულირების პროცესი, პირველ რიგში, სწორედ, მათი მეშვეობით ეწევა თვითრეგულიზაციას.

ცალკეული პირების თუ მათი ორგანიზებული ჯგუფების თვითრეგულიზაციის ასპარეზი ანუ მათი ურთერთკონკურენციის და შეჯიბრის საზრისის მიმნიჭებელი სხვა პოტენციაა. კერძოდ, ის, რომ, თუმცა ფაზათა ცვლის პროცესი თავისთავადი და შეუჩერებელია, ყოველი ცივილიზაციური ფაზის რეალიზაცია შესაძლებელია განსხვავებული კონკრეტულობით ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, – ის, რომ ცივილიზაციურ ფაზათა რეალიზაციის პროცესი ფენომენურად ვარიანტულია.

27. ცივილიზაციის არსებობა ინფორმაციული ზრდის პროცესია და აუცილებლად პროგრესის ნიშნის მატარებელი. დროებითი შეფერხებები ამ პროცესის ზოგად, განვითარებისკენ მიმართულ ხასიათს ვერ ჩრდილავს. კრიზისი არის ცივილიზაციაში ფაზის ცვლილებასთან დაკავშირებული დროებითი შეფერხება განპირობებული ცივილიზაციურ ფაზათა ცვლის შესახებ ცოდნის არ არსებობით.

28. რუსეთის იმპერიის განადგურება განაპირობა ურთულესი მექანიზმების ერთობლივმა მოქმედებამ და ერთი რომელიმე ელემენტის დამსახურებად ამის წარმოდგენა არ არის სწორი.

1901 წელს დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში დაიწყო მეორე "ძლევის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა". რუსეთის იმპერიის, როგორც ფორმის მანიის ეფექტის ფენომენის, არსებობა გახდა არააქტუალური. ხოლო ძლევის მანიის კლასის რუსი ერს მიეცა შესაძლებლობა ამ

მნიშვნელობის კომპონენტად დასავლეთ ევროპულ ცივილიზაციაში ჩართვისა, რომელიც ამ დრომდე ითვისებდა მის სივრცეს მისი ფუნქციური პოტენციის, როგორც არააქტუალურის, იგნორირებით.

რუსი ერის მიერ თვითრეალიზაციის ახალი შესაძლებლობის გამოყენების პირველი ცდა 1905 – 1907 წწ. რევოლუციაში ასახული, წარუმატებლად დამთავრდა და დასავლეთ ევროპულ ცივილიზაციაში თანადროულ ფაზაში აქტუალური ელემენტის ამგვარად შეფერხებამ ძლევის მანიის ეფექტის არაპირდაპირი მექანიზმით რეალიზაცია გამოიწვია, რაც ამ ცივილიზაციის ერების სიმრავლის სამხედრო ბანაკებად დაყოფისა და 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის გაჩაღების მოვლენაში აისახა. ევროპული იმპერიების, როგორც წინა ფაზის რელიქტების, ამ კონფლიქტით გამოფიტვამ გზა გაუხსნა რუსი ერის პირდაპირ თვითრეალიზაციას, რაც 1917 წელს დიდი ოქტომბრის რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მოვლენაში აისახა. ამავდროულად, რუსი ერის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე გადასვლის დაფიქსირების გამოხატულებად, მოხდა რუსეთში რელიგიის ინსტიტუტების ფუნქციის დროებით, მაგრამ სრულად შეჩერება. 1918 – 1920 წლების სამოქალაქო ომში, რომელშიც მონაწილეობდნენ დასავლეთევროპული იმპერიებიც, რუსმა ერმა შესძლო ძლევის მანიის კლასის ერის სტატუსის დაცვა ამ ცივილიზაციაში. მაგრამ 1921 წელს ამ ფაზის დასრულების შედეგად რუსი ერის აქტუალურობა მოიხსნა, რასაც ადექვატურად პასუხობს ლენინის ინიციატივა – "ახალი ეკონომიკური პოლიტიკა", როგორც ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენის აღორძინების გამოხატულება. მასთან ერთდროულად მიმდინარე, საბჭოეთის პოლიტიკური ცენტრალიზაციის პროცესი, როგორც ფორმის მანიის ეფექტის გამოხატულება, საბჭოეთში არსებულ მდგომარეობას დასავლეთევროპილი ცივილიზაციის თანადროულ – მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის (1921 – 1940 წწ) შესაბამისს ხდიდა. ერთდროულად საბჭოეთის სივრცეზე მიმდინარეობდა ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაცია. სათანადო ტენდენციების მთავარ მტარებლებად ქართველი ბოლშევიკები მოგვევლინენ. მათი გავლენით, ბოლშევიკური პარტიის შიგნით ბრძოლამ ორი ცივილიზაციის კონფლიქტის გამომხატველი ასპექტი შეიძინა. ეს კონფლიქტი განსაკუთრებით გამძაფრდა 1927 – 1929 წლებში ქართველ ბოლშევიკთა ლიდერის, ი. სტალინის ინიციატივით კოლექტივიზაციის პროგრამის მომზადების და რეალიზაციის პროცესის ინიცირების შედეგად. რასაც შედეგად საბჭოეთის სივრცეზე დასავლეთევროპული ცივილიზაციის არსებობის აღკვეთა მოჰყვა. საქმეისა, რომ ეს წლები დაემთხვა ეგეოსურ ცივილიზაციაში მესამე "ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის" დასაწყისს, ხოლო ლენინისეული ნეპ-ის ("ახალი ეკონომიკური პოლიტიკის") შეჩერება, პოლიტიკური ცენტრალიზაციის ტენდენციის შენარჩუნებისა და გაღრმავების პირობებში, დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის ნიმუშით წარმოდგენილ (ფორმის მანიის და ცხრომის მანიის) ორმაგი ეფექტის ფენომენის ეგეოსური ცივილიზაციის თანადროულ, მესამე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის შესაბამის, ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფენომენზე დაყვანის აქტად იქცა. საამისოდ სტალინმა კარგად გამოიყენა თვით დასავლეთევროპული ცივილიზაციის მიმდინარე ფაზით დაშვებული, პოლიტიკური სისტემის ცენტრალიზაციის შესაძლებლობა და პოლიტიკური ძალაუფლების საკუთარ ხელში თავმოყრით მიაღწია აღნიშნულ ეფექტს.

ეგეოსური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების კონფლიქტის გადამწყვეტი ეტაპი სტალინის ზეობის წლებს დაემთხვა და ამ კონფლიქტის საბოლოო შედეგის

დაფიქსირებაში მისი წვლილის გათვალისწინება გვაძლევს საფუძველს, სწორედ, ეს პიროვნება წარმოვიდგინოთ ეგეოსური ცივილიზაციის გლობალიზაციის აქტის პერსონიფიკაციად.

29. სტალინის ფენომენის უნდა შეფასდეს არა მხოლოდ მისი მმართველობის ხანაში განვითარებული მოვლენების სიმძიმის მიხედვით, არამედ იმის გათვალისწინებითაც თუ რა იყო მისი ალტერნატივა ანუ თუ რა მოხდებოდა, რომ მას არ გამოეჩინა ის ინიციატივები, რომლებმაც მსოფლიოს ისტორიის სვლა განსაზღვრეს მთელი 30 წლით. ეს პერიოდი, შუასაუკუნეების ისტორიას რომ შევადაროთ, ხანგრძლივობით დაახლოებით 1000 წლიანი მონაკვეთის ექვივალენტურია. ამდენად, ცხადია, რომ ეს ფენომენი გლობალური ცივილიზაციის სისტემური ქცევის უმნიშვნელოვანესი ასპექტის პერსონიფიკაციაა.

სტალინს ცოდვად უთვლიან ბოლშევიკური პარტიის წევრობას. მაგრამ ბოლშევიკურმა პარტიამ შესძლო უმოკლეს დროში აღმოეფხვრა უკიდურესი და ამაზრზენი სოციალური უთანასწორობა, რომელიც რუსეთის იმპერიაში მოქცეულ ქართველ ერსაც მეტად უმძიმებდა არსებობას. სოციალური კლასებს შორის ურთიერთობის რუსული მოდუსის გათავისებით ქართული არისტოკრატიის დიდი ნაწილი თვითონვე მოევიწია მტრად ეროვნულ თვითშეგნებას. საბჭოეთის მაგალითმა დიდად შეუწყო ხელი კოლონიალური ჩაგვრის მოსპობას მთელს მსოფლიოში, სამწუხაროდ დღეს საპირისპირო ტენდენციის აღორძინებას ვხედავთ: ადამიანით ვაჭრობა უმთავრეს პრობლემად არის ქცეული. ამრიგად ბოლშევიზმს, როგორც თავისი დროის პრობლემის საპასუხო ფენომენს აბსოლუტური ცოდვის იარაღი უნდა მოვხსნათ.

მეორე ცოდვა, რომელიც სტალინს მიეწერება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ინიციატორად მის წარმოდგენას ემყარება. სინამდვილეში საქართველო საამისოდ გასწირა ბრიტანეთის იმპერიამ:

– 1920 წელს ჩიჩერინის ლონდონში ვიზიტისას მოხდა შეთანხმება საქართველოს საკითხზე – ბაქოს ნავთობსარეწებში ჩადებული ინვესტიციების აღიარების და ნავთობის მოპოვების გაგრძელების სანაცვლოდ რუსეთს დაუთმეს კავკასია; ამას დაერთო რუსეთ-თურქეთის შეთანხმება კავკასიის საკითხზე; ბრიტანეთის იმპერიამ თავისი პოზიცია დააფიქსირა ერთა ლიგიაში საქართველოს მიღების ჩაშლით (მისი ზემოქმედებით შეგროვდა საკმარისი მოწინააღმდეგეთა ხმა).

ამრიგად, საქართველოს ანექსიაში რუსეთზე არანაკლებ დამნაშავეა თურქეთი და დიდი ბრიტანეთი. ამის შემდეგ ეს მხოლოდ დროის შერჩევის საკითხი იყო. სტალინს, როგორც პოლიტიკოსს წევრს არ შეიძლება არ ჰქონოდა ცნობა ამის შესახებ. ამდენად, მისეული არჩევანი ისედაც გარდაუვალი მოვლენის რეალიზაციაში ინიციატივის დაუფლების და ეროვნული ინტერესების ზიანის მაქსიმალურად შემცირების მცდელობად უნდა მოვიაზროთ. მართლაც, მის გარეშე საქართველო ანექსია მაინც მოხდებოდა და, როგორც დღეს მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებენ, საქართველოს ტერიტორია დღეს ჩვენი ხელისუფლების ფაქტიურ კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ბევრად ნაკლები აღმოჩნდებოდა. თანამედროვე ხელისუფლების წყალობით ეს მონაპოვარი თვალსა და ხელს შუა ქრება. ცხადია, რომ მეორე ბრალდებაც უსასფუძვლოა.

ამასთანავე რომ არა საბჭოეთში ინიციატივის სტალინის მიერ დაუფლება, რაშიც საქართველოს ანექსიის ინიციატორად მისმა წარმოდგენამ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი, გარდაუვალი იყო ტროცკის აღზევება. ეს ნიშნავს რუსეთის მსოფლიო რევოლუციის სამხედრო ბანაკად გადაქცევას: ტროცი უარყოფდა რევოლუციის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობას და რევოლუციის მთელს მსოფლიოში ძალით გავრცელების აუცილებლობას აღიარებდა. საამისო მცდელობა სავსებით შეესაბამებოდა ეგეოსურ ცივილიზაციაში მიმდინარე IV ორმაგი ეფექტის ფაზას, რომელი 1927 წელს დასრულდა, და ეგეოსური ცივილიზაციის საბჭოეთის გარე სივრცეზე გაფართოებით, მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი გზით ანუ მართვის მანიის კლასის ქართველი ერის ფუნქციის ნიველირებით რეალიზაციას გულისხმობდა. ამ შემთხვევაშიც საქართველო ინტერვენციის ერთ-ერთი პირველი ობიექტი იქნებოდა, მსხვერპლი კი – არანაკლები.

სტალინის ერთ-ერთი დამსახურებაა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება რუსეთის ეკლესიის მიერ.

30. 1924 წელს საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების წინ წითელი არმიის ნაწილებს ეჭირათ ყველა საკვანძო პუნქტი, შეთქმულებს არ ჰქონდათ საკმარისი იარაღი, მოკლებულნი იყვნენ გარედან მხარდაჭერას. ამ პირობებში აჯანყებას მხოლოდ უარყოფითი შედეგი შეიძლებოდა მოეტანა: გამოძევა და ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგეები, საბჭოთა საოკუპაციო ძალებს მიეცათ საბაზი სხვა არასასურველ პირთა ლიკვიდაციისთვისაც.

რა შეიძლება ეწოდოს ასეთ პირობებში აჯანყების წამოწყებას თუ არა პროვოკაცია – მხოლოდ თავგანწირვა არ არის საკმარისი ქვეყნისთვის სარგებლის მოსატანად.

აღსანიშნავია, რომ აჯანყების სახელმძღვანელოდ ემიგრაციიდან დაბრუნებული გამოჩენილი ქართველი გენერალი, ვალიკო ჯუღელი ადგილზე ვითარების გაცნობის შემდეგ მივიდა აჯანყების შეჩერების აუცილებლობის შესახებ დასკვნამდე. მაგრამ სხვა ლიდერები ვერ დაითანხმა და კატასტროფის აცილება სცადა კომუნისტური რეჟიმის წარმომადგენელ, ლ. ბერიასთან კონტაქტის დამყარებით, რაც თავის ამაოდ გაწირვა იყო, რადგან არ იყო ურთიერთნდობა აჯანყების მეთაურებსა და ქართველ ბოლშევიკებს შორის, აჯანყებულები მოქმედებდნენ იმხნად წამყვან გეოპოლიტიკურ ძალებს შორის საქართველოს საკითხში არსებული შეთანხმებების პირობების გაუთვალისწინებლად და საფრთხეს უქმნიდნენ საბჭოეთის პოლიტიკურ ელიტაში ქართველ ბოლშევიკთა წარმომადგენლების პოზიციას, რაც იმხანად ერთადერთი რესურსი იყო ქართველი ერის სტრატეგიული ინტერესების დასაცავად:

– უკანასკნელ დრომდე ქართველი ერის ცივილიზაციური ფუნქციის რეალიზაციის ძირითადი ასპექტი იყო არაინსტიტუციური, უცხო გარემოში მის ცალკეულ წევრათა ღვაწლით განპირობებული რეზონანსების ფაქტებით წარმოდგენილი, რისი ერთ-ერთი უმაღლესი გამოხატულებაც სტალინის ფენომენი, რომელსაც, თუ მის თანამედროვეებს შევადარებთ, მხოლოდ დ. უზნაძის ფენომენი თუ აღემატება ამ მნიშვნელობით.

კიდევ ერთი ქართველის, ედუარდ შევარდნაძის, ასევე, პირადი დამსახურებით, მხოლოდ დღეს დადგა ქართველი ერის ცივილიზაციური ფუნქციის ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობა (მაგრამ არა შესაძლებლობა). ამგვარი შესაძლებლობის დამყარება გლობალურ ცივილიზაციაში ფაზათა ხანგრძლივობის

კრიტიკულ მინიმუმზე (_ ადამიანის შემოქმედებითი პროდუქტიულობის საშუალო ხანგრძლივობაზე) ნაკლებ სიდიდემდე შემცირების შედეგია. ე. შევარდნაძის ფენომენის ამგვარი შეფასების საფუძველია მის სახელთან დაკავშირებული, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ის კურსი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიტანა და მისი ფუნქციის იდენტიფიკაციის აუცილებლობის წინაშე დაგვყენა. როგორც წიგნის პირველ ნაწილში აღინიშნა, 1980-იანი წლების საბჭოეთის გავლენის არეზე და, ამდენად, შედეგად, მთელს მსოფლიოში სხვა ალტერნატიული გზით განვითარების შესაძლებლობაც არსებობდა.

ამ აქტუალური პრობლემის გადაჭრის იდეურ საფუძველს უზრუნველყოფს დ. უზნაძის მიღწევებზე დამყარებული "ფსიქიკურ სტიქიათა თეორია" – ქართლი ფსიქოლოგიის ახალი მიღწევა

31. გლობალური ცივილიზაციის სტრუქტურული ოპტიმიზაციის პროგრამის რეალიზაციის ინიცირებისთვის საკმარისია მეცნიერთა წრეების და პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერის მოპოვება.

აღნიშნული პროგრამის რეალიზაციის, მხოლოდ დაწყებაც კი, მაშინვე მოიტანს საგრძნობ შედეგებს საზოგადოების ყველა ფენისთვის, რაც შემდგომ საზოგადოების მხრიდან მზარდ მხარდაჭერას უზრუნველყოფს (_ ელექტრომაგნიტიზმის თეორიის არცოდნა ხელს არ უშლის მისი ტექნოლოგიური შედეგების, ელექტრონული ტექნიკის მასობრივ სარგებლობას).

32. მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი ხელოვნური არ არის და არც ჩინეთის დესტრუქციული გავლენის გამოხატულებად მისი წარმოდგენაა საფუძვლიანი. რაკი მსოფლიო საზოგადოება ერთ ცივილიზაციაში მოექცა, ფაზების ცვლის პროცესი მიმდინარეობს სინქრონულად, მთელს პლანეტაზე. ჩინეთის დაწინაურება, უფრო სწორად, მისი, მგავსად გერმანიისა, მაღალი ფარდობითი მდგრადობა მიმდინარე კრიზისის მიმართ, არის არა მიზეზი მსოფლიო კრიზისისა, არამედ, შედეგი გლობალურ ცივილიზაციაში ფორმის მანის ეფექტის ფაზის დადგომისა _ ფორმის მანის კლასის ერების, სათანადო ღირებულებათა სისტემის და პოტენციების აქტუალიზაციისა. ჩინელი ერის, მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის არაოპტიმიზირებულობის საფუძველზე, ცივილიზაციური ფაზის ცვლასთან დაკავშირებული შეფერხების (_ 2008 წლის მიწურულს დაწყებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის) დაძლევის შემდეგ დიდ ნახტომს გააკეთებს, თავის განვითარებაში და ამ თვისებრივი ტიპის ერებს მოუწევთ ფიზიკური მასშტაბით მასთან დაახლოება, ფუნქციური ნიველირების ასაცილებლად. ამ გარემოების გავლენით, დამატებით იმპულსს შეიძენს 1990 წლიდან ევროპაში ამერიკის ჰეგემონიის წინააღმდეგ მიმართული ევროინტეგრაციის პროცესი, ერთა ფორმის მანის კლასის აქამდელი ლიდერის, გერმანიის ერის ბირთვით ფორმის მანის ეფექტის ევროპული ფენომენის ჩამოყალიბების ტენდენციის გამოხატულებად. ამავე ფაზის განმავლობაში (2009 _ 2028 წწ) გამძაფრდება არაბული სახელმწიფოების ფორმის მანის კლასის არაბ ერად რეკონსოლიდაციისკენ მიდრეკილება. მოსალოდნელია, ასევე, ირანულ სამყაროში

(მაჰმადიან ინდოევროპელთა) და თურქულ სამყაროში კონსოლიდაციის პროცესების გაღვივებაც.

თუ ამერიკა და ევროპის ქვეყნები ხელს შეუწყობენ არაბული სამყაროს რეკონსოლიდაციას, მაშინ ამ პროცესში ინიციატივას დაეუფლება არაბი ერის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე გადასვლის ტენდენციის მატარებელი ფენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ არაბთა რეკონსოლიდაციური მისწრაფების დათრგუნვა ვერ მოხერხდება, ამ პროცესში ინიციატივა არაბი ერის ფენომენური განვითარების მესამე საფეხურის წარმომდგენი ელემენტის, რელიგიის ინსტიტუტის ხელში აღმოჩნდება.

33. მიმდინარე ფაზის თვისებრიობის გათვალისწინებით მსოფლიოში თანდათანობით გამძაფრდება უცხო მხარე ნეგატიური დამოკიდებულება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელ გერმანიში უცხო ელემენტების მიმართ შედარებით ტოლერანტული დამოკიდებულება აიხსნება იმით, რომ 1948 წლის შემდეგ, გლობალურ ცივილიზაციაში, მხოლოდ 2009 წელს დადგა ფორმის მანიის ფსიქიკური სტიქიის აქტუალურობის ეტაპი (ფორმის მანიის ეფექტის ფაზა).

ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფორმის მანიის კლასის ერთა არსებითი მახასიათებელი – უცხო შეუწყნარებლობა, მისი კონსტრუქციული მნიშვნელობით, გულისხმობს უცხო არა ბიოლოგიური არამედ ფსიქიკური ასპექტით გარჩევას, რაც საკუთარი კულტურის არეალში უცხო კულტურის ინსტიტუტების არდაშვების გამამართლებელია და არა ბიოლოგიური გენოციდისა.

1933 – 1945 წლებში გერმანული ფაშიზმის უსასტიკესი ეთნოპოლიტიკა განაპირობა დასავლეთევროპული და ეგეოსური ცივილიზაციების კონფლიქტში შექმნილ განსაკუთრებულ სიტუაციაში, ებრაელი ერისგან ემისირებულ ცხრომის მანიის და ძლევის მანიის ეფექტების რეალიზატორ ელემენტთა (იხ. ზემოთ) ფუნქციის გაუქმებამ, რამაც გერმანიის მაშინდელი ლიდერის გავლენით, ამ კომპონენტთან ყველა ეთნიკური ებრაელის ასოცირებაში, მათი მხოლოდ ბიოლოგიური ასპექტით იდენტიფიცირებაში და, შედეგად, ფუნქციადაკარგული ელემენტის ლიკვიდაციის ბიოლოგიურ გენოციდად გადაქცევაში ჰპოვა გამოხატულება.

სხვა ალტერნატივას, რომელიც კულტურით ებრაელთაგან გერმანიის დაცლის გზად, გერმანიისთვის აზიაში სამოქმედოდ პლაცდარმის შესაქმნელად, გერმანიის მხარდაჭერითა და პროტექტორატით ისრაელის სახელმწიფოს აღდგენას შეისაბამებდა, არ გამოუჩნდა მის ეფექტურობის წარმომჩენი პერსონიფიკაცია

– ისტორიული პროცესის ფენომენური ვარიანტურობის პოტენციის აქტუალიზაციის მაგალითი.

ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე ფაზაში ჩინელი ერის გავლენის დასაბალანსებლად ევროპის მასშტაბის ერთიანი ფორმის მანიის ეფექტის ფენომენის რეალიზაციის აქტუალურობა ხელს შეუწყობს ამ ფენომენის ბირთვად საგულვეტელ გერმანელ ერს, ფორმის მანიის კლასის ერის აღნიშნული, არსებითი მახასიათებელი, მხოლოდ, მისი კონსტრუქციული ცივილიზაციური ფუნქციის მნიშვნელობით გამოავლინოს.

34. "ფსიქიკურ სტიქიათა თეორია" გამოსადეგია პიროვნებათა ნებისმიერი სიდიდის გაერთიანების, ჯგუფის გამოსაკვლევად. მაგრამ, რაც უფრო მცირეა ეს ჯგუფი მით უფრო დიდი დრო დასჭირდება, ამ ჯგუფზე დაკვირვებისას, მის ქცევაში, ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების დომინანტურობის ანუ ამ ჯგუფის ცივილიზაციური სტრუქტურის გამოვლენას, განწყობის შინაარსის სხვა ასპექტების გავლენის ურთიერთგაბათილებას. და პირიქით, _ რაც უფრო დიდია დამზერადი ჯგუფი მით უფრო დროით მცირემასშტაბიან მოვლენებში ხდება საცნაური საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურა. ამდენად, საზოგადოების მისწრაფება გაფართოებისკენ, თავისი ცივილიზაციური სტრუქტურის ინტენსიფიკაციისკენ მისწრაფების მნიშვნელობის რეაქციად წარმოგვიდგება. ანით აიხსნება ამგვარი მისწრაფების დაუოკებლობა.

35. ადამიანის შემთხვევაში, ფსიქიკის არაპიროვნული (ცხოველური) მდგომარეობიდან პიროვნულ მდგომარეობაში გადასვლა ანუ ინდივიდში ერთ-ერთი ფსიქიკური სტიქიის მუდმივად დაფიქსირება (ზუსტი ტერმინოლოგიით _ "განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნა") მოხდა ისეთ ვითარებაში, როდესაც ჯერ მსხვილმასშტაბიან სოციუმებად გაერთიანება შეუძლებელი იყო, რამეთუ ადამიანის არსებობა ძირითადად მის ბიოცენოზურ ქცევაზე იყო დამყარებული, როგორც არის ეს ამაზონის ჯუნგლებში დღემდე შემორჩენილ, მცირერიცხოვან თემებად მოარსებე პოპულაციების შემთხვევაში. აქ ერთიდაიგივე ფსიქიკური სტიქიის მატარებელ ინდივიდთა (პიროვნებათა) ერთობლიობა, ანუ ერი, წარმოდგენილია "ტოტემური კასტის" (ერთ ტოტემთან, მისი ერთიდაიგივე ინტერპრეტაციის პირობით, ასოცირებულ პიროვნებათა, საზოგადოდ, არა ბიოლოგიური ნათესაობით კავშირებით განსაზღვრული, სიმრავლის) სახით. ამრიგად ასეთი თემები წარმოადგენენ არა ერების არამედ ცივილიზაციების ანუ ერთა სრული სისტემის ექვივალენტებს. მათ ჩვენ "პირველად ცივილიზაციურ წარმონაქმნებს" ვუწოდებთ. ისინი შეიძლება შევადაროთ სიცოცხლის ერთუჯრედიან ფორმებს, რომელთა მზგავსადაც, მათ ახასიათებთ განმეორებადი დაყოფა ურთიერთიდენტურ წარმონაქმნებად, ისე, რომ განაყოფებს არავითარი ფუნქციური და სისტემური ურთიერთდამოკიდებულება არ გააჩნიათ. ასეთ გაყოფათა რიგით შექმნილმა იდენტურმა წარმონაქმნებმა შეიძლება დაიჭირონ დიდი სივრცე, ან მართოდ, ან სხვა საწყისი წარმონაქმნების განაყოფებთან ერთად.

შემდგომში, ადამიანის ტექნოლოგიური მიღწევების დაგროვების კვალდაკვალ, მხვილმასშტაბიან საზოგადოებრივ ერთობათა არსებობის შესაძლებლობის წარმოშობის საფუძველზე, იწყება უკუპროცესი _ პირველადი ცივილიზაციური წარმონაქმნების კონსოლიდაცია "მეორად ცივილიზაციურ წარმონაქმნებად", ერთ-ერთი ტოტემური კასტის აღზევების, მის მიერ სხვა ტოტემურ კასტათა ფუნქციის სრული ნიველირების პრაქტიკის დამყარების გზით, რისი ინიციატორი პიროვნებაც ტოტემური კასტის ანტროპომორფული მოდუსით პერსონიფიცირების პრეცედენტის და მით პიროვნების კატეგორიის "ფენომენური განვითარების მეორე საფეხურზე" გადასვლის მომტანი ანუ მითოსური ეპოქის დამამყარებელი ხდება. აქ ერის წარმომდგენი ტოტემური კასტა არღვევს პირველადი ცივილიზაციური წარმონაქმნის გარსს და ერი იძენს გაფართოების დაუოკებელი

მისწრაფების მატარებელ, მთელი ახალ-ქმნადი საზოგადოებრივი ერთობის სახეს (ტომი), რომლის ფონზეც ერთიმეორის მიყოლებით ქრებიან პირველად ცივილიზაციურ წარმონაქმნთა საზღვრები. ისინი კარგავენ სისტემურ დამოუკიდებლობას, ისევე, როგორც მრავალუჯრედიანი ორგანიზმის შემადგენელი უჯრედები. ამრიგად, ცივილიზაციის წარმომდგენი საზოგადოებრივი ერთობა დროის კონკრეტულ მომენტში ხდება წარმომდგენი მხოლოდ ერთი ერისა, რაც ცივილიზაციურ ფაზათა ცვლის პროცესს ფიზიკურ დროში დამზერადს ხდის – ცივილიზაციის წარმომდგენი საზოგადოებრივი ერთობის სათანადო ტიპის ერებად რეტრანსფორმაციების აქტების რიგის სახით.

პირველად ცივილიზაციურ წარმონაქმნებში ერთა ოთხივე თვისებრივი ტიპის სინქრონულად თანაარსებობა (თითოეულის, საზოგადოდ, რამდენიმე განსხვავებული ფენომენური რეალიზაციით – რამდენიმე განსხვავებული ტოტემური კასტის სახით) გვაძლევს ერთა ოთხი თვისებრივი ტიპის ურთიერთობის, როგორც ცივილიზაციურ ფაზათა ცვლის პროცესის დროითი ღერძის მართობულ სიბრტყეში ლოკალიზებული, წრის სახით წარმოდგენის ილუზიას. სინამდვილეში ეს წრე საერთო პროექციაა დროითი ღერძის გასწვრივი გაშლილი ოთხი სპირალისა. მათი მათს ამ, საერთო პროექციასთან გადაკვეთის წერტილები განასახიერებენ ერთა სათანადო თვისებრივი ტიპების რეალიზაციებს ამა პირველად ცივილიზაციურ წარმონაქმნში წარმოდგენილი კონკრეტულობით. ფაზების ცვლის მიმდინარეობა, ამ შემთხვევაში გამოიხატება ტოტემათა ინტერპრეტაციების ცვლილების ტენდენციად, რომელიც მეტად ძნელად შესამჩნევია პროცესის უკიდურესად დაბალი სიჩქარის გამო.

"ფენომენური განვითარების მეორე საფეხურს" მოსდევს "ფენომენური განვითარების მესამე საფეხური" ანუ რელიგიის ეპოქა, შემდეგ კი "ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხური" ანუ მეცნიერების ეპოქა, რომელიც ჯერჯერობით პიროვნების ფენომენის განვითარების უკანასკნელი საფეხურია დედამიწაზე (შევნიშნავთ, რომ წინა საფეხურის ფენომენები ინარჩუნებენ აქტუალურობას, ახალი თაობების აღზრდის პროცესის აუცილებელი საფეხურების მნიშვნელობით).

36. ეთნიკური წარმომავლობა არაფერს მეტყველებს ეროვნული ვინაობის შესახებ. მაგრამ, რადგან აქამდე უცნობი იყო ერის ზუსტი დეფინიცია და, რადგან ერი ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე კონკრეტული ეთნოკონგლომერატით ან რომელიმე ერთი წამყვანი პოზიციის მქონე ეთნოსითაა წარმოდგენილი, ხდებოდა ერის გაიგივება კონკრეტულ ეთნოკონგლომერატთან ან ეთნოსთან. ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის მიხედვით ერი არის ბიოლოგიურ ფუნქციას მოკლებული ფსიქიკური ფაქტორით განსაზღვრული ფენომენი.

ფსიქიკურ სტიქიათა თეორია გვაძლევს ერების თვისებრივ იდენტიფიკაციის საშუალებას, ამდენად, სახელის მიხედვით იდენტიფიკაციაც არაარსებითია და შესაძლებელია დიდი ყურადღება არ მივაქციოთ. მთავარია, რომ აღსანიშნი ერთეულების აღრევა არ მოხდეს.

37. როცა სინამდვილის რომელიმე ასპექტის შესახებ ვმსჯელობთ, მნიშვნელოვანია მითითება ხედვის მასშტაბისა. მაგალითად, კვანტური ფიზიკის კანონების ან შავი

ხვრელების სიახლოვეს სივრცე-დროის სტრუქტურის განსაკუთრებული მახასიათებლების გამოყენებით დედამიწაზე ოკეანის მიქცევა-მოქცევის პროცესებზე ან ვულკანების მოქმედებაზე ვერაფერს ვიტყვით. მზგავსად ამისა, ფსიქიკური სტიქიების თეორია განსაზღვრავს საზოგადოების სტრუქტურას და ისტორიის სვლის კანონზომიერებებს გარკვეულ მასშტაბში. უფრო მცირე მასშტაბის სოციალურ მოვლენებზე დაკვირვება გვაძლევს სხვა კანონზომიერებების აღმოჩენას. მაგრამ მათი წვლილი ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის 'კომპეტენციის' სფეროში უმნიშვნელოა. აქ მნიშვნელობას კარგავს ფსიქიკური ინდივიდური ფენომენის ბიოლოგიური საწყისის კონკრეტულობაც. მაგალითად გიგანტური კალმარების შემთხვევაშიც 'განწყობის' შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნა 'მოგვცემდა' ერთა იმავე ოთხ თვისებრივ ტიპს და ცივილიზაციათა იმავე თვისებრივ ტიპებს.

გასათვალისწინებელია, რომ ადამიანთა ქცევის ყოველი ასპექტი ცივილიზაციურ პროცესებზე ვერ აისახება.

38. რელიგიური ცნობიერება "ფსიქიკური ინდივიდური ფენომენის მესამე საფეხურის" ანუ პიროვნების ფენომენური განვითარების მესამე საფეხურის გამოხატულებაა, ქართული ეროვნული მემკვიდრეობა კი შეიცავს მეოთხე საფეხურის გამომხატველ მნიშვნელოვან მიღწევებს (ამის მაგალითია დიმიტრი უზნაძის მიერ დაფუძნებული ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლა). დღეს ზრდასრული ქართველის მიერ ღმერთის არსებობის საკითხის პრობლემად დასმა ნიშნავს, იმას რომ ეს პიროვნება ჩამორჩება საკუთარი ერს "ფენომენური განვითარების საფეხურის მიხედვით".

– "ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე" რელიგიის საკითხები პიროვნებისთვის შეიძლება აქტუალური იყოს მხოლოდ სათანადო (კერძოდ 12 – 17 წწ.) ასაკში. ზრდასრულობის ასაკში კი მას ყველა ამგვარი საკითხის გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს მისი ერის მემკვიდრეობაში წარმოდგენილი კონკრეტულობით, ანუ ეროვნული კონფესიის შესაბამისად.

39. პიროვნების ფენომენი, როგორც ასეთი, არის სტადიალურად განვითარებადი ასპექტი ადამიანის ფენომენისა.

ადამიანი იბადება ბიოლოგიურ იდივიდად – "ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების ნულოვანი საფეხურის" ინდივიდად და არა პიროვნებად.

ადამიანი პიროვნებად ყალიბდება აღზრდის პროცესში, "ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურთა" მოწესრიგებული რიგის გავლით, რაც ეროვნული მემკვიდრეობის დიაქრონული შრეების თანმიმდევრობით ათვისებაში გამოიხატება. არ არსებობს არავითარი სხვა გზა მოზარდის "ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების" სადღეისოდ მიღწეული საფეხურის მდგომარეობამდე მიყვანისა, მისი ზრდასრულობის ასაკისთვის. ეს არის ისტორიული მემკვიდრეობის ფუნქციის მარადიულობის განმსაზღვრელი გარემოება.

40. დედამიწის “ნოოსფეროს” (_ კაცობრიობის ისტორიის არაბიოლოგიური ასპექტის) განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ ოთხი ეტაპი:

_ პირველ ეტაპს შეესაბამება “პირველადი ცივილიზაციური წარმონაქმნების” ეპოქა, რომელსაც ცნობიერების ტოტემისტური შრე და საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის მოდუსად, კვლავ ბიოსფერული ერთეულის (_ ადამიანის ბიოცენოზური ქცევის შინაარსით და პოტენციით განსაზღვრული ოპტიმალური ზომის ჯოგის) ექვივალენტი, პირველყოფილი თემი შეესაბამება, ხოლო ერები ტოტემური კლანების სახითაა წარმოდგენილი;

_ მეორე ეტაპს _ ცნობიერების მითოსური შრე და საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის არაბიოცენოზური მოდუსი, პოტენციურად უსასრულოდ მზარდი მასშტაბის საზოგადოებრივი ერთეულების, “მეორადი ცივილიზაციური წარმონაქმნების” ჩამოყალიბება, შუმერული, ეგვიპტური, ინდური, მცირეაზიური, ჩინური, ბაბილონური, ეგეოსური, დიდი სტეპის, მაიას, ინკების, აცტეკების, დასავლეთ ევროპული და სხვა რეგიონალური ცივილიზაციების სახით დაფიქსირებული ისტორიაში;

_ მესამე ეტაპს _ ცნობიერების რელიგიური შრე და საზოგადოების თვითორგანიზაციის ინტენსივობის იმ ხარისხამდე ამაღლება, რომ ადამიანის ბუნებასთან მიმართების შინაარსის ნიველირების ეფექტი განიცდის აქტუალიზაციას;

_ მეოთხე, ჯერჯერობით უკანასკნელ, ეტაპს _ ცნობიერების შრე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ცნობიერების მეცნიერული შრე და საზოგადოების თვითორგანიზაციის დედამიწაზე შესაძლო მაქსიმალურ მასშტაბამდე (მაგრამ, ჯერჯერობით, არა მაქსიმალურ ხარისხამდე) ამაღლება, მთელი კაცობრიობის ერთ გლობალურ ცივილიზაციაში მოქცევა, რაც XX საუკუნის შუაწლებით შეიძლება დათარიღდეს.

ამრიგად კაცობრიობის ისტორიის არაბიოლოგიური ასპექტი პირველადი ცივილიზაციური წარმონაქმნების მეორად, ჯერ, რეგიონალურ ცივილიზაციებად, შემდეგ კი, გლობალურ ცივილიზაციად ფორმირების პროცესია.

ფაზების ცვლის პროცესი რეგიონალურ ცივილიზაციებში მიმდინარეობდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, თითოეულში, ოთხიდან რომელიმე ერთი შესაძლო სქემის მიხედვით და, ინფორმაციის დაგროვების ტემპის ზრდის საფუძველზე, ცივილიზაციურ ფაზათა ხანგრძლივობის დაახლოებით 2000 წლიდან (ენეოლითური რევოლუციის ეპოქაში) 20 წლამდე (XX საუკუნის დასაწყისისთვის) შემცირების ტენდენციის პირობებში.

ფაქტორების ამგვარმა სიმრავლემ და არაერთგვაროვან შეუძლებელყო თეორიული ცოდნის გარეშე ისტორიის პროცესის კანონზომიერების დადგენა და სტრატეგიული პროგნოზირებისა და საზოგადოებრივი რეგულირების ტექნოლოგიის შემუშავება.

41. ისტორიის ადრეულ ეტაპებზე, ლოკალურ ცივილიზაციებში ფაზათა ხანგრძლივობის სიდიდე და ცივილიზაციურ წარმონაქმნთა მრავლობა ერთა თვითგადარჩენის ოპტიმალურ სტრატეგიად სახავდა საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში დღემდე გაბატონებულ, “საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიას”, რომელმაც, თითქმის ნახევარი საუკუნეა, უკვე მოიტანა თავისი შესაძლო მაქსიმალური კონსტრუქციული შედეგი _ მსოფლიო საზოგადოების ერთ ცივილიზაციაში მოქცევა. დღეს, ამ გლობალურ ცივილიზაციაში ფაზათა ხანგრძლივობის 20 წლამდე შემცირებულობა

შეუძლებელს ხდის ცივილიზაციურ ფაზათა ცვლის პროცესის მსოფლიო საზოგადოების ერთიანად (ეგეოსურ ცივილიზაციაში ელინური სამყაროს მზგავსად) სათანადო თვისებრივი ტიპის ერებად თვისებრივი რეტრანსფორმაციების რიგით რეალიზაციას.

ეს ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო საზოგადოება განიცდის კრიტიკულ მომენტს:

– გაბატონებული, საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგია, რომლის მოქმედებაც სჩანს გლობალური უნიფიკაციის დასახელებული სამი დესტრუქციული მოდუსის (მათ შორის – ეკონომიკური მიდუსის გლობალიზმის) აქტუალურობაში, არ შეესაბამება მსოფლიო საზოგადოების (ნოსფეროს) განვითარების თანამედროვე ეტაპს, თუმცა პოლიტიკური კლასი მთელს მსოფლიოში დღემდე იზრდება ამ სტრატეგიაზე, მისი წარსული ოპტიმალურობის გავლენით და ახლის არ ცოდნის საფუძველზე, და კვლავ მისი გამოყენებით ცდილობს ახალი დროის პრობლემების გადაჭრას, რაც შეიცავს მსოფლიო საზოგადოების ამ სტრატეგიის ოპტიმალურობის პირობებში დაბრუნების საფრთხეს (დიდი ფანტაზია არ სჭირდება მოვლენების ამგვარად განვითარების შესაძლო სცენარების წარმოდგენას).

ფსიქიკურ სტიქიათა თეორია გვამღევს მეცნიერულ დაფუძნებას ახალი დროის მოთხოვნების საპასუხო სტრატეგიისა – “საარსებო რესურსების ოპტიმალური განაწილების სტრატეგიისა”, რომელიც გლობალური პოლიტიკური სტაბილიზაციის, მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის ოპტიმიზაციის, ინფორმაციული ზრდის ტემპის შემდგომი დაჩქარების (გლობალურ ცივილიზაციაში ფაზების ხანგრძლივობის შემდგომი შემცირების) და კაცობრიობის მდგრადი განვითარების გზაზე დადგომის უზრუნველყოფელია და რომელიც წარმოადგენს გლობალიზმის იმპერატიულ პარადიგმას.

42. ეგეოსური ცივილიზაცია ფაზების ცვლას განიცდის "ფარული დასაწყისის ეფექტის სქემის" მიხედვით. მისი პირველი ორმაგი ეფექტის ფაზა მართვის მანიის და ძლევის მანიის ეფექტის ფენომენების შეწყვილებით იქნა რეალიზებული ეგეოსის ზღვის რეგიონში. პელაზგური სამყაროს სახით, მართვის მანიის ეფექტის ფენომენი აერთიანებდა კოლხურ სამყაროსაც, ხოლო ძლევის მანიის ეფექტის ფენომენის როლში მოგვევლინა აქეური (პროტომველინური) სამყარო. მათი სისტემური შეკავშირება, როგორც სჩანს, ეგვიპტური ცივილიზაციის გავლენის წინააღმდეგ კონსოლოდაციის მოვლენას წარმოადგენდა (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოვლენა შესაძლებელია ყოველგვარი გარეგანი გავლენის გარეშეც განხორციელდეს). ეს ფაზა მოიცავდა ქრისტეს შობამდე 22-ე – 12-ე საუკუნეებს. მორიგი, ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის რეალიზაცია პელაზგთა და აქეველთა ასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბებულ, ძველელინური ეთნოკონგლომერატის ცხრომის მანიის კლასის ერად დაფიქსირებით განხორციელდა. ეს ფაზა დასრულდა ქრისტეს შობამდე 4-ე საუკუნის შუაწლებში. ეგეოსური ცივილიზაციის მორიგ, მეორე ორმაგი ეფექტის ფაზაში ძლევის მანიის ეფექტის რეალიზატორად მოგვევლინენ მაკედონელები, რომელთაც ინიციატივა წაართვეს რომაელებმა, მართვის მანიის ეფექტის რეალიზატორებად კი – კვლავ პელაზგური სამყაროს ნაშთი ელემენტები, მათ შორის, ეტრუსკები და კოლხები. კოლხური სამყაროს რეკონსოლიდაციის ცენტრად დაფიქსირდა იბერია-ქართლი, თუმცა, რომ არა რომის ექსპანსია, ამ ფუნქციას ივითარებდა პონტო – არიან-ქართლი, რეკონსოლიდაციის საწყისი კერა. ამ ფაზის მიწურულს, ქრისტეს შობიდან 2-ე საუკუნეში ეგეოსური

ცივილიზაცია განფენილ იქნა ატლანტის ოკეანიდან ინდოეთამდე. მაგრამ, მორიგ ფაზაში დაიწყო მისი შევიწროება. ეს იყო მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა, ძირითადი ფენომენებით ბიზანტიის, არაბთა ხალიფატისა და ხაზართა ხაკანატის სახით. მაგრამ ამ ცივილიზაციის გერმანელებზე და შემდგომ ნორმანდიელებზე გავრცელების პროცესში, გარკვეული მექანიზმის საფუძველზე, მოხდა ფაზათა ცვლის პროცესის სინქრონულობის დარღვევა, რამაც საბოლოოდ, მორიგ, მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის (10 – 12 სს.) მიწურულს გამოიწვია დასავლეთ ევროპაში ფაზათა ცვლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, თუმცა ასევე ფარული დასასრული ეფექტის სქემის მიხედვით, მაგრამ, ორმაგი ეფექტის ფაზებში ცხრომის მანიის და ფორმის მანიის ფსიქიკურ სტიქიათა შეწყვილებით. დასავლეთ ევროპული და ეგეოსური ცივილიზაციების პირველი კონფლიქტი იყო ბიზანტიის გაყოფა საქართველოს, რომელიც გახდა უპირველესი წარმომადგენელი ეგეოსური ცივილიზაციისა, და ჯვაროსნებს შორის, ასევე ტევტონთა ორდენის ექსპანსია სლავური სამყაროს წინააღმდეგ, რომელიც ინტეგრირებულ იქნა ეგეოსურ ცივილიზაციაში, მის მესამე ორმაგი ეფექტის ფაზაში. 13-ე საუკუნეში ეგეოსურ ცივილიზაციას აღმოსავლეთიდან შეუტია ჩინურმა ცივილიზაციამ მისი ერთ-ერთი ფაზის რეალიზატორად თვითდამკვიდრებულ მონღოლთა ინიციატივით. ეგეოსური ცივილიზაცია ამ მომენტში განიცდიდა ფაზის ცვლის პროცესს, ხოლო მისი დაწინაურებული წარმომადგენელი – გეორგიანელი (ქართველი) ერი ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე გადასვლის პროცესის დასაწყისს, რამაც შეაფერხა მისი ძალების კონსოლიდაციის შეასძლებლობა. ამან ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის მიერ ინიციატივის დაუფლებას დაიწყო მისი შეუქცევადი დაწინაურება მსოფლიო ცივილიზაციებს შორის. მასში 15-ე დაწყებული საუკუნეში ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურზე გადასვლის პროცესი შეუქცევადი გახდა. 18-ე საუკუნის დასაწყისი აღინიშნა მისი ექსპანსიით რუსეთის სივრცეზე, რაც რუსეთის იმპერიის ფენომენითაა წარმოდგენილი. ამავე საუკუნეში რუსეთის სივრცეზე, ეგეოსური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების კონფლიქტში გეორგიანელი (ქართველი) ერიც ჩაერია და, როგორც აღინიშნა, ამ კონფლიქტის მიმდინარეობაში გარდატეხის შეტანაც მოახერხა (იხ. სტალინის შესახებ).

43. ისტორიის პროცესის შედეგები ორგვარი ინფორმაციის სახით ფიქსირდება. ერთია სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ ეკოლოგიური ხდომილებების შესახებ ცნობების ერთობლიობა, მეორე კი – ტოტემისტური, მითოსური, რელიგიური და სამეცნიერო მნიშვნელობის ცნობების ერთობლიობა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია მეორე, რადგან ის არის ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების პროცესის გამომხატველი. შეიძლება ისტორიის პროცესის მხოლოდ ამ (მეორე) ასპექტით წარმოდგენაც. ასე რომ, ეგეოსური მითოსური მემკვიდრეობა საკმარისი მასალაა ცივილიზაციის იდენტიფიკაციისთვის.

44. ძველელნურ ტრაგედიაში კოლხი მედეა ერთ-ერთი საუკეთესოდ (დასრულებულად, მრავალპლანიანად და ექსპრესიულად) წარმოდგენილი პერსონაჟია, მაგრამ ამ წარმოდგენას არაფერი აქვს საერთო მედეას სახით პერსონიფიცირებული

მოვლენების რეალურ მნიშვნელობასთან ანუ ამ მითოსური პერსონაჟის ჭეშმარიტ ფუნქციასთან.

მედეას თემაზე ძველ-ელინური ტრაგედიები შეიქმნა ეგეოსური ცივილიზაციის პირველ ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში (ქრისტემდე 11-ე – 4-ე სს) ანუ მაშინ, როდესაც კოლხი მედეას სახით პერსონიფიცირებული მართვის მანიის ეფექტის ფენომენი ძველ-ელინურ სამყაროში არ იყო აქტუალური და, ამდენად, შესაძლებელი იყო მედეასთან დაკავშირებული მოვლენების სხვაგვარად ინტერპრეტაცია, პერსონაჟების მოტივაციის შეცვლით და, ცხრომის მანიის ეფექტის შესაბამისად, ადამიანურ რეაქციათა კატეგორიების პერსონიფიკაციებად მათი წარმოდგენით. მაგ.: მედეა შურისძიების განსახიერებად არის წარმოდგენილი, და ამ გრძნობის ყოვლის წამლეკავ ძალმოსილებას გვიჩვენებს.

45. არგონავტების მითი ასახავს ორი მსოფლმხედველობითი სისტემის ურთიერთბრძოლას ეგეოსურ ცივილიზაციაში. ერთი მათგანის მატარებელი იყო პროტომველელინური სამყარო ანუ აქვეელი ერი, მეორის მატარებელი კი, – პელაზგური სამყარო, რომლის ნაწილსაც, ეგეოსური მითოსური ტრადიციის მიხედვით, წარმოადგენდა კოლხი ერი (_ ქართველი ერის ფენომენური განვითარების მეორე ანუ მითოსური საფეხურის რეალიზაცია)

პროტომველელინური და პელაზგური ეთნოკონგლომერატები წარმოადგენდნენ ერთი თვითრეგულირებადი საზოგადოებრივი წარმონაქმნის, ერთი ცივილიზაციის თვისებრივად რადიკალურად ურთიერთგანსხვავებულ და აუცილებელ კომპონენტებს, მისი არსებობის ამ ეტაპზე [ქრისტეს წინ. 22-ე – 12-ე სს]. განსაკუთრებით მკვეთრია ეს განსხვავებები საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის და სქესებს შორის ურთიერთობის პრინციპების მიხედვით. ხსენებული ორი სამყაროს სისტემური ერთიანობის (ანუ ორივე ღირებულებათა სისტემის სინქრონული აქტუალურობის) საფუძველზე ორივე ეთნოკონგლომერატი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ღირებულებათა სისტემის უმწვავესი კონფლიქტის ასპარეზს წარმოადგენდა, რაც ამ, ორ, განსხვავებული თვისებრიობის ელემენტს შორის პარიტეტის დაცვას უმთავრეს პრობლემად სახავდა, ეგეოსური ცივილიზაციის ისტორიის დასახელებულ ეტაპზე.

აქედან (ძღუვის მანიის კლასის ერის) ღირებულებათა სისტემის მთავარი მახასიათებლებია:

– სინამდვილის საზრისად ბრძოლის აღიარება;

– ორივე სქესის ადამიანების ერთიდაიგივე კრიტერიუმით, ძალმოსილების ხარისხით შეფასება, რაც ქალის, როგორც ნაკლებად ძლიერის, ვაჟთან შედარებით ნაკლებღირსეულად მიჩნევის განმაპირობებელია და პატრიარქატის გამამართლებელი;

– სქესების ურთიერთმიმართებაში კონფლიქტურობის მომენტის აუცილებლობა (სქესობრივი ქცევის ადამიანისთვის ბუნებრივ ბიოლოგიურ მოდელთან კულტურის მოდელის შეუთანხმებლობის საფუძველზე), რაც სქესების ურთიერთობის ტოტემისტურ ინტერპრეტაციაში, ვერძის, როგორც მამრობითი საწყისის ტოტემის, და გველის, როგორც მდედრობითი საწყისის ტოტემის, ბრძოლის (ვერძის და მას შემოხვეული გველის) ხატით შეიძლება წარმოდგენილიქნას;

– საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის “იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპზე” დამყარებულობა, რაც საერთო ინტერესის განცდის გამახვილებული უნარის,

საზოგადოებრივი კონსოლიდაციის მაღალი ხარისხის, საზოგადოებრივი ერთობის დიდი სიმტკიცის განმაპირობებელია და ამგვარ საზოგადოებრივი ერთობის, მასში სხვადასხვა სქესების ინდივიდების არსებობის ფაქტის ნიველირებით, ერთი ტოტემური ხატით წარმოდგენის შესაძლებლობის განმაპირობებელია. კერძოდ, გველის სახით, სხვადასხვა გარემოებათა და, მათ შორის, მისი სხეულის გრძივ ერთგვაროვნების მომენტის კარნახით. ის ფაქტი, რომ ამავე ღირებულებათა სისტემის მიხედვით გველი მდედრობითი საწყისის ტოტემიცაა, არ არის თვითშეთანხმებულობის დამრღვევი, რამეთუ საზოგადოება, როგორც პიროვნების წარმომშობი წიაღი, დედის მნიშვნელობით მიემართება მას და ამასთანავე, ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ერთობა სქესობრივი სხვაობის მომენტს არ ითვალისწინებს საერთოდ.

პელაზგური და ამდენად, კოლხური (მართვის მანიის კლასის ერის) ღირებულებათა სისტემის მთავარი მახასიათებლებია:

- სინამდვილის საზრისად მართვის აღიარება;

- სხვადასხვა სქესის პიროვნებების განსხვავებული კრიტერიუმებით, შეფასება და ამდენად, ღირსების მიხედვით ერთის მეორისადმი დაქვემდებარების გამორიცხულობა, რაც სხვადასხვა სქესის ადამიანთა აღსანიშნავად განსაკუთრებული ტერმინების – “დედაკაცი” და “მამაკაცი” – გამოყენებას ამართლებს, რამეთუ ისინი ახასიათებენ სქესობრივი წყვილის წევრებს არა ერთმანეთთან მიმართების მეშვეობით (ეს მათს ურთიერთმიმართებაში ერთის მეორისადმი დაქვემდებარების მომენტის შემოტანის შესაძლებლობის დამშვები იქნებოდა), არამედ, წყვილის გარეშე ელემენტთან – შვილთან (რეალურთან თუ პოტენციურთან) მიმართების მიხედვით ურთიერთგანსხვავების დაფიქსირებით (დედა – მამა);

- საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის “განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპზე” დამყარებულობა, რაც საერთო ინტერესის საფუძველზე საზოგადოებრივ კონსოლიდაციას და საზოგადოებრივი ერთობის ინსტიტუციონალიზაციას დიდ პრობლემად აქცევს;

სქესების ფუნქციების განსხვავების დაფიქსირებისათვის შემდეგი ბიოლოგიური საფუძველი არსებობს: მდედრობითი სქესის ადამიანი, ყურადღების განაწილების და ანალიზის ფუნქციის მეტგანვითარებულობისა და მაღალმგრძნობელობის საფუძველზე, სიტუაციის იდენტიფიკაციის უნარის გამახვილებულობით ხასიათდება; მამრობითი სქესის ადამიანი კი, – ყურადღების კონცენტრირებულობის, წარმოსახვის ფუნქციის მეტგანვითარებულობისა და ძალმოსილების საფუძველზე, სიტუაციის გადაწყვეტის ალგორითმების მიგნების და რეალიზაციის უნარის გამახვილებულობით;

ამის გათვალისწინებით, ამგვარ ღირებულებათა სისტემის მატარებელ საზოგადოებრივ ერთობაში, დედაკაცი მიმდინარე ამოცანის იდენტიფიკაციის და ტრანსფარაციის ფუნქციის რეალიზატორად ფიქსირდება; ხოლო მამაკაცი – დედაკაცის (მისი რჩეულის) მიერ განსახიერებულ-მინიშნებული მიმდინარე სიტუაციური თუ სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტის ფუნქციის რეალიზატორად, რასაც იდეალურად ასახავს ქართული ქორეოგრაფიული მემკვიდრეობა, მაგ.:

- “ცეკვა ქართული”: დედაკაცის თავისთავადი სვლა, მამაკაცისა მიმყოლი სვლა – დედაკაცის ამგვარი თვითგამოხატვით განსახიერებული მოწოდების საპასუხო აქტივობის გამოხატულებად;

– “ცეკვა ხევსურული” : დედაკაცის მანდილის დაშვება, როგორც მოქმედების შეჩერების სურვილის ცხადყოფა, ყოველი მოქმედების შეჩერების ურყევი პირობად წარმოდგენილი, დასტურად იმის აღიარებისა, რომ მხოლოდ იმ მოქმედებასა აქვს აზრი, რომელიც დედაკაცის არსებით არის ტრანსფარირებული.

ორივე შემთხვევაში გამოხატულია მამაკაცის შემფასებელ უმაღლეს ინსტანციად დედაკაცის აღიარება.

აღნიშნულის საფუძველზე ცხადია, რომ კოლხურ-პელაზგური (მართვის მანიის კლასის ერის) ღირებულებათა სისტემა სქესების ურთიერთმიმართების ასპექტით ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებასთან თანხმობაშია. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ ღირებულებათა სისტემის მიხედვით სქესებთა ურთიერთმიმართებაში კონფლიქტურობის მომენტი სრულიად გამორიცხულია.

ამ გრეამოების ადექვატური ასახვა მამრობითი საწყისის ტოტემად – მუხის მდედრობითი საწყისის ტოტემად კი, – ვენახის (ვაზის) წარმოდგენა: მუხაზე მიშვებული ვენახის ხატით განსახიერება სქესების ურთიერთმიმართებისა, გამორიცხავს როგორც კონფლიქტის მომენტის ასევე, ერთის მეორისადმი დაქვემდებარებულობის მომენტს საგულვებელობას – ვენახი არას ავნებს მუხას და ორივე მცენარის გვირგვინი, ცასა და მიწას შორის, ერთ სიმაღლეზე იშლება.

ამასთანავე, ისინი სწორედ რომ სათანადოდ მიემართებიან ერთიმეორეს:

– მუხა საყრდენის მოვალეობას უწევს ვენახს, ანუ პასუხობს მისი პლასტიკით (ზროს დრეკადობით და სისუსტით) ნაკარნახევ საჭიროებას – ვენახის მწვანე გვირგვინის სათანადო სიმაღლეზე გაშლილობის უზრუნველყოფას.

მუხის და ვენახის ვარჯების თავისებურება, ტოტების სხვადასხვა მიმართულებით ზრდაში გამოხატული, შესაძლებელყოფს განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის ტრანსფარაციას, ამდენად, მუხა და ვენახი ამავე ღირებულებათა სისტემის მატარებელ საზოგადოებრივი ერთობის წარმომდგენ ტოტემათა წყვილად შეიძლება მოაზრებულიყნენ, ამგვარი საზოგადოებრივი ერთობის მამრობითი და მდედრობითი სქესების სათანადო ასპექტების დაცალკევების აუცილებლობის გათვალისწინებით.

ახლა შეგვიძლია საფუძვლიანად განვიხილოთ მედეას ფენომენით პერსონიფიცირებული მოვლენის როლი ქართველი ერის ისტორიაში.

ხსენებულ, ეგეოსური ცივილიზაციის ისტორიის დასახელებულ ეტაპზე, ორ თანაბრად აქტუალურ ღირებულებათა სისტემებს შორის წონასწორობის დარღვევა ჯერ ეგეიდაში დაფიქსირდა. ამის გამოხატულებაა პელაზგურ სამყაროში სქესთა ურთიერთობის სფეროში კონფლიქტის მომენტის აქტუალიზაცია:

– ბეოტიის ქალაქ ორხომენის მეფემ, აფამანტმა სახლიდან განდევნა საკუთარი მეუღლე, ღრუბლების ქალღმერთი ნეფელე; შემდეგ ახალი ცოლის, კადმოსის ასულის, ინოს სივერაგის ხელშეწყობით სასიკვდილოდ (მსხვერპლად შესაწირად) გაიმეტა თავისი შვილებიც, ფრიქსე და ჰელა.

აქ, აქეურ ღირებულებათა სისტემის გავლენაზე მიმანიშნებელია ის მითოსური ფაქტი, რომ ინოს მამა, კადმოსი, ქალაქ ფივის დამაარსებელი და ამდენად, საზოგადოებრივი ერთობის ერთ-ერთი მითოსური პერსონიფიკაცია, საბოლოოდ გველად გადაიქცა.

ნეფელემ ჰერმესის დახმარებით მოახერხა თავისი შვილების დახსნა და ოქროსბეწვიანი მფრინავი ვერძით კოლხეთში მათი გაგზავნა.

ეს მითოსური ფაქტი ასახავს წონასწორობის დარღვევის ტენდენციის კოლხეთშიც შემოღწევას. აქ, ჰერმესი ამ ტენდენციის ინიციატორად წარმოგვიდგება, ნეფელე კი, მისი შვილების, თუნდაც მხოლოდ ფიზიკურად, გადარჩენის პრობლემის გამოყენებით, იძულებითაა ჩათრეული ამ მოვლენაში. ის გარემოება, რომ ჰელე კოლხეთში მისვლამდე იღუპება (ის მფრინავი ვერძიდან ჩამოვარდა და ზღვაში დაინთქა), ამ გავლენას მდედრობითი სქესის საზოგადოებრივი სტატუსის ნიველირების ტენდენციის განვითარებად წარმოგვიდგენს, რასაც კოლხური სამყაროში დიდი რეზონანსი მოჰყვა, წარმოდგენილი მეფე აიეტის რეფორმებით.

აიეტმა ჰერმესის მფრინავი ვერძი მსხვერპლად შესწირა ზევსს; მისი ოქროს ტყავი – ოქროს საწმისი, როგორც მამრობითი საწყისის კულტის საგანი, მუხის კენწეროზე ჩამოჰკიდა და დარაჯად დაუყენა გველი (გველეშაპი), მდედრობითი საწყისის ტოტემურ განსახიერებად, რომელიც, ნაცვლად ვენახისა, მუხის ძირს შემოხვეული ფხიზლად დარაჯობდა ოქროს საწმისს, ამ, ახალი მთავარი კულტის საგანს. ამით მუხას წაერთვა ტოტემური კულტის ობიექტის სტატუსი და, აქედან ღირებულებათა სისტემის შესაბამისად, მდედრობითი საწყისის მამრობითი საწყისისადმი დაქვემდებარების გამომხატველი ვერტიკალის წარმოდგენის საშუალებად დაფიქსირდა. ეს ნიშნავს კოლხური ღირებულებათა სისტემის სათანადო ტოტემური კულტის ლიკვიდაციას და მისი აქედან ღირებულებათა სისტემის სათანადო ტოტემური კულტით ჩანაცვლებას.

აიეტის ინიციატივის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც აღინიშნა, გველი აქედან (ძღუვის მანის კლასის ერის) ღირებულებათა სისტემის მატარებელი საზოგადოებრივი ერთობის ტოტემური ექვივალენტია, ოქროს საწმისის კულტის დაწესების შედეგად, მასთან დაკავშირებულ გველის კულტის მეშვეობით ჩანაცვლებულ იქნა მუხის და ვენახის კულტის მეორე ასპექტიც, რომლის მიხედვითაც მუხა, მისი ძირითადი ტოტემური ფუნქციის საფუძველზევე, საზოგადოებრივი ერთობის ქმედებითი პოტენციის ანუ მამრობითი სქესის სათანადო მისი ასპექტის (აქ, კოლხ მამაკაცთა ერთობის) ტოტემად მოიაზრება (მაგ. როგორც ჰიმნიში – “მუმლი მუხასა”), ვენახი კი, – საზოგადოებრივი ერთობის შემფასებლობითი პოტენციის ანუ მდედრობითი სქესის სათანადო მისი ასპექტის (აქ, კოლხ დედაკაცთა ერთობის) ტოტემად (მაგ. როგორც ჰიმნიში – “შენ ხარ ვენახი”).

მითის მიხედვით, აიეტის ინიციატივებს საფუძველი მისცა ეგეიდიდან მომდინარე გავლენამ, რომლის ფრიქსეს სახით პერსონიფიცირება, აიეტთან მისი მიმართების გათვალისწინებით, გამოხატავს ამ მოვლენაში კოლხური საზოგადოების წინასწარი მზაობით და ინიციატივის მიტაცების მცდელობის მნიშვნელობითაც კი, ჩართვას. ამგვარი დადებითი უკურეაქციის და მის ინიციატორად კოლხეთის მეფის დაფიქსირებას საფუძველად ის გარემოება ეგულისხმება, რომ აქედან ღირებულებათა სისტემა საზოგადოების სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის და ინსტიტუციონალიზაციის განუზომლად უფრო მაღალუნარიანობის განმაპირობებელია (ამ გარემოების გავლენით აიეტი აქამდეც იყო უცხო კულტურის გავლენის შემოტანის ინიციატორი კოლხეთში: აიეტთან ასოცირებული მზის კულტის შინაარსში მზის მამრობითი ბუნების ფენომენად მოაზრება ეგვიპტურ ამონ-რას კულტთან მისი ასოცირების პირობაა).

გარეგანი გავლენის იმპულსის ათვისება და ინიციატივის მოხელთების მცდელობა წარმატებული გამოდგა, რასაც ასახავს ის ფაქტი, რომ, მითის მიხედვით, აიეტი, ამქვეყნად უდიდეს გმირად ანუ უმაღლესილ ფენომენად არის წარმოდგენილი, კოლხეთი კი, –

უმძლავრესი სამხედრო ინსტიტუტების (მათ შორის სამხედრო საზღვაო ფლოტის) მქონე სახელმწიფოდ (სწორედ, ამის შეფარულ აღიარებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ, არგონავტების მითის მიხედვით, ღმერთები ჰერაკლეს აიეტთან შეხვედრას არიდებენ – ჰერაკლე მიზიაში ჩამოშორდა არგონავტებს).

აიეტის ამ, ძირითადი ფუნქციური სტატუსით აიხსნება ის, რომ იგი ეწინააღმდეგება პრომეთეს გათავისუფლებას: მითის მიხედვით, როდესაც ჯაჭვი, რომლითაც პრომეთეა კლდეზე მიჭაჭვული გაწყვეტის პირამდე მიდის, მჭედლები მთელს კოლხეთში ერთობლივად შემოჰკრავენ უროს გრდემლს და ჯაჭვი კვლავ მრთელდება – ეს მოქმედება, მისი მასშტაბური კოლექტიური ხასიათის მიხედვით, სამეფო ხელისუფლებასთან ასოცირებულ საკულტო ქმედებადაა წარმოდგენილი.

პრომეთე კოლხურ ღირებულებათა სისტემაში მამრობითი საწყისის პერსონიფიკაციაა, რომელიც მდებრობითი საწყისის პერსონიფიკაციის მედეას ფენომენით განსახიერებული მოწოდების საპასუხო მოქმედების პოტენციის მატარებელია – მედეას მოქმედება პრომეთესგან მომდინარე უნარების აქტუალიზაციაში (მის სისხლისგან აღმოცენებული მცენარეების ანუ პრომეთეს არსის ქმედითობის გამოყენებაში) მდგომარეობს. ამრიგად სწორედ პრომეთე უნდა მივიჩნიოთ მედეას არსობრივ მეწყვილედ.

აიეტის შემდგომი ინიციატივებიც მიმართულია დედაკაცის იმ ფუნქციური სტატუსის გასაუქმებლად, რომლის მიხედვითაც, კოლხურ ღირებულებათა სისტემის შესაბამისად, დედაკაცი მამაკაცის შემფასებელ უმაღლეს ინსტანციად მოიაზრება. ამას გამოხატავს აიეტის მიერ მამაკაცის ღირსების აქეურ (ძლევის მანის ეფექტის გამომხატველ) ღირებულებათა სისტემის შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე და დედაკაცის მონაწილეობის გარეშე შეფასების კულტის დაწესება, რაც წარმოდგენილია იმ დავალებების შინაარსით, რომელთა შესრულება ოქროს საწმისის მადიებელ იაზონს დაეკისრა:

– ცეცხლისმფრქვეველი ხარების ძალით დამორჩილება (და არა გაწვრთნით დაყოლიება, როგორც მოითხოვს ამას კოლხური ანუ მართვის მანის ეფექტის გამომხატველი ღირებულებათა სისტემა);

– სამი დღის სახნავის ერთ დღეში მოხვნა (– ძალმომრეობა მიწის მიმართ, მასზე, მისი ნაყოფიერების მაინიციირებელი ზემოქმედებისადმი დაყოლის, მის ბუნებრივი უნარის შესაბამისზე მეტი ინტენსივობით ზემოქმედება);

– გველეშაპის კბილების დათესვით აღმოცენებულ მებრძოლთა მრავალრიცხოვანი რაზმის ძლევა (– გველეშაპის კბილებთან ასოცირებით მინიშნებული, ძლევის მანის ეფექტით განსაზღვრულ საზოგადოებრივი ერთობის სიმტკიცის დამძლევის ვაჟკაცობის უმაღლესი ხარისხის მაჩვენებლად წარმოდგენის გამოხატულება);

გარდა ამისა, აიეტი თვითონ ურჩევს საქმროს თავის ქალიშვილს, ქალკიოპეს: – მან ის შერთო ფრიქსეს, რომელიც, მითის სიუჟეტის მიხედვით, კოლხურ სინამდვილეში ვერ ჩაერთო და თავის სამშობლოში, ეგეოდაში დაბრუნებაზე ოცნებით მიიცვალა და, ამდენად, რომელიც ვერ იქნებოდა ქალკიოპეს, როგორც სამეფო ოჯახის წევრის, კოლხეთის ცხოვრებაში ჩართული პირის რჩეული. ფრიქსემ მისი სულსიკვეთება გადასდო თავის შვილებსაც, რომლებმაც მისი სიკვდილის შემდეგ სცადეს მამის ოცნების აღსრულება და ზღვით მალულად გაიპარნენ, დატოვეს დედა და კოლხეთი, მის მიმართ მათი, ასევე, გარეგან ელემენტად დარჩენის გამოხატულებად.

კოლხეთში აქეურ ღირებულებათა სისტემის დამკვიდრებით კოლხეთი აქეველთა სამოქმედო ასპარეზადაც იქცა. სწორედ ამას გამოხატავს არგონავტების ლაშქრობა – აქეური გავლენის ზრდის ტენდენციის ლოგიკურ დასასრულზე, კოლხთა სრული ასიმილაციის საფრთხეზე მიმანიშნებელი მოვლენა.

ამრიგად არგონავტების მითის მიხედვით, მედეა განასახიერებს კოლხურ-პელაზგური და აქეური ღირებულებათა სისტემების დაპირისპირებაში, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, აიეტის ინიციატივით, უკვე თვით კოლხეთშიც დარღვეული პარიტეტის აღდგენის მცდელობას. ეს გულისხმობს კოლხეთში აქეურ ღირებულებათა სისტემის ყოველგვარი გამოხატულების ლიკვიდაციას. საამისო მცდელობის გამოხატულებაა მედეას ინიციატივა არგონავტებისადმი დახმარებაში ასახული. მისი შეწევნით იაზონი იოლად ასრულებს აიეტის დავალებებს, აყენებს მას ოქროს საწმისის დათმობის და მაშასადამე, კოლხეთში შესაბამისი კულტის ლიკვიდაციის იძულების წინაშე. აიეტის წინააღმდეგობის მიუხედავად მედეა, აფსირტეს გაწირვის ფასად, კოლხეთიდან ოქროს საწმისის მოტაცებით თვითონ აღწევს ამას. მედეამ (პრომეთეს ძალით), ოქროს საწმისთან ერთად, მუხას ჩამოაცილა გველიც, რითაც მუხა აღდგენილ იქნა კულტის ობიექტის მნიშვნელობით.

ამრიგად, ოქროს საწმისის კოლხეთიდან გატაცება არის არა საგანძურის ან საიდუმლო ცოდნის გატანა, არამედ კოლხეთში აქეური ღირებულებათა სისტემის სათანადო კულტების ლიკვიდაცია, აიეტით განსახიერებულ თვისებრივი ტრანსფორმაციის ტენდენციის დაძლევა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ოქროს საწმისი აქეურ სამყაროში მისი დაბრუნებით კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას – იქ, ის არავითარ სიახლეს არ წამოადგენს. აქეურ სამყაროში აქტუალურია თვითონ მედეას ფენომენი, რომლის აქტიურობა ეგეიდაში კოლხური სამყაროს გავლენის შედეგად განასახიერებს.

მედეას ინიციატივით ეგეიდაში ღირებულებათა ორ სისტემას შორის პარიტეტის აღდგენის მცდელობას, აქ, დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ამის ამსახველია მედეას და იაზონის ქორწინება, ოქროს საწმისის კოლხეთში დაბრუნების თავიდან ასაცილებლად, ფეაკიელთა მეფის, ალკინოის მოთხოვნით განპირობებული იძულებითი ნაბიჯი. აქამდე იაზონი მხოლოდ მოკავშირე იყო მისი. ქორწინების შედეგად, აქეურ ღირებულებათა სისტემის მიხედვით, მედეა იქცა იაზონის ხელშეუხებელ საკუთრებად, მისი მღევარი კოლხებისთვისაც, რომლებიც ამავე ღირებულებათა სისტემის შესაბამისად მოქმედნი უნდა ყოფილიყვნენ, მღევართა როლში.

მედეას მოქმედება სიყვარულით რომ ყოფილიყო მოტივირებული, მაშინ კოლხური ფლოტის მიერ არგონავტების დევნა საერთოდ აზრსმოკლებული იქნებოდა, რამეთუ ორფეოსი, რომელმაც, როგორც ქურუმმა, აღასრულა მედეას და იაზონის საქორწინო რიტუალი, კოლხეთშიც თან ახლდა არგონავტებს და იქვე შეეძლო ამ რიტუალის აღსრულება. მედეა ქორწინებას დათანხმდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კოლხურმა ფლოტმა არგონავტებს მეორე მხრიდანაც მოუჭრა გზა (ამჯერად, თესალიაში სამხრეთიდან დასაბრუნებელი) და ოქროს საწმისის კოლხეთში დაბრუნების აცილების სხვა საშუალება არ დარჩა.

იაზონის მეუღლის და, მითის მიხედვით, იოლკოსის სამეფო მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში მისი თანამებრძოლის სტატუსში, მედეა არა კოლხური სამყაროს, არამედ, გარეგნულად (მხოლოდ გარეგნულად) აქეურ ღირებულებათა სისტემის შესაბამისად მოქმედ სუბიექტად წარმოგვიდგება. მისი საწყისი ინიციატივის საბოლოოდ ჩაშლა მედეას და იაზონის ორი მის, როგორც კოლხურ-აქეური ორმაგი ეფექტის ფენომენის ორი კომპონენტის

სამომავლო პერსონიფიკაციების, ბედით არის წარმოდგენილი. ამრიგად, ლოგიკურია მათი დახოცვა არა მედეას, არამედ მისით პერსონიფიცირებული ინიციატივის არ მიმღებ, აქედან საზოგადოების წარმომადგენელ, კორინთოს მოქალაქეთა მიერ.

მითის მიხედვით, კორინთოში განვითარებული მოვლენები მედეას ინიციატივის დათრგუნვის ტენდენციის უკიდურეს ზღვარამდე, პელაზგურ-კოლხურ ღირებულებათა სისტემის ყოველგვარი ფენომენური გამოვლენის სრული ლიკვიდაციის მცდელობამდე მიღწეულობას გამოხატავენ:

– იაზონმა სცადა კორინთოს მეფის, კრეონტის ასულზე, გლავკაზე დაქორწინება, თვითონ კრეონტმა კი, მედას კორინთოდან წასვლა უბრძანა. მედეა დროებით თავს აფარებს ათენს, სადაც მას, მეფე ეგეოსთან შეუღლების შედეგად შეეძინა ვაჟი, მედეონი, მაგრამ ათენში ეგეოსის უფროსი ძის, თეზეოსის დაბრუნების შემდეგ იგი საბოლოოდ იდევენება ეგეიდიდან და, მითოსური ტრადიციის მიხედვით, მკვიდრდება მიდიაში. ეს რეგიონი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება კოლხურ სამყაროს და თრიალეთის კულტურის გავრცელების არესაც მოიცავს, როგორც მისი იგივე, მომთაბარე მესაქონლეობის კულტურის გავრცელების არის მნიშვნელობით. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ მედეას მისია ჩაშლილი ეგეიდაში გაგრძელებას პოულობს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში, რაც აღნიშნავს ეგეოსური ცივილიზაციის თანადროულ ფაზაში ორმაგი ეფექტის ლოკალური, კავკასიური ფენომენის ჩამოყალიბებას. ამის რეალური გამოხატულებაა საგარეჯოს რაიონში უკანასკნელ ხანს აღმოჩენილი მინოსური ხანის გრანდიოზული ნაქალაქარები, კოლხური კულტურის გავლენაზე მიმანიშნებელი არქეოლოგიური მასალით.

46. ის ფაქტი, რომ ხეთებთან გავრცელებული იყო საწმისის კულტი, გვიდასტურებს მედეას სახით პერსონიფიცირებული საკითხების აქტუალობას, ამ შემთხვევაშიც.

ხეთები ძლევის მანიის კლასის ერს წარმოადგენდნენ ამდენად მათი გავლენის გავრცელება მცირეაზიაში, სწორედ, კოლხეთში აიეტის რეფორმით შექმნილ ვითარების დამამყარებელი უნდა ყოფილიყო, რაც სათანადო კულტების წარმოშობის ამხსნელია. კოლხეთისგან განსხვავებით, ხეთების ჰეგემონიის არეზე მართვის მანიის ეფექტის ფენომენმა თავდაცვა ვერ შესძლო – ნესიტებმა მოახდინეს დამხვდური ხათური მოსახლეობის სრული ასიმილაცია.

47. კოლხი მედეას და პრომეთეს, როგორც ეგეოსურ ცივილიზაციაში მართვის მანიის ეფექტის ფენომენების თავდაცვითი რეაქციის და ფენომენური ზრდის პერსონიფიკაციების, მემკვიდრეებად შეიძლება დავასახელოთ:

– მინოსის ასული არიადნა; ტროას დედოფალი ელენე; თვითმშობელი მარიამ; წმინდა ნინო კაბადოკიელი; დედოფალი ელენე ბიზანტიელი; დედოფალი საგდუხტ იბერიელი; მეფე თამარი; ქეთევან დედოფალი; . . . უახლესი ისტორიიდან: მანანა ორბელიანი (ქართული ინტელიგენციის პირველი ეროვნული მუზა); ოლღა გურამიშვილი (ეროვნული გამონათება მორალურ ქმედების ხასიათში); ნინო რამიშვილი (ქართული ქორეოგრაფიის ფუძემდებელთაგანი); ანა კალანდაძე (პოეზიაში სქესთა ბუნების განსხვავების აქტუალიზატორი); . . .

– იესო-ქრისტე, როგორც კაცი; იოანე ღვთისმეტყველი; ანდრია პირველწოდებული; ორიგენე; წმინდა გიორგი; ბასილი დიდი; გრიგოლ ღვთისმეტყველი; გრიგოლ ნოსელი; პაპი ლეო I; იოანე ლაზი; პეტრე იბერი; ვახტანგ-გორგასალი; მაქსიმე აღმსარებელი; ილარიონ ქართველი; გიორგი მთაწმინდელი; მეფე დავით აღმაშენებელი; შოთა რუსთაველი; ცოტნე დადიანი; გიორგი სააკაძე (ქართველი ერის ცივილიზაციური ფუნქციის არაინსტიტუციური რეალიზაციის ერთ-ერთი უდიდესი მაგალითი); დავით გურამიშვილი; ვაჟა-ფშაველა; . . . უახლესი ისტორიიდან: დიმიტრი უზნაძე; ნიკო მუსხელიშვილი; ილია ვეკუა; ივანე ჯავახიშვილი (ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი) გალაკტიონი (ასოციაციური ნაკადის ასახვის მწვერვალი); ჯანო ბაგრატიონი (ქართული ქორეოგრაფიის ფუძემდებელი); იოსებ ჯუღაშვილი (ქართული მეცნიერებათა აკადემიის ფუძემდებელი; ქართველი ერის ცივილიზაციური ფუნქციის არაინსტიტუციური რეალიზაციის ერთ-ერთი უდიდესი მაგალითი); მხეილ ქურდიანი (ქართველი ენთიმეცნიერი, ბასკურ-ქართველური ენების და ქართველურ-კავკასიური ენების ნათესაობის დამდგენი) . . .

48. მართვის მანიის კლასის ერის, როგორც საზოგადოებრივი ერთაბის, სტრუქტურის უარსებითესი მახასიათებელთა ამსახველია შემდეგი ორი ფენომენი:

- 1) “მართვის მანიის კალსის ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფი”;
- 2) “მართვის მანიის კალსის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი”.

ამ სახელებით აღნიშნული, მართვის მანიის კლასის ერის საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის ფუნდამენტური ელემენტების არსებობის საფუძველია “განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი”, რომელიც მართვის მანიის ფსიქიკურ სტიქიას შეესაბამება (ანალოგი ფერმიონული სტატისტიკისა).

ამ ფაქტის სწორად შეფასებისთვის დავასახელებთ სხვა სამი ფსიქიკური სტიქიის შესაბამის ერთობის პრინციპებს: ფორმის მანიას შეესაბამება ერთობის პრიმატის ანუ ერთობის წევრის ერთობის პირობით განსაზღვრულობის პრინციპი; ძლევის მანიას – იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპი; ცხრომის მანიას – ერთობის უპირობოპის ანუ ერთობის მიმართ ერთობის წევრის პრიმატის პრინციპი.

“განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი” გამორიცხავს მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის მატარებელ პირთა გაერთიანების შესაძლებლობას ამ ფსიქიკური კომპლექსის (მართვის მანიის) პირდაპირი, შეუნიღბავი გამოხატვის წარმომდგენი ქცევის (შემოქმედებითი თუ ყოფითი) საფუძველზე. ამგვარ პიროვნებათა სიმრავლეში ნებისმიერი შემთხვევითი გამოვლენა ცალკეულ პირთა თუ მათ ჯგუფთა შორის ურთიერგანსხვავებისა ექვემდებარება მისი შეუქცევადი ზრდის ხელშემწყობ ზემოქმედებას. ამ მიდრეკილების უშუალო ნაყოფია “მართვის მანიის კლასის ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფები”, რის მაგალითებად, ქართველი ერის შემთხვევაში, შიუძლება დასახელდეს: მეგრელების, სვანების, ლაზების, იმერლების, გურულების, რაჭველების, მესხების, აჭარლების (მათგან ქრისტიანები), ქართლებების, კახელების, ქიზიყელების, ჰერების, ფშაველების, ხევსურების, მოხევეების, თუშების და სხვა მზგავსი ეთნოსები.

“მართვის მანიის კლასის ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფი” არის მართვის მანიის კლასის ერის საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის საკუთრივი რესურსი,

მაგრამ ის არ იძლევა ამ თვისებრივი ტიპის ერთა სტრუქტურულ გამოკერძოებას მის მომცავ ცივილიზაციაში, რამეთუ ამ თვისებრივი ტიპის ერის წევრი (_ მართვის მანის ფსიქიკური სტიქიის მატარებელი პიროვნება) სხვა თვისებრივი ტიპის ერების წარმომდგენ პირებთან, მათგან ფუნდამენტურად განსხვავებულობის საფუძველზე, ერთობის განცდაში ვარდება. ამდენად მართვის მანის კლასის ერის საზოგადოებრივი თვითორგანიზაცია არა ერის, არამედ ცივილიზაციის წარმომდგენ საზოგადოებრივი ერთობის წარმოქმნაში გამოიხატება.

ე.ი. მართვის მანის კლასის ერის წარმომდგენი საზოგადოებრივი ერთობა, როგორც ასეთი, არის არა ეროვნული სახელმწიფო, როგორც სხვა სამი თვისებრივი ტიპის ერების შემთხვევაში, არამედ ცივილიზაციის დანარჩენ წევრ ერებთან მათი მომცავი ცივილიზაციის მიმართების ინსტიტუციონალიზაციაა.

ამის საპირისპიროდ, "მართვის მანის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი" წარმოადგენს ცივილიზაციის წარმომდგენ საზოგადოებრივ ერთობაში მართვის მანის კლასის ერის სტრუქტურული გამოკერძოების განმსაზღვრელ ინსტიტუტს. ასეთ ჯგუფთა ლიდერები ან მათი ჩამოყალიბების ინიციატორები არიან ამ თვისებრივი ტიპის ერთა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციონალიზაციის ინიციატორები. ქართველი ერის ისტორიაში (ნოოფილოგენეზში) ასეთ პირთა მაგალითებად შეიძლება დასახელდეს კოლხი აიეტი, რომელიც ამ ფენომენის ზოგად სიმბოლოდ შეიძლება წარმოვადგინოთ.

მითოსურ ტრადიციასა და ისტორიაში აიეტის, როგორც ეგეოსურ ცივილიზაციაში მართვის მანის ეფექტის ფენომენის უცხო მემკვიდრეობის გამოყენებით ინსტიტუციური შენიღბვის პერსონიფიკაციის, წინამორბედად წარმოგვიდგება ზევსი, ხოლო მემკვიდრეებად _ მინოსი; აქილევსი; ოდისევსი; ენეასი; მეფე ფარნავაზი; მეფე მითრიდატე VI ევპატორი; მეფე ფარსმან II ქველი; მეფე ვახტანგ I გორგასალი; მეფე დავით IV აღმაშენებელი; სულხან-საბა ორბელიანი; მეფე ერეკლე II; ილია ჭავჭავაძე; იოსებ ჯუღაშვილი; ლავრენტი ბერია; . . .

ერთი შეხედვით, დღეს საქართველოში ყალიბდება ახალი "ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი" ამერიკელი ერის მემკვიდრეობის საფუძველზე (მდგრადობის კომპონენტით ამერიკელი ერის სახით). მაგრამ, რუსეთ-ამერიკის შეთანხმებული მოქმედებით ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებისგან ჩამოშორების შემდეგ, ამერიკა თავად არის საქართველოში მისი კულტურის დანერგვის პროცესის წარმართველი. მის მიერ ხელდასხმულ საქართველოს ახალი ხელისუფლების სუვერენიტეტი ამოიწურება ამერიკელთა ამოცანებისთვის უმნიშვნელო სფეროებით. ამრიგად ვერ ვიტყვით, რომ სააკაშვილი, როგორც საქართველოს ხელისუფალთა გუნდის ლიდერი, "ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის" პერსონიფიკაციაა. ის შეიძლება შევადაროთ როსტომ მეფეს, რომელიც ირანელთა სამხედრო-პოლიტიკური ჰეგემონიის პირობებში არმოსავლეთ საქართველოს ირანიზაციის მცდელობის ირანულ ღონისძიებათა რიგითი შემსრულებელი იყო.

ამის საპირისპიროდ, ყველა დასახელებული პერსონა თვითონ იყო ინიციატივის მატარებელი, ხოლო მდგრადობის კომპონენტად გამოყენებულ ერები პასიური, გარეგანი ფაქტორების როლში ფიქსირდებოდნენ:

_ მითის მიხედვით, აიეტი აქვეყნებისთვის უძლეველი სამეფოს უძლეველ მეფედაა წარმოდგენილი; აქილევსი და ოდისევსი თავისი ნებით მოქმედ და ომის შედეგის ერთპიროვნულად განსაზღვრისუნარიან პირებად არიან წარმოდგენილნი; ენეასი დაეუფლა ინიციატივას ლათინურ სამყაროში; ფარნავაზმა ძველ-ელინურ კულტურას დაუპირისპირა

მათგან ძლეული სპარსების კულტურა; მითრიდატე VI ევპატორმა რომაულ კულტურას დაუპირისპირა მათგან ძლეულ ძველელინელთა კულტურა; ფარსმან II ქველმა სცადა რომაული კულტურის სათანადოდ გამოყენება რომის მიერ მისი პრეტენზიების აღიარების შემდეგ; ვახტანგ-გორგასალმა სათანადოდ გამოიყენა კავკასიაში სასანიდური ირანის მიერ შევიწროებულ ბიზანტიელთა კულტურა; დავით IV აღმაშენებელმა – მდგრადობის კომპონენტად გამოიყენა რუსების მიერ შევიწროებული ყივჩაღები; სულხან-საბა ორბელიანი ცდილობდა კავკასიაში სუსტი პოზიციების მქონე კათოლიკური სამყაროს სათანადოდ გამოყენებას; ერეკლე II-მ მდგრადობის კომპონენტად გამოიყენა ჯერ უსახელმწიფოო არმენიელები, შემდეგ კი, ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ სუსტი პოზიციის მქონე რუსები; ილია ჭავჭავაძე ცდილობდა ფორმის მანიის ეფექტის რუსული ფენომენის მიერ შევიწროებული ძლევის მანიის კლასის რუსი ერის ფენომენური განვითარების მეოთხე საფეხურის გამომხატველ, რუსული იტელიგენციის ფენომენის მდგრადობის კომპონენტად გამოყენებას; იოსებ ჯულაშვილმა ინიციატივა მოიპოვა რუსეთის და მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში; ლავრენტი ბერიასთვის ინიციატივის წართმევა მისი ფიზიკური ლიკვიდაციის გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდა (_ შეთქმულებმა ვერ გაბედეს მისი მხოლოდ თანამდებობიდან გადაყენება ან პატიმრის სტატუსში დატოვება, შემდგომში, მალენკოვისგან და ხრუმჩოვისგან განსხვავებით); . . .

შევნიშნავთ, რომ "ფსიქიკურ სტიქიათა თეორიაზე" დაფუძნებული მსოფლიო ცივილიზაციის გლობალური სტრუქტურული ოპტიმიზაციის პროგრამის აქტუალიზაცია გაათავისუფლებს ქართველ ერს მისი სახელმწიფოებრივი თვითორგანიზაციის პროცესში მისი "გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების" პრიმატულობისაგან, გაუხსნის მას პირდაპირი თვითრეალიზაციის გზას. ამ შესაძლებლობის ჩამოყალიბებაში ინიციატორის როლი შეასრულა ედუარდ შევარდნაძემ _ საბჭოთა იმპერიის გარდაქმნის პროცესის სწრაფი უკანდახევისა და ნგრევის პროცესად გადაქცევამ ქართველი ერის ინსტიტუციური თვითრეალიზაციის ამოცანის აქტუალიზაცია მოიტანა. . .

49. “მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფები” ამ თვისებრივი ტიპის ერების წარმომდგენ საზოგადოებრივ ერთობაში განსხვავებების გენერაციის აუცილებლობის საფუძველზე ყალიბდებიან, უპირატესად, მისი ლოკალიზაციის არის მონაპირე რეგიონებში, ამგვარი რეგიონების მკვიდრთა მიერ მოსაზღვრედ ლოკალიზებულ უცხო ერის მემკვიდრეობის ელემენტების საკუთარ ერში გარეგნულად განმასხვავებელი ფაქტორის მნიშვნელობით გამოყენების პრაქტიკის საფუძველზე.

“მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფები” განიცდიან მათი სრული გაუცხოებისკენ მიმართულ ზეწოლას ამავე ერის შიგნით სხვა ამგვარი ერთეულების მხრიდან, რამეთუ სხვა ამგვარ ერთეულთა სრული თვისებრივი ტრანსფორმაციის შემთხვევაში, ამგვარ ხვედრს გადარჩენილი ერთი მათგანი განთავისუფლდება უცხო კულტურის ნიღბით სარგებლობის აუცილებლობისგან და მიიღებს შესაძლებლობას პირდაპირი თვითრეალიზაციით გახდეს მათი მაინტეგრირებელი ელემენტი.

გაუცხოებისკენ მიმართული ამგვარი უმძაფრესი ზეწოლის გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ქართველი ერის შემთხვევაში “მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების

მატარებელი ჯგუფის” სახელი ხდება აღმნიშვნელი იმ უცხო ერისა, რომლის კულტურის ელემენტების მეშვეობითაც მოხდა მისი გარეგნული განსხვავებულობის აქტუალიზაცია. ამის მაგალითია სახელები: ბერძენი, რანელი, სომეხი, ოსი, აფხაზი, ბაცბი, და დღეს, როგორც სჩანს, ასეთ მნიშვნელობას ივითარებს სახელი – “მესხიც”, როგორც ამას კომპოზიტიური სახელის – “თურქი-მესხები” გამოყენება ცხადყოფს – ანალოგიური გარდამავალი კომპოზიტების მაგალითებია: წოვა-თუშები, ალან-ოსები.

გვხვდება საპირისპირო პრაქტიკაც. კერძოდ, როცა თვითონ ამგვარ ერთეულს, ენიჭება მისი მდგრადობის კომპონენტად აქტუალიზირებული ერის სახელი. ქართველი ერის ისტორიაში ამის მაგალითია ქართველ კათოლიკეთა ფრანგებად, ქართველ სუნიტთა თურქებად, ქართველ შიიტთა თათრებად (გათათრებულებად) სახელდებულობა ქართულ სამეცყველო პრაქტიკაში.

ორივე შემთხვევაში ცხადია ამგვარ ერთეულთა ქართველი ერისგან გაუცხოების, მათი უცხო ერთან ასოცირების მცდელობა ერის დანარჩენი ნაწილის მხრიდან, რაც “მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების მდგრადობის კომპონენტებს” (– უცხო მემკვიდრეობის მომწოდებელ, უცხო ერის წარმომადგენელ დიასპორებს) ფსიქოლოგიურ კომფორტს და ამ ჯგუფების ერთ ქართველი ელემენტისგან მათი განურჩევლობის ცნობიერებას უყალიბებს.

50. პელაზგების სახელით აღინიშნება მობინადრე სამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი ეთნოკონგლომერატი, რომელიც ბალკანეთში დახვდა აქ ქრისტეს წინ 3-ე ათასწლეულის დასასრულიდან, რამდენიმე ტალღად შემოსულ, მომთაბარე მესაქონლეობის მიმდევარ, პროტოელინებს. მათ შორის ენობრივი განსხვავება დადასტურებული ფაქტია.

ამ დროის ეგეიდა ეგვიპტური ცივილიზაციის ექსპანსიის არეს წარმოადგენდა.

ეგვიპტელთა ექსპანსიის ამსახველია მითი დანაიდებზე, რომლის მიხედვითაც ლიბიის მეფის დანაის 50-მა ქალიშვილმა ევიპტის მეფის ეგვიპტოსის 50 ვაჟისგან დევნილმა თავი შეაფარა არგოლიდას. არგოლიდელმა პელაზგოსმა იკისრა მათი დაცვა, მაგრამ ის ეგვიპტოსის ვაჟებთან ბრძოლაში დამარცხდა და იძულებული გახდა გასცლოდა არგოლიდას.

ეს უკანდახევა განასახიერებს ეგეოსური სამყაროს თავდაცვითი რეაქციის დასაბამს, რაც პელაზგების და პროტოელინების კონსოლიდაციის და მით, ორმაგი ეფექტის ეგეოსური ფენომენის ანუ ეგეოსური ცივილიზაციის (თვითრეგულირებადი საზოგადოებრივი ერთობის) ჩამოყალიბების მომტანი გახდა. სისტემური კონსოლიდაციის ამ პროცესის დასრულების პერსონიფიკაციაა კოლხი მედეა, ამდენად, სემანტიკურ-ფონეტიკური ასოციაციების კარნახით, ეგეოსურ ცივილიზაციას შეიძლება ვუწოდოთ **მედიტერანული** ცივილიზაცია.

ამ დრომდე ეგეოსური სამყარო არ იყო სისტემურად ერთიანი. მართალია აქ საზოგადოება გადასული იყო მითოსურ საფეხურზე და, ამდენად, განიცდიდა პირველადი (გაფართოების უნარს მოკლებული) ცივილიზაციური წარმონაქმნების რღვევისა და ეთნომასივების მეორად (გაფართოების დაუოკებელი ტენდენციის მატარებელ) ცივილიზაციურ წარმონაქმნებად კონსოლიდაციის პროცესს, მაგრამ ეს პროცესი არ იყო გაღრმავებული და ეგეიდის ცალკეულ რეგიონებზე მიმდინარეობდა ურთიერთდამოუკიდებლად.

ის ფაქტი, რომ ეგეოსური მითოსის მიხედვით კოლხეთი მეორადი ეგეოსური ცივილიზაციის ნაწილად არის წარმოდგენილი, ეგეიდიდან უფრო ახლოს მდებარე რეგიონებისგან (მაგ. კაბადოკია, ბალკანეთის ჩრდილოეთი) განსხვავებით, შეიძლება, აიხსნას ეგვიპტელთა ექსპანსიის მიმდინარეობის თავისებურებით. კერძოდ, ეგვიპტელთა ექსპანსიას ქრისტეს შობამდე 23-ე – 21-ე საუკუნეების კლიმატური კატეკლიზმების პირობებში ახალი საცხოვრისის საძიებო ექსპედიციების სახე ჰქონდა და ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროების გასწვრივ საზღვაო გზებით ხორციელდებოდა – გაშლილ ზღვაში ცურვის ტექნოლოგიებს ეგვიპტელები მაშინ არ იცნობდნენ.

51. ტროას ომი და "ზღვის ხალხთა შემოსევა" ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის (ქრისტეს შობამდე 22-ე – 12-ე სს.) დასასრულის მოვლენებს განეკუთვნებიან. მომდევნო, პირველი ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა (ქრისტეს შობამდე 11-ე – 4-ე სს) ამ ცივილიზაციაში წინა ფაზის რეალიზატორ აქეურ-მიკენურ და პელაზგურ ეთნოკონგლომერატთა ძირითადი ნაწილის ურთიერთასიმილაციით ცხრომის მანიის კლასის ძველელინელი ერის ჩამოყალიბებაში გამოიხატა. აღნიშნული თვისებრივი ტრანსფორმაციის და ასიმილაციის დამადასტურებელია ცხრომის მანიის კლასის ძველელინელი ერის ისეთი ცნობილი წარმომადგენლების, როგორებიც არიან მაგ.: ორფეოსი, ჰომეროსი და პითაგორა პელაზგური წარმომადგენლობა.

ამ მოვლენის მითოსური პერსონიფიკაციაა ჰერაკლე, რომელიც არგოლიდელი ლეტოს შთამომავალია. მისი ცხოვრების პირველ ეტაპზე ის სხვის სამსახურშია, რაც მის ცხოვრებას გაცემის აქტის ანუ მართვის მანიის ეფექტის მნიშვნელობით წარმოგვიდგენს. მეორე ეტაპზე ის ბრუნდება და გასამრჯელოს ითხოვს პირველ ეტაპზე შესრულებული საქმეებისთვის (მაგ. ავგიასგან), რაც ნაცვალგების პრინციპის აქტუალიზაციის ანუ ცხრომის მანიის ეფექტის გამომხატველია.

პელაზგური სამყაროს ნაწილი, რომელმაც თვისებრივი ტრანსფორმაცია აიცილა, იძულებული იყო გასცლოდა ცივილიზაციის ცენტრს. ეს გახდა თვისებრივი ტრანსფორმაციის აცილების პირობა. ამ მოვლენის პერსონიფიკაციაა ენეასი.

ეგეოსური ცივილიზაციის პირველ ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დადგომით დაფანტული, მართვის მანიის კლასის ერის წარმომადგენი ელემენტების კვლავ გააქტიურება დაიწყო მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის დადგომით (ქრისტეს შობამდე 4-ე ს. შუაწლები – ქრისტეს შობიდან 2-ე ს. მიწურული). ამის ერთ, ერთი გამოხატულებაა მეფე არტურის სახით პერსონიფიცირებული მოვლენები.

კოლხური სამყარო ეგეოსური ცივილიზაციის პერიფერიულ ნაწილში ლოკალიზებულობის გამო გადაურჩა ეგეოსური ცივილიზაციის ფაზათა ცვლასთან დაკავშირებულ თვისებრივი ტრანსფორმაციის შესაძლებლობის პირველ შემთხვევას. ეს შემდგომშიც, თუმცა კი მისი გარკვეული დროებითი დაქვეითების ფასად, მაინც, ყოველთვის ხერხდებოდა, რაშიც ხელშემწყობი ფაქტორის როლი შეასრულა გაიოზ ერადის მიერ აღმოჩენილმა ფაქტორმა – ტრანსკავკასიური ინტერცივილიზაციური თავდაცვითი ბარიერის მუდმივ აქტუალურობამ, მისი ორგანიზებისთვის მართვის მანიის ეფექტის აუცილებლობის საფუძველზე. ამ სტაბილურობის წყალობით, კოლხური სამყარო (ქართველი ერი) ეგეოსური ცივილიზაციაში მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციების ნოოფილოგენეზური შედეგების

ასოცირების მთავარ სუბიექტად (მთავარ მემკვიდრედ) იქცა. ერთ-ერთ ასეთ ელემენტად შეიძლება დასახელდეს მეფე არტურის ფენომენიც, როგორც ეგეოსური ცივილიზაციაში მართვის მანიის ეფექტის ლოკალური რეალიზაციის ისტორიული ფაქტის ნოოფილოგენეზური პერსონიფიკაცია.

52. უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის კონსტრუქციული რეზულტატი "ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების საფეხურთა" წარმოდგენ ანუ ნოოფილოგენეზურ მასალაშია მოქცეული. ამდენად, საზოგადოების თვითრეგულირებად ნაწილთა სისტემური ქცევის მთავარი გამოხატულებაა ტოტემისტური, მითოსური, რელიგიური და სამეცნიერო მიმდინარეობების წარმოშობის, გავრცელებისა და განვითარების პროცესები – ისტორიის ფიზიკური ასპექტი იმ საყვავილე მიწას ჰგავს, რომელშიც ნოოფილოგენეზური პროგრესის ყვავილი იზრდება.

53. ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის ერთ-ერთ რეალიზაციად უნდა დასახელდეს ამგვარი ერთეულები მდგრადობის კომპონენტებით – ძლევის მანიის კლასის ძველარმენიელი ერის (ქრისტეს შობიდან 2-ე საუკუნემდე), ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერის (ქრისტეს შობიდან 3-ე საუკუნიდან) და ცხრომის მანიის ეფექტის არმენიული ფენომენის (13-ე საუკუნიდან) სახით, რომლებიც ერთიდაიგივე სახელით – "სომეხი" – დაფიქსირდნენ ქართველურ მეტყველებაში, საფიქრებელია, რომ "(ფ)სოხმეს" სახელით ცნობილ, ქართველი ერის შემადგენელ (ქართველური ან სხვაგვარი წარმოშობის) იმ ეთნოსის დასახელების მიხედვით, რომლისგანაც აღნიშნულ პერიოდებში ერთის მეორის ჩანაცვლებით ჩამოყალიბდა პირველი ორი დასახელებული ერთეული. ქართველი ერისგან სრულად ჩამოშორება ამ სახელით აღნიშნული, მისი "გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფისა" მოხდა ეგეოსურ ცივილიზაციის მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის მეორე ნახევარში (5-ე – 9-ე საუკუნეებში), ამ ფაზის შესაბამისად აღნიშნულ ჯგუფში ინიციატივის მისი მდგრადობის კომპონენტის ხელში გადასვლის და, ამდენად, აღნიშნული ჯგუფის ერთ ქართველი ნაწილის თვისებრივი ტრანსფორმაციის საფუძველზე. ამ პროცესის პერსონიფიკაციად წარმოგვიდგება მამიკონიანთა საგვარეულო, მათი ლაზური წარმოშობის ჰიპოთეზის გათვალისწინებით. შემდეგ 10-ე – 12 საუკუნეებში მოხდა ამგვარივე მდგრადობის კომპონენტით "ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის" ახლად ჩამოყალიბება, ქართველი ერის წარმოდგენი ეთნოკონგლომერატის ლოკალიზაციის საწყისი არის მეტ სიღრმეში, თანამედროვე არმენიის ჩრდილოეთ და ქვემო ქართლის სამრეთ ტერიტორიაზე (– ტაშირ-არაგაწი), ეგეოსურ ცივილიზაციაში მესამე ორმაგი ეფექტის ფაზაში ანუ ქართველი ერის აქტუალურობის ეტაპზე. ამით წინა ფაზაში არმენიზებული მოსახლეობის ნაწილის შთამომავლობა კვლავ მოქცეულ იქნა ქართველი ერის შემადგენლობაში. ამგვარი უკუპროცესის პერსონიფიკაციაა, საწყის ეტაპზე – სომეხ ბაგრატუნთა, შემდეგ კი – მხარგრძელთა საგვარეულო.

ეგეოსურ ცივილიზაციის ფაზათა ცვლასთან დაკავშირებული მზგავსი მიქცევა-მოქცევის პროცესი მიმდინარეობდა პონტო-კაზადოკიაშიც სადაც ცხრომის მანიის პირველ ცალფა ეფექტის ფაზაში, ქრისტესშობამდე 11-ე – 4-ე საუკუნეებში ელინიზირებული,

"ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი", ძველ-ელინური მდგრადობის კომპონენტით, ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ორმაგი ეფექტის ანუ ქართველი ერის აქტუალურობის ფაზაში (ქრისტეს შობამდე 4-ე ს. შუახანები – ქრისტეს შობიდან 2-ს დასასრული) დაექვემდებარა ქართველი ერის ნაწილად რეტრანსფორმაციას. ამ მოვლენის პერსონიფიკაციაა პონტოს უდიდესი მეფე, მითრიდატე VI ევპატორი, ხოლო მისი გვიანდელი შედეგი – ქართველი ერის სარწმუნოების ხასიათის განმსაზღვრელ, ქრისტიანობის კაბადოკიური კერის ჩამოყალიბება, ახალი "ქართველი ერის გარეგნული განსხვავების მატარებელი ჯგუფის", ბიზანტიური მდგრადობის კომპონენტით ფორმირების მოვლენის მნიშვნელობით. ამ მოვლენის პერსონიფიკაციებად წარმოგვიდგებიან: წმინდა გიორგი კაბადოკიელი, წმინდა ნინო, ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი და მეფე ვახტანგ I გორგასალი. უნდა აღინიშნოს, რომ ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში (3-ე – 9-ე სს.) ქართველი ერი სრულ არმენიზაციას ამ ახალი "ქართველი ერის გარეგნული განსხვავების მატარებელი ჯგუფის" ჩამოყალიბებამ გადაარჩინა, მდგრადობის კომპონენტით ფორმის მანიის კლასის ბიზანტიელი ერის სახით.

ეგეოსურ ცივილიზაციაში მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის (13-ე – 16-ე სს.) დადგომას ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერი დიასპორებად დაშლილი და ამავე თვისებრივი ტიპის ერად ტრანსფორმაციის პროცესს დაქვემდებარებული თურქული სამყაროს და ამავე თვისებრივი ტიპის ირანელი ერის სივრცეში მოქცეული შეხვდა, რამაც ის, ევროპაში ებრაელი ერის მზგავსად, ცხრომის მანიის ეფექტის რეალიზაციის კატალიზატორად აქცია – მისგან ემისირებული ელემენტი, როგორც წინააზიაში და ისლამური სამყაროს ევროპასთან საერთაშორისო ვაჭრობის ინსტიტუციონალიზაციის ბაზა (რასაც ხელს უწყობდა არმენიელი ერის კონფესიური განკერძოებულობა). არმენიელი ერი შეცდომით არის გაიგივებული ამ ელემენტთან, რომელიც თუმცა, ერთი მხრივ, მისი საარსებო ამოცანის საპასუხოდ (არმენიული დიასპორების ადაპტორ ელემენტად) ჩამოყალიბდა, მაგრამ ფსიქიკური მახასიათებლების მიხედვით ეკუთვნის ცხრომის მანიის კლასის ერს, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს წინააზიელი ერი. ამ ერს საკუთრივი ეთნიკური მატარებელი არ მოეპოვება და სხვადასხვა ერების წარმომადგენელ ეთნოკონგლომერატებისგან ემისირებულ პიროვნებათა სიმრავლით და ცხრომის მანიის ეფექტის გამომხატველ რეგიონალური ინსტიტუციებით მოიცემა. ამგვარი ინსტიტუციის მაგალითია (დღეს ამ ერის მთავარ ფენომენად უნდა ჩაითვალოს) თურქეთის თანამედროვე სახელმწიფო (პოტენციურად – ერაყთან ერთადაც), რომელიც თურქეთის სამხედრო ინსტიტუტის მეშვეობით მოქმედ, ამერიკელი ერის გავლენის ფაქტორით ინსტიტუციურად მკაფიოდაა გამიჯნული ფორმის მანიის კლასის თურქი ერისგან – ქემალისტური თურქეთის პოლიტიკური მოწყობის მიხედვით, მისი მოსახლეობის ერთ თურქი ნაწილი ცხრომის მანიის ეფექტის წინააზიური ფენომენის რეალიზაციის არეში ლოკალიზებული ერთ-ერთი, თუმცა კი უმსხვილესი დიასპორის სტატუსშია დაფიქსირებული.

13-ე – 19-ე საუკუნეებში ცხრომის მანიის ეფექტის წინააზიური ფენომენის ძირითად რეალიზატორს წარმოადგენდა არმენიელი ერისგან ემისირებული ელემენტი, სხვა წარმომავლობის ელემენტებს უხდებოდათ მასთან თვითასოცირება, რაც არმენიულ კონფესიაზე აუცილებელი გადასვლის პრაქტიკის გავრცელებულობაშია ასახული. მაგალითად, ყოველი ქართველი დიდვაჭარი არმენიელად იყო მონათლული და ქართველების მიერ იწოდებოდა სომხად. ამრიგად სახელმა – სომეხი შეიძინა მესამე

მნიშვნელობა, როგორც ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის, მდგრადობის კომპონენტით ცხრომის მანიის ეფექტის წინააზიური ფენომენის სახით, აღმნიშვნელმა.

